


კვირის პალიტრა

# გზა


N26 (316) 29/VI-5/VII.2006. ფასი 60 თ.

სპირინგით  
წელდამგვინებულნი  
და „მოტაცებას“  
გადარჩენილი  
ქართველი  
სვ ლევ ტაიღარი



1168  
2006

ნანსარიძე  
ტხოვერაბით



ეროვნული მოძრაობის  
უცნობი დეზალეზი

კონსტანტინე გამსახურდიას  
გული ცუდს უბრძნობდა —  
„გამთენიისას ქარზე ბრახუნე აფყდა...“



გალსაზი ძვრივივილი  
ბიჭის მამა გახდა

## რა სკანდალში გახსვივნენ გოგოლა კალანდაძე და გიორგი ყიფშიძე

### „იმ სარეკლამო კლიპში მე არ გადავუღივარ...“

აღმოჩენა თბილისში — წყალი, რომელიც მხენარეს კლავს,  
აღამიანს კი აჯანმრთელავს

# ყოველი წამი სიამოვნებაა

ზოგჯერ სიამოვნება იწყება დროით  
მაგთისთან დრო ყოველთვის წამებში იწყება



## დაზოგადე ყოველი წამი

საქართველოს მოგილური ოპერატორებიდან მხოლოდ მაგთი აღრიცხავს და ანგარიშობს თქვენს ნაღვარაკებ დროს 1 წამის სიზუსტით.

არავითარი დამრგვალება!

იღვარაკებთ მეტი!

☎ 25 11 11 25 00 00 525  
www.magicom.ge

**მაგთი  
MAGTI**  
...კავშირი თქვენს სამყაროსთან

# დამატებითი წუთები

დამატებითი სიამოვნება...



**მიიღეთ საჩუქარი  
მთელი ზაფხულის განმავლობაში.  
მონო-პარათის ყოველი გააქტიურებისას**

გააქტიურებთ მონო-პარათი და საჩუქრად მიიღებთ წუთები მგების ქსელის შიდა ზარებისათვის, ანუ მაგთი - მაგთი და მაგთი - გალი მიმართულებით.

გააქტიურებული მონო-პარათი	საჩუქარი
10 - ლარიანი	3 წუთი
15 - ლარიანი	5 წუთი
30 - ლარიანი	12 წუთი
60 - ლარიანი	30 წუთი

- საჩუქარი წუთების გამოყენება შეგიძლიათ მონო-პარათის გააქტიურებიდან 30 დღის განმავლობაში.
- აქცია ვრცელდება მაგთის წინასწარი გადახდის სისტემის აკონენტებზე.

☎ 25 11 11 25 00 00 525  
www.magicom.ge

**მაგთი  
MAGTI**  
...კავშირი თქვენს სამყაროსთან


<b>მინიატურები</b>	
კალა ერთობაშია ანუ მმართველი პარტია „ზან-კლუბი“ იქნება	3
<b>ერთი კითხვა</b>	4
<b>უსსოური პრესა</b>	
„მოგვებით ის, რას გვინდა და მიიღებთ იმას, რას ზსურთ...“	6
<b>საზოგადოება</b>	
ჩვენი ხელისუფლების ყველაზე კეთილი, კუნძი, გრდილობიანი და უზრდელი ჩინოვნიკები	8
<b>ეკრანს მიღმა</b>	
„ინფუსტრის“ კომერციული საიდუმლოება და შოუ, სადაც ერთმანეთს და-კმასავით უყურებენ	10
<b>ქურნალისტის როლი</b>	
რატომ დაინტერესდა გიბა ნასარიძე თვა სუბივილიის პირადი ცხოვრებით?	12
<b>კრიმინალი</b>	
● სანდრო გვირგვლიანის მებოგარმა პროსესგა ოთხივე განსასჯელს დაალო ხელი	14
● ბანაჩენის მიხეღვით, ოჯახურ კონფლიქტს ორი დანაშაული მოჰყვება	15
<b>სკანდალი</b>	
„სარეკლამო კლიპში მე არა ვარ, ის მოტყუებული ბოგოლაა“... ანუ რა მოხდა ბადასაღვა მოედანზე ორი წლის წინ	17
<b>ქართულელები უსსოეთში</b>	
„ბერმანული შროტი“, დამღლევი ღამის ცხოვრება და ეგვიპტელი ქართველი	19
<b>ანტიდაპრესანტი</b>	20
<b>გზავნილები</b>	
ამაღლ ბაღეზული მსხვერპლი	23
<b>თემა</b>	
● რომელ დარბაზს ანიჭებენ უპირატესობას აბიტურიენტები	27
● პრესტიჟული ინსტიტუტები, დასავლური სტანდარტები და მასზე მორგებული ქართული სასწავლებლები	28
<b>აქტუალური ინტერვიუ</b>	
აუსიღეაელი რეჟორმა, უკომპრომისო ხელისუფლება და მწვავე კითხვა – ქურა სჯობს თუ საუნივერსიტეტო მერხი?..	31
<b>დოკუმენტური პროზა</b>	
მანანა იაშვილი. სანამ ცოცხლები ვართ... (ბაბრკაღეა)	33
<b>ტაიმ-აუტი</b>	36

## სპირინგით ნელდაუგვენებელი „როლიკოზო“ აქსედრებელი და „მოტანეზა“ გადარჩენილი ქართული ლიბ ტაილერი



„...სახლ-მუგეუმი მისუ-  
ლებმა მაინც ვერ მოვითმინეთ  
და სახლთან ახლოს მდებარე  
პაგარა სცენაზე, „მოკვეთილი“  
ვითამაშეთ... მერე, სუფრა გაიშ-  
ალა. ცოგა ხანში კი, ნასვამმა  
მეგობრებმა, ჩაცმულ-დახურუ-  
ლი, ცივ არაგვი მომისროლეს.  
ისეთი ღინება იყო, რომ კინაღამ  
„მომიტაცა“, მაგრამ მადლობა  
ღმერთს – გადავრჩი“.

57



## რომელ დარბაზს ანიჭებენ უპირატესობას აბიტურიენტები

თუ შარშან, ერთ ადგილზე მხოლოდ ერთი აბიტუ-  
რიენტი მოდიოდა, წელს ამ ფაქულტეტზე მოსასჯე-  
დრად 12 აბიტურიენტი იბრძოლებს.

27



„სარეკლამო კლიპში მე არა ვარ,  
ის მოტყუებული ბოგოლაა...“

„ფილმის გადაღებაათ, – ჩვენს მოსაგყუებლად თქვეს.  
იცოდნენ, რომ რეკლამაზე არავინ წავიდოდა. ყოველ შემთხ-  
ვევაში, 100 დოლარად არ ვითამაშებდი. იაჟად „გამოდგინენ“...“

17



## გუგინოგელი საფაროს მესაიდუმლე – ბაჟა-ფაჟეღას 145 წლისთავი

ვინც თავისი მიწის სურნელით ერთხელ მაინც დამთვრა-  
ლა, თავისი ქვეყნის ცას ასე მიახლოებია, მხოლოდ ის გაუგებს  
ვაჟას, რომელიც დღემდე რჩება მეუცნობელი სამყაროს მა-  
რადიულ მესაიდუმლედ.

47

**რომანი**

გაგა ვარნაძე. ველური ნაბლის ხეივანი (ბაზრძელეზა) 38

**ჯანვრთელთა**

- შესაძლებელია თუ არა პირადად თანხის დაღწევა?
- მშობლებო, შოთხილად – ჰეპატიბია! 43

**იმიჯი**

თიკა შანაძია ტუჩების გაღივებაზე და ცხვირის შორის შეცვლაზე ოცნებობს 44

**ტაქარი**

ეკლესიის იატაკზე სასწაულებრივად აღგზნებული მონათესავე სხეულები და მონასტერი, სადაც ქრისტიანი მორწმუნენი უხეშად შედიოდნენ... 46

**უკვდავება**

შეუცნობელი სამყაროს მესაიდუმლე – ვაჟა-ფშაველას 145 წლისთავი 47

**ბიზნესი**

რეგირაციისაში აყვავებული ინდიელთა „რულეტკა“ 49

**ვარსკვლავი**

„ბონდინის“ ახალ სურათში სემს ვერ იხილავთ! 51

**გომილი**

53

**მუნდილი**

მსოფლიო ჩემპიონატი – ურუგვაიდან ბერმანდამდე 56

**თინეიჯერული პონტაჟი**

სვინგით წელაგმობენაუბრი, „როლიკებზე“ ამხედრებული და „მობაბეზა“ ბაღარჩინილი ქართველი ლივ ტაილერი 57

**შეუცნობელი**

უკვდავების ელექსირი, რომელიც მცენარეს კლავს, აღამიანს კი, აჯანმრთელებს 60

**ბესტსელერი**

შიო გვებაძე „მონანიბა“ (ბაზრძელეზა) 62

**სოუპიზენი**

66

**ავტო**

67

**სკანდორდი**

69

**ჰოროსკოპი**


კვირის (29 ივნისი – 5 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი 70

**ტესტი**

71

**გარეკანზე:** ირმა ლიპარტიანი კოლაჟი  
 საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“  
 გამოცემის კვირაში შოთხელ, სუთუბათობით  
 გაზეთში „კვირის პალიტრის“ ღამათა  
 შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.  
 მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქავთია  
 მენეჯერი: მათე კბილაძე  
 მისამართი: თბილისი, იოსებების ქ. №49  
 ტელ: 38-50-03 email: gza@kvirispalitra.com

**რატომ დაინტერესდა პიპა ნუსარიძე თანსუბუბილის პირადი ცხოვრებით?...**



„ზღაპრების ბავშვობაშიც არ მჯეროდა. ეტყობა, ჯერ კიდევ ველოდები ჩემი ცხოვრების თანამგზავრს, ოღონდ – არა პრინცს, უფრო რეალურ ადამიანს“...

**12**




**რეგირაციისაში აყვავებული ინდიელთა „რულეტკა“**

კაზინოს წყალობით, კალიფორნიასა და მინესოტაში მღებარე, ოდესღაც უდაბური და ნახევრად მიგდებული რეგირაციები, გამოცოცხლებულ დასახლებებად იქცა.

**49**

**უკვდავების ელექსირი, რომელიც მცენარეს კლავს, აღამიანს კი, აჯანმრთელებს**



„მისი სამკურნალო თვისების გამო, ხალხმა „უკვდავების წყალი“ შეარქვა. ყოველდღე ამ წყლის წასაღებად უამრავი ადამიანი მოდის“.

**60**

**veluri wabl is xei vani**



- ფული მჭირდება.
- ისევ? - არ ესიამოვნა თამოს. - რამდენი?
- ათი ათასი.
- დოლარი?! - გაუკვირდა თამოს.
- ჰო, რა თქმა უნდა. თუნდაც, პროცენტისი.
- პროცენტისი - რა, მევახშე კი არა ვარ... - იწყინა თამომ.
- უბრალოდ, ძალიან მჭირდება. სიგყვა მაქვს ნათქვამი, ქურდი ჩაერია...
- რა არის, იცი, რემი... ჯიხურებიდან ფულს ვერ ამოვიღებ. ხომ ხვდები?..
- ვიცი... მაგრამ ძალიან მჭირდება.

**38**

# ძალა ერთობაშია ანუ მმართველი პარტია „ფან-კლუბი“ იქნება



ამ მსოფლიო ჩემპიონატის მომგონმა გაიხაროს, არ აგვიხილა თვალეები?! შევიკარით ერთ მუშტად მუდამ დაშლილი ქართველები, ავტეხეთ გნიასი და წიოკი, ხან არგენტინის გულისათვის ვათენეთ ლამეები და ხანაც, ბრაზილიის საქომაგოდ შემოვატყავეთ თბილისის ქუჩები დროშებით და პლაკატებით... რა, მერე, ვინ დაგვიფასებს?! ვგულშემატივრობდით აგერ კოტ-დ'ივუარს, ეგენი ხომ ჩვენი მონათესავე ერია, მაგრამ არ შეგვიბრალა მეტოქემ და ბურთი გადააღუნეს თავზე.

ჰოდა, მივხვდით, რომ ჯობია, ეს ენერგია ჩვენს თავს მოვახმაროთ. ასე შეიქმნა საქართველოს ფან-კლუბი, დაინერა ჰიმნი, დაიხატა დროშა და გერბი, გვცნო გაერომ, გვალღობა ევროკავშირმა და მალე „ნატოს ფან-კლუბში“ მიგვიღებენ, მაგრამ აქაც რა, მერე?! ეგ რომ შეველოდეს, ჰიმნი ისეთი გვაქვს ქართველებს, რომ მართო მუსიკისთვის და პაატა ბურჭულაძის ბანისთვის გვეკუთვნის მსოფლიო ჩემპიონატის თასი, მაგრამ მაგ ჭკუაზეა სწორედ ბლატერი. გუნდი უნდა იყოსო, გუნდიო — სასაცილოა,

ორსაც მოსტეხა ფეხი ამ „მაგარმა“. მერე ყველა ერთად დააყენა და აბა, ყველას თუ მოსტეხო, — ვერც ერთს ველარ მოსტეხა თურმე ფეხი და მწვრთნელს უთქვას, აი, შეილებო, თუ ერთად იქნებით, მტერი ვერ დაგამარცხებთო... მართალია, ნახევარი გუნდი ახლა ტრავმირებულია, მაგრამ რაც მთავარია, ანდაზის არსი უკვე იცინან...

ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენ რა უფლება გვქონდა, ერთად არ დავემდგარიყავით და ფან-კლუბი არ შეგვექმნა?! სხვათა შორის, ეს ინიციატივაც მთავრობისგან ნამოვიდა და სწორედ ნაცმოძრაობის აქტივისტი „კომკავშირელები“ ჩაუდგნენ სათავეში საქართველოს ფან-კლუბის შექმნას, თუმცა ეს ინიციატივა, შესაძლოა, მალე სანაწიბელი გაუხდეს თვითონ ხელისუფლებას. რატომ?!

ხომ იცნობთ ქართველი კაცის ბუნებას, ძალა თუ იგრძნო, მერე უმართავი ხდება. ჰოდა, ამ საფეხბურთო ფან-კლუბში უკვე ოფიციალურად განვერდა ათასობით ადამიანი და თუ



პირდაპირ! ქართველები და გუნდი სად გინახავთ?! გუნდი და თანადგომა რომ ვიცოდეთ, ასე უტყემლოდ კი არ დავღრღნიდით ერთმანეთს! მთავარია, რომ ფან-კლუბი გვყავს და გუნდს რა მნიშვნელობა აქვს?! ეგეც ჩვენ ვიჯავროთ? ჩამოვიყვანეთ მაგ საქმისთვის კაცი გერმანიიდან, გუნდი კი, რა თქმა უნდა, არ არსებობდა, ზოგი იტალიასა და პოლანდიაში იყო წასული სათამაშოდ, ზოგიც — დუბაიში, სავაჭროდ. ადგა საცოდავი, ფეოლასავით კარდაკარ ჩამოიარა და როგორც იქნა, შეკრიბა თერთმეტი კაცი. „ზამენაზე“ ხომ ზედმეტია ლაპარაკი. „ზამენა“ კი არა, სიგარეტზე გაგზავნა რომ მოუნდეს, მეთორმეტე კაცი არ ჰყავს ისეთი, მალაზიაში მისვლამდე გზაში ფული რომ არ დაკარგოს და იმას ბურთს ანდობ მოედანზე?!

ძალა რომ ერთობაშია, ესეც სწორედ იმ უცხოელმა „ტრენერმა“ გვასწავლა თურმე, რალაც იგავი სცოდნით გერმანიაში. ჰოდა, დააყენა თურმე ერთი ფეხბურთელი და მეორისთვის უთქვამს, მიდი, წვივში ჩაარტყი და ფეხი მოსტეხო. ჩაარტყა ამან და იოლად მოსტეხა. ახლა ორი დააყენა თურმე ერთად — იმ

სობით ადამიანი და თუ ასე გაგრძელდა (მით უმეტეს, როცა პოლიტიკური პარტიები სუსტდებიან და პარლამენტიდანაც პანტაპუნტით ყრიან დეპუტატებს), მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ლეიბორისტული და რესპუბლიკური პარტიების გვერდით „პოლიტიკური მოძრაობა — ფან-კლუბიც“ გამოჩნდება და იმდენ ხმას მოხვეტს, რომ დღევანდელი უმრავლესობის სავარძლებსაც იოლად მოირგებენ.

ჰოდა, მივიღებთ იმას, რომ მმართველი პარტია „ფან-კლუბი“ იქნება, ბალეტის ნაცვლად, პრიორიტეტი ფეხბურთი გახდება, გერბზე ბურთს დავახატავთ, დროშაზე — წითელ და ყვითელ ბარათებს, ჰიმნი კი აქვთ უკვე და რეფორმებიც შესაბამისი გატარდება: პარლამენტის სხდომები „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება, მინისტრთა კაბინეტი „ლოკომოტივზე“ ითათბირებს, მისაღებ გამოცდებზე უნარების ნაცვლად, ბურთის კენწვლას ჩააბარებენ და მთელი საქართველო ვიქნებით ფეხბურთის ერთი დიდი გუნდი თავისი დამცველებით, მეკარეებითა და თავდამსხმელებით, მაგრამ ხომ ვიცი, პასის მიცემას მაინც ვერ მივეწვევით...

*P.S. პარლამენტის სხდომა „დინამოს“ სტადიონზე: — ქალბატონო ნინო, მემარჯვენეების ბურთი ისევე გადმოვარდა ჩვენს ფრაქციაში და უთხარით რამე, რა!..*

*— გამყრელიძე, დაცვას მიხედე და ბურთი აღარ გადმოვადო, თორემ დავჭრი, იცოდე!..*

პროპოკატორი

# „ეს ერთობლივი „საგეოლოგო კლავი“ რა სამხედრო ოპერაციებს ჩაატარებენ?“

— პუტინის მონაწილეობა სეპარატისტებმა აიტაცეს და შემოდგომისთვის, ცხინვალსა და აფხაზეთში რეფერენდუმს ჩაატარებენ. რას შეცვლის ხალხის გამოკითხვის შედეგები?

**მამუკა არაშიძე**, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:

— გულის სიღრმეში, ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკოსები შეიძლება, კიდევ ფიქრობდნენ ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონების დამოუკიდებლობაზე, მაგრამ ამაზე ლაპარაკი კულისებს ვერ გასცდება. გარე სამყარო ადამიანის უფლებების დარღვევას მხარს არ დაუჭერს. რეფერენდუმის შედეგებს კანონიერად იმ შემთხვევაში ცნობენ, თუ ის დევნილების დაბრუნების შემდეგ და მათი მონაწილეობით გაიმართება. ასე რომ, ამ ეტაპზე ცხინვალსა და აფხაზეთში გამართულ რეფერენდუმს არაერთი მნიშვნელობა არ ექნება. თამაშობენ და წერვებს გვიშლიან. დაახლოებით იგივე ითქმის იმაზე — ერთობლივი „სამშვიდობო ძალების“ შექმნით რომ იმუქრებიან. მათი განცხადებები ცარიელი სიტყვებია. როგორ ფიქრობთ — ეს ერთობლივი „სამშვიდობო ძალები“ რა ერთობლივ სამხედრო ოპერაციებს ჩაატარებენ? წარმოუდგენელია, ოსების დასახმარებლად, აფხაზეთში ადარან მიძიმე ტექნიკა, გაიარონ რუსეთის ტერიტორიის საკმარის დიდი მონაკვეთი და ზალპებით შევიდნენ ცხინვალში... რუსეთი მხარს კი უჭერს სეპარატისტულ რეჟიმებს, მაგრამ ამას ვერ გააკეთებს. აფხაზეთი კი, ცხინვალში, რუსეთის გვერდის ავლით, ვერ მოხვდება. ზოგადად, ნოვაციები, რომლებსაც თან ერთვის სხვადასხვა სახის პროვოკაცია, რეგიონში სამხედრო მოქმედებების ესკალაციაზე გათვლილი. განსაკუთრებით, ოსურ მხარეს სურს სამხედრო ოპერაციების პროვოცირება, რათა ოქტომბერში, სეპარატისტული რეჟიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დანიშნული არჩევნები ჩაიშალოს. კოკოითი დარწმუნებულია, რომ ვერ გაიმარჯვებს, რადგან, მას კონკურენტები გამოუჩნდნენ. ომის პროვოცირება ნებისმიერ შემთხვევაში, მის წიკვალზე დასახმარებელს ნებას.

# „არა მგონია, პუტინი კადელთან მიაყენონ...“

— რატომ დაინიშნა „დიდი რვიანის“ სამიტამდე ბუშისა და სააკაშვილის შეხვედრა და რა შედეგს უნდა ველოდეთ — ისევ სიტყვიერ მხარდაჭერას?..

**სოსო ცინცაძე**, პოლიტოლოგი:

— პუტინი-საკაშვილის შეხვედრამ ოპტიმისტთა იმედები ვერ გაამართლა, ამიტომ ვაშინგტონში ვიზიტამდე პროგნოზების გაკეთება იოლი არ არის. წესით, აშშ-ის პრეზიდენტისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრამ ბევრ კითხვაზე უნდა გასცეს პასუხი. ჯერჯერობით, ჩვენ მხოლოდ დასავლეთის სიტყვიერი მხარდაჭერა გვესმის და არც ერთ მოქალაქეს არ გვიგრძნია, რომ ამერიკას ჩვენი მთავარი პრობლემის — ტერიტორიული მთლიანობის მოგვარების საკითხში სერიოზული ნაბიჯი გადაედგას. ეს შეხვედრა შედეგიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ „დიდი რვიანის“ ქვეყნების სამიტის

დროს, აშშ რუსეთზე ზემოქმედებას მოახდენს, რათა ამ უკანასკნელმა ჩვენი ტერიტორიების ანექსიაზე ხელი აიღოს. თუმცა, მე არა მგონია, რომ „დიდი რვიანის“ შეხვედრაზე, პუტინს კედელთან მიაყენებენ და საქართველოს გულისთვის, „განკითხვის დღეს“ მოუწყობენ... რაც შეეხება სხვა საკითხებს — ალბათ გაიზრდება ამერიკის დახმარება, მსოფლიო ბაზარზე საქართველოს გასასვლელად. იქნება დახმარება ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევის მიმართულებითაც. სააკაშვილის მთავარი მისიაა, ამომწურავი ინფორმაცია მიანოდოს ჯორჯ ბუშს იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლის წინაშეც, მისი ქვეყანა დგას. საქართველოში სოციალური ფორსის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, ამერიკის მხრიდან დიდი დახმარებაა, მაგრამ ჩვენ ყველაზე მეტად ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა გვანუხებს. ■

# „სახალხო დამცველის აქტიურობით გალიზიანებული ხელისუფლება მას არასერიოზულ აღაშიანად მოიხსენიებს...“

— პარლამენტში სოზარ სუბარის ანგარიშის მოსმენა კვლავ გაურკვეველი ვადით გადაიდო. თქვენ აზრით, ხელისუფლებას მის მიერ მოძიებული ფაქტების ეშინია?

**დავით ზურაბიშვილი**, ფრაქცია

„დემოკრატიული ფრონტის“ ლიდერი:

— უმრავლესობის წარმომადგენლებმა არ იციან სახალხო დამცველის ანგარიშზე როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეთ. თუ მოინონებენ, უნდა აღიარონ, რომ ქვეყნის მასშტაბით, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, უმძიმესი სიტუციაა, თუ დაინუნებენ — აშკარა ფაქტებზე თვალის დახუჭვა გამოუვათ. გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატი წარმოადგენს იმ ინსტიტუტს, რომელსაც საერთაშორისო არენაზე უსმენენ. სუბარის ანგარიშის შემდეგ, ხელისუფლების მიერ გაპაარებულ დემოკრატის შეიძლება კრახი დაემუქროს. სუბარის მოხსენება რიგგარეშე სხვა დომინანტის გადაიტანეს. საინტერესოა, რას ფიქრობენ — მანამდე ფაქტები აორთქლდება?.. სახალხო დამცველის აქტიურობით გალიზიანებული ხელისუფლება მას არასერიოზულ აღაშიანად მოიხსენიებს. უნდათ, ისეთი განწყობილება შექმნან, თითქოს მისი განცხადებები ყურადღებას არ იმსახ-

ურებს. არადა, როცა სუბარის გამოსვლები მათ პოზიციას ემთხვევოდა, მაშინ სახალხო დამცველი კომპეტენტურ და მიუკერძოებელ პიროვნებად მიაჩნდათ. არ გამოვირიცხავ, რომ ანგარიშის მოსმენა კიდევ გადაიდოს. შესაძლებელია, ის სამშვიდობო ძალების საკითხის განხილვას დაეთმებდეს. ბუნებრივია, სამშვიდობოებზე მსჯელობა სოზარის გამოსვლას გადაფარავს. არ არის გამორიცხული, სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენა შემოდგომისთვის დაგეგმონ. მოკლედ, მთელი მონდომებით ცდილობენ, რომ ანგარიშის მოსმენა ჩაატარონ ყოველგვარი ხმაურის გარეშე და ისეთი პერიოდი შეარჩიონ, რომელიც მათთვის მომგებიანი იქნება. იმაზე მსჯელობა კი, რომ გარშემო პათოლოგები ჰყავთ და სწორედ ის პირები, რომლებსაც ადამიანების დაცვა ევალებოდა, აწამებენ და ხოცავენ ჩვენს მოქალაქეებს, — მსჯელობა არავის სურს. ვფიქრობ, ეს, ხელისუფლების კიდევ ერთი შეცდომაა. ისეთ კონკრეტულ და შემამოფოთებელ ფაქტებზე თვალის დახუჭვა, რომელიც სახალხო დამცველმა მოიძია, მმართველ გუნდს სერიოზულ დარტყმას აყენებს. ან შეეღვიან სისხლისმწოველ ჩინოვნიკებს, ან დღეს თუ ხვალ, ყველას ერთად მოუწევს უამრავ კანონდარღვევაზე პასუხისგება. ■

# „კლინიკი კომპანიის პრაქოგატივია – ხალხს რაღაც სიხსლე უმსთავაზოს...“

— ტელევიკრანებზე დატრიალებულმა თქვენი კომპანიის სარეკლამო კლიპმა საზოგადოების ნაწილში აღშფოთება გამოიწვია. უკმაყოფილებას გამოთქვამენ მასში მონაწილე მსახიობებიც: გოგოლა კალანდაძე და გიორგი ყიფშიძე აღნიშნავენ, რომ ისინი ფილმში გადაღებას დათანხმდნენ და იმის შესახებ არაფერი იცოდნენ, თუ „ჯეოსელი“ ამ მასალას სარეკლამო რგოლად გამოიყენებდა... აპირებენ თუ არა „ჯეოსელის“ მესვეურები კლიპის ეკრანიდან მოხსნას?



20 ადამიანიდან, მხოლოდ 2 უარყოფს... ვიმეორებ, ისინი არავის მოუტყუებია. როგორც ფილმის პროდიუსერისგან ვიცი, მათ მიიღეს ის თანხა, რომელიც თვითონვე დაასახლეს. ეს მოხდა 2 წლის წინ და შესაძლებელია, რომ მაშინ მათ ვერ გაიაზრეს, რომ უფრო მეტის მოთხოვნა შეიძლებოდა და ამიტომ, აღშფოთება ახლა გამოხატეს,

**ირაბ ცაბიშვილი**, „ჯეოსელის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:

— კომპანია „ჯეოსელი“ სკანდალიდან ძალიან შორს დგას. როგორც ვიცი, მსახიობებს ჩვენთან არანაირი პრეტენზია არა აქვთ. მათ უბრალოდ, კლიპის რეჟისორთან — დიტო ცინცაძესთან უნდოდათ რაღაც ურთიერთობის გარკვევა. ჩვენ კლიპი სტუდია „ტაიას“ დაუუკვეთეთ, კონტრაქტი გავაფორმეთ, ფილმის შექმნის საფასურიც გადავიხადეთ და შესაბამისად, მისი ეთერში გაშვების უფლებაც მოვიპოვეთ... მსახიობებმა, რეჟისორმა და მთელმა შემოქმედებებმა ჯგუფმა, როგორც ვიცი, ურთიერთობა უკვე გაარკვეეს, სიტუაცია ჩანყნარდა და არაფერი აღარ ბრახობს. ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ რადგან მეკითხებით, გიპასუხებთ, რომ თავიდანვე ყველამ ყველაფერი იცოდა; შესაბამისად, იცოდნენ ისიც, რომ ფილმის კადრებს კომპანია „ჯეოსელის“ საშიშვლო კლიპად გამოიყენებდით. ამ 2 მსახიობის გარდა, ამაში ყველა დამემონებება და მგონი, ცოტა არ იყოს, ალოგიკურია, როცა რაღაცას

რაც მათი მხრიდან, საოცრად არაკორექტული საქციელია, რადგან მთელ შემოქმედებით ჯგუფსა და რეჟისორ დიტო ცინცაძეს ტყუილში დასდეს ბრალი... ამ მხრივ, ჩვენ ვერაფერს დაგვაბრალებენ, რადგან მოლაპარაკებებში არ ვმონაწილეობდით. მოეთხოვათ იმდენი, რამდენიც უნდოდათ და ჩვენც არ შევევაჭრებოდით. აქვე, თუ შეიძლება, დავაფიქსირებ ჩემს პოზიციას კლიპთან დაკავშირებით: მიმაჩნია, რომ დიტო ცინცაძემ არაწვეულებრივი ფილმი გადაიღო. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ მან ხალხის ასეთი ინტერესი გამოიწვია... თუ რატომ გადაწყვიტა „ჯეოსელმა“, საზოგადოებისთვის ასეთი პროდუქტი მიეწოდებინა. ამაზე შემიძლია ხმადაღლა განვაცხადო, რომ ჩვენ ყოველთვის ხარისხიან სარეკლამო რგოლებს ვატრიალებდით. საერთოდ, ძლიერი კომპანიის პრეროგატივაა ის, რომ მან ხალხს რაღაც სიხსლე უმსთავაზოს. ჩვენ მათ შევთავაზებთ რეკლამის ნოვატორული ფორმა, რომლის შესაქმნაც ასეთია: მე ასეთი ცუდი არასდროს ვიქნები, ბანალურ მაგალითზე გუფხები, რომ კომპანია არ გიღალატებს... ფილმისგან განსხვავებით, კლიპი ნეგატივისგან გასუფთავებულია, მას კომიკური სახე აქვს და ვერაფრით ვხვდები, მსახიობები რას უნდა გაებრაზებინა... რაც შეეხება საზოგადოებაში ატეხილ აჟიოტაჟს, ეს იმან გამოიწვია, რომ ხალხი მიჩვეულია



იაფფასიან სარეკლამო რგოლებს და რაღაც ახალმა მათი განცვიფრება გამოიწვია. შეიძლება, ის ვილაცისთვის სკანდალური და ცუდი იყოს, მაგრამ სირცხვილია იმის თქმა, რომ დიტო ცინცაძე უხარისხო ფილმებს იღებს. მიმაჩნია, რომ „ჯეოსელმა“ ნარმატიული პროექტი დააფინანსა. მიხარია, მასში ასეთი კარგი მსახიობები რომ მონაწილეობენ და იმედს მაქვს, ამ გაუგებრობას მალე დაესმება წერტილი და მომავალში, ჩვენ ამ ხალხთან ისევე ვითანამშრომლებთ.

# „...შრომის კოლაქსა მოსურ მდგომარეობაში ჩააღბო და-ქირავეული პირი“

— სამასამდე არასამთავრობო ორგანიზაცია, ერთ კოალიციაში გაერთიანდა. სამოქალაქო სექტორი ბრძოლის აქტიურ ფაზაზე გადადის?

**ნანა აბაბაძე**, ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტიკტიმრევი ადამიანის უფლებებისთვის“ — ხელმძღვანელი:

— ვინაიდან ხელისუფლება არაფერს ცნობს, გარდა ძალის დემონსტრირებისა, ამიტომ გადაწყვიტეთ, ვუჩვენოთ არასამთავრობო სექტორის პოტენციალი. არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობის აბსოლუტურად სხვა რეჟიმში გადავიდნენ. საზოგადოებამ ხელისუფლებაზე კონტროლი დაკარგა. 97%-ით არჩეულმა პრეზიდენტმა და თითქმის ერთპარტიულმა პარლამენტმა შექმნა არადემოკრატიული რეჟიმისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი პოლიტიკური გარემო: სრულიად მოიშალა ხელისუფლების შტოების ურთიერთკონტროლისა და ურთიერთდაბალანსების მექანიზმები, პერმანენტული ხასიათი მიიღო არასამთავრობო სექტორსა და მედიამზე თავდასხმამ, მათი დაშინებისა და დამორჩილების მიზნით. განსაკუთრებულ შემფოთებას იწვევს პოლიციის მიერ ქუჩაში მოქალაქეთა ლიკვიდაციის პრაქტიკა, რომელიც მერაბიშვილისა და სააკაშვილის მოწოდებით დამკვიდრდა. აღსანიშნავია სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, რომლებმაც შეზღუდა, როგორც პატიმრებისა და ადვოკატების, ისე მოსამართლეების უფლებები. საგანგაშო სიტუაციამდე მიგვიყვანა შრომის კოდექსმა, რომელმაც პრაქტიკულად, მონურ მდგომარეობაში ჩააგდო დაქირავებული პირი. აღმასვითებელია საარჩევნო კოდექსიც, აღნიშნული კანონის მიხედვით, შეუძლებელია, დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა. აღსანიშნავია კანონი განათლებისა და მეცნიერების შესახებ, რომელმაც დაასამარა უნივერსიტეტის ავტონომია. სწორედ ამ და უამრავმა სხვა პრობლემამ გვიბიძგა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, გავერთიანებულიყავით. ამერიიდან ხელისუფლების დარღვევებზე რეაგირება მასშტაბური გახდება და მხარდაჭერა რეგიონებიდანაც გვექნება. ეს იქნება ძალა, რომელიც ხელისუფლებას სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს.

# „ქალებს უოკონას იმატა ნარკოტიკების მოხმარებელთა რაოდენობა“

— ექსპერტთა მონაცემებით, საქართველოში ნარკომანთა რაოდენობა გაორმაგდა. ქვეყანაში 250 ათასზე მეტი ნარკომანია, მათ შორის — სკოლის მოსწავლეებიც. ხელისუფლება გამოსავალს მხოლოდ ნამლის მომხმარებელთა დაპატიმრებაში ხედავს?

**გივი წარბაქიანი**, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:

— ნარკომანია საქართველოსთვის დიდი უბედურებაა. თავის დროზე, ნარკომანთა რიცხვის გაზრდას ხელი შეუწყო, არაკეთილმოსურნე ქვეყნიდან დიდი ოდენობით ნამლის შემოღობამ და გავრცელებამ. ამ პროცესში ჩართული იყო სამართალდამცავთა მათხროცა ამბობენ, რომ ჩვენს ქვეყანაში 300 ათასი მომხმარებელია, რომ სკოლის მაღალი კლასების მოსწავლეთა შორის თითქმის 30% ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკით სარგებლობს და ქალებს შორისაც იმატა ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობამ, — ამბუ უარესი რაღა უნდა იყოს?! ეს ქირი საქართ-

ველოში ისეთი ტემპებით ვითარდება, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლაში, მხოლოდ ერთი მიმართულება შედეგს ვერ მოგვცემს. ჩემი აზრით, ზოგადად, ამ კატეგორიის ადამიანების მიმართ დამოკიდებულებაც უფრო ლიბერალური უნდა იყოს. მაინცდამაინც ციხეში არ უნდა გავგზავნოთ. უფრო სწორია, გამაფრდეს ნარკოტიკების გასაღების, რეალიზაციისა და დამზადების ამკრძალავი კანონი. საქართველოში უნდა შეექმნათ ეფექტური ნარკოლოგიური სამსახურები. ამბუ მუშაობა მიმდინარეობს: დონორებთან, ექსპერტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან. სურვილი გვაქვს, 2007 წლიდან, განხორციელდეს გეგმა, რომელიც პრობლემის მოსაგვარებლად, სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციების ჩადებას ითვალისწინებს. თუ ნელ-ნელა მაინც, ნარკოტიკების მომხმარებელთა სტატისტიკა არ გაუფიქრებდა, არც საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას ექნება აზრი და არც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ერის მომავალი სერიოზული საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება.

# „ვის გაუგონა — სოფნის ტაძარში პოლიცია შესულიყოს და იქიდან პროფესორი-მასწავლებლები კალით გამოეყაროს?!“

— თქვენი აზრით, რა გზით უნდა მოხდეს უნივერსიტეტში სიტუაციის განმუხტვა და პროფესორისთვის ხუბუას რა კომპრომისი შეიძლება იყოს მისაღები?

**თაბაზ ჯოლოგვა**, მეცნიერებათა დოქტორი:

— პროცესები ასე, ფორსმაჟორული ტემპით იმიტომ მიმდინარეობს, რომ თვის ბოლოს, გარდამავალი პერიოდი მთავრდება და ფაკულტეტებზე არჩევნები უნდა დაინიშნოს, უნდა ჩატარდეს რექტორის არჩევნებიც. ამ პერიოდისთვის, მათი დიდი სურვილია, ჰყავდეთ უნივერსიტეტის შემადგენლობა, რომელიც ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილ რექტორს აირჩევს. სიჩქარეში ისეთ ნაბიჯებს დგამენ, ისტორიას რომ არ ახსოვს. ვის გაუგონა — ცოდნის ტაძარში პოლიცია შესულიყოს და იქიდან პროფესორ-მასწავლებლები ძალით გამოეყაროს?! რაღაც კონკურსებს აწესებენ, ადამიანებს თამაშში მონაწილეობას აიძულებენ, თამაშის წესებს კი — არ ეუბნებიან. პირდაპირ დაასახელეს რიცხვი

— უნივერსიტეტში 800 თანამშრომელი უნდა დარჩესო. რატომ 800 და არა — 300 ან 1400 — არ ამბობენ. თვითონ კრიტერიუმიც კი — ის, თუ რა პრინციპით მოხდება ერთი ადამიანის გაჯიბრება მეორესთან და უკეთესის გამოვლენა, — არავინ იცის. ყველაზე მთავარი კი, ის არის, რომ უნივერსიტეტს სამეცნიერო სექტორი ჩამოაშორეს და დაახლოებით 1500 მეცნიერი გააძევეს. კვლევითი პროგრამები არ ფინანსდება, სამეცნიერო კაბინეტები გააუქმეს. უნივერსიტეტში ვაჟას, აკაკის, რუსთაველის კაბინეტები აღარ არსებობს. ფაკულტეტების გაერთიანების შედეგად კი (რომლის პრინციპიც ასევე გაუგებარია), ვთქვათ, არქეოლოგია და ტელეკომუნიკაციები ერთი და იგივე საგნები უნდა ისწავლონ. ხუბუა ლექტორებს სათითაოდ, რამდენჯერმე იბარებს და მათ დაჟინებით სთხოვს, მიიღონ კონკურსში მონაწილეობა. რექტორი ამას დიალოგს უწინააღმდეგავად, მე კი ზენოლას დავარქმევდი. ყოველივე ეს უნივერსიტეტის დასამორჩილებლად კეთდება. ახლა დანებება, ქვეყნის წინაშე დიდი დანაშაულია.

# „მოგვესიუთ ის, ჩაპ ბუინდა და შილდუბუთ იმას, ჩაპ ბსუქით...“

**რუსუან ლებანიძე**

დაახლოებით ასე ჟღერს რუსეთის გზავნილი ევროპის ქვეყნებისადმი „დიდი რვიანის“ სამიტის წინ. პასუხად კი, შემდეგი სიტყვები გაისმის: „რუსეთი ვერ აკმაყოფილებს „დიდი რვიანის“ ნევრობისთვის აუცილებელ დემოკრატიის სტანდარტებს და „დიდ რვიანში“ მისი ამჟამინდელი თავმჯდომარეობა ძირს უთხრის ქვეყნების პრესტიჟული კლუბის ავტორიტეტს“... „რუსეთში შექმნილი სიტუაცია არ შეესაბამება „დიდ რვიანში“ მიღებულ „დემოკრატიის, ეკონომიკური სტაბილურობის, ღია საზოგადოებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს. ამიტომ, „დიდი რვიანის“ ნევრმა დანარჩენმა ქვეყნებმა უნდა „შეიმუშაონ“ შეთანხმებული პოლიტიკა, რათა აიძულონ პუტინი, აღებული ვალდებულებები შეასრულოს“.

ეს დასკვნები ბრიტანეთის საერთაშორისო პოლიტიკის შემსწავლელი ცენტრის იმ მოხსენებიდანაა ამოღებული, რომელიც სანქტ-პეტერბურგის სამიტისთვის მომზადდა. ცენტრს თავად ინგლისის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი კურირებს და მის დასკვნებსა და მოთხოვნებში ყველაფერი იოლად გასაგები და ბევრისთვის მისაღებია იქნებოდა, რომ არა კიდევ ერთი დასკვნა, რომელიც ყოველივე თქმულს „უბრალო პოლიტიკურ რიტორიკად“ აქცევს. მასში ვკითხულობთ: „რუსეთი ბუნებრივი გაზის მსოფლიოში უმსხვილეს მარაგს ფლობს. ხოლო ნავთობის მარაგით, ზოგიერთი შეფასებით, ერთ-ერთ უტოლდება... ეჭვგარეშეა, რომ ენერგომატარებლებზე მსოფლიო მოთხოვნის ზრდის ფონზე, რუსეთის სიმდიდრე და გავლენაც კიდევ უფრო გაიზრდება...“ — ანუ, როგორც ამერიკული Newsweek მოსწრებულად შენიშნავს — „პოლიტიკური რიტორიკის კოზირებს ისევ ბიზნესის ჯოკერი გაჭრის...“ თუ როგორ — ამის შესახებ ქვემოთ შეიტყობთ...

## ჯარგად დაჯინებული „დიდი თამაში“

(Newsweek, აშშ)

დაიხ, დაიხ, სწორედ იმ, საფუძვლიანად დაჯინებულ „დიდ თამაშზე“ მოგახსენებთ... რუსეთი, აშშ და ევროპა კვლავაც ბრძოლაში ებმებიან, ოღონდ, ამჯერად, ეს ენერგორესურსებისთვის ბრძოლა იქნება. ნახევარი საუკუნის წინ, უნგრელებმა საკუთარ თავზე ინვინეს, რას ნიშნავს მოსკოვთან ურჩობა. ამიტომაც იყო ევსოდენ სიმბოლური ბუდაპეშტის 1956 წლის აჯანყების ორმოცდამეათე წლისთავზე უნგრეთში



ჯორჯ ბუშის ვიზიტით ჩასვლა: კრემლის ახლანდელი პატრონებისთვის სიგნალი სწორედ ბუდაპეშტიდან გაიგზავნა...

„მსხვერპლი, რომელიც უნგრელმა ხალხმა გაილო, შთააგონებს ყველას, ვისაც თავისუფლება უყვარს, — განაცხადა ბუშმა აჯანყების მსხვერპლთა მემორიალის ყვავილებით შემკობისას — ჩვენ კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს: ყოველთვის, როცა ერი თავისუფლებ-



ის მოსაპოვებლად აჯანყდება, ამერიკა მის გვერდით დადგება“. საიდან ეს „ცივი ომის-დროინდელი“ რიტორიკა? — იკითხავს მავანი. ბუდაპეშტში ხომ ცოტა ვინმე თუ დაეჭვებოდა — იმათში, „ვისაც თავისუფლება უყვარს“, ბუში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს — მაგალითად, უკრაინასა და საქართველოს — გულსხმობდა, რომლებიც დღემდე გაჭირვებით აღწევენ თავს მოსკოვის გავლენას. მაგრამ კულისებს მიღმა ბევრად უფრო დიდი და მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პარტია თამაშდება. თანაც, ეს თამაში არაფრითაა იმაზე ნაკლებაგრესიული, ვიდრე ძველი „ცივი ომის“ წლებში იყო.

მოწინააღმდეგეთა ძალები ტანკებით კი არა, ენერგეტიკული პოტენციალით იზომება, რაც ცხადად უკვე სანქტ-პეტერბურგში დაგვიმჩილი „დიდი რვიანის“ სამიტზე გამოჩნდება. რუსულ ენერგომატარებლებზე ზედმეტად დამოკიდებულების პერსპექტივა დასავლეთს ძალზე აწფოთებს. რუსეთს, თავის მხრივ, ევროპულ ბაზრებზე რაც შეიძლება მყარად დამკვიდრება სურს. ამისთვის კი, მარტო იმ ნავთობისა და გაზსადენების კონსტროლი როდესაც საქმარისი, რომელთა მეშვეობითაც მისი ენერგომატარებლები ექსპორტზე მიედინება. რუსეთი ამ მიზნით, პირველ რიგში, „მაღალი გადანაწილების ენერგეტიკის“ ისეთ სფეროებში მკვიდრდება, როგორებიცაა: ნავთობგადამუშავება და საბოლოო მომხმარებლისთვის პროდუქციის მიყიდვა. და მეორე: ის ამ არენაზე შესვლის უფლებას არ აძლევს ცენტრალური აზიისა და კასპიის აუზის იმ კონკურენტ ქვეყნებს, რომლებსაც ასევე საკმაო რესურსები აქვთ.

ვამინგტონს კი, სწორედ ამ „ახალი მიმწოდებლებისთვის“ მეტი თავისუფლების მიცემა სურს. სხვათა შორის, იმავეს გაკეთების არაერთი მიზეზი აქვთ ევროპელებსაც. მაგრამ, ეროვნული ქვეყნების ხელისუფალნი, რომლებიც წელს იანვარში, მოსკოვის მიერ უკრაინისთვის გაზის გადაკე-

ვამ საკმაოდ დააშინა, რუსეთთან კონფრონტაციაზე წასვლას არ ჩქარობენ. მეტიც, როგორც გერმანიის ყოფილი კანცლერი და ამჟამად „გაზპრომის“ სამსახურში მყოფი გერჰარდ შრიოდერი აცხადებს, რუსეთი, „როგორც ენერგეტიკული პარტნიორი, ევროპისთვის უალტერნატივოა“.

ევროპული ქვეყნები და კორპორაციები უკვე ხელშეკრულებების ხელმოწერის ინდივიდუალურ წესზეც გადადიან. იენისის ბოლოს, იტალიის ახალმა პრემიერ-მინისტრმა რომანო პროდიმ და იტალიის სახელმწიფო ენერგოკომპანიის დირექტორმა პაოლო სკარონიმ მოსკოვში ყოფნისას, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან ურთიერთსასარგებლო შეთანხმებას მიაღწიეს. ამ შეთანხმების პირობები ბევრ რამეზე მეტყველებს. რუსული გაზის მონოპოლისტ „გაზპრომს“ იტალიაში ენერგომატარებლების შიდაბაზრებში ინვესტირების შესაძლებლობა მიეცემა, რის სანაცვლოდაც, იტალიური კომპანიები რუსეთში გეოლოგიურ-საძიებო პროექტების

მოწინააღმდეგეთა შორის მოხვდებიან. რუსები იტალიელებს კიდევ „რალაც-რალაცებს“ შეჰპირდნენ. კერძოდ: იტალიის უმსხვილესი ბანკი — Unicredit მოსკოვის საერთაშორისო ბანკის აქციების 26%-ის შესასყიდად, ვლადიმირ პუტინმა პირადად „დალოცა“. ამით რუსეთმა სხვა ევროპელებსაც „დაუსიგნალა“: „მოგვეცით, რაც გვინდა და მიიღებთ იმას, რაც გასურთ“.

ვამინგტონში ამაზე ნერვიულად რეაგირებენ, რამეთუ ის, რაზეც ევროპაში ახლა თანხმდებიან, ევრაზიის მომავალ პოლიტიკურ რეალიებს ათეულობით წლით ადრე, აყალიბებს... „რუსეთი დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკაში ბევრად უფრო სწრაფად იდგამს ფეხებს, ვიდრე იგივე დასავლეთი ახერხებს ენერგომატარებლების ალტერნატიული წყაროების დაძებნას“, — მიაჩნია, მოსკოვის კარნევის ცენტრის ანალიტიკოს ნიკოლაი პეტროვს.

ამის კარგ მაგალითს, სხვათა შორის, სწორედაც რომ ზემოთ ნახსენები უნგრეთი წარმოადგენს. ბუშის ვიზიტამდე ერთი დღით ადრე, უნგრეთის ნავთობისა და გაზის კომპანიამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „გაზპრომთან“ რუსული კონგლომერატის კუთვნილ გაზსადენ „ცისფერი ნაკადის“ გაგრძელების შესახებ, რომელიც ამჟამად რუსეთიდან თურქეთში, ალმოსავლეთ ევროპის ქვეყნებამდე მიდის. ამით კი, სერიოზული დარტყმა მიიღო მილსადენის პროექტმა — Nabucco, რომელსაც აშშ უჭერს მხარს. Nabucco-ს

ავტორების ჩანაფიქრით, მილსადენმა კასპიის გაზის მიმწოდებლები უნდა დააკავშიროს ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან და თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და ავსტრიის ტერიტორიებზე რუსეთის გვერდის ავლით გაიაროს. თავისთავად ცხადია, რომ რაც უფრო მეტი ევროპული მომხმარებლის საკუთარ კალთაზე „გამობმას“ მოახერხებს მოსკოვი დღეს, მით ნაკლები იქნება ხვალ ისეთი პროექტების განხორციელების შანსი, როგორიცაა Nabucco. გარდა ამისა, მსგავსი ქმედებებით მოსკოვი იმ დამატებით ბერკეტებსაც იძენს, რომელთა მეშვეობითაც, ახალ მიმწოდებლებს (თურქმენეთიდან და ყაზახეთიდან) ალტერნატიულ საექსპორტო მარშრუტებთან და ევროპულ ბაზრებთან მისასვლელ გზებს უჭრის. სადღეისოდ, ყაზახეთსა და თურქმენეთს საკუთარი გაზის ექსპორტზე გამუშავებულ საბჭოთა მილსადენებით თუ შეუძლიათ, რომლებიც ბუნებრივია, „დედა რუსეთზე“ გადის. შედეგად კი, ერთადერთი, რისი ძალაც მაგალითად, თურქმენეთს შესწევს, ისაა, რომ საკუთარი გაზით თითოეული ათასი კუბური მეტრი „გაზპრომს“ 50 დოლარზე ოდნავ უფრო ძვირად მიჰყიდოს. იგივე „გაზპრომი“ კი, შემდეგ, ამ გაზს ევროპულ კლიენტებს ხუთმაგ ფასში მიაწვდის.

თუმცა, ყოველსმეძღვე არც მოსკოვი. ერთ თვეში, მწყობრში უნდა ჩადგეს British Petroleum-ის მიერ გაშვებული მსხვილი ნავთობსადენი, რომლის სიმძლავრეც დღეღამეში მღრ ბარელს შეადგენს. ის აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოდან, საქართველოს ტერიტორიის გავლით, თურქულ პორტ ჯეიჰანამდე — ხმელთაშუა ზღვამდე აღწევს. ეს არის პირველი გზა, რომლითაც კასპიის ენერგომატარებლები ბაზარზე რუსეთის გვერდის ავლით შედის. ამის ერთ-ერთი შედეგი კი ისაა, რომ აზერბაიჯანი უკვე გათავისუფლდა იმ საექსპორტო მარშრუტების გამოყენებისგან, რომლებსაც მოსკოვი აკონტროლებს. ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტს პარალელურად, გაზსადენიც მიუყვება, რომლითაც თურქეთში აზერბაიჯანის შპა-დენიზის შეღვის საბადოში მოპოვებული გაზი ჩავა. ჯეიჰანში ეს გაზი სამხრეთ ევროპის გაზსადენის ქსელს შეერწყმის, საიდანაც საბერძნეთსა და საბოლოო ჯამში, იტალიას მიწოდება. ამასთან, საქართველო გაზის არა — „გაზპრომის“, არამედ აზერბაიჯანისგან

პრეპარატი **ფინსი** ვაძლევთ უნიკალურ შანსს

**ფსორიაზი** ენეთ საუკუნოვან გამორღილენას!

**მგზავს ნიღმდარბიტი** საფორმა იკითხეთ

**ნიღმდარბიტი** იმპურსალმით აფთიაქაში

საუკუნოვანი გამორღილენის მქონე, ყველაზე ეფექტური, არაკომპონალური ბალაოს საშუალებით

**სხელი ხაზი: 39 66 03**

ყიდვის საშუალებას მიიღებს. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა Newsweek-ის კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა — „ჩვენ რუსეთისგან დამოუკიდებლობა მანამ არ ვიქნებით, სანამ ენერჯის დამოუკიდებელი წყარო არ გავიჩნდება“. British Petroleum-ის წარმომადგენელ მაიკ ბილბოს თქმით, მალე ყაზახეთი ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტით საკუთარი ნავთობის ნაწილის ექსპორტირებას მინც დაიწყებს, რაც მას დაახლოებით ასეთსავე პოლიტიკურ და ეკონომიკურ უპირატესობებს მიანიჭებს.

ვაშინგტონს მარტო ევროპასთან დაკავშირებული რუსეთის ქმედებები როდი ანუხებს. ახლახან, შანხაიში, პუტინი ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადს შეხვდა და, როგორც რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ მიხაილ მარგელოვმა აღნიშნა, რუსეთსა და ირანს შორის „ფასების სტაბილიზაციის მიზნით“, „გაზის ალიანსის“ შექმნის წინადადება წამოაყენა. გარდა ამისა, თეირანმა „გაზპრომს“ იმ გაზსადენის მშენებლობაში მონაწილეობაც შესთავაზა, რომელიც ირანს პაკისტანთან და ინდოეთთან დაკავშირებს. და შესაძლოა, ჩინეთამდე გაგრძელდეს. „დიდი რვიანის“ სამიტისგან სულ მოკლე ხანში კი, პუტინი ამერიკის თავდაცვით მონინალდმდევსთან, ვენესუელის პრეზიდენტ უგო ჩავესთან შეხვედრას აპირებს. ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც ჩავესს სურს მსჯელობა, ისაა, თუ როგორ დააღწიოს ვენესუელამ თავი საკუთარი ნავთობისა და გაზის ექსპორტის 87%-ის მაკონტროლებელ მსხვილ დასავლურ კომპანიებს. ის „გაზპრომს“ უთუოდ შესთავაზებს ნილს არგენტინაში მიმავალი მ-ათასკილომეტრიანი გაზსადენის პროექტში.

ყოველივე ზემოთ თქმულით (და დამატებით იმ გარემოების გამოც, რომ რუსეთი თეირანის მიერ მშვიდობიანი ბირთვული კვლევების ჩატარების უფლებებსაც იცავს), პუტინის ვაშინგტონის „შავ სიაში“ საპატიო ადგილი უზრუნველყოფილი აქვს. მაისში ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი გამოვიდა სიტყვით, რომელიც ბევრმა „დიდი რვიანის“ სამიტის პრელუდიად აღიქვა. ვიცე-პრეზიდენტმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა კრემლი, რომელიც ნავთობსა და გაზს „დამინებისა და შანტაჟის ინსტრუმენტებად“ იყენებს. მან, მოსკოვი ვასპის აუზიდან ენერგომატარებლების „ტრანსპორტირების მონოპოლიზებამდე“ დაადანაშაულა.

ბუშის ადმინისტრაციის აზრით, ის, რომ ევროპა მოსკოვთან მოლაპარაკების ხელმოსაწერად რიგში ჩადგა, „რუსეთის შეკავების სტრატეგიულ ხაზს არღვევს და ენერგომიმწოდებლების დიფერენციაციის აუცილებლობის შესახებ ევროპელთა საუბრებს ფარსად აქცევს“. თუმცა, ეს მინც წმინდა ამერიკული მოზიციანა. „გაზპრომის“ წარმომადგენელი სერგეი კუპრიანოვი კი აცხადებს, რომ „რაც უფრო გადაეჯაჭვება ერთმანეთს რუსული და ევროპული ბიზნესინტერესები, მით მეტს დაკარგავს ორივე მხარე კონფრონტაციის შემთხვევაში“. პოლიტიკური რიტორიკის კოზირებს ისევ და ისევ ბიზნესის ჯოკერი ჭრის...



„რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია“ — ამ სიტყვებით შოთა რუსთაველი საუკუნეების წინ გვმოძღვრავდა, მაგრამ დღეს, ძალიან ცოტას თუ ასხოვს მისი დანაბარები. ამჯერად, თქვენს ყურადღებას იმ უთანასწორობაზე გავამახვილებ, რომელსაც ფულის მონეტა ადამიანებს შორის წარმოშობს. რამდენიმე დღის წინ, პარლამენტთან მონყალების სათხოვნელად მისულ ადამიანებს ვენეტურე ჩემი მისვლის დროს, შენობიდან ერთ-ერთი ტელევიზიის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. რა ტყუილად აწვალბენ ამ ჟურნალისტებს, მათ ლაპარაკს ყურს ვინ უგდებს, ძალიან ყვეს და ქარავანი მიდისო, — გადაულაპარაკეს ერთმანეთს ჩემმა მომავალმა რესპონდენტებმა. ცოტა ხანში, ერთ-ერთი მათგანი მომიახლოვდა და — შვილო, შენც მათთან ერთად ხომ არა ხარო? — მკითხა. — მათთან ერთად არა, მაგრამ მეც

ჟურნალისტი ვარ-მეთქ, — ვუპასუხე. — მერე, ბებო, სულ „დიდ ხალხთან“ რომ დადიხართ ინტერვიუებზე, უბრალო, დაჩაგრული ხალხის აზრი რატომ არ გაინტერესებთო? — აუხსენი, რომ მათთან სასაუბროდ ვიყავი მისული. შევატყვე — ჩემი ნათქვამი არ დაიფერეს. ჩანთიდან დიქტიფონი რომ ამოვიღე — მართლა ჩვენ უნდა ჩაგვწერო? — მკითხეს გაკვირვებულბმა და კიდევ უფრო მომიახლოვდნენ.

# ხენი ხელისუფლების ეკელაზე კეთილი, ქუნწი, ზრდილობიანი და სზრდელი ხინოენიკები

## „ჯიბიდან ფულის ამოღებას, სადი უბილის ამოღება ურჩევნიათ“

### თამუნა კვიციანი

**ნათელა (სახელები შეცვლილია):**  
— მე ცხინვალელი ლტოლვილი ვარ. სახელმწიფოდან 14-ლარიან დახმარებას ვიღებ, ეს არის ჩემი შემოსავალი. ჯერ საპენსიო ასაკი არა მაქვს. გლდანში ქირით ვცხოვრობ. ორი შვილი მყავს. შიმშილით თავს ვერ მოვიკლავ, ამიტომ იძულებული ვარ, ვიმათხოვრო. დევნილს 14 ლარი უნდა ჰქონდეს და მის მინისტრს რამდენიმე ათასი — ეს სამართალია?!

**თამუნა:**  
— მე თბილისელი ვარ, მაგრამ ბინა არა მაქვს. ჩემი შვილი, მერაბ კოსტავასთან ერთად იჯდა ცხეში. 10 თვის გამოსული იყო, რუსთაველზე ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები რომ დაარბიეს. 1992 წელს, ერთ-ერთმა ჩინოსანმა სამართალდამცველმა მომიკლა და გაიქცა საქართველოდან. სახლი გადამიწვეს. ჩემს შვილს გაუხსნელ საქმეებს აწერდნენ, მან არ დაიბრალა და ცემის დროს, ხელში

შემოაკვდათ. გამწარებული და გაუბედურებული დედა ვარ...  
**ლამარა:**  
— მეც თბილისელი ვარ. სამუშაო არ არის. დღეს დამლაგებლის ადგილის შოვნაც კი პრობლემაა. ამ მთავრობამ, ვინც დასაქმებული იყო და მცირედს მინც შოულობდა, ისინიც უმუშევარი დატოვა. ძალიან არ მსიამოვნებს აქ ყოფნა, მაგრამ...

— **მაპატიეთ, რომ გუკითხებით: აქ დღემო რამდენ ლარს აგროვებთ?**  
**თამუნა:**  
— ზოგჯერ, ერთი ლარითაც ნავსულვართ აქედან...

**ნათელა:**  
— წინა პარლამენტის დეპუტატები უფრო კეთილები იყვნენ. ნაციონალური მოძრაობიდან ერთადერთი, ლევან ბუქაშვილი გვეხმარება. მას მოსმენის კულტურაც აქვს: თუ რაიმეს შევჩივლებთ, გულთან ახლოს მიაქვს, არ მცალია ან მეჩქარებაო, — არასოდეს უთქვამს.

— **ოპოზიციის წარმომადგენლებზე რას გვეტყვი?**

**ლაშარა:** — ერთხელ, კობა დავითაშვილმა მომცა 2 ლარი. დანარჩენებისგან არაფერი მახსოვს.

**თიანე:** — დღეს საქართველოში არც „პოზიცია“ ვარგა და არც ოპოზიცია. ბებო, მაგათ ოღონდ მათხოვარი არ დანიახონ, ჯიბიდან ფულის ამოღებას, სალი კბილის ამოღება ურჩევნიათ...

— **ყველაზე კეთილ და გულუხვ პარლამენტარად ვის დაასახელებდით?**

**ნათია:** — უკვე გითხარით, რომ წინა პარლამენტში მეტი კეთილი ადამიანი იყო. ჯემალ გოგიტიძე გვემხარებოდა ხშირად. ასევე — ავაკი ასათიანი. ძალიან გულუხვი იყო ვანო ზოდელავა. აბა, ახლანდელ მერს ერთ თეთრსაც კი ვერ ამოაღებინებ ჯიბიდან...

**ლაშარა:** — ახლა ხშირად გვემხარებიან: გოგილიპარტელიანი, ცეზარ ჩოჩელი, ნიკა კვეციანი. რაც შეეხება დათო კირკიტაძეს, ბიძინა ბრეგვაძეს, ზაზა ბეგაშვილს, ბესო ჯულელს — ეს ადამიანები მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ და არა ხალხზე ან ქვეყანაზე.

— **მიხილ სააკაშვილთან თუ გკონათ შეხება?**

**თიანე:**

— სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარე რომ იყო, მაშინ, ერთი ლარით დაემხარე-მეთქი, — ვთხოვე. — აქ მათხოვრების თავშეყრის ადგილი არ არისო, — მიპასუხა...

**ნათია:** — ერთხელ, დედამისთან მივედი. ჩემი მდგომარეობა ავუსხენი. ჩანტიდან ორი ნთეთრიანი ამოიღო და გამომიწოდა... ერთხელ, სანდრას შევხვდი, ბავშვი ჰყავდა მალაზიაში. დამემხარე-მეთქი, — რომ ვუთხარი, — ხურდას დაუწყო ძებნა. — არ გრცხვნი? პრეზიდენტის მეუღლე ხარ და ხურდა ფული უნდა მომცე-მეთქი?!

**ლაშარა:** — ერთხელ სანდრამ 75 თეთრი მომცა და ბოლიში მომიხადა — მეტი არ მაქვსო...

— **ნინო ბურჯანაძე თუ გვამარებათ?**

— საერთოდ არ გვემხარება. გაივლის, თავს დაგვიქნევს და მეტი არაფერი.

— **ყველაზე უხეში ქმედება ან დამცირება რომელი პარლამენტარისგან გახსოვთ?**

**ნათია:** — ზემელზე სუპერმარკეტთან ვიდექი. მოვიდა გიგი წერეთელი. დახმარება რომ ვთხოვე, დაცვის ბიჭებს ეჩხუბა — აქ მათხოვრებს რატომ აჩერებთ?! — და გამომაგდეს.

**თიანე:** — რევოლუციის მეორე დღეს, გიგი წერეთელმა 10 ლარი მაჩუქა. არ ვიცი,

როგორ გამოიმეტა. ეტყობოდა, რომ კარგ ხასიათზე იყო.

**ლაშარა:** — ყველაზე უხეშად მოქცევა, ბესო ჯულელისგან დამამახსოვრდა. ერთხელ, პარლამენტიდან რომ გამოვიდა, ვთხოვე — დამემხარე-მეთქი. დაგვხმარო, რა, ქისა კი არ მკიდაიაო...

— **არჩევნების წინა პერიოდში, ხელისუფლების და არა მარტო ხელისუფლების წარმომადგენლები უფრო ზრდილობიანები და თავაზიანები ხდებიან. ასეთ დროს, ალბათ, თქვენც გულუხვად გასაჩუქრებენ, არა?**

**თიანე:** — ასეთი რამ მე არ შემინიშნავს.

— **პარლამენტთან ყოფნას არ გიშლიან?**

**ლაშარა:** — ჯერჯერობით, არა.

**ნათია:** — ამ ინტერვიუს დაბეჭდვის შემდეგ, შეიძლება, აქედანაც გაგყვარონ, მაგრამ არა უშავს, ხალხი ცოტა სიმართლეს მაინც გაიგებს.

„ცუდად აღზრდილ ადამიანებს არ შესწევთ უნარი, თავაზიანად გასცენ. ყველაზე დასაფასებელი და ყველაზე ძნელია გაცემა: განა, რა დაჯდება რომ ძღვენს ღიმილიც დაემატოს?“ — უან დე ლა ბრუიერი.



# „აპერსის“ საჩუქარი 1000 უსინათლოს



ფილ ყუთში, უნდა ჩააგდონ კონკრეტი შედეგი დოკუმენტებით: განცხადება დახმარების თხოვნით, „ავერსი-ფარმას“ გენერალური დირექტორის, პაატა კურტანიძის სახელზე, პირადობის მოწმობის ასლი, ადგილობრივი ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ფორმა 027, ცნობა რაიონის გამგეობიდან უმწიბრის შესახებ, პაციენტისა და ოფთალმოლოგის საკონტაქტო ტელეფონი.

**ლალო ჭიკაშვილი**, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი:

— მოგესვენებათ, რომ ამ საქველმოქმედო პროექტის ფარგლებში უკვე ჩატარდა 200-ზე მეტი უფასო ოპერაცია, სამომავლოდ ვგეგმავთ პროექტის მასშტაბების გაფართოებას და სულ მალე, 1000 უფასო ოპერაციის ნიშნულსაც მივალწევთ. ეს, მართლაც, უპრეცედენტო აქციაა თანამედროვე საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში და მისი განხორციელება შესაძლებელი გახდა, ნამყვანი კერძო კომპანიების „ავერსისა“ და „ოფთალმიჯის“ კოოპერირებული, პარტნიორული ურთიერთობით. ჩვენც, ჯანდაცვის სამინისტროს სახელით, ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ მათ კეთილი საქმეების განხორციელებას.

**პაატა კურტანიძე**, „ავერსის“ გენერალური დირექტორი:

— ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ პროექტის წყალობით, 200-ზე მეტმა ადამიანმა შეძლო სამყაროს დანახვა საკუ-

თარი თვალთ, მომავალში კი, განკურნებულნი ადამიანების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ეს პროექტი უპრეცედენტო გახლავთ იმ მხრივაც, რომ პაციენტთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მოძიება, მთელი საქართველოს მასშტაბით ხდება, რაშიც დიდ დახმარებას გვიწვევს ჯანდაცვის სამინისტროს რაიონული წარმომადგენლები. მიმაზინია, რომ კერძო კომპანიებმა, ქვეყნის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხების გარდა, გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა ვიტვირთოთ სოციალური ფონის გასაუმჯობესებლად და იმედი მაქვს, რომ ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, სამომავლოდ, კიდევ ბევრ სასიკეთო ნაშრომებს ჩაუწყობთ საფუძველს.

**ბია ჯავახიშვილი**, კლინიკა „ოფთალმიჯის“ ხელმძღვანელი:

— დღევანდელი მონაცემებით, ყველაზე მეტი უფასო ოპერაცია ჩატარდა იმერეთსა და გურიამში, რაოდენობრივად შედეგ პოზიციაზეა მცხეთა-მთიანეთი და კახეთის რეგიონი. კატარაქტა ძალიან გავრცელებული დაავადებაა და მისი მკურნალობა გაცილებით ეფექტურია, თუ პაციენტს შესაბამისი სამკურნალო პროცედურების ჩასატარებლად შორ მანძილზე არ უხდება გადაადგილება. ამ პრობლემის დაცვის საშუალებას კი, ჩვენი მოძრავე კლინიკა და სხვადასხვა რეგიონში არსებული ფილიალები იძლევა. ზაფხულის სეზონზე განსაკუთრებით ვმუშაობთ მალალმთიან რეგიონებს, ამიტომ, ივლისსა და აგვისტოში, აჭარის მხარეში ჩავატარებთ უფასო ოპერაციებს. შემდეგ — უზგაღიშში, მოგვიანებით კი, ისევ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიწვავლებთ.





ლიკა ქაჩაია

— რეალური შოუების ბუმი, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოშია და ის, 1998 წელს დაიწყო, მაშინ, როცა ტელევიზორებში პირველი „ლაივ-შოუ“ — „დიდი ძმა“ გავიდა. პრაქტიკამ ყველას დაანახა, რომ ეს არის „საპნის ოპერები“ (ტელევიზორების) შემცველი, მაგრამ მასზე მიმზიდველი იმ გაგებით, რომ აქ, მსახიობები კი არ თამაშობენ, არამედ რეალური პიროვნებები არიან, თავ-თავიანთი განცდებით. ამასთანავე, ასეთი შოუების რეიტინგზე, ჭეჭრუტანაში ჭვრეტის სინდრომი კარგად მოქმედებს, რომლის სიყვარულიც ყველა ადამიანში ზის. რაც შეეხება შოუს რეიტინგულობას, მას გადაცემის ფორმატი კი არა, თვითონ მონაწილეები გააპირებენ.

— შოუ — „ინდუსტრია“ მაღალრეიტინგულია?

— დღესდღეობით, ყველაზე რეიტინგული, მსოფლიო ჩემპიონატია ფეხბურთში, რომელსაც დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი ადევნებს თვალიყურს. მართალია, მას რეალურ შოუს ვერ შევადარებთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, როგორც კი ის დამთავრდება, მისი გულშემატკივრები ჩვენკენ გადმოვლენ და რეიტინგიც თავისთავად აიწევს.

— თუ ეს წინასწარ იცოდით, შოუ მაინცდამაინც მსოფლიო ჩემპიონატის დანებებას რატომ დაამთხვეთ?

— ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეს პერიოდი, ლუდის გაყიდვისთვის საუკეთესოა. ამასთანავე, მატჩები 9 ივლისს მთავრდება, „ინდუსტრია“ კი, 21 აგვისტომდე გრძელდება. თან, რეალურ შოუს, აუცილებლად სჭირდება რაღაც პერიოდი იმისთვის, რომ მის მონაწილეებს მაყურებელი შეეჩვიოს და ფეხბურთის მატჩებს, ზუსტად ეს „შეჩვევის“ დრო ემთხვევა.

— „ინდუსტრია“ რომელიმე ქვეყნის „ლაივ-შოუს“ ანალოგია?

— არა, ის არც გადმოღებულია და

რეალური შოუები, რომლებმაც „საპნის ოპერები“ შეცვალა, დღეს მსოფლიო ჩემპიონატის გამო, ნაკლებად რეიტინგულია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხალხს, როგორც ერთ-ერთი „ლაივ-შოუს“ — „ინდუსტრიის“ პროდიუსერი ბიბა ბაფრინდაშვილი ამბობს: „ჭეჭრუტანაში ჭვრეტის“ სურვილი აღარ აქვს. რეალური შოუების ავტორებს იმედი აქვთ, რომ 9 ივლისის შემდეგ, როცა მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდება, მათი რეიტინგი ისევ აიწევს.

„ინდუსტრიის“ კომერციული სხიდუმლოება და შოუს ხალხს ერთმანეთს დაძმავებთ უყურებენ

არც ნაყიდი. ჩვენი შოუს ფორმატი „მედი ინ ჯორჯიას“ ანუ ჩვენ გვეკუთვნის.

— მაგრამ თქვენს შოუს, სწორად აღარებენ „კანდიდატს“ და ამბობენ, რომ თითქმის ერთნაირ ფორმატი გაქვთ...

— ეს მარტივი სახსენელია — ნებისმიერ შოუს, მის წინ ნაჩვენებ რეალიტის ადარებენ და მასთან აიგივებენ. ყველა პროდიუსერს აქვს იმის პრობლემა, რომ ხალხს წინა ფორმატი რაღაცნაირად დაავიწყოს, მისი სტერეოტიპის ქვეშ არ მოექცეს. იმავე „ჯეობარის“ პრობლემა „ამტანები“ იყო, „ამტანებს“ კი, ეს პრობლემა არ ჰქონდა, რადგან ქართულ ტელევიზორებში ის პირველი რეალური შოუ იყო, მაგრამ მას არ უყურებდნენ ადამიანები, რომლებსაც „ლაივ-შოუები“ საქართველოს ფარგლებს გარეთ ჰქონდათ ნახაზი.

— „ინდუსტრიის“ და „კანდიდატის“ თითქმის ერთსა და იმავე ფორმატზე რაღას იტყვიან?

— ვიმეორებ, „ინდუსტრია“ არც ერთ ქართულ რეალურ შოუს არ ჰგავს... საერთოდ, ყველა „ლაივ-შოუ“ ერთმანეთს იმით ჰგავს, რომ მოქმედება შეზღუდულ სივრცეში მიმდინარეობს, სადაც რამდენიმე ადამიანი ერთმანეთს რაღაცაში ეჯიბრება... რადგან „ინდუსტრიაში“ ფიგურირებს სიტყვა ბიზნესი, შეიძლება, ამის გამო ადარებენ მას „კანდიდატს“, რომლისგან განსხვავებით, ჩვენთან ადამიანური ურთიერთობებიც არის და ისიც, რაც არც ერთ რეალურ შოუ-

ში ჯერ არ მომხდარა — მონაწილეები აბსოლუტურად ღია სამყაროში ცხოვრობენ, მათ აქვთ ინტერნეტი, მობილური ტელეფონი და საკუთარი „იმეილები“ და ა.შ. ერთადერთი, რაც ეკრძალებათ, ეს არის სამუშაო საათებში პირადი საუბრები, ჩატში შესვლა.

— როგორც წესი, ასეთ ტელეპროექტებს წინ მასშტაბური სარეკლამო კამპანია უძღვის...

— ჩვენ ამის გაკეთებას ვერ მოვასწრებდით და თავისთავად, ამ ფორმატს სარეკლამო მსოფლიო იმის გამო აქვს, რომ ყოველივე ძალიან სწრაფად გავაქვით. 2 თვეში კასტინგის ჩატარება და ყველაფრის დაფორმატება ძელი იყო. თუმცა, ეს მაყურებელს არ აინტერესებს, მას სურს რეიტინგული გადაცემის ნახვა.

— მაშ მონაწილეები როგორ მიიზიდეთ?

— უბრალოდ, „პრომო“ გადიოდა და სხვათა შორის, ამ შოუში მონაწილეობის მსურველი, ძალიან ბევრი ადამიანი იყო. კასტინგი 3 ეტაპად ჩატარდა, რომელზეც ფსიქოლოგმა ეკა გამცემლიძემ, მათ ტესტირება ჩაუტარა და ამის შემდეგ, ყველაზე ქარიზმატული პიროვნებები შეირჩა. შეიძლება, ვილაცის ნიჭიერება ვერ შევნიშნეთ, მაგრამ არა უშავს, რეალური შოუები კიდევ იქნება და მონაწილეობას იქ მიიღებენ.

— შოუში მონაწილეების განათლებას რაიმე მნიშვნელობა ენიჭება?



„ინდუსტრია“ არც ერთ ქართულ რეალურ შოუს არ ჰგავს...

— პრინციპში, ყველა მონაწილეს მარკეტინგული განათლება აქვს. შეიძლება, განათლება არ ჰქონოდათ, მაგრამ ვაჭრობის გამოცდილება აუცილებელი იყო.

**მონაწილეებს რისი გაკეთება ევალებათ?**

— ისინი 2 ჯგუფად („ალუდას“ და „პერცოგის“ გუნდები) არიან დაყოფილნი, თითოში 6-6 მონაწილეა. ისინი ერთმანეთს ლუდის გაყიდვაში ეჯიბრებიან — საკვირაო მონაცემებით, რომელი გუნდი მეტს გაყიდის, შესაბამისად, გამარჯვებულიც ის იქნება. შემდგომ, გამარჯვებული გუნდის ბოსი, წაგებული გუნდიდან გაგდების ერთ კანდიდატს ასახელებს, დასახელებული პიროვნება კი, თავის გვერდით, აუტსაიდერის სკამზე, გამარჯვებული გუნდიდან ერთ-ერთ მონაწილეს სვამს. ვინც მაყურებლის სიმპათიას დაიმსახურებს, პროექტში რჩება. გაგდებული მოთამაშის ნაცვლად კი, რეზერვისტს ირჩევენ.

**სულ რამდენი რეზერვისტი გაყავთ?**

— ბევრი, ზუსტად ვერ გეტყვით. — **გაგდებულ მონაწილეს, თამაშში დაბრუნების შანსი აღარ აქვს?**

— როგორ არა, ერთი კვირის შემდეგ, ისიც რეზერვისტი ხდება, სანამ მონაწილეებს აუტსაიდერის სკამზე დასვავენ, კენჭისყრა იწყება, რომელიც ლატარიას ჰგავს — ფურცელზე დაწერილია რეზერვისტების პირადი ნომრები, რომლებსაც ბრმად იღებენ, შემდეგ კი, თამაშში შესვლის დასახელებულ კანდიდატს, მაყურებელი „ესემესის“ საშუალებით ირჩევს.

**გუნდი თავის ბოსს თვითონ ირჩევს?**

— თავიდან, ისინი ბიგბოსმა გია ჯიქიამ აირჩია. ახლა კი, მათ ყოველკვირა, გუნდის წევრები თვითონ (შიდა, ფარული კენჭისყრით) ირჩევენ. ამის შემდეგ, მონაწილეს მოთამაშეების რეიტინგი. მონაწილეების მიერ არჩეული ბოსის სახელი, ყველაზე რეიტინგული მოთამაშის სახელს თუ არ ემთხვევა, მაშინ გუნდის ხელმძღვანელს, ისევ გია ჯიქია ირჩევს.

**როგორ ფიქრობთ, „ინდუსტრიის“ მონაწილეები შოუში მართლაც ისეთები არიან, როგორებიც ცხოვრებაში?**

— თავიდან ასე არ იყო, მაგრამ მერე, კამერებს შეეჩვივნენ და მისი არსებობაც დაეჩინა. თუმცა, ხანდახან გვთხოვენ — ეს სიუჟეტი არ გაუშვათო, მაგრამ ჩვენ, მათ თხოვნას ვერ ვუსრულებთ.

**მოთამაშეს რეალური შოუს მიტოვება რომ მოუწევს, მას დააჯარიმებთ?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ რა თანხით, არ ვიცი. მოკლედ, თამაშის ბოლომდე ვერსად წავლენ.

**ჯარიმა რამდენია, თვითონ მონაწილეებმა თუ იციან?**

— როგორ არ იციან, აბა, კონტრაქტზე

ხელს ისე ხომ არ მოაწერდნენ. ეჭვი მეპარება, რომ ამის შესახებ, მათგან რაიმე გაიგებთ.

**რატომ?**

— იმიტომ, რომ ეს კომერციული საიდუმლოებაა. წესი ვინმემ თუ დაარღვია, ჯარიმის ოდენობას მხოლოდ მაშინ გაიგებთ.

**თამაშის წესებს ხშირად არღვევენ ხოლმე?**

— აბა, რა!.. ყოველთვის ამას არ ვებრძვი? ახლა მოვიგონე დასჯის კარგი მეთოდი — წესის დარღვევის შემთხვევაში, ერთ ტრაილერს ბოთლებით დატვირთავენ და ეს იოლი საქმე არ გეგონოთ.

**გოგონებსაც ამ მეთოდით დასჯით?**

— აბა, რას ვიზამთ?

**მაგრამ თუ ამის გაკეთება ვერ შეძლო?**

— მაშინ რა ვქნა, ხომ არ მოვკლავ?.. ავდგები და 1 კვირის განმავლობაში, სახლში აღარ დავარეკვინებ... საერთოდ, დემოკრატია კანონის დაცვას ნიშნავს. როცა შეზღუდულ სივრცეში ხარ, წესრიგის დაცვა უფრო მეტადაა საჭირო, თორემ, ისეთი ქაოსი იქნება, რომ ჩემს მტერსაც არ ვუსურვებ.

**ვთქვით, რომელიმე მონაწილის ოჯახში უბედური შემთხვევა მოხდა, მას სახლში არ გაუშვებთ?**

— ასეთ შემთხვევაში, მოთამაშეს რამდენიმე დღით გასვლის უფლებას მივცემთ, მაგრამ მას, ჩვენს წარმომადგენელს გავაყოლებთ, რადგან სანამ ისინი ჩვენს შოუს მონაწილეები არიან, მათზე პასუხს ვაგებთ.

**როგორც ვიცი, „ინდუსტრიას“ 3 გამარჯვებული ეყოლება...**

— 12 კვირის შემდეგ, როცა გამარჯვებული გუნდი გამოვლინდება, მისი ბოსი 7.000 დოლარს მიიღებს, ამდენივე თანხით დაჯილდოვდებიან წაგებული და მოგებული გუნდის მაღალრეიტინგული მოთამაშეები. ბოლოს, ამ გამარჯვებულებს შორის, გაიმართება „ესემეს“ კენჭისყრა და ვინც მეტ ხმას დააგროვებს, ის დამატებით 10.000 დოლარს მიიღებს.

**გამარჯვებულები არ დასაქმ-**

**დებიან?**

— რაც შეეხება მუშაობის დაწყებას „კასტელში“, ეს შეიძლება შოუს დროსაც კი მოხდეს ანუ, როცა მისი ხელმძღვანელები გადაწყვიტენ, რომ რომელიმე მოთამაშე სჭირდებათ, მას მაშინვე აიყვანენ.

**„ინდუსტრიაში“ ჯერ არავინ დაწყვილებულა?**

— ჯერჯერობით, ჩვენთან ქართული მენტალიტეტი მოქმედებს, ბავშვები ერთმანეთს დაძმური თვალთ უყურებენ, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ საქმე მთლად ასე არის, მგონი, უკვე რაღაცები ხდება და ვნახოთ — ერთ კვირაში რას იზამენ.

**და რა უნდა მოხდეს?**

— დაწყვილებები და ამბები.

**თქვენ ამის საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ?**

— წინააღმდეგი რატომ უნდა ვიყო, როცა ბიზნესი ინტრიგისა და სიყვარულის გარეშე არ არსებობს.

**დაბოლოს, რომელიმე რეალური შოუში თვითონ თუ მიიღებდით მონაწილეობას?**

— პრაქტიკულად, „ინდუსტრიაში“ ვმონაწილეობ კიდევ, მე-13 მოთამაშე ვარ... ისე, ჩემს ახალგაზრდობაში ასეთი შოუები რომ ყოფილიყო, მასში მონაწილეობას სიამოვნებით მივიღებდი, მაგრამ...



ლალი შანიძე

ქარნალისტი – თვა სუსნიშვილი  
რესპონდენტი – გიგა ნასარიძე

— სპორტსა და კონკრეტულად ფეხბურთის რომელი ნლიდან გულშემმატკივობ?

— რომ გითხრა, სპორტით დიდად დაინტერესებული ვარ-მეთქი, ასე არ არის, მაგრამ მყავს ფეხბურთში ჩემი საყვარელი გუნდი (ინგლისი), რომელსაც ძირითადად მსოფლიო ჩემპიონატებზე ვგულშემმატკივრობ ხოლმე. იმიტომ, რომ ეს ქვეყანა მიყვარს.

— ქვეყანამ რთ მოგხიბლა?

— ეს ბავშვობიდან მოდის. ინგლისური სპეცსკოლა დავამთავრე. მასხოვს, მშობლებს სკოლაში შეყვანამდე ვხვდებოდი, ინგლისურ სკოლაში შემეყვანეთ-მეთქი, ინგლისურის სწავლის სურვილი ძალიან პატარას გამიჩნდა. ინგლისის რუკას ვათვალიერებდი ხოლმე და რატომღაც მიზიდავდა ეს ქვეყანა...

— რა მოგნონს ინგლისურ ფეხბურთში?

— უპირველესად, სულისკვეთება. ბევრჯერ მინახავს, რომ თითქმის წაგებულმა მატჩი ისე წარუმატრავთ ინგლისელ ფეხბურთელებს, რომ მოუგიათ.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, ქართველმა ფეხბურთის მოყვარულებმა საქართველოს ნაკრების ფან-კლუბი ჩამოაყალიბეს. როგორ შეაფასებ ამ მოვლენას, რას შემატებს ეს ქართული ფეხბურთს?

— ჩემი აზრით, ეს ძალიან უნდა ნაადგეს. მე რომ ფეხბურთელი ვიყო და მთელი სტადიონი მგულშემმატკივრობდეს, ალბათ თამაშს მოვიგებდი. ძალიან კარგი ნაშრომებია. საქართველოს ფან-კლუბში სიხარულით გაგწევრდი, სპეციალური ბლანკეტი შევასე. მინდა, საქართველოს ნაკრების ყველა თამაშს დავესწრო და მთელი გულით ვუგულშემმატკივრო.

— შოუში შავი და თეთრი პიარშიკები გყავს. შენი წარდგენა რომ გახდეს საჭირო, რა იქნება მათი პირველი ორი ფრაზა?

— ოო, რთული კითხვაა. არ ვიცი, რას იტყვიან (მხრები აჩჩეჩა).

— ჩაის ლიმონით სვამ?

— ჩაი ლიმონის გარეშე მიყვარს და ლიმონსაც ცალკე ვჭამ.

— ქუთაისელი ხომ არ ხარ?

— არა, თბილისელი (იცინის).

— ფინალში რომელი გუნდი გავა?

— ინგლისი რომ გავა, ვიცი.

— სასურველი მეტოქე ინგლისისთვის რომელი გუნდი იქნება?

— რომელიმე სამხრეთამერიკული გუნდი.

— სამომავლოდ გადაცემაში („ლიმონი“) რა სახელები გექნებათ?

— უახლოესი გეგმები ის არის, რომ ალბათ ცოტას შევისვენებთ და შვებულება

ყველა ქალს როდი უწნდება სურვილი, სპორტული ჟურნალისტი გახდეს. თვა სუსნიშვილი მაინც იმ უმცირესობის წარმომადგენელია, ვისაც ასეთი სურვილი გაუჩნდა — სპორტულ ტელეჟურნალისტიკას შესჭიდებოდა. თუმცა, პროფესიით მხატვარსა და გარეგნულად მომზიბვლელ ქალბატონს, ალბათ ხელოვნების სფეროშიც შეეძლო, იმავე წარმატებით ეღვანა, მაგრამ ის საკუთარი სპორტული კარიერით უკმაყოფილო სულაც არ არის და არც იმით, რომ სამსახურმა პირად ცხოვრებაში ცოტათი უკან დასწია.

მას პირისპირ სასაუბროდ რუბრიკაში „ჟურნალისტის როლში“ იუმორისტული შოუს — „ლიმონი“ — წამყვანი გიგა ნასარიძე შეხვდა. ისინი დღესდღეობით ერთი ტელეკომპანიის თანამშრომლები არიან, ორივე აქტიურად არის ჩართული ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ყურება-განხილვაში. გიგა ინგლისის ფანია, თვა — იტალიის. ამიტომ მათი საუბარი ფეხბურთის თემას ვერ გასცდა.



ჩახოა ლინტარასა გიგა ნასარიძე  
თვა სუსნიშვილის პირადი ცხოვრებით?..  
„განდით იუმორის გონე მათასი გვიჩვენა“...

გვექნება. სექტემბრიდან სიახლეები და სიურპრიზები იქნება, მაგრამ ახლა, ამხე არ დავკონკრეტებდი.

— ზაფხულში როგორი დასვენება გიყვარს?

— დაუსახლებელ ადგილებში, სადაც სიგრილეა, ჰამაკია. დასვენებისას რამდენიმე საინტერესო წიგნიც მჭირდება. ზღვა არ მიყვარს, იქ ვერ ვისვენებ.

— ბავშვობაში სპორტის რომელიმე სახეობაზე ხომ არ დადიოდი?

— მეკლდეური ვიყავი, კლდეზე ვცოცავდი, ოღონდ, ეს მხოლოდ ერთ კვირას გაგრძელდა, რადგან დედაჩემი მოვიდა ვარჯიშზე, დაინტერესდა — სად დადის-არო. ძალიან შეეშინდა და გამომიყვანა იმ წრიდან. ბოტანიკურ ბაღში გვექონდა ვარჯიშები. მაგარი სპორტია, ადრენალინიც ახლავს, მით უმეტეს, სადაც ზემოთ რომ გაიჭედები და ვეღარ ჩამოდიხარ...

— ფეხბურთის გულშემმატკივარ ქალებს რამდენად „ჯანსაღი თვალით“ უყურებ? რამდენად რეალურია მათი გულშემმატკივრობა თუ ყველაფერი მაინც მოჩვენებითია?

— რეალურია, მოჩვენებითი რატომ უნდა იყოს? თუმცა, არიან გულშემმატკივარი ქალები, რომლებიც სიმპათიური

ფეხბურთელების გამო ქომაგობენ ფეხბურთს, ამა თუ იმ გუნდს, მაგრამ გულწრფელი გულშემმატკივრებიც არსებობენ.

— მოდი, ახლა შენ დამისვი კითხვები.

ქარნალისტი – გიგა ნასარიძე  
რესპონდენტი – თვა სუსნიშვილი

— შენ თვითონ რომელი გუნდის გულშემმატკივარი ხარ?

— იტალიის ნაკრების.

— ლოგიკური კითხვა ჩნდება, რატომ?

— იტალიური ფეხბურთი განსაკუთრებულად ტექნიკურია, რომელიც რომანტიკასთან არის შეზავებული..

— მისი მსგავსი არ არის იგივე ბრაზილია?

— არა.

— არგენტინა?

— არგენტინასაც ნაწილობრივ ვგულშემმატკივრობ, მაგრამ იტალიას ემატება ის, რომ სიმპათიური მამაკაცების გამოც ვგულშემმატკივრობ.

— სპორტულ ჟურნალისტებში ერთადერთი ქალი ხარ. საიდან დაიწყო ყველაფერი?

— როდესაც ერთ-ერთ კასტინგზე მკითხეს, თუ როგორი ტიპის გადაცემას წავიყვანდი, ჩემი სურვილი არხის ხელმძღვანელების სურვილს დაემთხვა.

— **კარგი, გეტყვი, გაამართლე კიდეც.**

— გმადლობ.

— **არაფრის. პირველად რომ განხვ, ვიფიქრე, ეს ლამაზი გოგო პოდუშეც არ ექნებოდა-მეთქი ურიგო. თუმცა ისიც ვიცი, რომ ერთი მეორეს ხელს არ უშლის. რას იტყვი?**

— პოდუშეზე ბევრი ლამაზი გოგოა. სპორტში არ იყო და ალბათ, შევავსე ეს ადგილი (იციან).

— **ბავშვობაში სპორტის რომელიმე სახეობაზე თუ დადიოდი?**

— კალათბურთზე, მაგრამ რომ მივხვდი, კალათში ბურთის ჩაგდება ჩემი საქმე არ იყო, თავი დავანებე.

— **როგორ გგონია, ჩვენში რატომ არ არიან ფეხბურთის კომენტატორი ქალები?**

— კომენტატორობა სპეციალობაა. ნებისმიერი სპორტის კომენტატორი საფუძვლიან, ენციკლოპედიურ ცოდნას უნდა ფლობდეს. შემოიძლია გამოვყო ადამიანები: სანდრო ცნობილად, ვახო გეგელია, ბიძინა ბარათაშვილი, გიგა გვენცაძე, ლევან სალუქვაძე, რომლებიც ნამდვილი კომენტატორები არიან. მათთან რომ ვარ, მიჩნდება კითხვა — საიდან და როგორ ახსოვთ ამდენი რამ? ეტყობა, ქალები ამდენ რაღაცას ვერ იმასხვობენ და არც თავს იტვირთავენ ამით. ქალები ადვილად გავდივართ ფონს. ისე, ჩოგბურთს ხშირად ჰყავს ქალი კომენტატორი.

— **არ გქონია ფეხბურთის მატჩის წაყვანის სურვილი?**

— არა, და ვისაც მიჰყავს, მას სულ ვეკითხები, როგორი განცდაა-მეთქი? კარგი ფეხბურთის მატჩის წაყვანა არავის არ უნდა ხოლმე. მათ ყურება ურჩევნიათ და არა იმ დროს ეთერში მუშაობა.

— **ალბათ, რთულიც არის, სათანადოდ გაუჩერებლად ილაპარაკოს კაცმა. იმის მიუხედავად, სდება თუ არა მოედანზე რაიმე საინტერესო.**

— სწორედ ამ დროს სჭირდება კომენტატორს ინტელექტი, განათლება, ცოდნა, რომ მარტო სტატისტიკური მონაცემებით არ გადაღალს მასყურებელი.

— **ალბათ, ამით გამოირჩევა კარგი კომენტატორი ცუდისგან. სპორტთან შენი „სიახლოვის“ გამო ალბათ, მამაკაცი მეგობარი უფრო მეტი გყავს, ვიდრე — ქალბატონი, არა?**

— სპორტის გამო ჩემ გარშემო ბიჭები და მამაკაცები ჭარბობენ. თუმცა ბავშვობიდან გოგონები მომეყვებოდა, მაგრამ მათ ზოგჯერ უჭირთ ჩემი გაგება. იმ დღეს, მაგალითად, ფეხბურთის მატჩის გამო, ბავშვის ნათლობიდან წამოვდი.

— **„ვაკაჭი“ ისევ „გემეტრება“? ერთი წელია უკვე, ვეღარ „მემეტრება“, რადგან „იმედიდან“ წავიდა.**

— **„გადაბტერების“ მიზეზი რა იყო?**

— ალბათ იმ ნიშნით გამომარჩია, რომ სახსიათო ამბულა მქონდა, თან ჩემი ბავშვობის მეგობარია. კარგად მიცნობს. დაკვირვებული იყო ჩემი მეტყველების მანერაზე. ჰოდა, ადგა, თავზე პარკი გაიკეთა, მკერდზე კიდეც რაღაცები, რასაც არ ვიტყვი (იციან) და ჩემი ტექსტებით დაიწყო ლაპარაკი. ისე, ცოტას აჭარბებდა რაღაცებს, ამიტომაც გაფრთხილება მივეცი. ჯერ ერთი ყვითელი ბარათი, მერე — მეორე ყვითელი ბარათი, რომელიც ავტომატურად წითელში გადაიზარდა და დატოვა კიდეც თამაში...

— **თავად ცხოვრებაში ყვითელ ბარათს ვის უჩვენებდი?**

— მატყუარა ადამიანს, ვისაც ტყუილში გამოვიჭერ.

— **ხშირად გინევს ყვითელი ბარათის გამოყენება?**

— არა.

— **ისე, ამბობენ, ტყუილის გარეშე ცხოვრება არ შეიძლებაო.**

— გააჩნია, ვნების მომტანი არ უნდა იყოს ტყუილი.

— **გათხოვილი ხარ?**

— არა.

— **სპორტმა და სამსახურმა შეგიყოლია, არა?**

— ასეა.

— **პრინცს ხომ არ ელოდები?**

— ზღაპრების ბავშვობაშიც არ მჯეროდა. ეტყობა, ჯერ კიდევ ველოდები ჩემი ცხოვრების თანამგზავრს, ოლონდ — არა პრინცს, უფრო რეალურ ადამიანს.

— **შენ კი არ ხარ ბექჰემის ფანი, მაგრამ...**

— გარეგნულად მომწონს და სხვათა შორის, მისი თამაშის მანერაც. როგორ შეიძლება, იტალიის ნაკრების გულშემატკივრმა რონალდინიოს ფერმონიც არ ვაღიარო?!

— **კარგი, მაშინ ჩამოთვალე შენებური ვერსია მსოფლიოს ნაკრების წევრების.**

— ბექჰემი, რონალდინიო, მესი, რომელიც ჯერ პატარაა...

— **გაიზრდებო, ამბობენ...**

— ჰო. თავისი შემართებით მოედანზე მომწონს გატუზო, მალდინი. ქართველებიდან — კალაძე თავისი პასუხისმგებლობით, კობიაშვილი გააზრებული ფეხბურთის თამაშით, სიზანიშვილი, იაშვილი... დემეტრადე ტექნიკური ფეხბურთელია.

— **ერთი გუნდი კი გყვოლია.**

— აბა! ჩვენ ყველანი დღეს ერთი გუნდი ვართ!

— **ანი მოგება უნდა დაფინჯოთ... კარგი, მოდი, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს მივუბრუნდეთ. ობიექტურად მითხარო, როგორ წარმართება?**

— იტალია და არგენტინა იქნებიან ფინალში. ისე, მე ნებისმიერის გამარჯვების შემთხვევაში, მოგებული და გახარებული დავრჩები. გული არც ერთზე არ დამწყდება, რადგან ისინი ჩემი ფავორიტები არიან.

— **გასაგებია, რომ სამსახურში მთლიანად სპორტით ხარ დაკავებული. ქალური საქმეებისთვის თუ იცლი?**

— ორმაგად დატვირთული ქალი ვარ. სპორტის მიმართ ჩემს ინტერესს სამსახურში ვიკმაყოფილებ. სახლში სახლის საქმეებით ვკავდები, ისე, როგორც ნებისმიერი ქალი. თავისუფალ დროს მეგობრებს ვუთმობ. მათთან ერთად დავდივარ გამოფენებზე, პრემიერებზე... დრო არ უნდა დაზოგო.

— **ისე მაინც ერთადერთი, სპორტული ჟურნალისტი ქალი ხარ.**

— მე ასე ვერ ვიტყვოდი, გყავს სხვა ტელეკომპანიაში და ჩემთან რედაქციაშიც ჟურნალისტი ქალები, რომლებიც სპორტულ თემებზე მუშაობენ. თუმცა, რატომღაც ყველას ჰგონია, ერთადერთი ვარ.

— **პროფესიით ვინ ხარ?**

— მხატვარი.

— **ფერმწერი?**

— დიახ.

— **ხატავ?**

— აბა! პირველი ივლისიდან, შვებულე-ბაში გავდივარ და ხატვისთვის ბევრი დრო მექნება.

— **ცხოვრების თანამგზავრი როდის უნდა მოძებნო?**

— დღისით ხატვით დავკავდები; დანარჩენ დროს (ალბათ უფრო, ღამის საათებს) გამოვიყენებ ამისთვის. დრო უკვე განაწილებული მაქვს (იციან).

— **იტალიის ნაკრების გულშემატკივრობა იტალიის აღორძინების ეპოქით ხომ არ არის გამოწვეული**

— **მაშინდელი მხატვრების მიმართ სიყვარულით?**

— ნაწილობრივ. თავისუფალ დროს, თუ სახლში ვარ, ჩემი ტელევიზორი ორ არხს იჭერს (იციან): ერთი — „ვეროსპორტი“, მეორე — „პისტორი“. ამასთან, უამრავი წიგნი მაქვს, სხვადასხვა მხატვრის რეპროდუქციით და მიყვარს სოლმე მათი თვალღერება. მაქსიმალურ სიახლოვებას ვიღებ ამით და ასევე ისტორიული ფილმების ყურებითაც.

— **გამოფენის მოწყობას ხომ არ აპირებ?**

— ჯერ არა, ნამუშევრები უნდა დავაგროვო. ეს ჯერჯერობით შორი პერსპექტივაა.



ჯერ კიდევ ველოდები ჩემი ცხოვრების თანამგზავრს, ოლონდ — არა პრინცს, უფრო რეალურ ადამიანს

— ასეთ მიზანმიმართულ, ქალურ, ლამაზ, სპორტსმენ, მსახურ, ამასთან ქალაქის მერიის სპორტის სამსახურის პრესმდივან ქალს შეყვარებული რატომ არ გყავს ან მეგობარი მამაკაცი?

— შეყვარებული ამჟამად არ მყავს.  
— მოკლედ, პირადი ცხოვრებისთვის დრო არ გრჩება.

— არა და ამ შეგებულების იმედი მაქვს (იციანის)... დროს მეგობარი მამაკაცის მოძებნას დავუთმობ.

— ისე, როგორია შენთვის სასურველი ტიპი?

— სწორად გამოიგე, უნდა ჰქონდეს კარგი იუმორის გრძობა, ძალიან ყურადღებიანი უნდა იყოს, მისგან ყურადღებას უნდა ვგრძობდე, სიზარმაცე არ მიეტივება და ყვითელი ბარათი არ უნდა დაიმსახუროს. გვერდით ასეთი მამაკაცი მამაკაცი მჭირდება... (იციანის)

— რადგან იტალიელების ფანი ხარ, იტალიური კერძების კეთებაც გეცოდინება, არა?

— იტალიურიც ვიცი და ნებისმიერი ქვეყნის საუკეთესო კერძის გაკეთებაც მიცდია. ერთადერთი, რაც არასდროს გამიკეთებია, ეს არის ფხალი. მიყვარს ტრადიციული კერძებიც და იმპროვიზებული კულინარიაც.

— ბოლოს რა კითხვას დამისვამდი?

— ფეხბურთის ყურებისას, შენთვის აუცილებელი ატრიბუტი რა არის?

— დიდი რაოდენობით ლუდის სმა მიყვარს.

— მანქანის კაპოტზე თუ გაგიშლია სუფრა?

— ლუდი ისე მიყვარს, ყველანაირ სიტუაციაში დამიღვია.

— ლუდზე, ქალებსა და ფეხბურთზე რას იტყვი?

— ლვინო-დუდუკის „პონტი“? ფეხბურთის დროს, ლუდია კარგი, ქალი არ მიცდია (იციანის). ასეთი რამ არ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში.

— ალბათ იქ, სადაც ფეხბურთია, ქალი ნაკლებად „მიდის“.

— შენ ფეხბურთს მამაკაცებთან ერთად უყურებ?

— დიას, ხან — მარტოც.

# სანდრო გირგვლიანის მეგობარმა პროფესზე ოთხივე განსასჯელს დაედო ხელი

## დაზარალებულის ჩვენებასა და საბრალდებო დასკვნაში წინააღმდეგობა ფიქსირდება

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ თანამშრომლის, 27 წლის სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმის განხილვა დაიწყო. საქმეს მოსამართლე გიორგი ჩემია განიხილავს. პროცესს უამრავი ადამიანი ესწრებოდა. სხდომა ძალზე დაძაბულად და ხმაურთანაა მიმდინარეობდა. მოხდა რამდენიმე ინციდენტიც...

ცნობილია, რომ 2006 წლის 27 იანვარს ღამით, „შარდენ ბარიდან“ გასული სანდრო გირგვლიანი და მისი მეგობარი, ასევე „გაერთიანებული ქართული ბანკის“ თანამშრომელი ლევან ბუხაიძე უცნობმა პირებმა მოულოდნელად „მერსედეს-ემელის“ ტიპის ვერცხლისფერ ჯიპში ძალით ჩასვეს და ოქროყანის სასაფლაოზე წაიყვანეს. იქ ორივე სცემეს და ანამეს. ბუხაიძე გადარჩა, მან თავს გაქცევით უშველა, გირგვლიანი კი, რომელიც დაჭრილიც გახლდათ, მიყენებული დაზიანებების შედეგად, გარდაიცვალა. მისი ცხედარი მეორე დღეს, ოქროყანის სასაფლაოს ტერიტორიაზე იპოვეს.



ცნობილია ისიც, რომ ყოველივე ამას წინ უძღოდა „შარდენ ბარში“ მომხდარი ინციდენტი, როცა სანდრო გირგვლიანმა თავისი მეგობარი გოგონას თანამოსუფრეების — შს სამინისტროს თანამშრომლების მისამართით, უსიამოვნო ფრაზები ხმამაღლა წარმოთქვა. ზემოთ აღნიშნული უცნობი პირებიც, რომლებმაც ბარიდან გასული გირგვლიანი და ბუხაიძე სასაფლაოზე წაიყვანეს, შს სამინისტროს თანამშრომლები აღმოჩნდნენ.

27 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა ბუხაიძემ ოთხივე განსასჯელი ამოიცნო და განაცხადა, რომ სწორედ ისინი იმყოფებოდნენ სასაფლაოზე და სცემდნენ მასა და მის მეგობარს. განსასჯელები — შს სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები: კონსტიტუციური უსაფრთხ-

ობის დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ყოფილი უფროსი გია ალანია და ამავე სამმართველოს ოფიცრები — ავთანდილ აფციური, ალექსანდრე ლაჭავა და მიხეილ ბიბილური თავს დამნაშავედ არ ცნობენ. ოთხივე, 2006 წლის 6 მარტს დააკავეს. პროკურატურამათ ადამიანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთასა (ითვალისწინებს 10 წლამდე პატიმრობას) და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში (სიცოცხლის მოსპობით) წაუყენა ბრალი. მეორე მუხლი სასჯელის ზომად, ძველი კანონმდებლობის თანახმად, 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, მაგრამ ახალ კანონში ცვლილება შევიდა და სასჯელის ზომა განახევრდა: ახლა იგივე მუხლი მხოლოდ 6 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**სახსება-გახსება**  
**შპს „ეპრიკა“**  
სახსება-გახსება ბინის მყარი გარანტიით, იპოთეკით.  
გაქვთ თანხა დაგვირეკეთ, არ გაქვთ — მით უფრო დაგვირეკეთ. ჩვენთან ყველაზე კარგი პირობებია!  
მის: **პარკავნიშვილის 21. 89-4 სართ.**  
**(მაკლონალის მხარეს)**  
☎ **95-23-66; 899-44-64-60 6160**  
**899-44-64-61 პირობი**



ამ ბრალდებებთან ერთად, კონსტიტუციური უსაფრთხოების ყოველ უფროსს — ალანის პროკურატურამ თანამდებობის უფლებამოსილების გადამტეხვის მუხლიც წაუყენა. ეს ერთადერთი ბრალდებაა, რომელშიც ალანია თავს დამნაშავედ ცნობს.

სასამართლო პროცესზე დაზარალებულები — სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე და ლევან ბუხაიძე დაიკითხნენ. მოკლულის დედამ დეტალურად გაიხსენა 27 იანვრის ღამე, როცა ის თითქმის საათ-ნახევრის განმავლობაში, განუწყვეტლივ ურეკავდა შვილს მობილურ ტელეფონზე და მასთან დაკავშირებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. „ბოლოს, ტელეფონი ცივად გათიშეს. ჩემი ვარაუდით, ეს, შს სამინისტროს თანამშრომელი იქნებოდა, ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ჩემი შვილი აწამა. სანდრო ტელეფონს მე ასე არ გამოითიშავდა...“ — ამბობს **გიკლულის დედა**.

სასამართლოს დეტალური ჩვენება მისცა დაზარალებულმა — ლევან ბუხაიძემაც. ალანისმწავია, რომ მის ჩვენებასა და საბრალდებო დასკვნაში მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა ფიქსირდება. ლევან ბუხაიძის თქმით, ის და სანდრო „მარდენ ბარიდან“ უკვე გასულელები იყვნენ და ლესელიძის ქუჩისკენ მიემართებოდნენ, როცა მათ გვერდით მოულოდნელად, ვერცხლისფერი ჯიპი გაჩერდა და ისინი მანქანაში ძალის გამოყენებით ჩასვეს. საბრალდებო დასკვნაში კი წერია, რომ ბარის კართან მისულმა ალანიამ გაიგონა, თუ როგორ იგინებოდა გირგვლიანის შს სამინისტროს თანამშრომლის მისამართით, ის გაბრაზდა და ინციდენტიც ამას მოჰყვა. ბუხაიძის თქმით, ასეთ ფაქტს სინამდვილეში, ადგილი არ ჰქონია. „ჩვენ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩავსვენს მანქანაში, დაგვინყვს ცემა და როცა

ვეკითხებოდით — რისთვის? მხოლოდ ერთ ფრაზას გვეუბნებოდნენ — ძალიან კარგად იცით, რატომაც გისწორდებითო!“, — ამბობს **ბუხაიძე**. მისივე თქმით, ცემაში ოთხივე განსაჯელი მონაწილეობდა, მათგან ერთ-ერთი, სავარაუდოდ — ბიბილური, სასაფლაოზე მოგვიანებით ავიდა.

სასამართლო პროცესზე გირგვლიანის ოჯახის ადვოკატმა შალვა შავგულიძემ მოსამართლეს შუამდგომლობებით მიმართა. ერთ-ერთი მათგანი, პროცესის დაწყებამდე მომხდარმა ინციდენტმა განაპირობა. მოკლულის დედისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ნანა და ირაკლი კაკაბაძეების თქმით, პროცესს საეჭვო პირობები, მათი ვარაუდით — უშიშროების აგენტები ესწრებოდნენ და მათი დარბაზიდან გამვება მოითხოვეს. ადვოკატმა შავგულიძემ შუამდგომლობაში მოითხოვა, რომ იმ ადამიანებს საკუთარი ვინაობა დაესახელებინათ, რადგან მათ პროცესზე დასწრებას ასეთი ვენებათაღელვა მოჰყვა. მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. მისი თქმით, პროცესი საჯაროა და მას არა აქვს უფლება, ყველას, ვინც კი დაზარალებულ მხარეს არ მოეწონება, სხდომაზე დასწრება აუკრძალოს. თუმცა, სწორედ პროცესის საჯაროობასთან დაკავშირებით გამოთქვამენ პრეტენზიებს დაზარალებული მხარე და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათი თქმით, პროცესის საჯაროობას, პირიქით, სასამართლო არ-ლევებს იმით, რომ დარბაზში ადგილებს მხოლოდ უშიშროების აგენტები, შს სამინისტროს თანამშრომლები და მათი ახლობლები იკავებენ, დაზარალებული მხარისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებისთვის

კი, სხდომაზე დასწრება, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება.

ადვოკატის მეორე შუამდგომლობა რამდენიმე დღით პროცესის გადადებას ითვალისწინებდა. შავგულიძის თქმით, მას ძალზე ცოტა დრო მისცეს 5-ტომიანი საქმის გასაცნობად, რაც იმას ნიშნავდა, რომ არ სურდათ, სერიოზული და ჩამჭერი კითხვები მოეზადებინა მოსამართლემ პროცესის გადადებაზე უარი განაცხადა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, დაზარალებული მხარე სასამართლოს ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებს, არასამთავრობო ორგანიზაციები კი საპროტესტო აქციებისთვის ემზადებიან. „პროცესზე წარმოდგენილი განსაჯელები მხოლოდ შემსრულებლები არიან, მკვლელობის დამკვეთთა ვინაობა ამკარადაა გამოკვეთილი და ისინი აუცილებლად უნდა დაისაჯონ. აი, ამას და საქმის ობიექტურ გამოძიებას მოვითხოვთ“, — აცხადებს „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრი **ირაკლი აბაშაძე**.

პროცესზე პროკურორმა მანანა მოსულიშვილმა განსაჯელებს მიმართა წინადადებით: იმ შემთხვევაში, თუკი ისინი დანაშაულთან დაკავშირებულ სხვა პირებსაც დასახელებდნენ, ბრალდების მხარე მათთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე იმსჯელებდა. განსაჯელების ადვოკატებმა კი, განმარტეს, რომ აღნიშნული წინადადებით ბრალდებულებს წინასწარი გამოძიების ეტაპზეც მიმართეს, მაგრამ მათ არავის დასახელება არ შეუძლიათ და აქედან გამომდინარე, პროკურორის შეთავაზებაზე უარს აცხადებენ. რაც შეეხება მომდევნო სასამართლო სხდომას, რომელიც, ალბათ, არანაკლებ მსაურინი აღმოჩნდება, მასზე მოწვეები დაიკითხებიან.

# განაჩენის მიხედვით, ოჯახურ კონფლიქტს ორი დანაშაული მოჰყვა

## 27 წლის მსჯავრდაული დას გამოაქომაგა, შეღებოდა ხი ციხეში აღმოჩნდა...

27 წლის მსჯავრდაული, რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლომ ჩადენილი დანაშაულისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თავს უდანაშაულოდ აცხადებს. თბილისელ მორის კურტანიძეს სამართალდამცველები სხვისი ქონების განზრახ განადგურებასა და შეიარაღებულ ყაჩაღობაში ადანაშაულებენ. აღნიშნული ბრალდება სასამართლომაც დაადასტურა, მაგრამ დღეს, მსჯავრდაული საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს აპროტესტებს და თავს უკანონო პატიმარს უწოდებს...

განაჩენის მიხედვით, კურტანიძის მიერ ჩადენილი დანაშაულების შედეგად, დაზარალებული ორივე შემთხვევაში, ერთი ქალბატონია — ჟანეტა ბოკელავაძე. ბრალდების თანახმად, კურტანიძემ იმ ოთახს, სადაც მანინ ბოკელავაძე იმყოფებოდა, ცეცხლი წაუკიდა. ამას წინ უძღოდა მუქარა — უთხრა ბოკელავაძე-

ეს, რომ სხვებთან ერთად, მასაც „გამონვაგადა“. საქმის მასალებში აღნიშნულია ისიც, რომ დანაშაული ოჯახური კონფლიქტით იყო გამოწვეული. ვიდრე ამ ბრალდებასთან დაკავშირებით მსჯავრდაულის პოზიციას გაგაცნობდეთ, დაზარალებულს მოვუსმინოთ:

„დაბლოებით საღამოს 6 საათი იყო.

შსს „უნივერსალში“ სანყოფის გამგედ ემუშაობდი და იმ დროს, ჩვეულებრივ, სამსახურში, ჩემს სამუშაო ოთახში ვიმყოფებოდი. მოულოდნელად, ოთახში მორისი შემოვიდა. მას ვიცნობდი, რადგან ოფისში ხშირად მოდიოდა ხოლმე. ამასთანავე, ვიცოდი, რომ ის ჩვენი თანამშრომლის — ალიქეშალ ქესქინის რძლის ძმა იყო. იმ საღამოს, მორისმა ოთახში შემოსვლისთანავე, ალიქეშალი იკითხა. ვუპასუხე — აქ არ არის-მეთქი. ამაზე მითხრა — ხომ მიცანი, ვინც ვარ? ყველა ერთად უნდა დაგწვითო. ნასვამი იყო თუ არა, არ ვიცი, ვერ შევამჩნიე. ძალიან აგრესიულად იქცეოდა. მივხვდი, რაშიც იყო საქმე. მორისი ანგარიშის გასასწორებლად მოვიდა. როგორც შევიტყვე, სწორედ იმ დღეს, რამდენიმე საათით ადრე, ორთაქალაში მღებარე, თვალის კლინიკაში მას ალიქეშალ

ქესქინი უცემია, ახლა კი მის შვილთან — ირფან ქესქინთან უნდოდა ანგარიშის გასწორება. ირფანი ჩვენი უფროსი გახლდათ. ფორმა სწორედ მას ეკუთვნოდა... ძალიან შემეშინდა, ხმა ვერ ამოვიღე. მითხრა — არ ადგე, თორემ გესვრიო! ხელში იარაღი არ ეჭირა, მაგრამ ხელი ქურთუკის უბეში ჩაიყო და მაშინვე გავიფიქრე, რომ იარაღი სწორედ იქ ექნებოდა ჩადებული. ამ დროს ოთახში მარტო ვიყავი. გასვლა, რა თქმა უნდა, ვცადე, მაგრამ არ გამიშვა. დამეშურა და მეორედ ნამოდგომა ვეღარ გავებდე. უბიდან ხელი ამოვიღე, მაგრამ იარაღი არც ამჯერად სჭერია. მომენტალურად, მის მარცხენა ხელში ცელოფანის პარკი დავინახე. პარკიდან მან „ბორჯომის“ თუ ლიმონათის ბოთლი ამოვიღე. ბოთლი სავსე იყო სითხით, თან შიგნით ნაჭერი იდო, რომლის ერთი ბოლოც ბოთლს თოკივით ჰქონდა ჩამოკიდებული. მორისმა იქვე, ელექტროქურთუკიდან ნაუკიდა მას ცეცხლი და ბოთლიანად ჩემკენ ისროლა, თან მომაძახა — რაც აქ მოხდება, არავის უთხრა, თორემ ინანებო... ცეცხლნაკიდებულმა ბოთლმა ფეხებში გამიარა, კედელს მიეხეთქა და დაიმსხვრა, საშინლად ააღდა და აფეთქდა. მაშინ უკვე ამკარად ვიგრძენი ბენზინის სუნი... ცეცხლი მოვიკიდა ჩემ გვერდზე მდგარ ხის სკამს და იატაკს. მორისი კიდევ იქ იდგა. შემინებულმა ვიხიოვე — გემიშვი, მე რას მტრჩიმეთქი? ცოტაც და ცეცხლი მომიკიდებოდა. მორისმა ნელ-ნელა, უკან სვლით დაიხია კარისკენ, თან მიყურებდა, თვალს არ მამორებდა... ყველაფერი ინვოდა, მე ოთახის კუთხისკენ გავიწიე, ის კი მაინც არ მძლეუდა იქიდან გასვლის საშუალებას, იდგა და მიყურებდა. სუსტი ალი რომ მომიახლოვდა, მე უკვე შიშისგან გაქცევა ვცადე და მორისს ხელი ვკარი. დამეშურა — არ გაინძრე, თორემ გესვრიო! — და ხელი ისევ ქურთუკის ჯიბეში ჩაიყო. არ მძლეუდა გადაადგილების საშუალებას, თავად კი უკან-უკან იხევდა. შევნიშნე, რომ გარეთ შავი „გაზ-24“ ელოდებოდა. უცებ, მანქანის უკანა სავარძლიდან ვიღაც პირმა, რომლის მხოლოდ მკლავს მოვარი თვალი, სალონის წინა კარი გაუღო. მორისი მანქანისკენ გაიქცა, ჩაჯდა და მანქანიდან გაუჩინარდა. ნომერი ვერ დავინახე, მაგრამ ის კი შევნიშნე, რომ იმ ავტომანქანას თავზე ტაქსის ნიშანი ეკეთა... ამასობაში, ოთახში ცეცხლი საშინლად გაძლიერდა. მაშინვე „სახანძრო“ გამოვიძახე და საპატრულო პოლიციასაც დავეურვეე“.

დაზარალებული ქალბატონის თქმით, არსებობს მოწმეც. „მორისს კურტანიძის ოთახში ყოფნისას, ჩვენმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა — გაგა ხვედელიძემ შემოიხედა. დაინახა თუ არა, მორისმა უთხრა — აქედან გადიო და ისიც წავიდა...“

„...ოთახში წყლის დასაღვეად შევედი. ჟანაბ გარდა, იქ მორისი იყო, მისი გვარი არ ვიცი, სახეზე კი ვიცნობ, რადგან რამდენჯერმე მინახავს ჩვენს ოფისში. ის ჩვენი უფროსის ოჯახის ნათესავია. დავინახე, რომ ხელში ცელოფანის პარკი ეჭირა. შევედი თუ არა, მთხოვა, ჟანასთან მარტო დამეტოვებინა და მეც

გავედი იქიდან. დაახლოებით 10 წუთში, თავადაც გამოვარდა ოთახიდან, ქურაში გაიქცა და შავ „გაზ-24“-ში ჩაჯდა... მისი გაქცევის შემდეგ, 2-3 წუთში, ოთახიდან გამოვარდა ჟანაც. საშინლად იყო შემინებული... ვერ მივხვდი, რა მოხდა. ოთახიდან კვამლი გამოდიოდა, ყველაფერს ცეცხლი ეკიდა...“ — წერს ჩვენებამი ხვედელიძე.

**ჟანაბა ზოკელავაძე:**

„ხანძარმა ოფისის ქონება გაანადგურა, დაინვა ფულიც — 546 ლარი, ასევე, ჩემი პირადი ნივთები, ტანსაცმელი, ფული, ოქროს კულონი, ბეჭედი და საბუთები. ეს ყველაფერი ხელჩანთაში მედო. განადგურდა ოფისის დოკუმენტაცია და ჟურნალებიც...“

ფირმის თურქი მესაკუთრის — ირფან ქესქინის თქმით, როცა ის ოფისში მივიდა, ყველაფერი დამწვარი დახვდა. თანამშრომლებისგან შეიტყუე მომხდარის შესახებ და იმის თაობაზეც, რომ კურტანიძე მასა და მამამისს მოკვლით ემუქრებოდა. „მამაჩემისგან რა უნდოდა ან ჩემთან რა პრეტენზია ჰქონდა, არ ვიცი“, — განუცხადა დაკითხვისას, გამოძიებულს ქესქინმა. ამ დეტალზე საუბრისგან ორივე მხარე თავს იკავებს, თუმცა, როგორც მსჯავრდებულის ერთ-ერთმა ახლობელმა ახსნა, შურისძიების მიზეზი მამამთლის მიერ რძლის შურისძიება გახლდათ, რაც მამა ვერ აიტანა და დის ოჯახის წევრებს პასუხი მოსთხოვა. თვალის კლინიკაში მომხდარი შეღებვებისა და ცემის ფაქტიც სწორედ ამას მოჰყვა შედეგად.

**მირაზ გაბაშვილი:**

„უნივერსალის“ თანამშრომელი: „აღნიშნულ ფირმაში მძლოლად ვმუშაობდი. მორისს კურტანიძეც ჩვენი თანამშრომელი იყო. მას ვარკვეთილში ჰქონდა გახსნილი ჯართის მიმღები პუნქტი, რომელიც შპს „უნივერსალის“ დაქვემდებარებაში გახლდათ. 2005 წლის 24 თებერვალს, უფროსის მამა — ალი ქესქინი თვალის კლინიკაში ექიმთან წაგიყვანე. შევყონდი ექიმთან, რომელსაც ვესაუბრებოდი. როცა გავიხედე, შევნიშნე, რომ ალი ქესქინი და მორისი ერთმანეთს მაღინ დაძაბულად ელაპარაკებოდნენ. მალნი გავვიკონე, რომ ქესქინმა მორისს შეაგინა, რის გამოც, ამ უკანასკნელმა მას ხელი გაარტყა. ჩხუბი მეტხანს არ გაგრძელებულა. მორისმა იქაურობა დატოვა. ამის შემდეგ, კლინიკაში ირფან ქესქინი და მისი მამა მოვიდნენ. ცოტა ხანში ჩვენმა თანამშრომელმა — ჟანეტა ბოკელავაძემ დარეკა და ირფანს უთხრა, ოფისს ცეცხლი გაუჩნდა და დაინვაო.“

ბრალდების თანახმად, გაჩენილი ხანძრის შედეგად, ფირმა „უნივერსალს“, რომელიც შავი ლითონის შემსყიდველ პუნქტს წარმოადგენდა, 846 ლარის მატერიალური, ხოლო დაზარალებული ბოკელავაძეს — 558 ლარის მატერიალური ზიანი მიადგა. საქმის მასალების მიხედვით, აღნიშნული ფაქტი 2005 წლის 25 თებერვალს მოხდა. დანაშაულის ჩადენის მომენტში, როგორც განაჩენშია აღნიშნული,

კურტანიძე ნასვამი გახლდათ. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, კურტანიძეზე ძებნაც გამოცხადდა. რამდენიმე დღის შემდეგ, დაზარალებული — ჟანეტა ბოკელავაძე მორიგი დანაშაულის მსხვერპლი გახდა...

განაჩენის მიხედვით, 2005 წლის 10 მარტს, დაახლოებით დღის 10 საათისთვის, კურტანიძე კვლავ შპს „უნივერსალის“ ოფისში შევარდა და იქ მყოფ ჟანეტა ბოკელავაძეს, დაყარალების მიზნით, თავს დაესხა. ბრალდების მიხედვით, კურტანიძე იმ დროს შეიარაღებული იყო, მას თან პისტოლეტი ჰქონდა. ბოკელავაძეს იარაღის მიქართი მოსთხოვა ფული. წინააღმდეგობას რომ წააწყდა, ქალს ზონრით შეუკრა ხელები, ქურთუკის ჯიბეში ხელი ჩაუყო და იქიდან ფული — 740 ლარი ამოაცალა. ამის შემდეგ, შემთხვევის ადგილიდან მიიძალა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მორისს კურტანიძე კორივე ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და ამის მოტივად, საქმეში არსებული მტკიცებულებები მოიყვანა. განაჩენს უკანონოს უწოდებენ მსჯავრდებული და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი. მათი თქმით, განაჩენი ეწინააღმდეგება საქმის მასალებს და მასში მოყვანილი ფაქტები რეალუბას არ შეესაბამება. მსჯავრდებულს კატეგორიულად უარყოფს ყჩაილობის ბრალდებას და აცხადებს, რომ დანაშაულის მომენტში ის თბილისში საერთოდ არ იმყოფებოდა — ფოთში იყო და ალიბის მოწმეებიც რეალურად არსებობენ. ცოლ-ქმარი, რომელიც 2005 წლის 10 მარტს კურტანიძის ფოთში ყოფნის ფაქტს ადასტურებს, წინასწარი გამოძიებისას დაიკითხა. თუმცა მათი ჩვენებები არ გაიზიარეს. სასამართლო პროცესზე აღნიშნული მოწმეები არ დაკითხულან.

**განაა გაბაშვილის**

ჩვენებიდან: „მორისის დედის ბავშვობის მეგობარი გახლავართ. მორისს, როგორც ნორმალურ და კეთილსინდისიერ ახალგაზრდას ვიცნობ. 2005 წლის თებერვალში, დაახლოებით 24-25 რიცხვში, თბილისში ჩამოვედი. სამი დღის განმავლობაში სტუმრად ნაცნობის ოჯახში ვიმყოფებოდი. მოსახალხლებლად მივედი კურტანიძეების ოჯახშიც. სახლში მორისიც დამხვდა. რაღაც აფორიაქებულ მდგომარეობაში იყო, ცხოვრებაზე განაწყენებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ვიფიქრე, რომ კარგი იქნებოდა, თუ დასასვენებლად ფოთში მივიწვევდი და ისიც გვესტუმრებოდა, გარკვეული დროის განმავლობაში დაისვენებდა და დანყნარდებოდა. დამთანხმდა და ჩამოვიდა კიდევ. 27 თებერვლიდან 16 მარტამდე, მორისი ფოთიდან არ გასულა, მთელი ამ დროის მანძილზე, ჩემთან იყო სახლში და გვერდიდან არ მომცილებია. გამორიცხულია, რომ ის იმ პერიოდში თბილისში ჩასულიყო და რაიმე დანაშაული ჩაედინა.“

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო თუ არა, ტელეეკრანებზე „ჯეოსელის“ ახალი სარეკლამო კლიპი გამოჩნდა, რომელმაც მაყურებელში არაერთგვაროვანი შეფასება გამოიწვია. მოლაღატე ცოლის როლში მსახიობი გოგოლა კალანდაძე, ხოლო მისი საყვარლის როლში — გიორგი ყიფშიძე ვიხილეთ. კლიპის დედააზრი კი, როგორც ჩანს, ასე უნდა ჩამოვყალიბოთ: თუ ცოლ-ქმარს შორის ლაღატი „მოსულა“, ჩვენ არასდროს გიღალატებთო... თუმცა, თუ გოგოლა კალანდაძესა და გიორგი ყიფშიძეს მოვუსმენთ, ისინი ლაღატში სწორედ დამკვეთ კომპანიასა და ამ დაკვეთის შემსრულებელს, სტუდია „ტაიას“ მესვეურებს ადანაშაულებენ და მიიჩნევენ, რომ ისინი მწარედ მოატყუეს.

**„სამუელაში ყოიპში მე ამას ვამ, ის მოცუებული ვივოლა...“**  
**ანუ მას მხდა ვადასაღებ მოვანზე მამი წლის წინ**

**ლალი შანიძე**

— გოგოლა, არაერთ სარეკლამო რგოლში გითამაშა, შენი ფოტო ამა თუ იმ კომპანიის პლაკატსა თუ ბილბორდზე გვინახავს, მაგრამ აქამდე არც ერთ მათგანს არ გამოუწვევია საზოგადოების გაღიზიანება ისე, როგორც ამ სარეკლამო რგოლმა...

— მე ვეთანხმები საზოგადოების აზრს: რაც ეკრანზე ვიხილეთ, მართლაც რომ სიბინძურეა. „ჯეოსელს“ არ უნდა ეკადრებინა და ტელეეკრანზე ეს რგოლი არ უნდა გაემუშავებოდა. ყველაფერი კი, ორი წლის წინ ასე დაიწყო: კინორეჟისორმა დიტო ცინცაძემ ფილმის გადაღებაზე მიმიწვია, მითხრა — რამდენიმეწუთიანი, მინიფილმი იქნება, კინოფესტივალზე უნდა წარვადგინო. შევიტყვევებ ისიც, რომ ამ ნამუშევარს „ჯეოსელი“ ავინანსებდა, მაგრამ ჩემთვის არავის უთქვამს იმის შესახებ, რომ ამ მასალას შემდეგ, როგორც უნდაოდათ, ისე გამოიყენებდნენ. მოტყუებული აღმოჩნდი — ეს მასალა კომპანიამ სარეკლამოდ გამოიყენა. სარეკლამო რგოლში, ასეთ სიუჟეტში, ჩემთვის მილიონიც რომ გადაეხდათ, იმ შემთხვევაშიც არ გადავიღებდი, რადგან ჩემი პრინციპები მაქვს, მსახიობთა იმ კატეგორიას მივეუთვნები, რომელსაც აქვს თავისებური კომპლექსები. რაღაც-რაღაცები პუნქტუბად მაქვს ჩამოყალიბებული და პატარ-პატარა აკრძალვებიც მაქვს საკუთარი თავისთვის დანესებული. ყველაფერზე ვერ მივდივარ...

— ყველაფერში გულისხმობ, მაგალითად, კამერის წინ გაშიშვლებას, ეროტიკულ სცენებში მონაწილეობას და ასე შემდეგ?

— დიას. ეს ჩემთვის მიუღებელია, თან მიმაჩნია, რომ ქართველები ამას ვერ გადაიღებენ ესთეტიკურად და ვერ გააკეთებენ მაღალ დონეზე. ასეთი ნამუშევარი ქართველებს მაინც, რაღაცნაირად, უხეშად გამოსდით. ამიტომ, ყოველთვის ვუნებ ანგარიშს ხალხის აზრს. ხალხის სიყვარული დამსახურებულად მაქვს მოპოვებული და არ მინდა ამის დაკარგვა. მაგონი, ამ რეკლამის შემდეგ, უკვე დავკარგე კიდევ... მაგრამ მე თავს გავიშარებ, დაფუძვნიც სარეკლამო სტუდია „ტაიას“ წარმომადგენლებსაც და „ჯეოსელსაც“, რომ მათ მომატყუეს.

— 2 წლის წინ, როცა ეს ფილმი გადაიღეთ, მას შემდეგ არ გიცდია,

გაგეგო, რა ბედი ეწია, არ დაინტერესებულხარ ამ ნამუშევრით?

— ვიცოდი, რომ ის ფესტივალზე მოხვდა და წარმატებაც სვდა წილად, რაღაც პრინცი აიღო, მაგრამ ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

— ნამუშევარში რა თანხა გადაგხადეს?

— 100 დოლარი. მაგრამ ახლა, „ტაიას“ წარმომადგენელი, ქეთი გალდავაძე აცხადებს, თითქოს ეს 100 დოლარი მე მოვითხოვე... ფილმზე არაფერს ვამბობ. ამ რეკლამზე, ვიმეორებ — მილიონიც რომ მოეცათ, არ წავივლიდი.

— როგორ მოხდა თქვენთვის, მასობრივებისთვის პირობის გადახდა?

— გადალებიდან რამდენიმე დღეში, მიგვიწვიეს და 100-100 დოლარი ჩამოგვირიგეს: მე, გიორგი ყიფშიძესა და ზაზა გოგუაძეს. მაგონი, „ჯეოსელის“ წარმომადგენლებმა არც იცოდნენ, რომ 100 დოლარი გადაგვიხადეს. ეს ახლა გამუქდნენ და როგორც ჩანს, ამიტომაც არის, რომ „ტაიას“ წარმომადგენელი ამბობს — 100-100 დოლარი მსახიობებმა თვითონ მოითხოვესო... ფილმი 13-წუთიანია, მასში სხვა ეპიზოდებიცაა, რალა მანცდამაინც ის გამოიყენეს, რომელიც ყველაზე ბინძურია?!. მაგრამ ეტყობა, სკანდალის აგორება უნდაოდათ და თვითონვე აღმოჩნდნენ „საფანჯში“.

— როდესაც საკუთარი თავი ტელეეკრანზე იხილე, როგორ რეაქცია გქონდა?

— ძალიან მენწყინა, რადგან მოტყუებული აღმოჩნდი, ამასთან — შეურაცხყოფილიც. მსახიობებს დღესდღეობით არ გვაფასებენ, როგორც უნდათ, ისე გვიყენებენ. დროა, რომ ჩვენი უფლებები ვილაკამ დაიცვათ.

— როდესაც თავიდან, რეჟისორმა გითხრა, ეროტიკული სცენის იმიტაცია უნდა გადავიღოთ, უსიტყვოდ დათანხმდი?

— ვიტყვი. სცენარი იქვე შედგა, იქვე გადაწყდა ამ მომენტის გადაღებაც...

— და მხოლოდ ტირილით გამოხატე პროტესტი?

— ვიტყვი და დიტოს ვუთხარი კიდევ — ამ სცენაში ნუ გადავიღებ-მეთქი. მან მითხრა — არაფერია რთული, მაგინდაზე იჯდები და ფეხებს გააქანებო. უარის თქმა მომეროდა, რადგან მსახიობი ვარ, თან, მართლაც, არც არაფერი იყო — არ გავეშიშვ-



ლებულვარ და არც ეროტიკა ყოფილა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეროტიკის ცუდი იმიტაცია გაკეთდა. თან, დიტომ მითხრა — ეს ფილმი ბერლინში, ფესტივალზე უნდა წავიღო, იქ ერთი-ორჯერ გაუშვებენ, მას აქ არავინ ნახავსო. არავინ ნახავს კი არა, ორი წლის შემდეგ, ყველა ქართული ტელეარხით გადის დღეში 5-6-ჯერ... გასაგებია ხალხის აღშფოთება. ჩემი მოთხოვნაა, რომ შეაჩერონ ეს რეკლამა. კონფლიქტური ადამიანი არა ვარ, მაგრამ თავი იმდენად შეურაცხყოფილად ვიგრძენი, რომ ადვოკატი ავიყვანე — ტარიელ ჩოჩიშვილი. ახლა ის გადამწყვეტს, როგორ მოვიქცე.

— „ტაიას“ წარმომადგენელთან არ გილაპარაკია?

— კი და ქეთი გალდავაძე მიმტკიცებს — შენ კარგად იცოდი, რომ ეს რეკლამად გაკეთდებოდა, მე მივეცი „ჯეოსელს“ მზა პროდუქცია, ამ ფილმის საპინსორი, „ჯეოსელი“ იყო და მას, როგორც სურს, ისე გამოიყენებო.

— თუ მოანერეთ ხელი რაიმე დოკუმენტზე, კონტრაქტზე?

— არა, ჩვენ შორის, მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება იყო.

— როგორ ფიქრობ — ტელეეთერიდან ამ რეკლამას მოხსნან?

— ჯერჯერობით, არავინ არაფერს ხსნის, პირიქით — მისი გავრცელების არეალი იზრდება, ახალ-ახალ არხებზე გადის...

— მაგონი, ამ რეკლამამ პოპულარობა შეგმატა...

— მე პოპულარობა არ მაქვია... შეურაცხყოფილი და ნაწყენი ვარ. ძალიან მიყვარს დიტო ცინცაძე, დიდ პატივს ვცემ და ამიტომაც დავთანხმდი მას ამ როლზე.

— მას თუ ელაპარაკე პირადად?

— მე არ მილაპარაკია. ვინც ელაპარაკა, მას დიტომ უპასუხა — მათ კარგად იცოდნენ, რომ ეს, „ჯეოსელის“ სარეკლამო მასალა იყო. არადა, ვიმეორებ — მილიონიც რომ გადაეხდათ, ამ რეკლამაში მონაწილეობას არ მივიღებდი. პატივს ვთხოვ ქართველ მაყურებელს და ვუბნები — გოგოლა, რომელიც „ჯეოსელის“ რეკლამაში იხილეთ, მოტყუებული და შეურაცხყოფილია. შეიძლება ვთქვა, რომ ის მე არა ვარ, იმ სარეკლამო კლიპში მე არ გადავუღივარ. პასუხს ვითხოვ მორალური შეურაცხყოფისათვის...

— ფიქრობ, რომ მიღწევ სასურველ შედეგს?

— კი, იმიტომ, რომ მართალი ვარ. ამ

შემთხვევამ ერთი რამ მასწავლა: როდესაც საქმეს ხელს მოჰკიდებ, აუცილებლად კონტრაქტი უნდა შედგეს. ამის შემდეგ, თუკი ვინმესგან რაიმე საქმიანი შემოთავაზებას მივიღებ, მარტო არ წავალ. ყველაფერს თავის საზღვარი აქვს.

**ზაფხულის გატარებას ბრძოლაში აპირებ?**

— ძალიან არ მინდა, მაგრამ იძულებული ვარ, ვიბრძოლო. არ გაჭირდება. ვერ შევეგუები ჩემს ასეთ დამცირებას.

**ტელესერიალ „ასაში“ როგორ მიდის საქმე?**

— „ასაში“ ყველაზე კარგად არის საქმე. ეს ჩემი მეორე ოჯახია. მიყვარს ჩემი შემოქმედებითი ჯგუფი, რეჟისორი ლაშა ცერიაშვილი, რომელიც არაჩვეულებრივი ადამიანია. მაღლობა მას ყველაფრისთვის. ყველანაირად ცდილობს, მხარში ამომიდგეს. ნიჭიერია და ვიცი, მას წინ ბევრი წარმატება ელის.

**სახელი რომ არ ჰქვია შენს პერსონაჟს?**

— ქალაქში მე და მალხაზს ყველა უკვე „ბუპსიკებად“ გვიცნობს და სიმაღლე გითხრა, ალარც მინდა, რომ რაიმე სხვა სახელები გვეჩქვას.

**როგორია შენი პერსონაჟი?**

— საკუთარ თავში დარწმუნებული ქალია, ქმარს ლალატს არ აპატიებს, უყვარს ქმარი, ვერ იტანს ტყუილს... „ასას“ ახლა, არდადეგები ეწყება. სექტემბრამდე გაჭირდება, მერე, ახალი პერსონაჟები შემოგვმატებინან...

გოგოლა კალანდაძის შემდეგ, ვესაუბრე მსახიობ **ზიორზი ყიფშიძეს**, რომელიც ასევე მოტყუებულად გრძნობს თავს:

— კინოში ჩემთვის, საზღვარი, აკრძალვები არ არსებობს. გამორიცხულია, რომ რაღაც სცენა, ვთქვათ, ვერ ვითამაშო. რა როლსაც მომცემენ, შევასრულებ. ცისფრის როლიც რომ მერგოს, უარს არ ვიტყვი — თუ, რა თქმა უნდა, საინტერესოდ მომეჩვენება. მაგრამ ფილმში ჩემი თამაშის შემდეგ, ერთი ეპიზოდი რომ ამოიღონ და რეკლამად აქციონ, — ამას ვერ შევეგუები. „ჯეოსელის“ ამ რეკლამით, მე გამოვდივარ უმცირესობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც რაღაცისკენ მოუწოდებს ადამიანებს... ეს ჩემს

სახელზე ცუდად მოქმედებს. კინო, ვიმეორებ, სხვა რამ არის, ის ხელოვნებაა. რეკლამა — სულ სხვაა. ესეც რომ არ იყოს, „ჯეოსელის“ ჰყავს კონკურენტი კომპანია — „მაგთი“, რომლის აბონენტი ვარ მთელი ეს წლები. სხვათა შორის, გოგოლაც... ხომ უნდა ეკითხათ ჩვენთვის — იქნებ, „ჯეოსელს“ არ ვუკეთებდით რეკლამას?! თან, 100 დოლარად გავაკეთო ამხელა ფირმის რეკლამა?! ეს იცოდნენ და თავიდან, სხვა ფორმით მოგვმართეს — ვითომ კინოს ვიღებთო, — არადა, გაირკვა, რომ თურმე, რეკლამა ნდომეზიანია. როცა გავიგე, რეჟისორი, დიტო ცინცაძე იქნებოდა, საიმოვნებით წავედი მასთან სამუშაოდ. ის კი არა და, მასთან უფასოდაც წავიდოდი გადაღებაზე: საინტერესო რეჟისორია, არაერთ ფესტივალზე გამარჯვებული... მაგრამ „ჯეოსელი“ ცუდად მოიქცა — 5 „კაპიკი“ დადო და მილიონის მოგება მოინდომა, ამაში ჩვენ გამოგვიყენა. ეს ბიზნესი არ არის. მილიონი უნდა დადო, რომ ორი მილიონი მოიგო.

**მინც, როგორ დაგითანხმეს?**

— ვიცოდი, რომ ფესტივალისთვის უნდა გადაეღოთ 12-წუთიანი ფილმი, „ერთ კადრში“ უნდა გადაღებულიყო. სამუშაო საინტერესო იყო, ერთი დღე მოვანდომეთ. აქამდე მეგონა, ფილმი გადამიღეს და ახლა მეუბნებიან, რეკლამა იყო. მომატყუეს!..

**რას აპირებ?**

— ვნახოთ, ადვოკატი გადანყვეტს. ვიცი, რომ გაბრუნებული ვარ.

**ეს იგი შენი პოპულარობა გამოიყენეს?**

— 2 წლის წინ, ვერ გეტყვი, პოპულარული ვიყავი თუ არა. თან, მე რატომ გადამიღებდნენ, როცა „ჯეოსელს“ სარეკლამო სახედ, დღუტა სხირტლაძე ჰყავს?! უბრალოდ, ფილმის გადაღებააო, — ჩვენს მოსატყუებლად თქვეს. იცოდნენ, რომ რეკლამაზე არავინ წავიდოდა. ყოველ შემთხვევაში, 100 დოლარად არ ვითამაშებდი. იაფად „გამოძვრენე“. ვნახოთ... თუ სასამართლომდე მივა საქმე, მორალური შეურაცხყოფისთვის თანხას მოვითხოვ. კმარა მსახიობების მოტყუება!

დაუწყებდით სტუდია „ტაია-გრუპის“ დამფუძნებელს, **ქაიხი ბაღდავაძეს**, რომელმაც გვითხრა:

— „ჯეოსელთან“ გვქონდა მოლაპარაკება. ეს კომპანია 7 მოკლემეტრაჟიან ფილმს აფინანსებდა და ამ მასალიდან, სარეკლამო რგოლი უნდა გაგვეკეთებინა. საქართველოში კინემატოგრაფის განვითარებისთვის და ამავე დროს, კომპანიისთვის ეს სასარგებლო იყო, რადგან კლიპები შემდეგ, თავის შედეგს გამოიღებდა.

**რამდენი გადაუხადეთ მსახიობებს?**

— სამივე მსახიობს — 100-100 დოლარი.

**კონტრაქტი თუ შედგა თქვენ შორის?**

— მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება იყო, რადგან სპონტანურად მოხდა ყველაფერი. დიტო ცინცაძე ცოტა ხნით იყო ჩამოსული და ერთ დღეში უნდა გადაგველო. ამასთან, მეგობრულ-ასლობლური გარემო იყო. ასეთ დროს, სიტყვიერი შეთანხმებით ვიფარგლებით ხოლმე.

**რატომ გავიდა ეს მასალა ტელევიზორებზე 2 წლის შემდეგ?**



ამ რეკლამაზე, ვიმეორებ — მილიონიც რომ მოეცათ, არ წავიდოდი...

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არ იყო. როდესაც დასჭირდა „ჯეოსელს“, მაშინ გაუშვა. მაგრამ ამ ნამუშევრის პრემიერა 2005 წელს, კინოთეატრ „ამირანში“ შედგა, სადაც დაპატიჟებული იყო ყველა მონაწილე. გიორგი ყიფშიძეც იყო მოსული და მასხოვს, ნამუშევრით საკმაოდ კმაყოფილიც დარჩა. თან, 2005 წელს, საქართველოში „ეპიკის“ (სარეკლამო რგოლების ფესტივალი) დღეები ტარდებოდა და დიტო ცინცაძის ამ ნამუშევარმა საუკეთესო ვიდეორგოლისთვის დანესებული, მთავარი პრიზი მიიღო. მაშინ, მედიის საშუალებითაც იყო გაშუქებული და ყველამ იცოდა ამ კლიპის შესახებ. ეს თავიდან იყო ფილმი, მაგრამ ფესტივალზე პრიზი მიენიჭა როგორც საუკეთესო ვიდეორგოლს.

**ფილმი 13-წუთიანია. სარეკლამოდ, მინცდამანც ეროტიკული ეპიზოდი რატომ გამოიყენეთ?**

— ეს მისი დრამატურგიის საკვანძო ნაწილი უნდა ყოფილიყო, სხვანაირად, რეკლამის შინაარსს ვერ „შევერავდით“...

**ტელევიზორზე რომ უნდა გაგეშვათ, ამის შესახებ თუ შეატყობინეთ მსახიობებს?**

— თავიდან, გადაღების მომენტში მომხდარი სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, ყველამ იცოდა, რომ იმ მასალიდან კლიპს გავაკეთებდით — ანუ სარეკლამო რგოლს. მაშინ ამის გამო არავის ჰქონია პრეტენზია, მით უმეტეს, 2005 წელს, მას მოგებული ჰქონდა მთავარი პრიზი — საუკეთესო ვიდეორგოლისთვის. არ ვიყავი ვალდებული, ყველა კადრი შემეთანხმებინა მსახიობებთან. ყველანი საქმის კურსში იყვნენ, იცოდნენ, რომ კლიპად ვაკეთებდით და ამ მასალას როგორ გამოიყენებდნენ, ეს ჩვენი საქმე არ იყო.

**თანხა, რომელიც გადაუხადეთ, მათ მოითხოვეს?**

— თანხის შესახებ მეორე რეჟისორმა მითხრა. როგორც კი მოითხოვა, მაშინვე გადავიხადე და არც ამაზე ყოფილა პრეტენზია. ახლა რომ ამტკიცებენ — ჩვენ რომ გვცოდნოდა, „ჯეოსელი“ იყო, არ გადავიღებდითო, — ეს საფუძველს მოკლებულია. ყველამ ყველაფერი იცოდა.

**იცი თათი მოთხოვნის შესახებ?**

— ცოტა ჩამოუყალიბებელი მოთხოვნები აქვთ. კლიპი შეწყვიტეთ, აღარ გაუშვათო. ამას მე ვერ გავაგონტროლებ... ■



„ჯეოსელი“ ცუდად მოიქცა — 5 „კაპიკი“ დადო და მილიონის მოგება მოინდომა

წინათ, სოფლიდან ქალაქში კაცი ურმით რომ ჩამოვიდოდა და უკან დაბრუნდებოდა, მთელი რაიონი შეიკრიბებოდა სოლმე, ქალაქური ამბების მოსასმენად. ყველა მოწინებით ექცეოდა და ერთმანეთს ეუბნებოდნენ — ეს კაცი ქალაქშია ნამყოფიო!.. ახლა კი, ვილას უკვირს, სოფლიდან ქალაქში ჩამოსვლა?! ქართველებმა მსოფლიო „დაიპყრეს“ და ალბათ, ყველაზე პატარა და „მივარდნილ“ სახელმწიფოშიც კი, ბედის საძიებლად წასულ უამრავ ქართველს იპოვიო... გურულები ფულის საშოვნელად, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ესტუმრნენ ამერიკას და ცხენზე ჯირითით გაითქვეს სახელი. მათი უმეტესობა სწორედ ამ საქმით ნაშოვნი ფულით ინახავდა ოჯახს. დღევანდელ სტატისტიკას თუ დავეყრდნობით, საქართველოს მოსახლეობის 20% ქვეყნის ფარგლებს გარეთაა. ყველა მათგანს ენატრება ახლობლები და ანუხებს ნოსტალგიაც. დავინტერესდით, რა ბედი ეწია ჩვენს რამდენიმე თანამემამულეს და როგორ ცხოვრობენ ისინი უცხოეთის ცის ქვეშ. მათთან დაკავშირება ინტერნეტით მოვახერხეთ. ერთ-ერთი მათგანი „წარმოშობით“ ეგვიპტელია, მაგრამ თავს ქართველად მიიჩნევს. მის შესახებ — ცოტა მოგვიანებით, მანამდე კი, ნატო პეტერაფციასურის შესახებ მოგიტყობთ, რომელიც უკვე 9 წელია, გერმანიაში ცხოვრობს, ერთხელ დაქვრივებაც „მოასწრო“ და ხელმეორედ გათხოვებაც...



# ქართველები უსსრ-ში

## „გმრანული ზრთი“, ღაღაღალი ღაღის სტოპიკა და ეპიკური ქართველი

### მარი ჯაფარიძე

— 1997 წელს, 23 წლის ასაკში წამოვედი გერმანიაში, „ოპერად“, იმავე მიზეზით, რის გამოც, ქართველების უმეტესობა მიდის უცხოეთში. საინტერესო ის იყო, რომ სრულიად შემთხვევით მივიღე ვიზა — სხვის მაგივრად...

#### როგორ, სხვის მაგივრად?

— საელჩოში საბუთები ჩავაბარე, მეორე დღეს დამირეკეს და მითხრეს, რომ ჩემი საბუთები მზად იყო. ეს წარმოუდგენელი გახლდათ, მაგრამ მეორე დღეს ჩემი პასპორტი და ვიზა რომ გადმომცეს, დავრწმუნდი, რომ სიმართლე იყო. ჰანოვერში ჩავფრინდი. აეროპორტის თანამშრომელმა საბუთები რომ შემომიწმა, მითხრა — ყალბი საბუთებით ხარ ჩამოსულიო, — და ქვეყნის ტერიტორიაზე არ მიშვებდა, მაგრამ იმდენად ვიყავი დარწმუნებული ჩემს სიმართლეში, რომ ჩემი „დამტყვეულები“ გერმანულით დავაჯერე, რომ ვიზა და პასპორტი ჩემი იყო. როდესაც 3 თვის შემდეგ, ვიზის გასაგრძელებლად მივედი, მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ თურმე, კიდევ არსებობდა ნატო აფციასური, რომელსაც საბუთები ჰქონდა ჩაბარებული გერმანიის საელჩოში და ჩემთვის მისი ვიზა მოუციათ: მაშინ ვიზაში სურათს არ აკრავდნენ... თავდაპირველად, რომელ ოჯახშიც მოვხვდი, იქ ბავშვს ვერ შევეგუე და მალე წამოვედი. ამის შემდეგ, კიდევ 2 ოჯახი გამოვიცვალე. მეორეში როცა ვცხოვრობდი, ცოლ-ქმარი ერთმანეთს გაეყარა, ვინიდან ქალს საყვარელი ჰყავდა. დიდი ინტრიგებისა და ოჯახური დრამის მოწმე გახვდი. ისინი სხვადასხვა ქალაქში წავიდნენ საცხოვრებლად და ბუნებრივია, მე უმუშევარი დავრჩი. ამის შემდეგ, გადავედი მესამე ოჯახში, სადაც

დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი, თან — ვსწავლობდი. იქიდან წამოსვლის შემდეგ, დამოუკიდებლად დავიწყე ცხოვრება. ბერლინში გადავედი და ჯერ კაფეში ვმუშაობდი, მერე — საავადმყოფოში... მერე გავთხოვედი, მაგრამ სამწუხაროდ, მალე დავექვრივედი. ჩემს ქმარს სიმსივნე აღმოაჩნდა და 33 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამ დროს, სრულიად მარტო ვიყავი. ხომ იცით, საქართველოში რომ ხარ, ახლობლები მოვლენ, დაგამზიდებენ, გვერდით დაგდებენ... იქ კი სულ მარტო ვიყავი და ძალიან გამიჭირდა ქმრის სიკვდილთან შეგუება. დაკრძალვის დღეს, ჩემ გვერდით მხოლოდ ერთი მეგობარი იყო.

#### მისი ოჯახის წევრები არ მოვიდნენ?

— მას ადრე ჰყავდა ოჯახი. მისი ყოფილი მეუღლე და შვილი მოვიდნენ და კიდევ, რამდენიმე მეგობარი. სხვა არავინ დასწრებია დასაფლავებას.

#### როგორ ხდება გერმანიაში მიცვალებულის გაპატიოსნება და დაკრძალვა?

— ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სურვილი გამოთქვა სიკვდილის წინ ადამიანმა ან როგორია მისი მატერიალური მდგომარეობა. ვინაიდან ჩვენ ფული არ გვქონდა, იძულებული ვიყავით, კრემაცია ჩავგვეტარებინა. ასეთ დროს, მიცვალებულს გადაასვენებენ მორგში, სადაც 3 კვირით, საყინულეში ათავსებენ. მისი დაწვის შემდეგ, პატარა ყუთით გატანენ ფერფლს, რომელსაც ოჯახი ასაფლავებს.

#### რატომ ჯდება ასეთი დაკრძალვა იაფი?

— იმიტომ, რომ იმ პატარა ყუთს შესაბამისად, პატარა ადგილი სჭირდება, ხოლო საფლავის მიწა იქ ძალზე ძვირია.

იმ საფლავსაც მოვლა უნდა, რაშიც ფული უნდა იხადო... მე ამის საშუალება არ მქონდა. ის კი არა და, მისი გარდაცვალების შემდეგ, ვალებიც მქონდა გადასახდელი. იქ ისეთი ცხოვრების რიტმია, რომ დეპრესიაში ჩასავარდნად და საგლოვად დრო არ გრჩება. ამიტომ, მეც ჩვეულებრივად განვგრძე ცხოვრება. 2 წლის შემდეგ, ჩემი ახლანდელი მეუღლე, შაიკო გავიცანი. ის ადვოკატია, საკუთარი საადვოკატო კანტორა აქვს და მის გვერდით თავს კარგად ვგრძნობ.

#### შენ თვითონ სად მუშაობ?

— არის ასეთი საქველმოქმედო ორგანიზაცია — „დიაკონია“, რომელიც „წითელი ჯვრის“ ფუნქციებს ასრულებს. ამ ორგანიზაციაში ვმუშაობ და ძირითადად, მარტოხელა მოხუცებს ვემსახურები. გავიარე სპეციალური სამედიცინო კურსები, ვისწავლე მედლის საქმე. ავადმყოფებს ნემსს ვუკეთებ და ბევრ რამეში ვეხმარები. ერთხელ, შინ ვეწვიე მოხუც ქალბატონს, რომელიც ძალზე პრეტენზიული გახლდათ და ვერავინ ეგუებოდა. მასთან რამდენიმე საათიდავყავი. წამოსვლისას კი, ხელი დამიჭირა და ფული გამომინოდა. რა თქმა უნდა, არ გამოვართვი, მაგრამ მივხვდი — ეს ძალიან ბევრს ნიშნავდა: გერმანელმა, თანაც, ასეთმა პრეტენზიულმა მოხუცმა, მადლობის ამგვარად გამოსატყა მოინდომა.

#### მართალია, რომ გერმანელი ცოლ-ქმარი ერთმანეთზე ფინანსურად არ არის დამოკიდებული და ქმარი ცოლის გამო ზედმეტ „გროსსაც“ არ გადაიხდის?..

— იქაც სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები არსებობენ. რადგან ქალი ვარ, სულაც არ მიმაჩნია, რომ თუნდაც ერთი საფეხურით, მაშაკაცზე დაბლა ვდგავარ

ინფორმაციულ-მეცნიერული კოლაჟი

ეოზი ღვალის უბის წიგნაკრები:

1. მოწყენილობა მეფეთა სენია.
2. „სუფი“ და „თაღაჯი“ სინონიმები.
3. ლუმენი სინათლის ნაკადის საზომი ერთეულია.
4. ცბიერ, ფარისეველ ადამიანს, თითლიბაზს ეძახიან.
5. ნიუ-იორკელ ტაქსისტა 90 პროცენტი ემიგრანტია.
6. ლობსტერს ცისფერი სისხლი აქვს, კალიას — თეთრი.
7. ბოყვი ხის ქერქისაგან დამზადებული ერთგვარი ჭურჭელია.
8. კერპომისაზურებას, კერპისთვის მსხვერპლის შეწირვას — ზორვას ეძახდნენ.



9. პელე პირველად 1958 წელს, 17 წლის ასაკში გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

10. ქამლეონი თავისი გრძელი ენით გაფრენილ ჩიტებსაც იჭერს და მიირთმევს.

11. მერილინ მონროს მრავალრიცხოვან თავყანისმცემელთა სიაში, ჰიჩკოკი და აინშტაინიც შედიოდნენ.

12. საგანგებოდ დამუშავებულ ტყავს, რომელიც ძველად საწერ მასალად იხმარებოდა, ეტრატი ერქვა.

13. ავსტრალიური ორმოცდაათცენტიანი მონეტა, თავდაპირველად, ორი დოლარის ღირებულების ვერცხლს შეიცავდა.

14. შერლოკ ჰოლმსის მეგობარი, ექიმი უოტსონი გამუდმებით ერთსა და იმავე სიგარეტს, „ბრედლი ოქსფორდ-სტრიტს“ ეწეოდა.

15. ცერა თითის სიმსხო ლურსმანი, რომლითაც რომაელები სიკვდილმისჯილს ჯვარზე აკრავდნენ, 15 სანტიმეტრი სიგრძისა იყო.

16. რუსეთის იმპერატორმა პავლე II-მ, 4 წელი, 4 თვე და 4 დღე იმეფა. იგი საკუთარი გვარდის ოფიცრებმა მოკლეს.

17. მეცნიერთა მტკიცებით, დედამიწის ზურგზე, მხოლოდ ადამიანი და დელფინი შედის პარტნიორთან სექსუალურ კონტაქტში სიამოვნების მიზნით და არა მხოლოდ რეპროდუქციის გამო.

18. „დღევანდელ კონცერტზე, აქსანა სობჩაკი უნდა მოსულიყო და არ მოვიდა, ეტყობა, ვერ მოიცალა, წიგნსა წერს — „სობჩაჩე სერდცე“, — ხუმრობდა ერთ-ერთი კონცერტის დროს მიხაილ ზადორნოვი.

19. ინგლისის მომავალი მეფის, რიჩარდ მესამის ძმა, ჰერცოგი კლარენსი, მისი ფარული ბრძანებით, ღვ-

და ყველა ხარჯი მან უნდა გასწიოს. მე იმისთვის ვმუშაობ, რომ საკუთარი სურვილები დავიკმაყოფილო. რა თქმა უნდა, თუ რაიმე მჭირდება და საყიდლად ფული არ მყოფნის, აუცილებლად ვეუბნები ჰაიკოს და მიმატებს ან სულაც, თვითონ ყიდულობს. რესტორანში ე.წ. „გერმანული შროტი“ არ დავდივარ. დანახარჯს მეც გადავიხდი, თუ საჭირო იქნება. ამასთან დაკავშირებით, ერთ ამბავს გავიხსენებ. სამშობლოსა და ოჯახს მოწყვეტილი ადამიანი ხშირად ვარდება დეპრესიაში და ამ დროს, ყველაფერი სულერთი ხდება.

ერთი ასეთი დეპრესიული შემოტევის დროს, შუადღისას, ბარში შევედი და რამდენიმე ბოკალი ღვინო დავლიე. სუფრასთან მარტო ვიჯექე. რა თქმა უნდა, ამან გარშემო მყოფთა ინტერესი გამოიწვია. ერთი ძალზე სიმპათიური მამაკაცი მომიახლოვდა და ჩემთან დაჯდომის ნებართვა ითხოვა. უარი არ მითქვამს. სასმელი მომიკიდა, მაგრამ მაინც, კიდევ ვსვამდი. ის გაოცებული მეკითხებოდა ამის მიზეზს. მე კი ამ თემაზე ლაპარაკის სურვილი არ მქონდა. ბოლოს, ტელეფონის ნომერი მივეცი და დავშორდი. რამდენიმე დღის შემდეგ, დამირეკა. შევხვდით. მერე — კიდევ... ასე გაგრძელდა რამდენიმე ხნის განმავლობაში. არ მინახავს ასეთი შეყვარებული ადამიანი — სულ თვალბრუნებით შემომციცინებდა, მევედრებოდა, რომ სულ ცოტა სითბო მაინც გამოემქვანებინა მის მიმართ. უტირია კიდევ, როდესაც გრძნობებზე მელაპარაკებოდა, მაგრამ მე არ მინდოდა მასთან ურთიერთობა. ერთ დღეს, კაფეში დამპატიჟა. უგუნებოდ ვიყავი, არ მშოიდა და მხოლოდ ყავა შევუკვეთე. მან კი გემრიელად ისადილა. ოფიციალტმა ანგარიში რომ მოიტანა, აღმოჩნდა, რომ ჩემი ყავის საფასურიც იმავე ქვითარზე იყო გამოწერილი. გადართია ჩემი კავალერი, ისეთი დღე აყარა მიმტანს, რომ საწყალი, ხმასაც ვერ იღებდა. ჩემი ხარჯი სასწრაფოდ გავისტუმრე და ამ ამბის მერე, ის ადამიანი აღარ მინახავს. აი, ასეთი მამაკაცებიც არსებობენ გერმანიაში: შესაძლოა, სიყვარულს თვალცრემლიანი გიხსნიდეს, მთავრად შენთვის ყავის საფასურის გადახდაც არ სურდეს. ჩემი მეუღლე ასეთთა კატეგორიას არ მიეკუთვნება.

გერმანელი მეუღლეები ეჭვიანები არიან?

— არა. ჩემმა ქმარმა ამ სიტყვის მნიშვნელობაც კი არ იცის წესიერად. აი, მე ეჭვიანი ვარ და ამის გამო, დამცინის ხოლმე. თუმცა, ეჭვიანობის საბაზს არ მაძლევს. როცა ამ თემაზე ვინცე ლაპარაკს, არ მისმენს, რადგან მიაჩნია, რომ ეს არის ჩემი ავადმყოფობა და ამის მოსასმენად დროის დაკარგვა არ ღირს. მას მიაჩნია, რომ როდესაც 2 ადამიანი ერთად ცხოვრობს, ისინი ერთმანეთის ერთგულები უნდა იყვნენ.

— დედამთილი თუ

გყავს?

— კი, მყავს. ძალზე თანამედროვე შეხედულებების, ახალგაზრდა ქალია. დედამთილი ჰქვია, თორემ, წესიერად არც ვიცნობ. ჩემთან ხშირი ურთიერთობა არა აქვს, მაგრამ ჰაიკოსთვის, როგორც იტყვიან, „გიჟი დედაა“, რაც იმ ქვეყნისთვის იშვიათობაა. ჰაიკო თუ ოდნავ შეუძლოდა, დედამისს არ ვაგებინებთ, რადგან მთელი ღამე ნერვიულობისგან მოკვდება. დედა-შვილს ყოველდღიური კონტაქტი აქვს, მე კი მხოლოდ დღესასწაულებზე თუ ვნახულობ მას.

მეზობლებთან თუ დადინარ საჭიროად და ყავის დასალევად, როგორც ეს საქართველოშია მიღებული?

— რა თქმა უნდა, არა. იქ ყველა თავისთვის ცხოვრობს, არც შეგანუხებენ და არც შენ უნდა შეანუხო. ამას წინათ, შინ ნამცხვრის გაკეთება გადავწყვიტე და აღმოჩნდა, რომ ვანილი არ მქონდა. ვინაიდან კვირადღეს იქ ყველაფერი დაკეტილია, ჰაიკოს ვთხოვე, რომ მეზობელთან შესულიყო და ვანილი ეთხოვა. გადართია — ამას რას მეუბნებიო?! — მაგრამ რომ არა და არ მოვეშვი, მართლა წავიდა სათხოვნელად. მეზობელს 3 შეკვრა გამოუტანებია. ნამცხვარი რომ გამოცხვავ, რამდენიმე ნაჭერი თევზზე დავდე და მეზობელს ჩაუტანე. კარი რომ გააღო და თევში მივანოდე, ისე დაიბნა, რომ დერეფანშივე დაიწყო ნამცხვრის ჭამა... ყურადღება და სითბო ყველას სიამოვნებს, მიუხედავად იმისა, გერმანელია ის თუ ფრანგი.

იქ მცხოვრებ ქართველებთან თუ გაქვს კონტაქტი?

— არა, ქართველებთან, ერთი შემთხვევის გამო, არ ვკონტაქტობ. ერთი ახალგაზრდა მამაკაცი გავიცანი, რომელიც ძალზე კარგი გარეგნობის გახლდათ და ნებისმიერ ქალს მოხიბლავდა. როდესაც გაიგო, რომ ქართველი ვიყავი, გაუხარდა და მითხრა, რომ თურმე, საქართველოს შესახებ ბევრი სმენია და ქართველი მეგობრებიც ჰყოლია. ტელეფონით სადღაც დარეკა და ქართველ მამაკაცთან დამალაპარაკა. მას ძალიან გაუხარდა ჩემი ხმის გაგონება და სტუმრად დამპატიჟა. თავაზიანი უარი ვუთხარი. მე და იმ გერმანელმა ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და დავეშვიდობეთ ერთმანეთს. რამდენიმე დღის შემ-



ნატო აფსიაური მეუღლესთან ერთად

დეგ, შევხვდი. მას თან რაცია ჰქონდა. ვიფიქრე, რომ პოლიციელი იყო, მაგრამ უარყო. შევედი იმ ბარში, სადაც ხშირი სტუმარი ვარ. მიმტანი რომ მოგვიასლოვდა, თვალბეჭეტი გაკვირვება შევნიშნე. თან ცდილობდა, შეუჩნევლად, რაღაც ენიშნებინა ჩემთვის. მივხვდი, რომ საფრთხე მელოდა. ჩემი კავალერი კი, საქიფოდ მუხტივებოდა, ისევ — ქართველებში. ისევ დამალაპარაკა იმ ქართველ მამაკაცს, რომელსაც პირველი შეხვედრის დროს ველაპარაკე და ისევ მიუხატებდა მივიღე, ოღონდ, ამჯერად, დაჟინებით მთხოვდა, რომ მივსულიყავი. რა თქმა უნდა, არ ნავედი. შემდეგ კი გავიგე, რომ თურმე, ეს მამაკაცი სუტენიორი ყოფილა: ნამიყვანდა, მე რე პასპორტს წამართმევდა და რომელიმე ბორდელში იძულებით გამოიმანყვედა. ქართველი ეხმარებოდა იმაში, რომ ეს განზრახვა განეხორციელებინა. ამის შემდეგ გადავწყვიტე, რომ ქართველებთან კონტაქტი აღარ დავამყარო...

**— გერმანელები საქართველოს შესახებ თუ გეკითხებიან სოლმე რაიმეს?**

— ჩემს ქმარს ყველაფერი აინტერესებს, რაც საქართველოსთანა დაკავშირებულია. წაიკითხა „ვეფხისტყაოსანი“, გიჟდება ჰამლეტ გონაშვილის სიმღერებზე... საქართველოში სტუმრად რომ მოვიდოდი, ვკითხე — რა ჩამოვუტანო შენს მშობლებს საჩუქრად-მეთქი? — გონაშვილის სიმღერებზე უკეთესს რას ჩამოვუტანო?! ქართული სამზარეულოც შეიყვარა. ამას წინათ, სახლში საჭაპური გამოვაცხევე. საკმაოდ ბლომად გამოვიდა. 2 ადამიანი ვერ მოვერიეთ და რამდენიმე დღის შემდეგ, გამხსარი საჭაპური გადავყარე. ჰაიკო ლამის გაგოფდა — ასეთი გემრიელი საჭაპურის გადაყრა იქნებოდა?! გავაცხელებდი და ისე მივირთმევდიო... საბოლოოდ, ორივე საქართველოში ჩამოვალთ, რადგან ჩემი მუშავე ამბობს, რომ საქართველო ისეთი ლამაზი ქვეყანაა, სადაც ცხოვრებით დაღლილმა პენსიონერმა უნდა დაისვენოს...

...საზღვარგარეთ წასულ ყველა ქართველს ისე როდი უმართლებს, როგორც ნატოს. ჩემი მომდევნო რესპონდენტი უკვე 15 წელია, რუსეთის დედაქალაქში ცხოვრობს. პირველად, იქ 15 წლის ასაკში მოხვდა და დღემდე, იმ ბედ-იღბლის „ტყვევა“, რომელიც მის მაგივრად, მასზე 20 წლით უფროსმა მამაკაცმა გამოქცედა...

— მოსკოვში, არეულობის წლებში მოხვდი. მამაჩემის მძასთან ჩავედი სტუმრად და ისე მომეწონა აქაურობა, რომ გადავწყვიტე, მშობლებისთვის მეთხოვა, ბიძასთან დავეტოვებინე. ჯერ ბიძაჩემს შევხვეყნე, დავრჩებო-მეთქი და მისგან თანხმობა რომ მივიღე, მშობლებს უფრო გაბედულად ვთხოვე. თანაც, ბიძაჩემს არც ცოლი ჰყავდა და არც შვილი, საკმაოდ მყარი ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა და მშობლებმაც იფიქრეს, რომ ჩემთვის უკეთესიც იქნებოდა მასთან დარჩენა. სწავლა მოსკოვის სკოლაში გავაგრძელე. საკმაოდ პრესტიჟული სკოლა იყო და სულ

მდიდარი მამიკობის შვილები სწავლობდნენ. თანაკლასელებს იოლად შევეგუე და რამდენიმე მათგანს დავეუბნობდი კიდევ: ბიძაჩემს უზარმაზარი ბინა ჰქონდა. შესაძლოა, 2-3 დღის განმავლობაში, ერთმანეთს არც შევხვედროდით, თუ შემთხვევით არ გადავანყდებოდით. ის ყოველ დღილით, შემოსასვლელში მიტოვებდა ფულს და ისე მიდიოდა სამსახურში. მოგესხნებოდა უტოლო კაცის ამბავი — ხშირად მოჰყავდა ქალები... ძალიან მაინტერესებდა, რა ხდებოდა მის ოთახში და ხშირად ვაყურადებდი. ხანდახან კარის ჭურჭრუტანაშიც კი ვუჭვრიტინებდი. მერე დაქალებს ვუყვებოდი ნანახის შესახებ. ერთხელ, ჩემს კლასელთან სტუმრად ვიყავი მისული. მამამისი შინ გახლდათ. ამ კაცმა რაღაც უცნაურად ამხედ-დამხედა და საუბარიც გამოიბა... მეორე დღეს, სკოლაში შვილს მანქანით მოაკითხა და მეც ანიათან ერთად წამომიყვანა. მის გვერდით ვილაც უცხო მამაკაცი იჯდა. ჯერ ანია მივიყვანეს შინ, მერე — მე. იმ დღეს არაფერი მომხდარა და არც მიფიქრია, რომ ამ ამბავს გაგრძელება ექნებოდა... რამდენიმე დღის შემდეგ, ანია მიამიჩვენა და მთხოვა, მასთან სახლში მივსულიყავი. ეს პირველი შემთხვევა არ იყო და არ ვიუცხოვე. მამამისმა დამიმართხნა და მითხრა — გინდა, ბევრი ფული გამოვინო? — კი-მეთქი, — დავეუქნიე თავი. — ქალწული ხარო? — მკითხა და როდესაც დასტური მიიღო, მითხრა — გასსოვს ის კაცი, მანქანაში რომ იჯდა, როდესაც სკოლაში მოგაკითხეთ?... მოეწონე და 10 ათას დოლარს გათავაზობს, თუ მასთან დანებდები. ბოლო წინადადებას ანიაც შეესწრო. — მოვიფიქრებ-მეთქი, — ვუთხარი... მერე ანია შემომიჩნდა — რად უნდა მაგას მოფიქრება, დათანხმდი, შენც ასაკში რაღა დროს ქალწულობაა, მაინც ვილაცხა უნდა დაუწვე და ბარემ, ფულს გააკეთებო... დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ ანია არ იცოდა, საითკენ მიბიძგებდა... რამდენიმე დღე ვიყოყმანე და შემოთავაზებულ წინადადებას დავთანხმდი. იმ კაცს ანდრეი ერეკა და ჩემზე 20 წლით უფროსი გახლდათ. მრცხველია, თვალბეჭეტი ვერ ვიყურებდი, მაგრამ ისე თბილად მომეცა და დამიყვავა, რომ უცებ მომეშვა გულზე... ის თანხა, რომელსაც გასამრჯელოდ მთავაზობდნენ, დილით მთლიანად მომცა და სახლამდეც მიმიყვანა. ერთი თვის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს. ყოველ შეხვედრაზე, 200 დოლარს კიდევ მიწუქნიდა. ერთი თვის შემდეგ კი მითხრა, რომ იმ დღიდან, ჩვენ ერთმანეთს აღარ შევხვდებოდით, მაგრამ სამაგიეროდ, სხვა, უფრო კარგ კაცს გამაცნობდა...

**— და შენც დათანხმდი?**

— თავიდან უარი ვუთხარი. მიყვარხარ-მეთქი, — ვუთხნებოდი, ის კი ამაზე გულიანად იცინოდა. ბოლოს, რომ ვერ დამითანხმა, მუქარაზე გადავიდა: — ბიძაშენის შესახებ ყველაფერი ვიცი, ფულს რომ არაკეთილსინდისიერი გზით მოულობს — ისიც; მას დავაჭვრინებ, თან, შენ შესახებ ყველაფერს დაწვრილებით მო-

**ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი**

**ეონი ღვალის უბის ნიგნაკიდან:**

ინით სავსე კარში დაახრჩვეს.

20. სელაპი დაბადებისას, უდიდეს სტრესს განიცდის. ტემპერატურაში განსხვავება დედის მუცელსა და გარე სამყაროს შორის, 140 გრადუსს შეადგენს.

21. „და ვინჩის კოდში“, მთავარი როლის შესრულებისათვის, ტომ ჰენკსს 18 მილიონი დო-



ლარი გადაუხადეს და უფლება მისცეს, მთელი ცხოვრების მანძილზე უფასოდ ათვალეეროს ლუვრი.

22. სიმღერა „მილიონ, მილიონ, მილიონ ალის როზ...“ რაიმონდ პაულსის დაწერილია. ეს სიმღერა, ძალზე პოპულარულია იაპონიაში. ერთხელ, კომპოზიტორს, იაპონელ მზარეულთა 78-კაციანი დელეგაცია ეწვია. ტრადიციული იაპონური მისალმების შემდეგ, დელეგაციის წევრები დანკრივდნენ და დიდი ერთუბიანებით შეასრულეს ეს სიმღერა.

23. სეიშელის კუნძულების ჯგუფში შემავალი კუნძულ კაზმის მოსახლეობა, სულ რვა ადამიანისაგან შედგება. აქ არ ბინადრობენ ძაღლები, კატები და ვირთხები, რის გამოც, კუნძულზე იშვიათი ჯიშის ფრინველებია შემორჩენილი. ტურისტული სეზონის დროს, მოსახლეობა კუნძულს მთლიანად აქირავებს.

24. მალე გამოდის ბუბა კიკაბიძის ნიგნი სათაურით: „ლიცო კავკასკოი ნაციონალნოსტი“. ეს ნიგნი ასე იწყება: „იესლი ნავამი ბესედუტ ლიცო კავკასკოი ნაციონალნოსტი, ნა იაზიკ ვაშვი ნაციონალნოსტი, ნე შრიტაიტე ევო დუ-რაკომ, ზა აქცენტ ი ნეკოტორიე გრამატიჩესკიე ოშიბკი, პროსტო პომნიტე, შტო ეტო ლიცო ბესედუტ ს ვამი ნა ვაშემ იაზიკე, ეშრო პრეკრასნა ვლადეტ სვამ რადენიმ, კატორიმ ვი ვააბმე ნე ვლადეტე...“

25. პომპეუს სენეციონ როსციუს მურენა სექსტუს იულიუს ფრონტინუს სილიუს დეციუს გაიუს იულიუს ვერიტუს ჰერკულანუს ლუციუს ვიბულიუს პიუს ავგუსტუს ალბინუს ბელიციუს სოლერტუს იულიუს აპრიუს დეციუსუს პროკულუს რუტილიანუს რუფინუს სილიუს ვალენტუს ვალერიუს ნიგერუს კლავდიუს ფუსკუს საქსუს ურუტიანუს სოსიუს პრისკუსი, რომის კონსული გახლდათ. რომაულ კალენდარში, მისი სახელი ასეთი სახით იყო შეტანილი: „პომპეუს სენეციონი და ა.შ.“ — ზოგი ნათლია მოსაკლავია!...

ვუყვები და არც ის დამავინწყდება, რომ მისი ჩავარდნის ამბავი შენ დაგაბრალ-ოო. ჩიხში მოვექეცი. რალას ვინამდი?! იძულებული გავხდი, რომ დავთანხმებო-დი მის წინადადებას. ამის შემდეგ, ან-დრეი თვითონ მირეკავდა, კლიენტს მახ-ვედრებდა და ფულსაც კეთილსინდისი-ერად მიხდიდა...

**— 15-16 წლის ბავშვისთვის 10 ათასი დოლარი იოლად დასახარ-ჯავი არ უნდა ყოფილიყო...**

— კი, მაგრამ მე ის ფული არ დამიხ-არჯავს — მშობლებს გაუფხავანე და ვუთხარი, რომ ბიძაჩემმა მომცა.

**— სკოლაში სიარულს თავი დაანებე?**

— არა, სკოლაშიც დავდიოდი. გაკვეთილების შემდეგ კი, ანდრეის ხალხს ვემსახურებოდი. ძალიან განვიცდიდი ჩემს მდგომარეობას და ანისა მამაზე ვიყავი გაბოროტებული, მაგრამ ანისთან მაინც ვემეგობრობდი, რადგან ძალიან კარგი გოგონა იყო და თანაც, ჩემთვის არაფერი დაუშვავებია. მას ძალიან მოსწონდა ჩემი ცხოვრების სტილი და სულ მეხვეწებოდა, რომ ანდრეისთან შემეხვედრებინა. საბ-ოლოოდ, ისიც ანდრეის მსხვერპლი გახ-და, მაგრამ ვინაიდან ქალწული არ იყო, ანდრეი მასთან არ დანოლილა... მას შემ-დეგ, 15 წელი გავიდა და დღემდე, ან-დრეის ბადეში ვარ გაბმული. მან უკვე ლამის 60 წელს „მიუკაკუნა“, მაგრამ ძველ-ებურად კარგად გამოიყურება და ისევ იმ საქმეს მისდევს... ბიძაჩემისგან მაშინვე წა-მოვედი, როგორც კი სტუდენტი გახვდი და ცალკე ვცხოვრობ.

**— უმაღლესი განათლებაც მი-იღე?**

— რა თქმა უნდა. ფული საკმაოდ ბლომად მქონდა და რა შემისილიდა ხელს?! რომ იცოდეთ, მოსკოვში სტუდენტი როგორების უმეტესი ნაწილი გაორებული ცხოვრებით ცხოვრობს: დღისით, ჩვეუ-ლებრივი სტუდენტები არიან, ღამით კი — მეძაგები. თქვენ რა გგონიათ — მე ძალზე კარგი სამსახურიც მაქვს, რომელ-იც ერთ-ერთმა ჩემმა კლიენტმა მიმოვა

და კარგი ანაზღაურებაც, მაგრამ ჩემს ღამის ცხოვრებას არაფერი ეშველება, ვიდრე ანდრეი ცოცხალი იქნება... ხანდახან სურ-ვილი მიჩნდება, მივიდე და იქვე ჩავცხრი-ლო, მაგრამ ვერ ვახერხებ, რადგან ციხის მემშინია.

**— ოჯახი გაქვთ?**

— ახლა უკვე — აღარ. გათხოვილი ვიყავი რუს მამაკაცზე, რომელმაც იცოდა ჩემი საქმიანობის შესახებ, მაგრამ თანახმა იყო, რომ ოჯახი შეგვექმნა. მერე ერთმანე-თი მოგვწყინდა და დავშორდით. ჯერ მხოლოდ 30 წლის ვარ და ფიქრობ, რომ ცხოვრება წინ მაქვს. ალბათ, ყველაფერს დაადგება საშველი...

**— იქნებ, საქართველოში დაბ-რუნდე?**

— არა, მანდ დაბრუნების სურვილი არა მაქვს, რადგან ვიცი, რომ სამსახურს ვერ ვიშოვი და ვერც იმდენ ფულს, რამ-დენსაც აქ ვშოულობ...

*როდესაც ეგვიპტეში მცხოვრებ ალი მკვიდე ძორალს დაუუკავშირდი და მასთან ინტერვიუ ჩავიწერე, უიარაღოს „მამ-ლუქი“ გამახსენდა, სადაც ავტორი ხვიჩასა და გოჩაზე ამბობს: არც ერთი იყო — ფრანგი და არც მეორე — ეგვიპტელი, ორივე, ბედკრული საქართველოს შვილ-ები იყვნენ. აღის შემთხვევაში კი — პირი-ქითაა: ის ქართველი არ არის, ეგვიპტე-ლია, მაგრამ საქართველო საკუთარ სამ-შობლოდ მიაჩნია. რა მიზეზით მოხვდა იმ წერილში, სადაც უცხოეთში წასულ ქართველებზე გვაქვს ლაპარაკი, — ამას მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.*

— როდესაც 1963 წელს, ჩემი მშობლე-ბი საქართველოში ჩამოვიდნენ, მე 3 წლის ვიყავი. რა თქმა უნდა, არ მახსოვს, როგორ ვიმგზავრეთ და როგორ დავბინავდით თბილისში. არც დედა და არც მამა ქართუ-ლი არ იცოდნენ, მაგრამ მე ქართულ ბაღში მიმაბარეს. მშობლებმა მითხრეს, რომ თურ-მე, 3 თვეში უკვე ქართულად ვლაპარა-კობდი და ქართველ ბავშვებსაც მშვენივრად შევეუბნე. სკოლაშიც ქართულად ვსწავლობ-დი და ამავე ენაზე ვაზროვნებდი.

**— თქვენი მშობლები რა მიზნით ჩამოვიდნენ საქართველოში?**

— მამა გვირაბების მშენებელი იყო. საქართველოში ხანგრძლივი მივლინებით იყო ჩასული... მე უკვე უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, როდე-საც ჩემი მშობლები სამშობლოში დაბ-რუნდნენ. მეც შემეძლო, მათთან ერთად წამოსვლა და კაიროში სწავლის გაგრ-ძელება, მაგრამ დავრჩი. საქართველო მიყ-ვარდა და ახლაც მიყვარს. მაშინ, როდე-საც ჩემი მშობლები უკან ბრუნდებოდნენ, სამუდამოდ მანდ დარჩენა მქონდა გადა-წყვეტილი. ეგვიპტის შესახებ არაფერი ვი-ცოდი, გარდა იმისა, რაც ქართველების უმეტესობამ იცის. ქართულ ტრადიციე-ბზე აღვიზარდე. ჩემი მეგობრების მშობლე-ბი მასწავლიდნენ, როგორ უნდა მეცხ-ოვრა, როგორ უნდა მოვექცეულიყავი ამა თუ იმ სიტუაციაში. როცა თბილისში მარტო დავრჩი, მაშინ უფრო შევიგრძენი, რომ ნამდვილი ქართველი ვარ. მამა ძალზე გამინაწყენდა, მათთან ერთად რომ არ წა-

მოვედი ეგვიპტეში, მაგრამ სხვაგან ცხოვრება ვერც წარმომედგინა. მშობლებს შეეპირ-დი, რომ უნივერსიტეტის დამთავრები-სთანავე ჩავიდოდი მათთან, მაგრამ მხ-ოლოდ 15 წლის წინ მივიღე გადაწყვეტილე-ბა და კაიროში ჩამოვედი. ისიც იმიტომ, რომ მამა გარდაიცვალა, დედას კი მარ-ტო ვერ დავტოვებდი. ჩვენებური წესის მიხედვით, ქალი მარტო, მამაკაცის გარეშე, არ უნდა ცხოვრობდეს. მე კი დედისეურ-თა ვარ და იძულებული გახვდი, რომ დედასთან დავრჩენილიყავი. ასე რომ არ მოვექცეულიყავი, დედა ბიძაჩემს უნდა გაჰყ-ოლოდა ცოლად... საქართველოში ცხოვ-რებამ ჩემს მშობლებზეც დიდი გავლენა მოახდინა. დედას დიდი ხნის განმავლო-ბაში მანდ რომ არ ეცხოვრა, მისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იქნებოდა მახლზე გათხოვება, მაგრამ ქართულმა ადათ-წესმა მასზეც იქონია გავლენა და მთხოვა, რომ დავბრუნებულიყავი...

**— როგორ შეგეუთ სამშობლო-ში ცხოვრებას?**

— როგორც ყველა ქართველს, მეც მაქვს ნოსტალგია საქართველოს მიმართ. პირველად, ძალიან გამიჭირდა, როგორც კლიმატთან, ისე აქაურ პირობებთან შეგ-უება. ახლაც, ძალზე ხშირად ვისხენებ მთან-მინდას, წინანდალს, შუამთას და გული მწყდება, რომ საქართველო „უჩემოდ არ-სებობს“...

**— ოჯახი გაქვთ?**


— ეს გახლავთ კიდევ ერთი მტკივნეუ-ლი საკითხი, რომელზეც ლაპარაკი მიჭირს: საქმე ის არის, რომ თბილისში ცხოვრე-ბის დროს, ერთი ქართველი გოგონა მიყ-ვარდა. ჩვენი ურთიერთობა ვერ აენყო და ერთმანეთს დავშორდით. იმის შემდეგ, ვერავინ შევიყვარე, ამიტომ, უცოლოდ დავრჩი... აქ ჩამოსვლის შემდეგ, დედის დაჟინებული თხოვნით, დავეროწინდი. მყავს მოსიყვარულე მეუღლე და 2 შვილი, მა-გრამ გული მწყდება, რომ ჩემი ცოლი ქართველი არ არის.

**— ქართული არ დაგვიწყნიათ...**

— რას ამბობთ?! ქართული ჩემი მშობ-ლიური ენაა, საქართველო კი — ჩემი სამშობლო. ორივე ძვირფასია ჩემთვის და დაუვიწყარი. ჩემი ქართველი მეგობრები ყოველ ზაფხულს ჩამოდიან სტუმრად. თავდაპირველად, კაირო მოეწონათ, მა-გრამ მერე, მოიწყინეს და დღემდე ჩამჩი-ჩინებენ, რომ მეც საქართველოში დავბრუნდე.

**— მერე, რას ფიქრობთ?**

— სამწუხაროდ, საქართველოში მხო-ლოდ სტუმრად თუ ჩამოვალ. აქ ჩემი საქმე ნამოვიწყე და უკვე ვეღარ მივა-ტოვებ... ჩემს შვილებს ვუყვები ხოლმე, რომ არსებობს ასეთი ქვეყანა, საქართვე-ლო, სადაც საუცხოო ხალხი ცხოვრობს და ულამაზესი ბუნებაა. 7 წლის წინ ვიყავი ჩამოსული და როგორც ნამდვილი ქართველი, რომელიც დიდხანს არ ყოფი-ლა სამშობლოში, ისე „ვეხუტებოდი“ თბილისს. მე ეგვიპტელი ქართველი ვარ და მიყვარხართ, ქართველებო!..



ალი მეკმედ ქორალი — ეგვიპტელი „ქართველი“





# ამაოდ გაღებული მსხვერპლი

**„ამაოდ დავეხეტები ყველგან,  
სადაც გიო მეგულება...“**

ვის არ უყვარს, როდესაც სიყვარულს უხსნიან?!. პოდა, გამონაკლისი არც „გზავნილების“ ავტორი გახლავთ და ამჯერად, პირდაპირ ერთ-ერთი მკითხველის ორიგინალური მესიჯით დავიწყებ. „მარი, რით არის „გზავნილები“ იტალიის ან ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებზე ნაკლები? მე გთავაზობთ, რომ შეეკმნათ „გზავნილების“ ფანკლები და თავს დაედებ, რომ რუბრიკების მსოფლიო ჩემპიონატზე თასს მოიპოვებს. გვიყვარს-ართ“. ოჰ, ეს ფეხბურთის ყველა, მსოფლიო ჩემპიონატის ციებ-ცხელებით არის შეპყრობილი. მე პირადად, ფეხბურთის ყურებას, თეატრში წასვლა მირჩევნია, მაგრამ დამისახელოთ სპექტაკლი, რომელიც 100 ათას მაყურებელს მოაგროვებს... ამიტომ, შევეგუე აზრს, რომ ფეხბურთი სოციალური მოვლენაა, გადავწყვიტე, „მოდას აგყოლოდი“, საგულშემატიკროდ, პოლანდიის ნაკრები ავირჩიე და მათი მატჩების ყურებას მივყავი ხელი. ოთხივე თამაშს დიდი ყურადღებით ვუყურე, მაგრამ ჩემ მიერ გაღებული მსხვერპლი ამაო აღმოჩნდა და მეოთხე თამაშზე, მიუხედავად ჩემი გამამხნეველები შექახილებისა, ჩემმა ფავორიტმა გუნდმა პორტუგალიის ნაკრებთან 0:1 წააგო... ასე გამოვეთიშე მსოფლიო ჩემპიონატს პოლანდიასთან ერთად და გულდაწყვეტილი, „გზავნილების“ წერას მივუბრუნდი. პირველი რესპონდენტი ახალგაზრდა ქალბატონი გახლავთ, რომელსაც მართლაც რომ დიდი მსხვერპლი გაუღია სასურველი მამაკაცის გულის დასაპყრობად, მაგრამ — ამაოდ...

**მარი ჯაჟარიძე**  
**სიტამაზე მსხვერპლს  
მოითხოვს**  
„გამარჯობა! მე თათული ვარ. ჩემ-  
და საუბედუროდ, ამ 3 წლის წინ, ერთი  
ძნელად მოსარჯულებელი მამაკაცი შემე-

ყვარდა. რა თქმა უნდა, ვერ ვუბედავ-  
დი გრძნობის გამხელას, მაგრამ ვი-  
ნაიდან ბევრი საერთო მეგობარი გყავ-  
და და ხშირად გვინევდა შეხვედრა, ის  
თვითონაც მშვენივრად ხვდებოდა ყვე-  
ლაფერს. მისგან არავითარი საპასუხო  
რეაქცია არ მიგრძნია. გულის ტკივილი-

ბი დამეწყო, ისე განვიცდიდი მის გულ-  
გრილობას. რაღას არ ვაკეთებდი, რომ  
მისი ყურადღება მიმეპყრო. ის კი შანსს  
არ უშვებდა ხელიდან, რომ ჩემი თან-  
დასწრებით, სხვა გოგონას არ გაარ-  
შიყებოდა. ხშირად ყოფილა ისეც, რომ  
ჩემს გასაგონად დაუწყია სხვისი ქება  
— ნახე, რა მაგარი მკერდი აქვს, ნახე,  
რა ფეხებიო!.. გულზე ვსკდებოდი.  
არავისზე ნაკლები ფეხები არ მქონდა,  
მაგრამ მკერდი ჩემი ყველაზე სუსტი  
წერტილი გახლდათ, რადგან „ამსიგრძე“  
ქალს (178 სმ ვარ), ერთი ბენო მკერდი  
მქონდა და რაც ნამოვიზარდე, სულ  
ბამბებს ვიტენიდი აზღუდში, რომ ცოტა  
დიდი მკერდი გამომჩენოდა. ძალიან  
განვიცდიდი ზურას ნათქვამ ნებისმი-  
ერ ფრაზას, რომელიც მკერდს ეხებო-  
და. ის კი სხეულის სწორედ ამ ნაწილს  
უსვამდა ხოლმე ხაზს... ბევრი ვიფიქრე,  
რა გამეკეთებინა და გადავწყვიტე, პლას-  
ტიკური ოპერაციისთვის ფული შემე-  
გროვებინა და ერთ მშვენიერ დღეს,  
ზურას წინაშე უზარმაზარი მკერდით  
წარვმდგარიყავი... მთელი წელი დამ-  
ჭირდა ფულის მოსაგროვებლად და  
როგორც იქნა, დადგა ის ნანატრი დღე,  
როცა კლინიკაში ამ არცთუ ისე სა-  
სიამოვნო პროცედურის ჩასატარებლად  
მივედი. ისეთი ტანჯვა გამოვიარე, რომ  
ენით ვერ აღწერ. ოპერაციის შემდგო-  
მი პერიოდი საკმაოდ მტკივნეული და  
დამქანცველია. მთელი 3 კვირის გან-  
მავლობაში ვიშუშებდი ჭრილობებს და  
შინიდან არ გამოვდიოდი. როგორც  
იქნა, ჩემი სხეული ჩვეულებრივ ფიზი-  
ოლოგიურ მდგომარეობას დაუბრუნ-  
და. ძალიან მომწონდა ჩემი „წი ზომა“  
მკერდი და წარამარა ვაკვირდებოდი  
სარკეში... ახალი ტანისამოსი შევიძინე,  
რომელიც ჩემს უზადო მკერდს უსვამ-  
და ხაზს და მოვეშაადე ძველ ნაცნობეთ-  
ან შესახვედრად. რა თქმა უნდა, ყვე-  
ლას თვალში მოხვდა უცებ გაზრდილი  
მკერდი და აღფრთოვანებას ვერ  
ფარავდენე. ერთი სული მქონდა, რო-  
დის შევხვდებოდი ზურას და თავს მოვ-  
ინონებდი ჩემი ახალი „შენაძენით“.  
როგორც იქნა, ეს ნანატრი დღეც დად-  
გა. მეგობრები შევიკრიბეთ და განგებ,  
ყველაზე გვიან მივედი. რომ დამინახეს,  
დიდი აღფრთოვანებით შემხვდნენ და  
რა თქმა უნდა, არც ჩემი მკერდი დარ-  
ჩენიათ შეუმჩნეველი... არ დამიმაღავს,  
რომ ეს მშვენიერება ხელოვნური იყო.  
საპასუხოდ კი, ისეთი რამ მოვისმინე,  
რომ სიკვდილი მომინდა — რა  
საშინელებაა, სილიკონიანი მკერდი,  
გინდ მკვდარს მოჰფერებხარ და გინდ  
სილიკონს, მე ასეთ ქალს ახლოსაც ვერ  
გავეკარებო... — ეს ზურას ხმა იყო,  
რომელმაც ადგილზევე გამაშუშა და ხმაც  
ველარ ამოვიღე... იმ დღის შემდეგ,  
მასთან ურთიერთობას გავეურბოდი.  
მერე ერთმა მშვენიერმა მამაკაცმა დამ-  
აღგა თვალი და გავეთხოვი კიდევ-  
თითქოს ბედნიერი ვარ, მაგრამ სადღაც,  
გულის სიღრმეში მაინც მიყვარს ზურა.

თუმცა მსხვერპლი ამაოდ გავიღე და ზურას სიყვარული ვერ მოვიპოვე, მაგრამ ალბათ, ყველაფერი მაინც ბედაა, რადგან ჩემი ქმარი სწორედ მკერდით მოვხიბლე...“

ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს, ამას ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში გვასწავლიდნენ იმ მწყემსის მაგალითზე, რომელიც ტყუილად გაიძახოდა — ვაიმე, მგელი, ვაიმე, მგელიო!.. მაგრამ თუ ეზოში ფეხბურთის თამაშს შეჰყევი, სწორედ ის გაკვეთილი გააცდინე და არ გაგიგია, როგორ შეუჭამა მატყუარა მწყემსს ცხვრები მგელმა, მაშინ ალბათ, ტყუილიც გეპატიებოდა... ამბავი იმისა, თუ რა სარგებლობა მოაქვს ინტერნეტს, როცა მსხვერპლს იღებ და ტყუილს ამბობ.

**ბათუმელი მსხვერპლი**

„დიდი ხნის ოცნება ავიხდინე და როგორც იქნა, სამსახურში კომპიუტერი დამიდგეს. რა თქმა უნდა, სპეციალური კურსები გავიარე და კომპიუტერი კარგად შევისწავლე. მასწავლებელს არც ის დავინიყებია, რომ ესწავლებინა, სად უნდა მესათავა. ჰოდა, რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთი ბათუმელი გოგო გავიცანი. კარგა ხნის ვირტუალური ურთიერთობის შემდეგ, ჩემთან სახლში დავვატიყე, რა თქმა უნდა — მაშინ, როცა ჩემი მშობლები შინ არ იყვნენ: ერთი კვირით სოფელში წავიდნენ... ჯერ დაიმორცხვა, მაგრამ მერე დამთანხმდა და მალე მესტუმრა კიდევ. მშვენიერი გოგონა აღმოჩნდა, ქერა და ცისფერთვალეა. გამიხარდა მისი დანახვა. მასაც მოვეწონე. ერთი დღე დარჩა ჩემთან, ორი, სამი... წასვლას არ ჩქარობდა. მე ჩაკეტილი ვიყავი მასთან ერთად სახლში და გარეთ მხოლოდ პროდუქტის საყიდლად გავდიოდი. ჩემი მშობლების ჩამოსვლის დრო მოახლოვდა. იძულებული გავხდი, რომ რამენაირად ის გოგო სახლიდან გაემხვა. ჩემს მეგობარს დავუთხარე და ვთხოვე, რომ დამხმარებოდა. მან სახლში დამირეკა უფროსის სახელით და მითხრა, რომ ხვალ მივლინებაში უნდა წავსულიყავი. იმ ღამით, თვალცრემლიანმა გავაცილე ჩემი ახალი ნაცნობი ბათუმის მატარებლამდე. კარგა ხანი ვუქნევდი ხელს მიმავალ მატარებელს და თვალს რომ მიეფარა, სიხარულისგან შევიკუნტრუე... მოკლედ, მეორე დღეს, ჩვეულებისამებრ, სამსახურში მივედი და ისევ გავხსენი ის საიტი, სადაც ეს გოგონა გავიცანი. იქ, რა თქმა უნდა, ნითელი ნიშანი აინთო, იმის დასტურად, რომ კომპიუტერთან ვიჯექი და ისევ ვილაცას ველაპარაკებოდი. ბათუმელი ისევ დამეკონტაქტა და საყვედური მითხრა — აკი, მივლინებაში მიდიოდი?! შენ ისევ სამსახურში ხარო?... რალას ვეტყოდი? ერთადერთი, რაც მოვიფიქრე, ის იყო, რომ იქ, სადაც მივლინებით ვიყავი, კომპიუტერიც იყო

და ინტერნეტიც... გოგონამ შვებით ამოისუნთქა და მიპასუხა — კიდევ კარგი, მე კი ვიფიქრე, რომ მატყუებდი და გული მეტკინა... შენ ერთადერთი მამაკაცი ხარ, ვინც არ მომატყუაო... ცოტა კი შემრცხვა, მაგრამ მალევე დავივიწყე... ამ შემთხვევაში, მისგან ამაოდ გაღებულ მსხვერპლზე მიწოდება მომეყოლა... კარგად!“

ჯერ არ შევხვედრივარ ადამიანს, ვინც ხელფასის მომატებაზე არ ოცნებობს. თუ ძალიან ბევრს იჩალიჩებთ, შესაძლოა, შეფმა მსხვერპლი გაიღოს და გამოსტყუოთ კიდევ მაღალი ანაზღაურება. მაგრამ საინტერესოა, რამ უნდა აიძულოს ადამიანთა ჯგუფი, რომ ძველი ანაზღაურება ამოიხიროს და ამასთან, კომპენსაცია — მომატებული ხელფასით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. ამის შესახებ ჩვენი მომდევნო რესპონდენტი გვიყვება.

**საინტერესო განცხადება**

„ერთ-ერთ კერძო სტრუქტურაში ვმუშაობ. დიდი ხანია, თანამშრომლები ვიბრძვით იმისთვის, რომ ხელფასი მოგვიმატონ. ერთ მშვენიერ დღეს კი გამოგვიცხადეს, რომ მომდევნო თვიდან, გაორმაგებულ თანხას გადაგვიხდინდნენ. რა თქმა უნდა, გაგვიხარდა. წინასწარ მაღარიჩიცი კი გადავიხადეთ და რესტორანში მოვიღვინეთ... მოვიდა გაზრდილი ხელფასის ალბის დრო, მაგრამ... იმაზე ნაკლები თანხა ავიღეთ, ვიდრე წინათ გვიხდინდნენ. ავსმაურდით, ავყიყინდით და შეფს მივადექით. მან კი ბულალტერი გამოიძახა და მიზეზი ჰკითხა. ახსნა ასეთი იყო — ხელფასის გაზრდასთან დაკავშირებით, მოხსნა პრემიები და ხელფასის დანაშაულები, რომლებიც არსებული ხელფასის გაცემის დროს არსებობდა... მოკლედ, რა მივიღეთ? გაზრდილი ხელფასი წინანდელზე მცირე იყო. გადაწყვედა, რომ ჩვენს ძველ ანაზღაურებას დაგვიბრუნებდნენ და კომპენსაციასაც გადაგვიხდინდნენ, გაზრდილი ხელფასით მოყენებული ზარალის გამო. საინტერესოდ გამოიყურებოდა ბრძანება, რომელიც ჩვენთვის კომპენსაციის გაცემას შეეხებოდა: მიეცეს ზარალის ანაზღაურება იმ თანამშრომლებს, ვინც ხელფასის მომატებისას დაზარალდა. ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს. ჩვენმა შეფმა სულ ამაოდ გაიღო მსხვერპლი“.

**ბუმერანგი**

„კარგ დროს, როდესაც კარგი სამსახური მქონდა, რამდენიმე თანამშრომელი მივლინებით გავგზავნე ტულაში. ჩვენ მეგობრები ვიყავით და მეტი რა გვინდოდა?! მთელი კვირა მაგარი დრო ვატარეთ, მაგრამ წამოსვლის წინადღეს, ჩემმა მეგობარმა სწორედ ის ქალი დაითრია, რომელზეც თვალს მქონდა დადგმული. რა თქმა უნდა, გავბრაზდი, მაგრამ რალას ვიზამდი?! გადავწყვიტე, გაჭუმრებოდი და

სამაგიერო გადამეხადა. გავიღე მსხვერპლი და მისი პიჯაკის ჯიბეში გაუხსნე-ლი პრეზერვატივი ჩავდე, რომელიც ძალიან კარგი ხარისხის იყო და განსაკუთრებული შემთხვევისთვის ვინახავდი. წინასწარ ვტკებოდი იმის წარმოდგენით, თუ როგორ ნახავდა მისი ცოლი ამ „საქველო ნივთს“ და როგორ გაუმწარებდა სიცოცხლეს. ამბავი კი, ასე განვითარდა: რამაზის ცოლმა, რა თქმა უნდა, ჩემი საჩუქარი აღმოაჩინა და დონეზემოცირილი დაადგა ქმარს თავზე. რამაზი მაშინვე მიხვდა, რომ ჩემი გაჩალიჩებული იყო, არ დაიბნა და ცოლს კარგი ზღაპარი უამბო — თითქოს თვითმფრინავით ფრენის დროს, სტიუარდესამ გამოაცხადა, რომ თურმე, ტულაში სიფილისი მქონვარებდა და ყველას თითო-თითო პრეზერვატივი ჩამოურიგა, მე კი მისი არსებობაც დამავინცდა და უკან ჩამოვიტანე — ხომ ხედავ, ცოლი როგორი ერთგული კაცი ვარო... გახარებულმა რამაზის მეუღლემ ჩემს ცოლთან დარეკა და ქმრის მიერ მოყოლილი ზღაპარი სიტყვასიტყვით უამბო. ჩემმა ცოლმაც გამიჩხრიკა ჯიბეები და რა თქმა უნდა, ვერაფერიც ვერ აღმოაჩინა, რადგან ჩემზე არავის უზარუნია... შინ მისულს კი, ისეთი დღე დამადგა, რომ — მტერს!.. აი, ასე ამაოდ გავიღე მსხვერპლი მეგობრისთვის და ისევ მე გავიჭედე...“

**ჩემი „ზაპოროჟეცი“**

„ერთი ჩემი მეგობარი, თავისი დღე და მოსწრება, მანქანის ყიდვაზე ოცნებობდა. როგორც იქნა, დაადგა საშვე-ლი და 40 წლის ასაკში, ერთი დანგრეული „ზაპოროჟეცი“ იყიდა. ჯერ რამდენიმე დღე ეზოში იდგა ის მანქანა და ზაზა შიგ იძინებდა. ისე მოსწონდა, რომ ღამეც ვერ ელეოდა. მერე, „პროფილაქტიკაში“ წაიყვანა და მთელი 6 თვის განმავლობაში, ყოველ დღით, როგორც სამსახურში, ისე დადიოდა იმ „პროფილაქტიკაში“. თითქმის ყველა წაწილი გამოუცვალა და ერთი „ზაპოროჟეცი“ ლამის „მერსედესის“ ფასი დაუჯდა. თან, ერთი სული ჰქონდა, როდის გამოიყვანდა „კაპრემონტიდან“, რომ საქვსთან დამჯდარიყო და ქალაქში გაესერნა. როგორც იქნა, დადგა ის დღეც, როცა თავისი „მერა-ნი“ უნდა წამოეყვანა. წინადღეს დამირეკა და მთხოვა, რომ ჩემი მანქანით გავყოლოდი, რადგან გამოცდილი მძღოლი არ იყო და მართო სიარულის ეშინოდა. მოკლედ, დღით მივედით „პროფილაქტიკაში“ და მისი გარდაქმნილი „ზაპოროჟეცი“ წამოვიყვანეთ. ის წინ მიდიოდა, მე კი, ჩემი ჯიბით უკან მიყვებოდი. მეტრო „წერეთლთან“, შუქნიშანზე უნდა გავჩერებულიყავით. მის წინ მიმავალმა „ოპელმა“ ძალზე უშნოდ დაამუხრუჭა, მაგრამ ზაზამ მოასწრო და მანქანა ისე გააჩერა, რომ „ოპელს“ არ შეხებია. სამაგიეროდ, მე ვერ გამოვიჩინე პროფესიონალიზმი და

მის „ზაპოროჟეცს“ საკმაო ძალით დავ-  
ეჯახე. მისი უკანა მხარე სულ შეიჭყლ-  
იტა და ისე გადასწორდა, თითქოს,  
არც ჰქონია, ჩემს ჯიპს კი, არაფერი  
დასტყობია... ორივენი მანქანებიდან  
გადმოვედით და მისი მანქანის „უკა-  
ნალს“ შევეყურებდით. მერე, ზაზამ სა-  
ცოდავი თვალებით შემომხედა და ნალე-  
ლიანი ხმით მითხრა — დათო, ახლა მე  
„ნივა“ მყავს? — რაღას ვიზამდი? ავდ-  
ექი და ერთი მოძველებული „ნივა“ ვყუ-  
იდე..“

**მატყუარა**

„გიო მობილურზე შემთხვევით „გადა-  
ეყარა“ ძალიან ლამაზი ხმის მქონე გოგ-  
ოს. მას შემდეგ, დღეში 10 ლარის  
„მონო“ არ ჰყოფნიდა მასთან  
სალაპარაკოდ. მაგრამ მაინც,  
5 თვე ისე გაილია, რომ ლალი  
შეხვედრაზე ვერაფრით  
დაითანხმა. ამის გამო, კიდევ  
უფრო გახელდა, რადგან  
ფიქრობდა, რომ იშვიათი სი-  
ლამაზის, ჭკვიანი და თავდა-  
ჯერებული გოგონა არგუნა  
ბედმა... თვითონ საკმაოდ  
მიმზიდველი მამაკაცია: 29  
წლის, მაღალი, ათლეტური აღ-  
ნაგობის, მწვანე თვალებითა და  
შავი ქოჩრით. და აი, დადგა  
მათი შეხვედრის დრო. გიო  
შავი ვარდებით ხელში, მან-  
ქანიდან გადმოვიდა და სანუკ-  
ვარი ადამიანის მოლოდინში,  
წინ და უკან სიარული დაიწ-  
ყო. უეცრად, მზერა გაუშეშ-  
და: მის წინ დაბალი, საკმაოდ  
ჩასკვნილი, ასე, 35-40 წლის  
ქალი იდგა და მორცხვად  
იღიმებოდა... გაირკვა, რომ  
ქმარშვილიანს, ერთფეროვანი  
ცხოვრება მოჰბეზრებია და  
ფლირტს შეჰყოლია... გიო  
უსმენდა მის ხმას და რწმუნ-  
დებოდა, რომ მისი ოცნებები  
ჩაიფერფლა... ასე გაიღო ამაო  
მსხვერპლი უცნობი ქალის  
გამო. ამ ამბის შემდეგ, 6 თვე  
გავიდა, მაგრამ იმ ხმის  
მონატრებამ ჯერ კიდევ არ  
გაუარა, ტკივილი კი, ტკივილად დარ-  
ჩა. გიოს მეგობარი, თეონა“.

**„გაუმარჯოს ტუპობისს“**

„ტაქსის მძღოლი ვარ. ჩვენი პრო-  
ფესია იმით გახლავთ საინტერესო, რომ  
ათასი ჯურის ხალხთან გვიწევს კონ-  
ტაქტი. ბევრი გიჟია, ბევრიც — ჭკვი-  
ანი, მაგრამ თავისებურად, ყველა საინ-  
ტერესოა. ერთ მშვენიერ დღეს, უფრო  
სწორად — გვიან ღამით, უკვე შინ  
წასვლას ვაპირებდი, როდესაც გზაზე  
ასე, 35-ოდე წლის წასვამი მამაკაცი  
შევნიშნე. შემეცოდა და გაუჩერე. საკ-  
მაოდ შორი რაიონი დამისახელა, მა-  
გრამ რადგან გაუჩერე, უარი აღარ  
ვუთხარი და ჩემი სახლის საპირისპირო  
მხარეს წავედი. როგორც იქნა, ადგ-

ილზე მივიყვანე და დადგა ფულის გადა-  
ხდის დრო. ამოიღო მობილური ტელე-  
ფონი, რაღაც ციფრები აკრიბა და  
ხმამაღლა მესმის: თქვენს ანგარიშზე  
დარჩენილია 100 ლარი და... გაცე-  
ბულმა შეეხედე. მთვრალმა ენა ძლივს  
მოატრიალა და მეუბნება — „აქ-ქედან  
შეგ-გიძ-ძლია, ფ-ფული ამოიღო?..“ რა  
თქმა უნდა, ვერ ამოვიღებდი, ამიტომ  
ავდექი და უკან წამოვედი. ეს არ არის  
ამაოდ გაღებული მსხვერპლი?..“

**ველოსიპედისტი**

„მე და ჩემი მეგობარი რაჭიდან მოვ-  
დიოდით. ნაქეიფრები ვიყავით და ნელა  
ვმოძრაობდით. უკვე საღამო ხანი იყო  
და ბნელოდა. ტყიბულს გამოვცდით



თუ არა, გზის პირას დაგდებული  
ველოსიპედი შევნიშნეთ. მის გვერდით  
კი კაცი იყო ნაქცეული. ვიფიქრეთ,  
რომ მანქანა დაეჯახა და საშველად  
გაჩერდით. კაცი ასე, 30 წლის იქნე-  
ბოდა და უგონოდ მთვრალი გახლ-  
დათ. როგორც ჩანს, ველოსიპედიანად  
ნაიქცა და ჩაეძინა. გადაწყვიტეთ, გა-  
მოგვეფხიზლებინა და სახლამდე მიგვეყ-  
ვანა. როგორც იქნა, გონს მოვიყვანეთ,  
მანქანაში ჩავსვით, მისი ველოსიპედი  
საბარგულში მოვათავსეთ და მისამარ-  
თი ვკითხეთ. თერჯოლაში ვცხოვრო-  
ბო, — გვიპასუხა, სახლიც მიგვასწავ-  
ლა და თავისი ვინაობაც გაგვიმხილა.  
ცოტა ხანში, მისი არსებობაც დაგვავი-  
წყდა. გორს რომ მივუახლოვდით, მა-  
შინ გაგვახსენდა ჩვენი მგზავრი და უცებ

დავამუხრუჭეთ. დაახლოებით 250 კი-  
ლომეტრით „გაცვდით“ თერჯოლას.  
რაღას ვიზამდით?! გავაჩერეთ მანქანა  
და მძინარე მგზავრი შუალამისას, გორის  
ტრასაზე ჩამოვსვით, ჯიბეში 50 ლარი  
ჩავედეთ და წამოვედით... არ მასვენებდა  
იმ კაცზე ფიქრი, თუ რა ბედი ენია.  
მეგონა, რომ მგლები დაგლეჯდნენ. ამ-  
იტომ, ერთ მშვენიერ დღეს, ისევ იმ  
მეგობართან ერთად, საგანგებოდ წავე-  
დი თერჯოლაში. მოვიკითხე ჩვენი უნ-  
ებლიე მგზავრი და სახლსაც მივაგენით.  
შინ დაგვხვდა, მაგრამ რაღა თქმა უნდა,  
ვერ გვიცნო. რადგან საღ-სალამათი  
დავინახეთ, უკვე სანერვიულოც  
ალარაფერი იყო და უკან გამოვბრუნ-  
დით. აი, ასე გავივლეთ მსხვერპლი უც-  
ნობი ადამიანისთვის, ალბათ — ამაოდ,  
რადგან დარწმუნებული ვარ, თუ ყვე-  
ლაფერს გაიხსენებდა, აუცილებლად  
შეგვიკუთრებდა“.

**მაგარი ექიმი**

„ჩემი ამბავი „დიდი ხნისაა“ და  
ერთ ქალს უკავშირდება... სამედი-  
ცინო ინსტიტუტის სტუდენტი  
ვიყავი. თან, ჩემზე უფროს  
ქალს ვაბამდი კარგა ხნის გან-  
მავლობაში. როგორც იქნა,  
„კონსენსუსს“ მივალწიეთ —  
დავითანხმე, მაგრამ სამწუხ-  
აროდ, ეს ჩემს საგამოცდო  
პერიოდს დაემთხვა. ვინაი-  
დან მთელი წლის განმავლობა-  
ში არაფერს ვაკეთებდი,  
გამოცდის წინაღობა ვემც-  
ადინებოდი ხოლმე. ამჯერად,  
ცუდ დღეში აღმოვჩნდი: მე-  
ორე დღეს, „ინფექციური  
დაავადებები“ უნდა ჩავაბა-  
რო, იმ ღამით კი, საოცნებო  
ქალი თავისთან მისმოხდა.  
არჩევანი, რაღა თქმა უნდა,  
ქალის სასარგებლოდ გავა-  
კეთე და მეორე დილით,  
გამოცდაზე გამოუძინებელი  
და არაფრის მცოდნე მივე-  
დი... ბილეთი ავიღე და ვხე-  
დავ, ჩემთვის აბსოლუტურად  
უცნობი სიტყვა — „ჰიმენო-  
ლიპიდოზი“ წერია. წინასწარ გეტყვით,  
რომ ეს გახლავთ ნაწლავის ჭია (ახლა  
ვიცი, თორემ მაშინ აზრზე არ ვიყავი).  
მთელი გონება დაეძაბე და ვცადე, გამეხ-  
სენებინა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო...  
გამოსავალი ვიპოვე: ლათინურს თუ მო-  
ვიშველიებდი, გამოდიოდა, რომ „ჰი-  
მენი“ ნიშნავდა საქალწულე პაპს, ხოლო  
„ლიპიდოზი“ — „ცხიმის დაგროვებას“  
(ჩემეული თარგმანით, რა თქმა უნდა).  
ვინაიდან „დავადგინე“, რა დაავადება  
იყო ჰიმენოლიპიდოზი, უკვე გამადა-  
ვილდა მისი სიმპტომებისა და კლინი-  
კური ნიშნების დადგენაც. ისე დამა-  
ჯერებლად ვილაპარაკე დაავადებასა და  
მისი მკურნალობის მეთოდებზე, რომ  
ლექტორი გაცილებული მიყურებდა.  
ბოლოს, თავი ველარ შეიკავა და ახ-  
არხარდა... რა თქმა უნდა, ნიშანი ვერ

მივიღე, მაგრამ დასამშვიდებლად, ჩემს ტურფასთან გავემართე. მაგრამ აღარც მან მიმიღო და დავრჩი ასე, უნიშნოდ და უქალოდ. მსხვერპლი სულ ამაოდ გავიღე“.

**„ჩვენ გვიცავს ჩვენი პატრული“**

„ამჟამად, პატრულში ვმუშაობ, მაგრამ აქ სრულიად შემთხვევით მოხვედრი. ასე ვთქვათ, მსხვერპლი გავიღე, რადგან ერთი გოგო მიყვარდა და მამამისს აუჩემებია — ჩემი სიძე მხოლოდ პატრულის თანამშრომელი იქნებოდა. რა უნდა მექნა?! სიყვარულის გულისთვის ხალხი თავს იკლავს, სანამლავეს სვამს, ხიდიდან ხტება, ზოგი ოჯახსაც კი ანგრევს და რა გახდა პატრულში მუშაობის დაწყება-მეთქი?! ავდექი და შევიტანე განცხადება. მიმიღეს და ჩემს სისხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ თურმე, სულ ტყუილად მიხაროდა, რადგან ჩემმა შეყვარებულმა სხვა აირჩია და გათხოვდა. მე კი შევრჩი პატრულში და დღემდე აქ ვმუშაობ... ახლა კი მინდა, ერთი კურიოზი მოგიყვებო. მე და ჩემი მეგობარი ვპატრულირებდით. სულ რამდენიმე კვირის დაწყებული გვეკონდა მუშაობა და წესიერად ვერც ვერკვეოდით იმაში, თუ რა გვევალებოდა.

მეგობარო, მძლოლი მე ვარ და ექსპერტიზა მგზავრმა უნდა გაიაროს თუ მძლოლმარ?... მხოლოდ ამის შემდეგ დავაკვირდი, რომ მანქანას საჭე მარჯვნივ ჰქონდა... კარგად ვიცინეთ და ერთმანეთს მშვიდობიანად დავმორდით“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

**„ვიგოდნიკი“ და საფრთხობელა**

„ადრე, ერთი ბიჭი მიყვარდა. ჩემი დაქალის ფანჯრები მის სახლს უყურებდა. აივნიდან მისი ოთახი კარგად ჩანდა. მეც, მეტი რა მინდოდა?! მთელი ზამთარი, ღამეებს მისი ფანჯრის ყურებაში ვათუნებდი, მაგრამ — ამაოდ: ვერც ის ბიჭი ვნახე და ფილტვების ანთებაც ავიკიდე. თან, მშობლებს ვატყუებდი, ვითომ მე და ჩემს დაქალს სამეცადინო გვექონდა და აღარც მეცადინეობა გამოგვივიდა“.

„ამაოდ გაღებული მსხვერპლი არ არის, ნევროზი რომ ავიკიდე, იმ ადამიანის გულისთვის, რომელიც არც კი მიცნობს?! ქუთაისელო დათო ნიქაბაძე, ძალიან მიყვარხარ. თვალები ფართოდ გაახილე!“

„კახა უზომოდ მიყვარდა და ახლაც მიყვარს, მაგრამ — ამაოდ... მისთვის უამრავი მსხვერპლი გავიღე, თავის

„დიდი მსხვერპლი გავიღე, როცა ჩემს მატყუარა ქმარს ყველაფერი ვაპატიე. ვიფიქრე, გამოსწორდება, ძველებურად ვიცხოვრებთ, წარსულს აღარასოდეს გავიხსენებთ-მეთქი, მაგრამ მწარედ მოვტყუედი... თქვენი მუდმივი მკითხველი, თეა“.

„ეჰ, მარი, რაც მე შენთვის მესიჯები შემინირია მსხვერპლად, ამ მესიჯის ჩათვლით, იმას ვინ ან რა დათვლის?! „მესიჯთხვერპლია“ ხარ შენ!“

„ეჰ, ვინ მოთვლის, ჩემ მიერ ამაოდ გაღებულ მსხვერპლს?! ამაოდ დავხეტები ყველგან, სადაც გიო მეგულებს, მაგრამ მხოლოდ ტუფილი გაცვდა, გული კი — გაიბზარა... ნუციკო“.

„ჩემი მეგობარი სიგარეტის მალულად ეწევა. იტალიურ ეზოში ვცხოვრობთ და მეზობლები ერთმანეთთან დაუკავუნებლად შეედივართ. ერთხელ, ამ გოგონასთან მარტო ვიყავით და როგორც ყოველთვის, სიგარეტის ღერი პირში გაიჩხირა. შეცვრად, კარის გაღების ხმა გავიგონეთ. მას დედამისი ეგონა და ისე დაიბნა, რომ სიგარეტი მე მომანოდა. ინსტინქტურად გამოვართვი და მწველივით მოვიმარჯვე. ამ დროს, დედაჩემი შეგვჩა ხელში. ფერი დავკარგე, მაგრამ დედაჩემმა იმდენი მიბრაზუნა, რომ მალევე მომიყვანა „ნითელ ფერზე“... ძლივს დავაჯერე, რომ არ ვენევი. ამაზე მეტი, ამაოდ გაღებული მსხვერპლი რაღა გინდათ?! ანუკა“.

„მართლაც, ამაოდ გავიღე მსხვერპლი, მაგრამ ვის დავბარალო, ჩემი უტყურო თავის გარდა?!. დათო რ-ძე, შენ მართლა ბოსტნის საფრთხობელასთან უნდა იწვე და წევხარ კიდევ, მეტის ღირსი არ ხარ, დაუნახავო „ვიგოდნიკო“.

„ამაოდ გაღებული მსხვერპლი არ არის?... თმა მისი გულისთვის გავიზარდე, კაბებიც დავიგრძელე, შინიდან ხომ, მის უკითხავად არ გავდიოდი... მან კი, უკომენტაროდ მიმატოვა“.

„მართლაც, ამაოდ გავიღე მსხვერპლი: ლევანწოს თხოვნით, საქართველოში დავრჩი. სიყვარულს მეფიცებოდა და მეც დავიჯერე, რომ უჩემოდ სიცოცხლე არ შეეძლო. ახლა ვზივარ და რქები ამომდის. ის მუსუსი კი, ალბათ, მორიგ სულელს „აბოლებს“. თათული“.

„გზის“ მომდევნო ნომრის გამოსვლის დღისთვის, რუბრიკას არსებობის 3 წელი შეუსრულდება. ამიტომ, თემად გთავაზობთ: რა სარგებლობა მოაქვს „გზაპნილს“? გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61. მოგვეწერეთ იმ ამბების გაგრძელება, რომლებიც ჩვენს რუბრიკაში უკვე დაიბეჭდა. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.



ერთი, რაც ვიცოდით, ის იყო, რომ მთვრალი მძლოლის დაჯარიმების უფლება გვექონდა. გავაჩერეთ ჯიპი. მივუახლოვდი მძლოლის მხრიდან, საფეთქელთან ხელი მივიტანე, წარვუდგინე თავი, როგორც საჭიროა და საბუთები მოვთხოვე. ისეთი სასმლის სუნი შემომაფრქვია, რომ კინაღამ წამაქცია. ექსპერტიზაზე წამობრძანდით-მეთქი, — ვუთხარი. ნაჯიუტდა, არა და არ წამოვალ. ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმე. ამ დროს, მის გვერდით მჯდომი მგზავრი, სრულიად ფხიზელი ხმით მეუბნება —

მოკვლაც კი ვცადე, მაგრამ საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, გადამარჩინეს. მიყვარს და მეყვარება სიცოცხლის ბოლომდე. ფისო“.

„რა საჭიროა ესოდენი ძალისხმევა, როცა ყველაფერი საუკეთესო მოულოდნელად ხდება?! იქნებ, არ დარჩეს ამაოდ ეს ლოდინი, დათო?... იქნებ, მოხვიდე?... ნინო“.

„ჩემი შეყვარებულის გულისთვის სიგარეტსაც შევეშვი და ტოტალიზატორში სირბილსაც. მან კი, ჩემს საუკეთესო ძმაცაცში გამცვალა. ლეო“.



10 ივლისს, აბიტურენტებისთვის საგამოცდო ციებ-ცხელება იწყება. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა უკვე დაასრულა რეგისტრირებულ აბიტურენტთა მონაცემების ბაზის ფორმირება, რომლის თანახმადაც, წელს უმაღლესი განათლების მისაღებად, 32479 კანდიდატი იბრძოლებს. უკვე გამოიკვეთა 20 ყველაზე რეიტინგული ფაკულტეტი, მათ შორის ლიდერობს ბიზნესის მართვის ფაკულტეტი, შემდეგი პოზიცია სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს უკავია, მესამე ადგილზეა — ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. შარშანდელი „ლიდერი“ — სამართლის ფაკულტეტი წლეულს, სარეიტინგო კიბის მეოთხე საფეხურს დასჯერდა. რომელი პროფესიების სასარგებლოდ აკეთებენ აბიტურენტები არჩევანს და რატომ გაახსენდათ წლების წინ მიფენილი დარგები — ამის გარკვევა ეროვნული გამოცდების ლოჯისტიკის ცენტრის ხელმძღვანელთან, თამარ თოფჩიასთან საუბრობას ვცადეთ.

# თბილისში პირველმა კონკურენტულმა გამოცდებმა დაიწყო

## თამარ თოფჩიაშვილი

— მოსახლეობის პროფესიონალურ არჩევანს ქვეყანაში არსებული სოციალური მოთხოვნები განსაზღვრავს. მაგალითად, შარშან, ეროვნულ გამოცდებში დაახლოებით 30000 აბიტურენტი მონაწილეობდა, აქედან 12000 პრეტენზიას იურიდიულ ფაკულტეტზე აცხადებდა, 14000 ახალგაზრდას კი, ბიზნესისა და ეკონომიკური სპეციალობების დაუფლება სურდა. წელს, სურათი რადიკალურად შეიცვალა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა ისეთ ფაკულტეტებზე, როგორებიცაა: არქიტექტურა და მშენებლობა, კვების პროდუქტების ტექნოლოგია, სატყეო-სამეურნეო, სანარმოო და გადამამუშავებელი დარგები, ენერგეტიკა. მნიშვნელოვნად იმატა პედაგოგის პროფესიის დაუფლების მსურველთა რაოდენობამ. ისევე, როგორც შარშან, დიდი მოთხოვნაა ჯანდაცვის, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე. თუკი შარშან, ფაქტობრივად, არც ერთი განაცხადი არ შემოვიდა ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, წელს ერთი ადგილისთვის 5-6 აბიტურენტი იბრძოლებს. საკმაოდ დიდია მოთხოვნა ნავთობგადაზიდვისა და ექსპორტის ფაკულტეტებზე: თუ შარშან, ერთ ადგილზე მხოლოდ ერთი აბიტურენტი მოდიოდა, წელს ამ ფაკულტეტზე მოსახვედრად 12 აბიტურენტი იბრძოლებს. გაიზარდა ინტერესი სასოფლო-სამეურნეო დარგების მიმართ. მაშინ, როდესაც შარშან, აგრარულ უნივერსიტეტში 200 თავისუფალი ადგილი დარჩა და კონკრეტული ვერ შეივსო, წელს კიდია კონკურსი ღვინის ტექნოლოგიებისა და გადამამუშავებელი მეურნეობის ფაკულტეტებზე, სადაც ერთი ადგილისთვის 11-

12 კონკურენტს მოუწევს ბრძოლა. ვფიქრობ, რომ სამეურნეო დარგების მიმართ ინტერესი, სახელმწიფოს მხრიდან მათი განვითარების ხელშეწყობას უკავშირდება. ისევე, როგორც წინა წლებში, ე.წ. საკუთარი „მრეწველი“ ეყოლება სპორტის აკადემიას. ამ სასწავლებელში განათლების მიღების სურვილს ძირითადად, სპორტსმენები გამოთქვამენ. მაღალი იქნება კონკურსი თეატრალურ უნივერსიტეტში, სამხატვრო აკადემიასა და კონსერვატორიაში.

— შარშანდელთან შედარებით, კონტინგენტი მნიშვნელოვნად შემცირდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სამედიცინო უნივერსიტეტში. როგორ ფიქრობთ, რით არის ეს განპირობებული?

— ვფიქრობ, დღევანდელი ახალგაზრდობა უფრო პრაგმატულად აზროვნებს: ირჩევენ ისეთ პროფესიებს, რომლებიც ახლო მომავალში, რეალური დასაქმების შესაძლებლობები იქნება. ახალგაზრდები აღარ ცვივდებიან ორ უკიდურესობაში — როცა ან ექიმობა სურდათ, ან — იურისტობა. ალბათ, შარშანდელი მონაცემები და შედეგებიც გადააფასეს, როდესაც ყველაზე მეტი განაცხადი სწორედ სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის მიღების სურვილს ასახავდა. მაგრამ მერწმუნეთ, რომ ყველაზე დიდი კონტინგენტის ყოლა როდი განსაზღვრავს სასწავლებლის პრესტიჟულობას — მთავარი ის გახლავთ, თუ სად აპირებს სწავლას პირველი ათასეული (ვინც ყველაზე მაღალ ქულებს დააგროვებს) — ყველაზე ძლიერი სტუდენტი. ეს შეიძლება იყოს, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე ფაკულტეტი, ასევე — კომერციული სასწავლებლები,

რომელთა კურსდამთავრებულებზეც შრომის ბაზარზე დღეს ყველაზე დიდი მოთხოვნაა. საკმაოდ ბევრი აბიტურენტი პრეტენზიას აცხადებს ინგლისურენოვანი განათლების მიღებაზე და ამის გამო, დასავლური სტანდარტების კომერციულ სასწავლებელს ანიჭებს უპირატესობას. მაგრამ აქვე გეტყვით, რომ უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის პროცესი კვლავ მიმდინარეობს და მათი ოპტიმიზაცია გაგრძელდება. მთავარია, რომ დღეს, შორს ვიშეოფებით 2002 წლის მდგომარეობისაგან, როდესაც 26000 აბიტურენტიდან 25000 სტუდენტი გახდა. ასეთ პირობებში, რა კონკურენციაზე შეიძლება ლაპარაკი?! პირადად მე, მქონდა შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტმა, ფაქტობრივად, წერა-კითხვა არ იცოდა...

— განათლების რეფორმის თანახმად, წელს აბიტურენტები პროფესიის არჩევაში შეზღუდულნი არიან...

— რეფორმის თანახმად, უმაღლესი სასწავლებლებში მოხდა სპეციალობების, ფაკულტეტების გამსხვილება-გაერთიანება, ამიტომ, თუ უწინ აბიტურენტი აბარებდა უშუალოდ ბიოლოგიის, ქიმიის ან ფიზიკის ფაკულტეტზე, წელს განაცხადი შემოაქვს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე; ძირითადი საგნების გაწლის შემდეგ, თავად აკეთებს უკვე გააზრებულ არჩევანს — ბიოლოგობა სურს თუ ფიზიკოსობა. ვინრო სპეციალობის არჩევა ხდება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, მაგრამ თუ დიდია ინტერესი და შესაბამისად, კონკურენცია ამა თუ იმ სპეციალობის დასაუფლებლად, არჩევანი აკადემიური მოსწრების მონაცემების მიხედვით კეთდება.

# პიესტიყყდი ინსტიტუტები, დასაცკყხი სტანდახტები და მასზე მოხგებყდი ეახთყდი სასწაცკლებლები

## ნათია ჟივიბა

აბიტურიენტობა ის პერიოდი, როცა მოზარდის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. ზოგი მათგანი, მშობლების დახმარებით, ხოლო ზოგი — საკუთარი სურვილით ირჩევს პროფესიას, რადგან მიღებული სწავლა-განათლების შემდეგ, მათთვის სასურველი თუ არა, სასარგებლო სამსახური მაინც რომ იშოვონ. ადრე, ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი, ინსტიტუტში მხოლოდ იმისთვის აბარებდა, რომ უდიდობო სასიძო ან სარძლო არ ყოფილიყო და მომავალი ოჯახის წევრებს, გაუნათლებლობის გამო, არ დაეწუნებინათ. ახლა დრო შეიცვალა და თუ ვინმეს უმაღლესში სწავლის გაგრძელება სურს, ე.ი. ის ნამდვილად ისწავლის და მომავალში, დამოუკიდებლად ცხოვრებასაც შეძლებს. ნათქვამია: დრონი ეფერებენ და არა — მეფენიო. სწორედ ამიტომ, ყოველ ახალ სეზონზე, „მოდაში“ სხვადასხვა ფაკულტეტი. რამდენიმე წლის წინ, იურიდიულზე, სამედიცინოსა და ჟურნალისტიკაზე ჩაბარების იმდენი მსურველი იყო, რომ საგამოცდო დარბაზში აღარ ეტოდნენ, ახლა კი, ეს ნაკლებად მომგებიანი პროფესიები თითქმის აღარავის აინტერესებს და აბიტურიენტების უმეტესი ნაწილი, ისეთ ფაკულტეტზე აბარებს, რომლებიც ბიზნესსა და ეკონომიკასთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, ახლა საქართველოში ისეთი ტენდენცია გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდა თუ პრესტიჟულ უცხოურ ინსტიტუტში არ ისწავლის და ბაკალავრიატს რომელიმე ჩვეულებრივ თბილისის სასწავლებელში დაამთავრებს, მაგისტრატურა მაინც უნდა გაიაროს ზემოთ ხსენებული ტიპის ინსტიტუტში, რათა ხელსაყრელი სამსახური „იშოვოს“. თუ საზღვარგარეთ სწავლობდი, მაშინ ხომ, შენთვის თითქმის ყველა ოფისის კარი ღიაა... თუმცა, კარგად მახსოვს — როცა სტუდენტი გავხდი, ყველა ლექტორი პირველსავე შეხვედრას იწყებდა შეგონებით: ჩვენი უნივერსიტეტი „ცოდნის თეთრი ტაძარიაო“. სამწხაროდ, უნივერსიტეტმაც დაკარგა პოპულარობა, თანაც ახლა, ბავშვების განათლება ვილას ახსოვს — როცა უნივერსიტეტის რექტორის

მოვალეობის შემსრულებელ მეცნიერ-პროფესორების გამოცდით არის დაკავებული?!  
 თუ რომელ ინსტიტუტს ანიჭებენ უბირატესობას დღევანდელი აბიტურიენტები, ვინ სად და რატომ აბარებს, — ამის შესახებ ორი აბიტურიენტი — **თამუნა ნიკლაური** და **შპა აბლაძე** გვსაუბრებიან.

— **თამუნა, რა არჩევანი გააკეთე, სად უნდა ჩააბარო?**

— პირველ რიგში, კავკასიის ბიზნესკოლის ეკონომიკური ფაკულტეტი შემოვხაზე. ბავშვობიდან მსურდა, რომ ეკონომისტი გამოსულიყავი. სკოლის პერიოდშივე, კოლეჯში მენეჯმენტის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მოგვიანებით, სასწავლო რეფორმების გამო მომიწია, რომ ისევ ჩვეულებრივ სკოლაში დავბრუნებულიყავი, მაგრამ მაინც იმავე პროფესიის შესწავლას განვაგრძობ, რადგან უფრო პრესტიჟული და მომგებიანია.

— **ძალიან კარგი, მაგრამ იგივე ფაკულტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტშიც არსებობს, შენ რატომ გადაწყვიტე, რომ მაინცდამაინც კავკასიის ბიზნესკოლაში გაგეგრძელებინა სწავლა?**

— იმიტომ, რომ თუ ამ ინსტიტუტს დავამთავრებ, უფრო კარგი პერსპექტივა მექნება. ეს ყველაფერი იმ ადამიანებისგან ვიცი, ვისაც ეს ინსტიტუტი აქვს დამთავრებული. ისიც ვიცი, რომ თუ კარგად ისწავლი, მაგისტრატურის დამთავრებასაც აღარ გაცლიან და შეეძლება, კარგი სამსახური მე-3 კურსიდანაც კი შემოგთავაზონ. სამსახური ადამიანისთვის ბევრს ნიშნავს და რა თქმა უნდა, კარგ სამსახურს არაფერი სჯობს. ამ ინსტიტუტში 4 წელი ბაკალავრიატში ვისწავლი, ორი — მაგისტრატურაში. თუ ამ ინსტიტუტში ჩასარიცხავად ქულები არ მეყოფა, მაშინ, იგივე ფაკულტეტი ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტშიც მაქვს შემოხაზული.

— **რა საგნები უნდა ჩააბარო?**

— ზოგადი უნარ-ჩვევები, ქართული ენა, ინგლისური ენა და მათემატიკა.

— **შემდეგი რიგილი ფაკულტეტები შემოხაზე?**

— ამ ორი ინსტიტუტის გარდა, 5 ისეთი ინსტიტუტი შემოვხაზე, სადაც ეკონომიკური ფაკულტეტებია. აქცენტი პირველ ორი სასწავლებელზე მაქვს გაკეთებული.

— **ვთქვით, უნივერსიტეტში ჩაირიცხე, რას იზამ?**

— ალბათ, არ დამაკმაყოფილებს იქ სწავლა და ყველანაირად ვეცდები, რომ ბიზნესკოლაში გადავიდე. რომ მომიწიოს მთელი 4 წელი უნივერსიტეტში სწავლამ, მაგისტრატურას მაინც არავითარ შემთხვევაში იქ არ დავამთავრებ, რადგან სამსახურის დასაწყებად, უდიდესი მნიშვნელობა მაგისტრატურას ენიჭება, უნივერსიტეტის მაგისტრატურას კი, არანაირი პერსპექტივა არა აქვს. დრო გვიჩვენებს, მერე როგორ მოვიქცევი. არ არის გამორიცხული, რომ სწავლა საზღვარგარეთ განვაგრძო...

შვილის არჩევანთან დაკავშირებით

აზრის გამოთქმა თამუნას დედას, ქალბატონ ელას ვთხოვეთ.

— თამუნას არჩევანში მე არ ჩავრეულვარ. ჯერ კიდევ ბავშვობაში, თავად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეკონომისტი გამოსულიყო და ოჯახის წევრებიც მაქსიმალურად ვუნყობოთ ხელს, რომ მან თავის მიზანს მიაღწიოს. მთავარია, მან ხარისხიანად ისწავლოს და იმუშაოს. რადგან ბავშვს ასე უნდა, ჩვენ წინააღმდეგობას ვერ გაუწევთ. ვფიქრობ, რომ თამუნამ სწორი არჩევანი გააკეთა. გარდა იმისა, რომ ეს ფაკულტეტი პრესტიჟულია, დიდ შრომასაც მოითხოვს.

— **როგორც ვიცი, თამუნას მიერ არჩეული სასწავლებელი საკმაოდ ძვირად ღირებულია...**

— მართალია, მაგრამ ჩვენთვის მთავარია, რომ ბავშვმა კარგად ისწავლოს. ამასთანავე, ჩემი მეგობრის შვილი სწავლობს ამ ინსტიტუტში და ვიცი, რომ არაჩვეულებრივი სწავლებაა. მთავარია, თამუნამ ცხოვრებაში რაღაცას მიაღწიოს, ისწავლოს, ხოლო რაც ოჯახზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გაუფიქრებთ, მათ შორის, რა თქმა უნდა, ფინანსურადაც მხარში ამოუვადგებით.

— **უნა, სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით რა შეგრძნება გაქვს?**

— ძალიან მწყდება გული, მაგრამ თან მიხარია, რადგან ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. ახლა უნდა ავირჩიო ჩემი ცხოვრების მიზანი, მოკლედ, ჩემით გადავწყვეტ ჩემს მომავალს.

— **სად აბარებ სწავლის გაგრძელებას და როგორ გესახება შენი მომავალი?**

— საზღვარგარეთ წასვლა გადამწყვეტილი არა მაქვს. სწავლას საქართველოში, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე განვაგრძობ. მინდა, ისეთ ადგილას ვიმუშაო, რომ ჩემს სამშობლოს რამეში გამოვადგე. თუ ამ ფაკულტეტზე ვერ მოვხვდები, მაშინ შემოხაზული მაქვს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტები: სახანკო საქმე, ინფორმატიკისა და მართვის სისტემები, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობა, სამშენებლო, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტი და უნივერსიტეტის სოსუმის ფილიალის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. დღევანდელი ცხოვრებიდან გამომდინარე, ეს ფაკულტეტები ყველაზე პრესტიჟული და გამოსადეგია. მინდა, რომ საქართველოს ეკონომიკის მშენებლობაში ჩემი წვლილიც შევიტანო. მიყვარს ციფრებთან „ურთიერთობა“. მინდა, სახელმწიფო სტრუქტურაში ვიმუშაო. იმედი მაქვს, იმ დროს, საქართველოში უკვე ცხოვრების კარგი პირობები იქნება და ჩემს სურვილების განხორციელებას შევძლებ. კერძო ბიზნესში საკუთარი თვით ვერ წარმოვიდგენია...

— **ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ, მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას თუ აბარებ და სად?**

— რა თქმა უნდა, ვაპირებ, რადგან ბაკალავრიატის დამთავრება კარგი სამსახურის მოსაძებნად საკმარისი აღარ არის. 4 წლის შემდეგ, როცა ბაკალავრის დიპლომს



მარცხნიდან პირველი — თამუნა წიკლაური

ავილებ, რომელი მაგისტრატურაც იქნება ამომწურავი ინფორმაციის მომცემი და საუკეთესო, სწავლას იქ განვაგრძობ. თუ ოჯახს მატერიალური საშუალება ექნება, არ არის გამორიცხული, რომ მაგისტრატურის კურსი საზღვარგარეთ გავიარო.



უჩა აგლაძე

**— ოჯახის წევრები რა აზრის არიან შენს არჩევანზე?**

— თვითონ დამეხმარნენ ამ გადაწყვეტილების მიღებაში და ამისთვის მათი მადლიერი ვარ, რადგან ჩემი არჩევანი მაკმაყოფილებს.

პროფესიის არჩევისა და უმაღლესში ჩაბარების შემდეგ, დგება პრობლემა — სად უნდა იმუშაოს ახალგაზრდამ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უამრავი კერძო კომპანია დაარსდა, ჩვენ შორის, უმუშევარი მაინც ბევრი ადამიანია. როგორც აღვნიშნეთ, პრესტიჟული ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს კარგი სამსახურის პოვნის გაცილებით მეტი შანსი აქვთ, ვიდრე დანარჩენებს. თუმცა, ყოველთვის ასე როდი ხდება. თუ რა კრიტერიუმებით ირჩევენ თანამშრომლებს, — ამაზე ერთ-ერთი საინფორმაციო კომპანიის გენერალური დირექტორი, **ენო ჟამბიარაშვილი** გვესაუბრება.

**— თავდაპირველად, ის გვითხრობ, თქვენ რა პროფესიის ბრძანდებით?**

— პოლიტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე, ინჟინერი ვარ. თავიდან, კვლევით ინსტიტუტში ვმუშაობდი, მეცნიერი თანამშრომელი ვიყავი. ბავშვობიდან ვგიჟდებოდი მოგზაურობაზე. ვიზრდებოდი ისეთ ოჯახში, რომლის წევრებიც სულ მოგზაურობდნენ. ჩემი მულღუღე მისვდა, რა მიყვარდა ცხოვრებაში და ამ კომპანიის დაარსებაში დამეხმარა.

**— რა განათლება სჭირდება ადამიანს, რომელმაც თქვენთან უნდა იმუშაოს და რა კრიტერიუმებით ირჩევენ ახალ თანამშრომლებს?**

— ჩვენთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენთან მუშაობის დაწყების მსურველს უყვარდეს მოგზაურობა, უნდა იყოს ზოგადად, კარგად განათლებული, კარგად იცოდეს გეოგრაფია და ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭი ჰქონდეს. ამასთანავე, სავალდებულოა, უცხო ენებისა და კომპიუტერის კარგად ცოდნა. კიდევ, კაცობიერად უნდა იყოს — ის ხომ სხვებს უნდა მოეხმასხუროს.

**— კონკრეტულად, რომელი უცხო ენის ცოდნას მოითხოვთ?**

— ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ჩვენ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან გვაქვს კონტაქტი. როცა ადამიანი ჩვენთან სამუშაოდ მოდის, გარდა რუსულისა, რომე-

ლიმე უცხო ენა აუცილებლად უნდა იცოდეს. თუმცა, გამოინაკლისებაც არსებობენ, რადგან გვყავს ერთი თანამშრომელი, რომელსაც არც უმაღლესი განათლება აქვს და არც უცხო ენა იცის, მაგრამ საკონსულტაციო რაც მოსაგვარებელი გვაქვს, ყველაფერს საუცხოოდ ართმევს თავს და ნებისმიერ დაკისრებულ საქმეს კარგად ასრულებს. სწორედ ამას ჰქვია შინაგანი კულტურა. გარდა ამისა, ჩვენ თვითონ ვუნყოფთ ხელს ჩვენი თანამშრომლების პროფესიულ ზრდას: წელიწადში რამდენჯერმე, მათთვის ტრენინგი ტარდება: ან თვითონ მიდიან ჩვენს პარტნიორ ქვეყანაში, ან იქიდან ჩამოდიან უცხოელები და ტრენინგის კურსს გვიტარებენ.

**— იმ ერთი თანამშრომლისთვის რატომ დაუშვით გამოინაკლისი?**

— თავდაპირველად, მას ძალზე მარტივი სამუშაო ჰქონდა შესასრულებელი. იმდენად მიზანდასახული პიროვნებაა, ისე გაითავისა ეს სამსახური, რომ თვითონ გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ენა არ იცის, მას ამის გამო დისკომფორტი არ ექმნება. კიდევ ერთელ ვიმეორებ — მასზე დაკისრებულ მოვალეობას ძალიან კარგად ასრულებს. არა მხოლოდ ის, ყველა ჩემი თანამშრომელი გაიზარდა პროფესიული თვალსაზრისით და ყველა მათგანს ნებისმიერ საქმეში ვენდობი.

**— როცა ადამიანი თქვენთან სამსახურის დასაწყებად მოდის, როგორ ხვდებით, რამდენად კატმოყვარე და სხვა მსგავსი თვისებების მქონე ადამიანია იგი?**

— თავიდან ისეთ ადამიანს ვიღებდი სამსახურში, რომლის შესახებაც გარკვეული ინფორმაცია მქონდა და ვიცოდი, რომ ამ სამუშაოს კარგად მოერგებოდა. ვინც ვერ გაიზარდა, თვითონვე ხვდებოდა და მიდიოდა. ამ ბოლო პერიოდში კი, თანამშრომლის მიღებისას, მას გარკვეულ ვადას ვაძლევთ. თუ ვერ იმუშავა ისე, როგორც საჭიროა, რა თქმა უნდა, სამსახურში ვერ მივიღებთ.

იმის გასარკვევად, თუ რა პროფესიის ეუფლებიან დასავლეთის ქვეყნების სტუდენტები და როგორი სწავლებაა საზღვარგარეთ, **ლონდონში მყოფ ქართველ სტუდენტს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილ თანამშრომელს, სოფო გიორგოზინს** დავეუკავშირდი. აი, რა მომიყვა მან:

— სკოლის დამთავრებისას, ორი არჩევანი მქონდა: ინგლისური ენა ან რუსული. ინგლისური ვარჩიე და არც ენაობ. თუმცა, ახლა რომ ვაბარებდე უნივერსიტეტში, ალბათ, სულ სხვა სფეროს ავირჩევდი. დღეს, ყველაფერი სწრაფი ტემპით ვითარდება და ადამიანმა შეიძლება, მოკლე ხანში, არათუ რამდენიმე სამსახური, არამედ რამდენიმე პროფესიაც გამოიცვალოს, რაც პრინციპში, საკმაოდ ნორმალური მოვლენაა. საბოლოო ჯამში, პროფესიონ-

ალი იმ სფეროში ხდები, სადაც საკმარის პრაქტიკას და გამოცდილებას შეიძენ და არა იმ სფეროში, რომელიც დიპლომში გინერია.

**— ვერ უნივერსიტეტი დამთავრებული არ გქონდა, როცა სასწავლებლად ამერიკაში წახვედი. როგორ მოხდა ეს და რომელ კონკურსში გაიმარჯვე?**

— მესამე კურსზე რომ ვსწავლობდი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული, ევრაზიის გაცვლითი პროგრამის კონკურსნტი გავხდი და ერთი წელი ამერიკაში გავატარე: მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კომუნიკაციებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი და ადგილობრივ ტელევიზიაში პრაქტიკას გავდიოდი.

**— მაშინ, როცა უცხო ენებზე სწავლობდი, რატომ გადაწყვიტე, რომ იქ ჟურნალისტიკას დაუფლებოდი?**

— ვინაიდან ამერიკაში ენის პრაქტიკა ყველა შემთხვევაში მექნებოდა, გადაწყვიტე, შესაძლებლობით მესარგებლა და უცხო ენების ნაცვლად, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მესწავლა. როცა ადგილზე ჩავედი და შემოთავაზებული საგნების ჩამონათვალს გადავხედე, მივხვდი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

**— მომიყევი იქაური სწავლების შესახებ...**

— ამერიკაში ჟურნალისტიკის საკმაოდ ძლიერი სკოლაა, რასაც სამწუხაროდ, ჩვენ ჯერჯერობით, ვერ დავიკვებინთ. ისეთი საგნების სწავლის საშუალება მომეცა, რომლებიც ჩვენთან ვერ არც არის შეტანილი პროგრამაში და შესაბამისად, არც მათოდიკა და სახელმძღვანელოები არსებობს. საქართველოში უმაღლესი განათლების სფეროში დანერგული რეფორმები ნაწილობრივ, დასავლური სტანდარტების გადმოღებას ისახავს მიზნად. თუმცა, ალბათ, განათლების სფეროში განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო: ის, რაც სხვაგან აშართლებს, ჩვენთან შესაძლოა, ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდეს.

**— როცა აქ ჩამოხვედი, ვიცი, რომ არანაირი კასტინგი არ დაგჭირვებია, ისე მიგიღეს „რუსთავი 2“-ში. როგორ მოხდა ეს? რას მიაქცია ყველაზე დიდი ყურადღება ტელევიზიის ხელმძღვანელობა?**

— ამერიკიდან ჩამოსვლის შემდეგ, ძალიან მიწოდდა „რუსთავი 2“-ში მუშაობა. ისე დაემთხვა, რომ ზუსტად იმ პერიოდში, ორ ახალ პროექტს იწყებდნენ: დილის გადაცემის უცხოეთის განყოფილებისთვის კორესპონდენტს და საინფორმაციო ვებ-გვერდისთვის თანამშრომლის მიღებას აპირებდნენ. ერთ-ერთი ჟურნალისტიკის რეკომენდაციით, ინტერვიუზე დამიბარეს და გადაწყდა, რომ ორივე პროექტზე ერთდროულად დავიწყებე დი მუშაობას. იმ პერიოდში, უნივერსიტეტი ვერ კიდევ არ მქონდა დამთავრებული და სწავლას-



რაე სხვაგან ამართლებს, ჩვენთან შესაძლოა, ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდეს

თან დატვირთული სამუშაო რეჟიმის შეთავსება ვერ შეეძლო. თუმცა მოგვიანებით, ისევ დაუბრუნდა „რუსთავი 2“-ში — უკვე „ჟურნალის“ უცხოეთის განყოფილებაში. მიმანია, რომ იქ კარგი გამოცდილება მივიღე. ტელევიზიაში მუშაობისას, დროის შეგრძნება გეცვლება და საათების ნაცვლად, დროის ათვლას წუთებით და წამებით იწყებ. ინფორმაციის „სათავეებთან“ ყოფნა საპასუხისმგებლო, მაგრამ ამასთანავე, უალრესად საინტერესო საქმეა. განსაკუთრებით დიდ პატივს ვცემ იმ ვეტერან ჟურნალისტებს, რომლებიც ყოველდღიური სირთულეების მიუხედავად, უკვე დიდი ხანია, ამ სფეროში მოღვაწეობას განაგრძობენ. მათ გვერდით მუშაობით, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე.

**— „რუსთავი 2“-ში შენი მიღებისას, იმოქმედა თუ არა იმ ფაქტორმა, რომ საზღვარგარეთ სწავლობდი?**

— ვერ გეტყვი, ალბათ, ნაწილობრივ იმოქმედა.

**— როგორც ჩემთვის ცნობილია, ახლა ლონდონში სწავლობ. მანდ რა პროფესიას ეუფლები და როგორი სწავლების მეთოდი აქვთ ბრიტანელებს?**

— ამჟამად, ლონდონის უნივერსიტეტში, მაგისტრატურაში ვსწავლობ სპეციალობით: მედია, კომუნიკაცია და კულტურათმცოდნეობა. პირველი სემესტრი დანიაში გავატარე, რადგან პროგრამით, რომელსაც ევროკომისია აფინანსებს, გათვალისწინებულია, რომ სტუდენტებმა ორ სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში ისწავლონ. ამ პროგრამაში, მთავარი აქცენტი კომუნიკაციის თეორიასა და მედიის ანალიზზეა გადახრილი. ძალიან საინტერესოა, ვინაიდან ისეთ შეკითხვებზე გვიწევს პასუხის გაცემა, რომლის დასამყარებლად, ყოველდღიურ რუტინაში ჩაბმულ ჟურნალისტს დრო არ რჩება. ცხადია, მნიშვნელოვანია, რომ შეგეძლოს, მიმდინარე მოვლენებზე კარგი სტატიის დანერგა, სიუჟეტის მოშაადება ან გადაცემის წაყვანა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, გვერდიდან შეხედო ყველაფერს, გააანალიზო, თუ რა ხდება დღესდღეობით მედიის სფეროში, რა ძვრები შეინიშნება, გლობალურად, რატომ, ვის ინტერესებში შედის ყოველივე ეს, რა გავლენა აქვს მედიას საზოგადოებაზე და რა შედეგები მოჰყვება ამ გავლენას.

**— როგორია იქაური სწავლების მთავარი პრინციპები? რთი განსხვავდება ჩვენი სისტემისგან?**

— სწავლების პრინციპი ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში საკმაოდ განსხვავდება, ამიტომ, მარტო ერთი უნივერსიტეტის ჩვენს სისტემასთან შედარება ალბათ, ფართო სურათს ვერ გვიჩვენებს. თუმცა, ვეცდები, რამდენიმე ძირითადი განსხვავება ჩამოვთვალო: უპირველეს ყოვლისა, აქ სტუდენტებს ძალზე მდიდარი ბიბლიოთეკებითა და საინფორმაციო ბაზებით სარგებლობის საშუალება აქვთ, სასწავლო პროგრამაში ბევრი ისეთი დისციპლინა შედის, რომელიც საქართველოში ვერ აქტუალური საერთოდ არ არის. სწავლების პროცესი მეთოდის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. სტუდენტს მეტი თავისუფლება ეძლევა იმის გადასაწყვეტად, თუ რა საკითხზე უნდა მუშაობა. სწრაფად ცვალებადი გარემოს გავლენით, სასწავლო პროგრამის გამუდმებით განახლება ხდება, მოქმედებს შეფასების მრავალფეროვანი სისტემა, რომელიც მხოლოდ ზეპირ

გამოცდებსა და ტესტებზე დაფუძნებული არ არის. სწავლის პროცესი მულტიკულტურული გარემოში მიმდინარეობს და ა. შ.

**— რას ფიქრობ თბილისში დაარსებულ, საზღვარგარეთულ უნივერსიტეტზე? შენი აზრით, რამდენად გამართლებულია, რომ საზღვარგარეთ სწავლის ნაცვლად, რომელიმე მათგანი დაამთავრო?**

— არ ვიცი, თბილისში დაარსებულ დასავლურ სასწავლებლებთან უშუალო შეხება არასდროს მქონია. გარკვეულწილად, ალბათ, ამ სასწავლებლებსაც თავიანთი მისია აქვთ, ყოველ შემთხვევაში, ისინი გარკვეული „ნიშის“ ამოვსებას ცდილობენ. თუმცა, კერძო სასწავლებლებს, როგორც მაღალი სტანდარტისაც არ უნდა იყოს იგი, ერთი ნაკლი აქვს: ეს სასწავლებლები ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის, რაც იმას განაპირობებს, რომ კარგი ხარისხის განათლება (თუკი ამ სასწავლებლების მიერ შემოთავაზებული „დასავლურ სტანდარტებს“ ხარისხთან გავეციკვებით) მხოლოდ გარკვეული სოციალური ფენებისთვის იქნება განკუთვნილი. გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქართული რეალობა დასავლეთისგან ფერფერობით კვლავ მნიშვნელოვნად განსხვავდება და დასავლური პრინციპების პირდაპირ, ადაპტირების გარეშე გადმოტანა მიზანშეწონილი არ არის. პირადად მე, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, იმედი მაქვს, რომ სულ მალე, ჩვენი უნივერსიტეტი კვლავ ძველ სტატუსს დაიბრუნებს და ქვეყნის მასშტაბით სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი კერა გახდება; შესაბამისად, ქართველ სტუდენტებსაც საზღვარგარეთ „გაქცევის“ ნაკლები მოტივაცია ექნებათ.

**— როდის დაბრუნდები საქართველოში და რას აპირებ დაბრუნების შემდეგ?**

— იანვარში ვბრუნდები. მაგრამ ჯერჯერობით, კონკრეტული გეგმები არა მაქვს. კომუნიკაციის სპეციალობას ის უპირატესობა აქვს, რომ მისი გამოყენება ძალზე ბევრ სფეროში შეიძლება, შესაბამისად, არ გამოვირიცხავ, რომ ჩემთვის უცნობ, ახალ სამუშაო გარემოში აღმოვჩნდები...

ამ წერილზე მუშაობისას, ზოგი რამ ამერიკული სტანდარტების შესახებაც დავადგინეთ და ისიც შევიტყვეთ, თუ როგორ ირჩევენ პროფესიას იქ და როგორ იწყებენ მუშაობას თუნდაც, ისეთ პოპულარულ ფორმაში, როგორიცაა „ტვიოტა“. ამ ყველაფერზე აღნიშნული კომპანიის ფინანსური მენეჯერს, იურისტს როჯერი ბილმანს ვესაუბრეთ.

**— როგორ, როგორი სწავლების მეთოდია ამერიკაში?**



14 წლის განმავლობაში, სააქციო ბროკერი ვიყავი

— ჩვენს სკოლებში 12-წლიანი სწავლებაა. სკოლის დამთავრების შემდეგ კი, ირჩევ კოლეჯს, რომელიც სწავლის გაგრძელება გასურს. ერთ ადამიანს შეუძლია, ამდენიმე კოლეჯიც კი შეარჩიოს და მათი აბლიკაციები შეავსოს, მაგრამ თითოეული აბლიკაციის შევსება, 25-დან 100 დოლარამდე ღირს. ეს იმაზე დამოკიდებულია, თუ რამდენად პრესტიჟულ კოლეჯში სურს ადამიანს სწავლის გაგრძელება. გარდა ამ აბლიკაციის შევსებისა, კოლეჯის ხელმძღვანელობა ყურადღებას აქცევს მოსწავლეს ქულებს, დაგროვილს 0-დან მე-12 კლასამდე. კოლეჯში 4-წლიანი სწავლებაა. ამას ზოგადი განათლება — იგივე ბაკალავრიატი ჰქვია. კოლეჯის დამთავრების შემდეგ, თუ ადამიანს არ აკმაყოფილებს საკუთარი ცოდნა და უფრო მეტი სურს, არსებობს უმაღლესი სასწავლებლები: მასტერი, ბიზნესის განხრით — ორწლიანია, უმაღლესი იურიდიული სკოლა — სამწლიანია, სამედიცინო სკოლაში სწავლა კი, 6 და მეტი წელი გრძელდება. იურიდიულის 3 სასწავლო წელს რომ დაასრულებ, გადიხარ სპეციალიზაციას, რომელსაც ჩვენში „ლემ“ ჰქვია. ამის შემდეგ, გამოცდას აბარებ ლიცენზიაზე, თუ ლიცენზიას ვერ აიღებ, მაშინ იურისტად მუშაობის უფლება არა გაქვს. სამედიცინოზე კი, ჯერ რეზიდენტურა უნდა გაიარო, მერე ჰოსპიტალში იმუშაო და მხოლოდ ამის შემდეგ აიღებ ლიცენზიას. ჩვენი თან ეს სამი პროფესია ყველაზე პოპულარულია. რაც შემთხვევაში — ჯერ ვაშინგტონში, ამერიკის უნივერსიტეტი დავამთავრე, მერე კი მაიახის უნივერსიტეტში, უმაღლესი იურიდიული სკოლა გავიარე, რომელსაც ჩვენთან „ლოო სქულს“ უწოდებენ.

**— რამდენად ადვილია თქვენთან სამსახურის შოვნა და როგორ ხდება ეს?**

— მუშაობის დანყებისთვის, პირველ რიგში, საჭიროა, რომელიმე კომპანიაში საკუთარი რეზიუმე გაგზავნო. კიდევ, იმ სასწავლებლიდანაც გჭირდება დახასიათება, რომელიც დაამთავრე. სულ ბოლოს კი, კომპანიის ხელმძღვანელთან პირადი ინტერვიუ გექნება, რის შედეგადაც, ის შეიტყობს, შენი სახით თუ რა პიროვნებასთან აქვს საქმე.

**— როგორი უნდა იყოს ადამიანი, რომ ის სამსახურში მიიღონ?**

— მეგობრული, გულწრფელი, თბილი, მომთმენი, მუდამ მოლომარი, შრომისმოყვარე და ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მისი კლიენტი მუდამ მართალია... ამასთანავე, მუშაობის დანყების მსურველს, უფროსი აუცილებლად უსვამს კითხვას — როგორია შენთვის იდეალური ბოსი? პასუხის შემდეგ, ბოსი თავად წყვეტს, შეუძლია თუ არა იმ ადამიანთან თანამშრომლობა.

**— თავად შენ როგორ მიგიღეს ფირმა „ტვიოტაში“?**

— მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლება მაქვს, მათ თავდაპირველად, გამყიდველად ამიყვანეს, რადგან ყველა კომპანიას სურს, რომ მათმა თანამშრომელმა ყველანაირი გამოცდილება მიიღოს. ამ სამსახურში ჩემი მიღებისას, განსაკუთრებულ ყურადღება იმას მიაქცევს, რომ ბიზნესში გამოცდილება მქონდა: 14 წლის განმავლობაში, სააქციო ბროკერი ვიყავი. ჩემ მიერ გავლილი ე.წ. „ლოო სქულ“ კი, ძალიან დამეხმარა იმაში, რომ ფინანსურ მენეჯერად დავენიშნე.





ირმა ხარშილაძე

— რეფორმა აუცილებელი იყო, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ პირადად მე, ამ რეფორმის ზოგიერთი პუნქტისადმი თავიდანვე კრიტიკულად განვწყვე და ჩემი მოსაზრებები არაერთგზის გამოვთქვი მას-მედიის საშუალებით.

კონკრეტულად?

— უპირველესად, მიმაჩნდა, რომ საშუალო სკოლების სასწავლო პროგრამები საჯაროდ უნდა განხილულიყო და სპეციალისტებს სათანადო დასკვნები გაეკეთებინათ. ვერძოდ, ვსაუბრობ საქართველოს ისტორიის და გეოგრაფიის პროგრამებზე, რომლებიც არ მომწონს. ამით იმიტომ დავინწყე, რომ სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო დაწესებულებები არის უწყვეტი რგოლი, რომლის დაშლა არ შეიძლება. რაც შეეხება უნივერსიტეტის პრობლემას: აქაც რეფორმა აუცილებელი იყო, მაგრამ მის ჩატარებას სიფრთხილე სჭირდებოდა.

რა სიფრთხილეს გულისხმობთ?

— როდესაც ითქვა, რომ მაქსიმალურად უნდა შემცირდეს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტი, მე ვთქვი — (ზოგმა ეს ძალიან ცუდად მიიღო) — ერთბაშად კატასტროფული შემცირება არ შეიძლება-მეთქი. ვინც საშუალო სკოლას დაამთავრებს, ყველამ რომ უმაღლეს სასწავლებელში არ უნდა ისწავლოს, ამაზე ორი აზრი არ არის. როცა ეროვნული ხელისუფლების დროს დიდი გამოსვლები ეწყობოდა, მიეცით ნიჭსა გზა ფართოთ და ვინც გაიარა უმაღლეს სასწავლებელთან, ყველა ჩარიცხეს, სამინილეა იყო. ორჯერ გამოვედი მაშინ ამის წინააღმდეგ და დიდი საყვედურებიც მივიღე. სამწუხაროდ, არავინ დამიჭირა მხარი, ახლა კი ხმაძალა ალაპარაკდნენ. არადა, დღეს, თუკი აბიტურიენტი გაუძლებს ეროვნულ გამოცდებს (მინდა დავიჯერო, რომ ეს გამოცდები ობიექტურად ჩატარდება), სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სტუდენტებთან ერთად, ნაკლებად მცოდნეების ნაწილიც უნდა ჩავრიცხოთ ფასიან სწავლებაზე, რომ რაც შეიძლება ცოტა ახალგაზრდა გავიდეს ქუჩაში. თუ ქუჩაში დარჩა უსაქმოდ, ან იყაჩაღებს, ან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა საზოგადოების დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. „დამსჯელ რაზმებთან“ წოდებულ პოლიციელთა პირველ კორპუსში გამოჩენამ საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წევრიც კი ალაშქროთა. „ეს სამარცხინოა“, — ამბობს აკადემიკოსი მბრძოლველი ლორთქიფანიძე, რომელიც რეფორმებსა და სახელმწიფო განვითარებისთვის მნიშვნელოვან წინაპირობებზე გვესაუბრება.

auciblebeli reforma, ukompromiso xelisufleba da mwave kiTxva — quCa sjobs Tu sauniversiteto merxi?..

ნარკომანი გახდება, ან საერთოდ გაიქცევა აქედან. ჩვენ ვკარგავთ ერის მომავალს. ამიტომ ვამბობ, რომ ჩასარიცხი კონტინგენტი ეტაპობრივად უნდა შემცირებულიყო მანამ, სანამ, როგორც პრეზიდენტმა ბრძანა (და ეს ძალიან ვარგია), ძველი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მსგავსი სასწავლებლები შეიქმნებოდა. ვერ სამუშაო ადგილები შეექმნათ და მერე ნელ-ნელა დაეწყეთ შემცირება, თორემ ახალი სკოლადამთავრებულები კი არა, პროფესიონალები არიან ქუჩაში უმუშევრად გამოყრილი. ისიც არის, რომ უმაღლესი სასწავლებელი მარტო ვარსკვლავებს ხომ არ ზრდის? უმაღლესში თუ მოვა ეროვნულ-გამოცდებამოკვლილი ახალგაზრდების რაღაც ნაწილი, მისგან შეიძლება მივიღოთ საშუალო სპეციალისტი. თუ ქვეყანა ფეხზე დადგა და ნორმალური ცხოვრება გაგრძელდა, აღდგა მრენველობა და სოფლის მეურნეობა, რისი იმედიც, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მსურს მქონდეს, საშუალო დონის სპეციალისტი ხომ დასჭირდება?

სწორად ასწავნებთ: თუ გაუძლებს ეროვნულ გამოცდებსო. ასეთი რთულია ეს გამოცდები?

— როგორც ამბობენ, კი და ვინც ჩააბარებს, ვფიქრობ, ნამდვილად დაიმსახურებს სტუდენტობას.

ქალბატონო მარიკა, თქვენი აზრით, დიდი განსხვავებაა დღევანდელ და წინა თაობების სტუდენტთა დონეს შორის?

— სამწუხაროდ, უნდა გითხრათ, რომ ბევრი პედაგოგია უკმაყოფილო. მე ასლა მქონდა პირველკურსელებთან გამოცდა. რომ ვთქვა, აღფრთოვანებული ვარ-მეთქი, ტყუილი იქნება. თუმცა ძლიერი ჯგუფები მაინც არის. 1948 წლიდან ვმუშაობ უნივერსიტეტში და უთვალავმა სტუდენტმა გაიარა ჩემს ხელში: ადრინდელ დონესთან შედარებაც არ შეიძლება. იქ თითო-ორო-ლა იყო სუსტი, ცოტა — საშუალო და დანარჩენი — ძლიერი. უმრავლესობა მეცნიერებში წავიდა და თავისი სიტყვა თქვა. ახლა ასეთები ნაკლებად არიან.

რამ გამოიწვია ასეთი განსხვავება?

— ალბათ, ცხოვრებამ. მოსახლეობის უმრავლესობას გაუწუნდა ცხოვრება, ყოფით პრობლემებზე გადაერთნენ. ამავე დროს, რაღაც ძალები სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლების დისკრედიტაციას ცდილობენ, სურთ უნივერსიტეტის პრესტიჟის დაცემა, გაუთავებლად გაიძახიან: უნივერსიტეტი კორუმპირებულია, მასწავლებლები ქრთამებს იღებენ, ასახელებენ

რაღაც ციფრებს.

სწინადილეში ასე არ ხდებოდა? არ იღებდნენ ქრთამებს?

— იმდენს ლაპარაკობენ, ალბათ, რაღაც ხდებოდა, მაგრამ ისე არ მგონია საქმე, როგორც ბუქავე და ბერავენი. მაგალითად, მე, სრული პასუხისმგებლობით გეტყვით, რომ ვერ დავიჯერებ, ჩემ ირგვლივ მყოფებს ქრთამი აეღოთ.

ვინ ცდილობს უნივერსიტეტის პრესტიჟის დაცემას?

— განათლების მინისტრმა და მისმა მოადგილეებმაც რამდენჯერმე განაცხადეს, რომ უნივერსიტეტში მექრთამეები არიან. რა საბუთი აქვთ, ვერ გეტყვით. ჩემი პრეტენზიაა — თუ აქვთ ნამდვილი გამოაქვეყნონ. ამაზე ერთმა მალალი თანამდებობის პირმა დანერა: ქ-ნ მარიკა ლორთქიფანიძეს რომ ვთხოვეთ, დაესახელებინა მექრთამეები, დახმარებზე უარი გვითხროს. ასეთი რამ შეიძლება? მე რა ვიცი, ვინ იღებს ქრთამს? თუ არა აქვთ ზუსტი ინფორმაცია, მაშინ ნუ ამბობენ. თუ იციან, ვინ არის დამნაშავე, თვითონ მოუარონ. სახელმწიფო, სხვათა შორის, მაგისტრის არსებობს. ჩემს თავზე ნამდვილად არ ვიღებ, მაგრამ ასე ზოგადი ლაპარაკით ყველას ნუ შეურაცხყოფენ.

მაინც რამ გაუტება მეცნიერებს სახელი?

— რომ გამოქვეყნდა სია უნივერსიტეტში 800 ადამიანის ქუჩაში გაშვების შესახებ, 2-3 დღის მერე თსუ-ს ეზოში მიტინგზე ის 800 კაცი არ მოსულა.

რატომ, პროტესტის გრძნობა აღარ აქვთ?

— შეიძლება, ზოგს საპროტესტოც არაფერი აქვს, იქ, მიტინგზე, ყველაზე მეტი სწორედ ასეთი დავინახე, საერთოდაც, ყველაზე მეტს ეგენი ყვირიან და ვისაც რამე ეთქმის, ის ჩუმდება. ეს საქმეს აფუჭებს. ზოგი იმედგაცრუების გამო არ აპროტესტებს, ზოგს შეიძლება, რაღაც სტიპენდიას დაჰპირდნენ და რომ არ დაკარგონ, ხმას არ იღებენ; ნაწილი პროტესტის ნიშნად კონკურსში არ იღებს მონაწილეობას. ეს ძალიან გულდასაწყვეტია: რადგან მაინც ტარდება, სწორედ ღირსეულებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. საერთოდ, შტატები რომ უნდა შემცირდეს, ეჭვი არ მეპარება, მაგრამ რა პრინციპით, როგორ? 800 საშტატო ერთეულის დატოვება ნიშნავს, რომ 20-30% გაივლის კონკურსს. დანარჩენებს, — ამბობენ, — ხელშეკრულებით მოვინვეთო. ეს რამდენად გაამართლებს, არ ვიცი.

თქვენ შეხვდით და ესაუბრეთ რექტორს...

— ჩვენ დავაყენეთ საკითხი, რომ საშტატო ერთეულებში განისაზღვროს სტუდენტთა დღევანდელი კონსტიტუციის მიხედვით და არა იმით, 2-3 წლის შემდეგ, რამდენი იქნება (მერე, შეიძლება, ეს მართლა საკმარისი აღმოჩნდეს). 4 კაცი — მე, მზესალა შანიძე, ოთარ ჯავახიძე, ჯუმბერ ჭუმბურიძე ორი საათი ვლაპარაკობდით და გვიტყობდა: კანონი უკვე მიღებულია და აღარ შეიცვლება. კანონს ადამიანები ქმნიან ადამიანებისთვის-მეთქი, — ვუთხარი, მაინც უარი მივიღე. ამიტომ მე მაქვს პრეტენზია ბევრი ჩემი კოლეგის და არაკოლეგის მიმართ: როდესაც ცოტა ადრე, რეფორმაზე ავლაპარაკებ, ვთქვი, რომ თუ ყველა უმაღლესი სასწავლებელი აკადემიასთან ერთად არ დავედებით და რეალური მოთხოვნები არ წამოგაყენებთ, არაფერი გამოვა-მეთქი. ერთი-ორის გარდა, რატომ არავინ ამომიღდა მხარში?

**— იქნებ, მოსწონთ ეს პროექტი?**

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. რექტორმა გვითხრა, რომ როგორც კი კონკურსი დამთავრდება, რადგან ეს 800 ადამიანი ვერ დააკმაყოფილებს საჭირო საათების რაოდენობას, კონკურსგარეშე დარჩენილ მასწავლებლებთან ხელშეკრულებებს გაავფორმებთო. ეს საკითხის ნაწილობრივ და არა საბოლოოდ გადაწყვეტას ნიშნავს. ერთ წელში ლექტორი გადამწყვეტად მუშაობისას ბევრს ვერაფერს გააკეთებს. ეს არის უმცირესი ბოროტება. ისიც გვითხრეს: ვინც სამუშაოდ დარჩება, ისინი წარმოადგენენ პროგრამებს და ახალს ამის მიხედვით გააკეთებთო. ფაკულტეტების შეერთებაც დიდი გუგუბრობაა. ახალმა რექტორმა გვითხრა: როდესაც სამინისტროში მივდი და ვთქვი, — ასე არ შეიძლება შეცვლა-მეთქი, — მითხრეს: ციფრების და გეგმითიანების ეს ვარიანტი უნივერსიტეტმა შემოგვთავაზაო. ჩემი თაობის, საშუალო და უმცროსი თაობების მეცნიერებს — უნივერსიტეტის თანამშრომლებს რომ ვეკითხები, ყველა უარობს: ჩემთვის არავის არაფერი უკითხავსო. ვის ჰკითხეს?! როგორ გააკეთეს?! უნივერსიტეტში გაუქმდა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული — აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, რომელსაც მსოფლიო მასშტაბით უდიდესი სახელი ჰქონდა. გაყვეს ორად: აღმოსავლური ისტორია მიუერთეს ისტორიის მიმდინარეობას, ენა ცალკე გამოყვეს. ჩემი აზრით, ეს არასწორია. ვისი კონსულტაციით მიიღეს გადაწყვეტილება, ვერც ეს გავარკვევ.

**— მოახლოებულ კონკურს ვინ შეაფასებს?**

— საკონკურსო კომისია ჯერჯერობით არ დაუკომპლექტებიათ. წესით, იქ უნდა იყვნენ მაღალი დონის პროფესიონალები, რომლებიც იცნობენ იმ დარგის ადამიანებს, ვისაც საკონკურსო განაცხადი შემოაქვთ, მათი რეპუტაცია ქორის დონეზეც კი არ უნდა იყოს შერყენილი.

— **სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ხელისუფალი ატარებდა რეფორმებს, რომელთა მიმდინარეობაზე თქვენ, როგორც ისტორიკოსს, ბევრი რამ გეცოდინებათ. დღეს, საუბრისას, ხშირად იმეორებდით, რომ რეფორმის ეტაპობრივად ჩატარება აუცილებელია. განელვა შედეგზე არ იმოქმედებს ან უფრო მტკივნეული არ იქნება?**

— მე მაინც ასე, ერთი ხელის მოსმით განათლებასა და მეცნიერებაში რეფორმის ჩატარება არასწორად მიმაჩნია, რადგან ორივე კონსერვატიული დარგია. რასაკვირველია, ანგარიში უნდა გაუწიოთ ცივილიზებული სამყაროში არსებულ ფორმებს, მაგრამ საკუთარი მდგომარეობა და ტრადიცია უნდა გავითვალისწინოთ. თუმცა ძალიან განელვა არ ივარგებს. დღეს სამეცნიერო ნაწილი რომ გააუქმეს უნივერსიტეტში, შეიძლება? უნივერსიტეტი არის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულება — ასე დააარსა ივ. ჯავახიშვილმა. სხვა შემთხვევაში, ის კოლეჯად ითვლება. ახალი რექტორი ამბობს, — აუცილებლად აღვადგენთო. როდის, რანაირად, როგორ, არ ვიცი, — ხელწერილს ხომ ვერ ჩამოვართმევთ, მაგრამ თქვა — აღდგება უმკაცრესი შემოწმების შემდეგ: წლების განმავლობაში, იმის მიხედვით, რომელმა ლაბორატორიამ რა გააკეთა მნიშვნელოვანო, ეს, სხვათა შორის, სწორია.

**— ისე, ბოლო წლებში ბევრი მნიშვნელოვანი რამ გააკეთეს ჩვენმა მეცნიერებმა?**

— როგორ არა. შრომებია გამოქვეყნებული — სწორედ ეს არის მიღწევები...

**— თქვენი აზრით, მაინც რა ფაქტორია კანონების გატარებისას ხელისუფლების პრინციპულობა თუ ლოიალურობა? რომელი უკეთეს შედეგს იძლევა?**

— მე მიმაჩნია, რომ კანონის მიღებამდე ხელისუფლებამ საჯაროდ უნდა განიხილოს საკითხები. თუ საზოგადოებისთვის მოსაწონი იქნება, მაშინ მიიღოს, მაგრამ თუ გასათვალისწინებელი შენიშვნები მერეც აღმოჩნდება, უნდა გაითვალისწინოს. მაგრამ მე არ ვარ ხელისუფლება და არც არავინ მეკითხება. აღარც იმ ასაკში ვარ და აღარც ის ძალა მაქვს, სხვაგვარად გამოვხატო ჩემი პოზიცია. თქმით კი, ყოველთვის ვამბობ ჩემს თვალსაზრისს ყველა იმ საკითხზე, რაზე ლაპარაკის უფლება მაქვს.

**— თქვენ ბევრი წაშრომი მიუძღვნით აფხაზეთის ისტორიას. შესაბამისად, ალბათ, ხშირად ეკონტაქტობდით აფხაზ ისტორიკოსებს, კულტურის მოღვაწეებს, ჩვეულებრივ ადამიანებს. დღესაც ურთიერთობთ მათთან?**

— სამწუხაროდ, არა. ჩემი კოლეგები — აფხაზები, ვისთანაც მქონდა ურთიერთობა, ხშირად ჩამოდიოდნენ აქ, ჩვენც ჩავდიოდით სოხუმში კონფერენციებზე, ბორჯომში ენობოლოგიის ინსტიტუტის შეხვედრებში. ვსაუბრობდით რეგიონულ პრობლემებზეც. ყოველთვის აფხაზი ისტორიკოსებისგან განსხვავებული მოსაზრებები გვექონდა, ხშირად დისკუსიებიც იმართებოდა. სამწუხაროდ, ბევრი ჩემი ძველი კოლეგა ცოცხალი აღარ არის, ვინც არის — მე მათთან კონტაქტი აღარ მაქვს. რაც შეეხება აქ მყოფ აფხაზებს, ლტოლვილებს, მათ ნაკლებად ვიკნობ. მაგრამ, თუ სადმე ვინმე შემხვედრია, მათგან მხოლოდ ერთი მომისმენია: ოლონდ დავებრუნდეთ აფხაზეთში და ჩვენ დავივიწყებთ იმ დიდ ტყვიულს, რაც მოგვაყენეს, არ მოვთხოვთ პასუხს იმისთვის, რომ დედ-მამა მომიკლეს, სახლი დამინვეს, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცი, ისინი რას იზამენ, რა განწყობილება ექნებათ ჩვენ მიმართ. ამიტომ ეს ურთულესი პრობლემაა.

**— როგორ ფიქრობთ, რომ დაეკონ-**

**ტაქტით აფხაზ ისტორიკოსებს, მიუხედავად იმისა, რომ ადრე ბევრ საკითხში ვერ თანხმდებოდით, თუნდაც თქვენმა მონაწილეებმა, ალწოდლებმა სცადონ მათგან ნაბიჯის გადადგმა, იქნებ ესეც ერთგვარი ბიძგი იყოს შემოროგების?**

— შეიძლება მართალი ბრძანდებით. სასურველია ასე მოხდეს. ამ გზებს ძიება უნდა და ეს იოლი არ არის. შეიძლება, ჩვენი ნაკლიც და შეცდომაც არის ის, რომ მაინცდამაინც არ გვიძებნია ეს გზები. იქნებ, რაც თქვენ თქვით, ამან მისცეს ბიძგი რაღაცას...

**— ისე, როგორ სახელმწიფოდ წარმოგიდგენიათ საქართველო უახლოეს პერიოდში?**

— ეს სახელმწიფო ნამდვილად უნდა დადგეს დემოკრატიულ პრინციპებზე. ახალგაზრდებს უნდა შეექმნათ სწავლის და შრომით დასაქმების პირობები. მაშინ მათ გაუჩნდებათ შვილის გაჩენის სურვილიც. და აქედანაც აღარ გაიქცევიან. შეძლებისდაგვარად ქართულ კულტურასაც (ფართო გაგებით) უნდა შეექმნას განვითარების საუკეთესო პირობები. დღეს ჩვენი ასაკის ერს რამდენს დავასახელებთ? ხანდახან, რომ ვუკვირდები, მიკვრის, როგორ შეინარჩუნეს ჩვენმა წინაპრებმა, ან თუნდაც ჩვენ, დღემდე საქართველო. მოვიყვანეთ XX საუკუნემდე და ახლა უნდა დავკარგოთ ჩვენი სახე? ბევრი ცივილიზაცია გაქრა და, ასეთ შემთხვევაში, ჩვენც გავერები. ეს ყველა უნდა გაითვალისწინოს: სახელმწიფოს უმაღლესი პირიდან დაწყებული, ნებისმიერი სტრუქტურის ხელმძღვანელმა თუ უბრალო მოქალაქემ. დემოკრატიული პრინციპები ასე ადვილი დასაძლევია არ არის. ერთხელ, შევადრნაძის პრეზიდენტობისას, ისტორიკოსები მიგვიჩვიეს სხდომაზე და მერე სიტყვით გამოსვლის საშუალებაც მომცეს. პირდაპირ ვთქვი: ბატონო ედუარდ, დემოკრატიამდე ევროპა სამი საუკუნე მანაც მიდიოდა, ჩვენ ერთ კვირაში მოვიწოდეთ. ჯერ არ ვართ მზად ამისთვის. ვისხედით ფეხმორთხმით ფეიდალიზმში, მერე გადაგვატუნეს, სად? — არც ჩვენ ვიცით, არც — თქვენ. 70 წელი გავატარეთ ამ საშინელ ანტიდემოკრატიულ დიქტატორულ რეჟიმში და ახლა ერთბაშად მოვიწოდეთ დემოკრატიას. არ ვართ მზად, ცოტა ფრთხილად და ნელ-ნელა უნდა მივიდეთ იქამდე-მეთქი. ჩემი აზრით, ჩვენ დღესაც არ ვართ დემოკრატიული სახელმწიფო.

**— თქვენ ხშირად უსვამთ ხაზს იმას, რომ ერთბაშად არაფრის გაკეთება არ შეიძლება. ამას რატომ ამბობთ?**

— ვშიშობ, რომ ერთბაშად ცვლილებები ბევრ დარღვევას გამოიწვევს, ამიტომ ვამჯობინებ ეტაპობრივს. ღმერთმა ისე არ მინდა წაიყვანოს ამ ქვეყნიდან, — გულწრფელად გუებნებით, — რომ არ ამის-რულდეს ჩემი მთავარი ოცნება: დავიბრუნოთ აფხაზეთი და ჩრდოლოვეთ ქართლის მითანეთი, აღდგეს ქვეყანა იმ გეოგრაფიულ საზღვრებში მანაც, რომლებიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ჰქონდა და ქართულ კულტურას, მეცნიერებასთან ერთად, მიეჩინოს მისი საკადრისი ადგილი. ■

# sanam cocxlebi vart... 1956

## მანანა იაშვილი

დასაწყისი ის. „გზა“ №24-25.

### ქომუნისტების „შავი პიარი“

სულ ტყუილი იყო ხრუშჩოვის ფრთიანი ფრაზა: გაუშვით, ეგლა გვაკლია — ბავშვების გვემინოდესო. ემინოდათ კი არა, ისე ემინოდათ, სანამ ძალა მათ ხელში იყო, კუდში დასდევდნენ, ყველა ნაბიჯს უკონტროლებდნენ და მათთვის სახელის გასატყუად, სხვადასხვა ბინძურ მეთოდს მიმართავდნენ. დასაწყისშივე, მათ წინააღმდეგ, საზოგადოების „ტივინის გამოჩენის“ მიმდინარეობდა. „შავი პიარი“, რომელზეც ლაპარაკი ახლა მოდამია, მსოფლიოს სხვადასხვა სპეცსამსახურის მიერ, მამინაც გამოიყენებოდა და მას, ქართველი სუკლებიც წარმატებით მიმართავდნენ. ხალხში გავრცელებული ხრუშჩოვის ნათქვამიც ხომ, ამ სტრატეგიის პატარა ნიუანსია.

წინააღმდეგობის ჯგუფის დაკავებისთანავე (ამ ჯგუფს, თვითონ მისი წევრები, ხან „ქეთოს“ — ქართველთა ეროვნული თავისუფლების ორგანიზაციას, ხან „გორგასლიანს“ უწოდებდნენ), 16 დეკემბრის გაზეთ „კომუნისტში“, ვინმე კ. ქებაძის სტატია — „სარეველა“ დაიბეჭდა, რომელსაც მესამე გვერდი მთლიანად დაეთმო.

სტატია მაშინდელი „შავი პიარის“ „ნაჯახისებური“ ნიმუშია, რომელიც უტიფარი ქილიკობით და საკმაოდ უნიჭო დიდაქტიკურ-რომანტიკული გადახვევებით, მხოლოდ ობივტელზე კი არ იყო გათვლილი, არამედ თვითონ ახალგაზრდებისა და მათი ახლობლების თავმოყვარეობაზე ზემოქმედებდა.

მართალი გითხრათ, ამ სტატიის კითხვისას, ხარხარი ამიტყდა და მეგობრებსაც ვაცივებდი, რომ არ მცოდნოდა ის დრამატული ამბავი, რისთვისაც „სარეველა“ დაინერა.

სტატია ასე იწყება (სტილი დაცულია):

„წარმოიდგინეთ, სულის და გულის გამზარებული მოხასხასე მდელო, მწვანედ მობზინე ჯგჯილი, როგორ გატკობობთ იგი! ეს არის ჩვენი ჩინებული ახალგაზრდობა, საბჭოთა ახალგაზრდობა — მშობლიური პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით აღზრდილი“ — შეძგე, ეს „ბედნიერი“ პეიზაჟი, ახალგაზრდა მეფოლადებით, შრომის გმირებითა და ოლიმპიური მიღწევებითაა გაჯერებული, რაც კლასიკური ქართული საბჭოთა ჟურნალისტიკის უპირობო შტრიხს წარმოადგენს. ყველა დიქტატორს სურს, ადამიანები მცენარულ მდგომარეობამდე დაიყვანოს, მაგრამ კომუნისტური სურვილების ასე ღიად დეკლარირებას, იშვიათად შეხვდები:

„მაგრამ წარმოიდგინეთ, ამ მდელოში, ამ ყვავილნარში, ზოგან მოდებული სარეველა ბალახი, როგორ აფერხებს და ზიანს აყენებს სალი მცენარის გაშლა-გაფურჩქნას... სამწუხაროდ, ქვემოთ ლაპარაკი გვექნება სწორედ ამ სარეველაზე — უღირს ახალგაზრდებზე, პირდაპირ ხულიგნებზე, უსაქმურობისა და დეობოზის „რომანტიკოსებზე“, ჯერ კიდევ აქაიქ რომ მოსდებიან ჩვენს ლამაზ ყვავილნარს“. აი, ამ „დეობოზის რომანტიკოსებმა“ მომიღო ბოლო, ეტყობა, ეს მაშინდელი „სლენგი“ იყო.

ავტორი დიდხანს არ გვიმხელს „სარეველების“ ვინაობას, სამაგიეროდ, ეპითეტებს არ იშურებს მათი გარეგნული სილამაზის და სულიერი სიცარიელის წარმოსაჩენად. თურმე, „უკანასკნელი მოდის ტანსაცმ-



ლით შეპყვნილ და დამშვენებულნი“, იერემია წარბას და ტარიელ მკლავაქეს ჰბაძავდნენ, რუსთაველის გამზირზე გამვლელ-გამოვლელს სცემდნენ და ქალებს შეურაცხყოფას აყენებდნენ. რამდენიმე ხატოვანი პასაჟის შემდეგ, რაც ახალგაზრდების ხულიგნობას წარმოაჩენს, ფრჩხილები იხსნება და წერილის ავტორის პათეტიკა, მთელი ძალით თავს ატყდება „ბავშვებს, რომლებსაც არ ემინიანთ“, მათ მშობლებსა და პედაგოგებს. აქ ეთიკის ნორმები დაიწყებულია და ავტორი, არც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ცნობს (ასეთ კატეგორიულ ხომ, კომუნისტური იდეოლოგია არ იცნობდა, ადამიანების მცენარის მდგომარეობაში გადასაყვანად ყველა ხერხი გამართლებული იყო). ავტორი ხატოვნად აღწერს ღირსეული მამის უღირს შვილს:

„დაფუშვით, ასეთი რამ: შედინარო წიგნის მალაზიაში. არჩევთ სიახლეს. თვალს იპყრობს ჩვენი ცნობილი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას ახალი რომანი — „ვინს ყვავილობა“. ყიდულობთ. შინ მიგინარიათ. გზაშივე ინტერესით ფურცლავთ წიგნს... ამ დროს, ვილაც მძლავრად გეჯახებათ და ზედ, უწმინდური სიტყვების კოროანტელსაც გაყრთ.

„ვინ არის კაცო, ეს ბანდიტი?“ — უნებლიეთ აღმოგხდებთ გულიდან. იცნობდეთ — ზვიად გამსახურდია — მწერლის შვილი. ხომ გულსატკეუნია? მაგრამ სამწუხარო ფაქტია. ვის ჰბაძაქს მწერლის შვილი? ნუთუ, მასთან უფრო ახლოს არ უნდა იყვნენ თუნდაც ის დადებითი გმირები, რომლებიც მამამისის ნაწარმოებებში გვევლინება?.. ნება გვიბოძეთ, კონსტანტინე გამსახურდიავ, გკითხოთ როგორ მოხდა, რომ „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორმა, მხატვრული პროზის ოსტატმა, თქვენი საკუთარი მარჯვენა ვერ განაზრცეთ თქვენს საკუთარ შვილზე?!

სტატიაში, გაკვრითაც არაა ნახსენები პროკლამაციების შესახებ, სამაგიეროდ, საზგასმულია, რომ ახალგაზრდები, კომკავშირულ მანდატს ატარებენ და პირველი სკოლის



ავტორი დიდხანს არ გვიმხელს „სარეველების“ ვინაობას, სამაგიეროდ, ეპითეტებს არ იშურებს მათი გარეგნული სილამაზის და სულიერი სიცარიელის წარმოსაჩენად (მარცხნიდან მეორე — ზვიად გამსახურდია, მესამე — გურამ დოჩანაშვილი).



მვიად გამსახურდია

კომკავშირული ორგანიზაცია, მათ აღსაზრდელად არ იღვწის. ეს აბზაცი, საბჭოეთის გარეთ არსებულ საზოგადოებას ატყობინებს, რომ პატრიოტული ჯგუფის წევრები, კომუნისტურ იდეოლოგიას ნაზიარები არიან და მათი პროტესტი მოგონილია. ამბობენ, რომ კომკავშირული ორგანიზაციის დავალებული ჰქონდა — სასამართლოზე დაეგმო ჯგუფის მოქმედება, მაგრამ პირველმა სკოლამ, ეს დავალება რალაცნაირად თავიდან აიცილა. თუმცა, კომკავშირის ცეკას დახურულ სხდომაზე, ამ ფაქტის გამო იმსჯელეს და თბილისის რუსული სკოლებიდან მონჯულმა აქტიურმა კომკავშირლებმა, ჯგუფის ხულიგნური მოქმედებები დაგმეს. იმასაც ამბობენ, რომ სასამართლოზე, მათი სახელით გამოვიდა ერთ-ერთი, დღეს მოქმედი პარლამენტარი ქალბატონი, მაგრამ პატრიოტული ჯგუფის ცოცხალი წევრები, ამ ფაქტის დადასტურებას თავს არიდებენ.

უბრალო ხალხში, შურის და ბოროტების დასათესად, ავტორი ახალგაზრდების ფუფუნებით სავსე, უზრუნველ ცხოვრებას აღწერს, რამდენჯერმე იმეორებს, რომ ისინი მოდურად იცვამენ, არაფერი აკლიათ, უცხო ენებს უფლებებიან და კერძო მასწავლებლები ჰყავთ. იმ დროს კი, ეს ყველაფერი ლამის კრიმინალურ დანაშაულად მიიჩნეოდა. წესიერად ჩაცმას, მხოლოდ ფული არ ჰყოფნიდა — საჭირო ნაცნობობა და სპეკულანტებთან ურთიერთობა იყო აუცილებელი. კერძო პედაგოგის დაქირავებაც აკრძალული იყო და ასეთი მასწავლებელი, სამსახურის დაკარგვის საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა, თუმცა, ამ აკრძალვას, ყურადღებას არც პარტიული მუშაკები აქცევდნენ და არც მოქალაქეები.

სტატიის ავტორს, წერილის ბოლოს, მანინ გაუპარა ტაბუდადებული სიტყვა:

**„თავმჯობილი ახალგაზრდები სშირად „დემოკრატიაზე“ გაჰყვიროან. მათი გაგებით, არას ნიშნავს ეს: თუ მათ სცემეს სუსტა და უდანაშაულო, მილიციებს არ უნდა ჰქონდეს საქმეში ჩარევის უფლება, საზოგადოებას არ უნდა მიეცეს დაზარალებულისადმი გამოქომაგების საშუალება.“**

წერილი ტრადიციული ფრაზით მთავრდება:

**„ჩვენი ამ წერილის ვაიგმირები, მალე წარსდგებიან ხალხის სამსჯავროს წინაშე და დამახურებულ საჯულს მიიღებენ ხულიგნობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისათვის.“**

ხულიგნების ფეხქვეშ, მინა უნდა ინვოდეს! როგორც მოგახსენეთ, „კომუნისტმა“, ეს წერილი 1956 წლის 16 დეკემბერს დაბეჭდა. გურამ დოჩანაშვილის და გურამ სხირტლაძის ნამბობში, გარკვეული უზუსტობა ჩანს — ბატონ **გურამ დოჩანაშვილს** უზუსტად ახსოვს, რომ ალექსანდრეს ბაღში, იგი 2 დეკემბერს დაჭრეს, რადგან იმ საღამოს, ახლო ნათესავის დაბადების დღიდან ბრუნდებოდა.

ბატონი **გურამ სხირტლაძე** იხსენებს, რომ პროკლამაციები 12 დეკემბერს გააკრეს, მაგრამ საგამოძიებო საქმეში, მისი გვარი, 27 დეკემბრამდე არ ფიგურირებს, ხოლო 29 დეკემბერს, მასთან სახლში ჩატარდა ჩხრეკა და იგი დააპატიმრეს. მაშინ, საინტერესოა, საიდან გაჩნდა გაზეთ „კომუნისტში“, 16 დეკემბერს, ჯგუფის ყველა წევრის სახელი და მათი მშობლების სამსახურებრივი მდგომარეობა?

ჭებმა ჯგუფი ჩამოაყალიბეს, ოჯახები უკვე თბილისის სხვადასხვა უბანში ცხოვრობდნენ, მაგრამ ურთიერთობა არ შეუწყვეტიათ. 14 დეკემბერს, საღამო ხანს, მეტრეველებთან კონსტანტინე გამსახურდია თამარიკოსთან ერთად მივიდა. „ჯონდისთან მაქვს საქმე, გული ცუდს მიგრძნობს“ (ასე ეძახდა ჯონდოს ბატონი კონსტანტინე) და ისინი, სალაპარაკოდ, ჯონდოს ოთახში გავიდნენ. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, სასტუმრო ოთახში დაბრუნდნენ. ბატონი კონსტანტინე უკმაყოფილო ჩანდა და ნასვლისას, ჯონდოს სიტყვა გადაუგდო: „რედაქციიდან შემბატყობინეს, მე ჩემი გითხარით და ახლა, როგორც გინდათ, ისე მოიქცით“. ჯონდომ თავის მართლება სცადა: „არ ვიცი, რაზე ამბობთ, კონია ბიძია“. ბატონმა კონსტანტინემ ხელი ჩაიქნია და კარისკენ გაემართა. თამარიკომ მარინას ჩასჩურჩულა: „ჯონდო რალაცას ტყუის, სახეზეც ეტყობა“. გამთენიისას, კარზე ბრახუნი ატყდა. ჯონდო დაიჭირეს და მეტრეველების სახლში, საფუტელიანი ჩხრეკა ჩატარდა. „თურმე, ყველას ერთდროულად დაადგნენ თავზე“, — მიყვება მარინა მეტრეველი.

სუკმა და კომუნისტურმა მმართველობამ თავის მიზანს — საზოგადოებას სრულ იზოლაციაში მოექცია ახალგაზრდები, მათთვის ავ-

## მერაბ დადიანი და მარინა მეტრეველი, იმ დღეებში უნდა დაქორწინებულიყვნენ. სანოვაგე უკვე ნაციდი ჰქონდათ და საქორწილოდ გამზადებული პროდუქტი, ციხეში იგზავნებოდა

ქალბატონმა **მარინა მიტრეველმა**, ჯონდო მეტრეველის დამ, კიდევ ერთი ამბით გაამდიდრა ჩვენი მოგონებები, მაგრამ ნამოჭრილ კითხვებს, პასუხი ვერ გასცა. გამსახურდიების და მეტრეველების ოჯახები, ერთმანეთის მეზობლად, დღევანდელი პაოლო იაშვილის ქუჩა №13-ში (ყოფილი ჯაფარიძის ქუჩა, სოლოლაკში) ცხოვრობდნენ. ბავშვები ერთად იზრდებოდნენ და მეგობრობდნენ. თამარიკო გამსახურდია და მარინა კლასელები იყვნენ, ხოლო მათზე უმცროსი ჯონდო და ზვიადი, ასევე, ერთ კლასში სწავლობდნენ. იმ დროისთვის, როდესაც ბი-

ტორიტეტი შეეღახათ და დეგრადაციის გზაზე დაეყენებინათ, ვერ მიაღწია, რაც ჯგუფის წევრების მომავალმა ცხოვრებამ დაგვანახვა, მაგრამ სუკთან ურთიერთობამ უკვალოდ მაინც არ ჩაიარა. სასამართლოს შემდეგ, ბიჭები ეჭვიანები და ფრთხილები გახდნენ, ჩაკეტნენ. ხასიათის ეს თვისებები, ზოგს მეტად და ზოგს ნაკლებად, მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა.

### „კოსტავა — არ გაგიმართლა!“

უზრუნველი სტუდენტური ყოფა დიდხანს არ გაგრძელბულა, სუკთან პირველი ინციდენტის შემდეგ, თითქმის ორი წლისთავზე, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გურამ დოჩანაშვილი და ჯონდო მეტრეველი დააკავეს. ეს ამბავი მშვიდობიანად დაინყო, ხელისუფლებასთან კონფლიქტს არავინ ელოდა.

მაშინ, სოლოლაკში, საღამოს სენსებზე კარგი



კონსტანტინე გამსახურდია, ქალიშვილ თამართან ერთად

ფილმების ჩვენებით, „სტელას ბალი“ (დღევანდელი „მსახიობის სახლის“ ეზო, ლუონიძის ქუჩაზე) იყო განთქმული. იმ დღეს, ფრანგული ფილმი — „ველოსიპედისტის სიკვდილი“ გადიოდა, ჟაკლინ ბისეს მონაწილეობით. ფილმის ნახვის შემდეგ, მეგობრებმა, ცხაკაიას (დღევანდელი ვუკოლ ბერიძის) ქუჩაზე, მერაბის ბებიასთან სტუმრად შეიარეს (ზოგიერთი ვერსიით, ისინი უბანში, დაბადების დღეზე იყვნენ მისულები). მხიარულ კომპანიას ჯონდო მეტრეველის სახიძო, მერაბ დადიანიც შეურთდა. ჩვეულებისამებრ, დაიწყო ფილმის გარჩევა და კამათი, რომელიც სტუმრობის შემდეგ, ქუჩაშიც გაგრძელდა.

შუალამე გადასული იყო, ბიჭები სოლოლაკის ცნობილ სანაყინესთან იდგნენ, ჟაკლინ ბისეს მსახიობურ და ქალურ ღირსებებს განიხილავდნენ, შეზარხოშებულებს, შთაბეჭდილებების გაცვლა, ცოტა არ იყოს, ხმამაღლა გამოსდიოდათ. მამინ კი, დიდ საბჭოეთში, დაუნერვლი კომენდანტის საათი არსებობდა, მშრომელებს ღამე უნდა ეძინათ და სიზმარშიც, დიად მომავალზე ეოცნებათ. რა ჟაკლინ ბისე და რომელი ევროპული ხელოვნება? დილით კომუნისში უნდა ემეზობინათ!..

იქვე, სანაყინესთან, იარაღიანი ღამის დარაჯი თვლემდა. გვერდით, „საჩუქრების მალაზიასთან“, მეორე დარაჯი იყო გამწვანებული, რომელიც ახალგაზრდების ხმამაღალმა კამათმა გამოაღვიძა, არავინ იცის, რა მოეჩვენა და პაერში გაისროლა. სროლის ხმაზე, მილიციიდან, იმნამს მოვარდა ოპერატიული მუშაკების მანქანა. მერაბ დადიანის გარდა, რომელიც ასეთ საქმეებში გამოუცდელი იყო, ყველა გაიქცა. მილიციის თანამშრომლებმა დარაჯს ჰკითხეს — რატომ ისროლო? შეშინებულმა დარაჯმა, რომელსაც მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციაში ჰქონდა სროლის უფლება, თანამშრომლებს მოახსენა: ბიჭები იარაღს მართებდნენ. ასეთმა სიცრუემ, მერაბ დადიანი ალაშვოთა, რომელიც გულუბრყვილოდ, მილიციის თანდასწრებით, საქმის გარჩევას მოჰყვა და ამიტომ, ის მანქანაში ძალით ჩასვეს. ამის დამნაშავეები ჯონდა და მერაბ კოსტავა უკან დაბრუნდნენ, სასიძოს გვერდით მიუსხდნენ. დანარჩენებს, მილიცია მთავრობის სასახლესთან წამოუწია.

**გურამ დოჭანაშვილი** იხსენებს:

„ის ღამე, მილიციაში გავატარეთ, დილით, სუკში აგვიყვანეს, სადაც ათ დღემდე გვაყოფსუტეს. ზვიადს, კონიამ ფსიქიატრიულით უშველა, ჩვენ ციხეში გადაგვიყვანეს, მინიმუმ რვა წელი გველოდა — ასეთი კანონი იყო. სრულიად უდანაშაულოები ვიყავით. ჩვენები, რა თქმა უნდა, ჩვენს შველას და ციხეში, ჩვენი ყოფის შემსუბუქებას ცდილობდნენ. ჯერ ჯონდა და ანკვირეს ციხის საავადმყოფოში, ვითომ გამოსაკვლევად, შემდეგ კვირას, მე დამანჯინეს, ეს დიდი შეღავათი იყო, რომელიც მშობლებმა გაგვიკეთეს. ციხის კამერაში, 50 კაცზე 28 საწოლი იდგა და ზოგს იატაკზე ეძინა. საჭმელს სულა მკითხავთ, პირში არ ჩაიშვებოდა. პური აზღვილ ტალახს ჰკავდა და იმასაც, ცოტას გვაძლევდნენ. საავადმყოფოში კი, ბალი იყო, სადაც ერთი საათით სასეირნოდ გვიშვებდნენ, „პრუჟინიან“ საწოლზე, მეფურად მარტო ვინეკი და

ყოველ დილას, მანონსა და კარაქს გვაძლევდნენ. ვართ ასე და ვეჩვევით ციხის ცხოვრებას.

მერაბ დადიანი და მარინა მეტრეველი, იმ დღეებში უნდა დაქორწინებულიყვნენ. სანოვანე უკვე ნაყიდი ჰქონდათ და საქორნილოდ გამზადებული პროდუქტი, ციხეში იგზავნებოდა. პატიმრები და თანამშრომლები გაცივებული იყვნენ — ეს რა ხალხი შემოვიდა, მეფური „პერედაჩა“ აქვთო. მერაბ დადიანის მამა, ენგურაძის მშენებლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, შვილის დაქვრამ ძალიან ალაშვოთა. მისმა ავტორიტეტმა იმოქმედა და ჯერ მერაბ დადიანი გაათავისუფლეს, შემდეგ, დანარჩენებზეც შეწყვიტეს საქმე.



... უეცრად გვეძახიან: „სვეშჩაში!“ ეს ვიცოდით, რაც იყო, ციხის განათლება მიღებული გვექონდა, ესე იგი გვიშვებდნენ. მამინ, ციხის უფროსი, დავითულიანი იყო, რესპუბლიკის პროკურორმა გაგვიშვა, მაგრამ დავითულიანს ხელი უნდა მოეწერა. მისი კაბინეტი, ციხის კორპუსიდან ხელმარჯვნივ, ჭიშკართან ახლოს იყო. გარედან, ახლობლები გვეხმარებოდნენ, რესტორანში სურდათ ჩვენი გათავისუფლების აღნიშვნა, მაგრამ დავითულიანი არ ჩანდა, რესტორნები კი, მამინ საღამოს 11 საათზე იკეტებოდა.

ვდგავართ, ვიცდით. უკან, ციხეში მტერი დაბრუნდა, მაგრამ იქაც აღარ შეგვიშვებენ, გარეთაც გზა მოჭრილი გვაქვს — ხელმოწერაა საჭირო. უეცრად, ჩამოიარა ციხის მთავარმა ექიმმა. საშინელი ქალი იყო, ისეთი „კაგებუნისცა“, რომ მისი ხმის გაგონება, თანამშრომლებსაც კი ზაფრავდა. მხოლოდ პატიმრებს კი არა, მათაც აბეზღებდა, „გესტაპოს“ ეძახდნენ. ამბობდნენ, ხალხს თავისი ხელით ხვრეტსო. ეს „კაგებუნისცა“ კვად-

რატში“ გვეკითხება — აქ რა გინდათო? გვიშვებენ-თქო, ვუპასუხეთ. უეცრად, მერაბს მიუბრუნდა და ეუბნება:

— ჰო, კოსტავა, ბედი არ გქონია...

გადაირია მერაბი, ისედაც ვნერვიულობთ, ჩვენს გაშვებას საშველი აღარ დაადგა, თან ვიცით, რომ ყველას გვიშვებენ და ახლა კიდევ „გესტაპო“ ეუბნება — ბედი არ გქონიაო. რატომო? — ჰკითხა დაბნეულმა მერაბმა — ენაცვალოს ჩემი თავი, ალბათ, იმნამს, რამდენმა ფიქრმა გაიზრინა მის გონებაში.

— ხვალ, საავადმყოფოში განვენდითო — უპასუხა „გესტაპომ“. გესმით, თურმე, ციხის საავადმყოფოში უნდა დაუნჯინათ და

ბედიო... ერთმანეთს შეგხედეთ და ისეთი ხარხარი აგვიტყვია, ვეღარ ვჩერებოდით, სიცილით ვიხოცებოდით და ვიმეორებდით: „არ გაგიმართლა, კოსტავა!“, „კაგებუნისცა“ ჯერ შეცბა, მერე კულდამოშუბული გაიძურნა. როგორც იქნა, ღამის 12 საათზე გამოგვიშვეს“.

სადამსჯელო ორგანოებთან, ამ ბოლო ინციდენტის შემდეგ, სამეგობროში, რომელიც სათავეს ნატალია უნაფქოშვილის საბავშვო ბაღიდან იღებდა, ზნარი გაჩნდა. ურთიერთობები გაცივდა. თავისთავად, აქ მშობლებმაც იმუშავეს, რომლებიც მიჩინვდნენ, რომ ბიჭები ერთმანეთს დალუპავდნენ — ცოდნის ზიარებისა და კარიერის ნაცვლად, ციხეში ამოხდებათ სულიო. იყო სხვა ფაქტორიც, რომელზეც ან ნაადრევი ლაპარაკი, ან სულაც არაა საჭირო — ასე აქვთ გადანყვებილი ამ ჯგუფის ცოცხალ წევრებს და ამიტომ, პატივისცემით მოვეკიდოთ მათ აზრს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**P.S. მანანა იაშვილის წერილების ციკლი ჩვენი წარსულის იმ მხარეს ეხება, რომელიც ბევრ ადამიანში გამოხმაურების სურვილს აღძრავს. ავტორი და რედაქცია იმასაც ვარაუდობენ, რომ აღწერილი მოვლენების ზოგიერთ მონაწილესა თუ მომსწრეს საკუთარი ვერსიები ექნებათ. ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ: აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კამათი, ფაქტებითა და არგუმენტებით გაჯერებული შეხედულება მხოლოდ საერთო სურათის სრულყოფას შეუწყობს ხელს.**

# გონების სასარჩილო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის  
(კითხვები)

ჭვემით მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„კასუსხის“ სვამსკან არ გაგაქცათ თავლი.

1. ამერიკის ამ პრეზიდენტს, ლარი ბი რიჩარდს მეტსახელითაც იცნობდნენ.
2. ეს მტაცებელი თევზი, სიცოცხლის განმავლობაში, 30 ათასამდე კბილს იცვლის.
3. „მგზავრო, სპარტაში რომ ჩახვიდე, აუნყე ყველას, რომ ჩვენ აქ ვწევართ და გვიხილე ვალმოხდილები“ — სად შეიძლება ამ უპიტაფის წაკითხვა?
4. რომელი ცხოველის ბენვისგან ამზადებენ დიდი ბრიტანეთის სამეფო გვარდის ჯარისკაცთა ქუდებს?
5. რა არის საფრა?
6. ერთ-ერთ საღამოზე, რევაზ მიშველაძეს ვილაც ქალბატონი გადაეკიდა: „რამდენჯერ შეიძლება ქალს მამაკაცი შეუყვარდეს?“ ბატონი რეზო ზრდილობიანად შეეცადა, სულელური კითხვისთვის გვერდი აეწვლო, მაგრამ უშედეგოდ. როდესაც ქალმა საშველი აღარ მისცა — „თხუთმეტჯერ“ — უპასუხა. ამ დროს, მის გვერდით მჯდომმა ოტია იოსელიანმა თავი ასწია და ახირებული შეკითხვის ავტორს ღიმილით მიმართა... თუ გაიხსენებთ, რა თქვა ბატონმა ოტიამ?
7. „ჩვენ ბარბაროსი შემოვუშვით ევროპაში“ — ამბობდა ჩერჩილი მის შესახებ.
8. ეს რუსი მომღერალი, თავის დროზე, „სასწრაფო დახმარების“, ექიმად მუშაობდა.
9. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეაზე, ნიკიტა ხრუშჩოვმა გახდილი ფეხსაცმლის ტრიბუნაზე ბრახუნით, მთელ საბჭოთა კავშირს მოსჭრა თავი. მოგვიანებით, აჯუბეი ცდილობდა — ეს ამბავი ბრძნულ, გამიზნულ პოლიტიკურ აქტად გაესაღებინა. რას ამტკიცებდა იგი?
10. ბერძნულ მითოლოგიაში პლუტოსი სიმდიდრის ღმერთია. რა ფიზიკური ნაკლი ჰქონდა მას?
11. პატარა ბუს, ბუკიოტი ჰქვია. რა ჰქვია ბუკიოტზე უფრო პატარას?
12. ალერსიანი გამოხედვა, სუფთად გაპარსული წვერი და ოდნავ მარცხნივ შეღერებული ყელი — ასე აღწერენ ისტორიკოსები ამ ადამიანის გარეგნობას. მისი მიბაძვით, საბერძნეთმა, საუკუნეთა განმავლობაში ნატარები წვერი გაიპარსა, ხოლო მისი დიდების მაძიებელი ავანტიურისტები, წლობით დადიოდნენ ყელმოღრეცილნი. ვინ აღწერეთ ახლახან?
13. რას ნიშნავს „ზახრუმა“?

# ანკდოტები

\*\*\*

— როგორც იქნა, ჩემი მამამთილი ფრჩხილების კვნეტას გადა-



ვჩვიე!  
— როგორ?  
— კბილები დაეუმალე!

\*\*\*

ბიჭი ეუბნება გოგოს:  
— ამბობენ, ქალებს ყურებით უყვართო...  
— რა თქვი?  
— ქალებს ყურებით უყვართ-მეთქი?  
— რა თქვი?  
— ჩემი ბედის რა ვთქვი, რაღა მე შემხვდა ფრიგიდული!

\*\*\*

— ექიმო, იმ პაციენტს რა ანუხებდა, ჩემ წინ რომ იყო?  
— 50-ლარიანი.

\*\*\*

ქმარმა ცოლს შეუსწრო ლოგინში თავის მეგობართან და ეუბნება:  
— არა გრცხვენია, ქალო, ათი წელი სიამტკბილობაში გავატარეთ, ასე უსინდისოდ, საკუთარ ძმაკაცთან როგორ მილალებე? შენ კიდე, სხვა ვერავინ ნახე, ჩემს ცოლს რომ დაადგი თვალი... ერთად მაინც არ ვიყოთ გაზრდილები!.. როცა გელაპარაკებით, მაშინ მაინც გაჩერდით, თქვე ნამუს-გარეცხილებო!!!

\*\*\*

ებრაელს ეკითხებიან:  
— რატომ გაქვთ ასეთი პატარა ქვეყანა?  
— დიდი რად გვინდა, იქ მაინც იშვიათად ჩავდივართ.

\*\*\*

დიასახლისმა მოახლე დაითხოვა სამსახურიდან. გამწარებულმა მოახლემ პირში მიახალა:  
— თქვენ ავი, ბოროტი და უქნარა ქალი ხართ! ლოგინში კი, მე ათი თავით გჯობივართ!  
— ეგ ვინ გითხრა, შე გათახსირებულო, ჩემმა ქმარმა?!  
— არა, თქვენმა მძლოლმა!

\*\*\*

ბაღში 80 წელს გადაცილებული კაცი ზის და ცრემლად იღვრება.  
— რა გატირებს, ბაბუ? — ეკითხება ახალგაზრდა.  
— რაღა რა მატირებს?! 25 წლის ცოლი მყავს. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. დილით სახლიდან გამოსვლისას მკოცნის, ისე არ მიშვებს, საღამოს სახლში რომ მივალ — მკოცნის, მერე, ცხელ ვახშამს მაჭმევს, მერე, მახანავებს, მერე, ლოგინში ჩამინდება და მთელი ღამე ვსიყვარულობთ.  
— მერე და ასეთ ბედნიერ კაცს რა გატირებს?  
— სახლის მისამართს ვერ ვიხსენებ.

\*\*\*

მისომ და მიტომ ვეტერინარული დაამთავრეს. სინჯავენ ძროხას. ერთი ხახაში ჩაჰყურებს, მეორე უკანალში.  
— მისო, შენა მე მხედავ?



— არა, მიტო, ვერა გხედავ.  
— ჩანერე, ნანლავების გადახლართვა.

\* \* \*

თვითმფრინავი მოსკოვი-კიევი. სტიუარდესა შთამბეჭდავი დეკორატიული ერთ-ერთ მგზავრთან ისრება და ეკითხება:

— რას დალევთ, ჩაის თუ ყავას?



მგზავრი ღიმილით პასუხობს:

— რომელშია ჩაი და რომელში

— ყავა?

\* \* \*

- დირექტორს სთხოვეთ.
- დირექტორი დაკავებულია.
- მე მისი ცოლი ვარ.
- ყველა მასე ამბობს.

\* \* \*

— დამწყები პოეტი რომ ვარ, იმიტომ დამინუნეთ ლექსები?

— თუ არ შეგეძლო, რაღას იწყებდი, ძამია?!

\* \* \*

თვითმფრინავი. ღამის რეისი. ორნი დგებიან და მიდიან უკანა ტუალეტისკენ:

- ნელა, ნელა, მგონი, ყველას სძინავს, — ამბობს ერთი.
  - ჰო, ჩუმად, შედი და მეც ახლავე მოვალ, — ჩურჩულებს მეორე.
  - პრეზერვატივი წამოიღე?
  - კი, ახლავე ჩამოვაცმევ. ისმის ხვნეშა.
  - უფ, რა კარგია!
  - ჰო, მიდი დროზე!
- ამ დროს, ისმის პილოტის ხმა დინამიკიდან:
- ეი, მანდ, უკანა ტუალეტში! ვიცით, რასაც აკეთებთ! ახლავე ჩააქრეთ სიგარეტი და მოხსენით პრეზერვატივი კვამლის სახანძრო დეტექტორს!!!

\* \* \*

ცოლი ეუბნება ქმარს:

- იცი, მალე მამა გახდები.
- ქმარი მიძიმედ ჯდება სკამზე:
- მაინც ყველაფერი მოგიყვა, ხომ,

იმ გათახსირებულმა?!

\* \* \*

ფინანსური პოლიციის თანამშრომელი „ახალ ქართველს“ ეკითხება:

— მაშ, თქვენ გინდათ თქვათ, რომ ხუთი სახლი, ორი ვილა, ოთხი „მერსედესი“, და ორი ლიმუზინი, პატიოსანი გზით ნაშოვნი ფულით შეიძინეთ? თქვენ ეს ფული ხალხს მოჰპარეთ!

— მოიცა, თუ ძმა ხარ, სადა აქვს ხალხს ამდენი ფული!

\* \* \*

— მამა, დენტრმეტორული კურვეში რა არის?

- სად წაიკითხე?
- მე თვითონ მოვიგონე!

\* \* \*

განცხადება თელ-ავივის რადიო-ოთი: „ძვირფასო თანამოქალაქეებო! გაცნობებთ, რომ ზოოპარკიდან გაიქცა ენოტი. მნახველებს გთხოვთ — ზოოპარკის საღაროში 10 შეკველი გადაიხადოთ.“

\* \* \*

— ექიმო, რასაც არ უნდა ვაკეთებდე, ათჯერ ვიმეორებ, ათჯერ ვიმეორებ, ათჯერ ვიმეორებ... სამინლად ვგრძნობ თავს, თავს, თავს! მაგრამ ჩემი ცოლი ძალიან კმაყოფილია, კმაყოფილია, კმაყოფილია.

\* \* \*

სვან ყასაბთან მყიდველი მივიდა:

- ბიძაჩემო, ეს ხორცი ადრე ყიფდა თუ ენაოდა?
- ეს ხორცი ადრე უამრავ სულელურ შეკითხვას იძლეოდა.

\* \* \*

სვანმა შარფი იყიდა და მეორე დღეს მალაზიაში დააბრუნა: ძალიან მიჭერსო.

\* \* \*

- უკაცრავად, თქვენ ჩემს მარაოზე ზიხართ.
- მართლა? მეც არ მიკვირდა, საიდან მიბერავს-მეთქი!

\* \* \*

- აბრაამ, რატომ ხარ მონყენილი?
- გუშინ დოლარები ვიყიდე და ფული აღარ დამრჩა.

# გონათობის სასაჩუქრო

## „გზის“ ერთგული მკითხველისათვის (პასუხები)

1. ღარიბი რიჩარდი ბენჯამინ ფრანკლინის მეტსახელია.
2. ზვიგენი.
3. ამ ეპიტაფიის წაკითხვა, თერმობილეს ხეობაში აღმართულ სვეტზე შეიძლება, სადაც სპარტელთა მეფე ლეონიდემ, 300 მეომართან ერთად, სპარსეთის მეფის, ქსერსეს, 600-ათასიანი ლაშქარი შეაკავა.
4. დიდი ბრიტანეთის სამეფო გვარდიის ჯარისკაცების ქუდებს, დათვის ბუნვისგან კერავენ.
5. საფრა შაქრის ლერწმის რთველია.
6. „მეთექვსმეტე, ბოზობაა, ქალბატონო!“
7. სტალინის შესახებ, რალა თქმა უნდა.
8. ალექსანდრ როზენბაუმი.
9. სრუშჩოვის სიძე — აჯუბეი, მართლაც ცდილობდა, ეს ამბავი ბრძნულ, გამიზნულ პოლიტიკურ აქტად გაესაღებინა და ამტკიცებდა, სრუშჩოვს ფესსაცმელი ისე ეჭირა, რომ მისი ქუსლი მექსიკის, ხოლო წვერი — აშშ-ის დელეგაციისკენ იყო მიმართულიო.
10. პლუტოსი ბრმა იყო.
11. ბუკნაჭო.
12. ალექსანდრე მაკედონელი.
13. „ზახრუმა“ სპარსული სიტყვაა და არგადარჩენას ნიშნავს.



უკომენტაროდ

საქართველო



# veluri wablis xeivani

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-

## ზაზა ვაჩნაძე

სამშობლოსთან თითქმის 15-წლიანი განშორების შემდეგ, ახალგაზრდა არქიტექტორი ნიკა ბერიძე თბილისში ბრუნდება და თავის მრავალრიცხოვან ოჯახს ბებუის — ელისოს დაბადების დღეს წამოადგება თავზე. 2 კმის, დის, დედამამისა და ბებუის გარდა, ნიკა თავის 13 წლის ქალიშვილსაც პირველად სვდება. ემიგრანტ კაცს საქართველოში ძალზე შეცვლილი ვითარება სვდება. დედამამიშვილების ურთიერთობებიც, რომლებიც არც მანამდე იყო იდეალური, კიდევ უფრო გაართულებულა და ამ ვითარებას, დროებით მათთან ჩასიძებული თამაზიც ამძიმებს...

ელისო სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავდა, როცა იქ ჩამაკვიალებული ანი შექაქანდა და მაგიდას მიუჯდა.  
— ბებო, ჩქარა, ჩქარა, რა, მაჭამე!  
ელისო გაკვირვებული მოტრიალდა.  
— სუფრისთვის ხელი არ გვიხლია, ისევ ისეა ყველაფერი, აულაგებელი, — უთხრა მან ანის.  
— ვიცი, ვიცი, მაგრამ ხომ იცი, შენი მორთმეული როგორ მიყვარს... — შეხევენა ანი.  
— რას ინებებთ? — შეეკითხა ელისო.  
— ჩაი, ჩაი, ჩაი, ნამცხვარი და მეტი არაფერი, — ისევ მიაყარა სიტყვები ანიმ.

ელისომ ხელი შეიმშრალა და ვიდრე ჩაის დაუსხამდა, ანის თევზზე ნამცხვარი დაუდო.  
— უცხოეთმა ფერი უცვალა ნიკას, არა?... — შეეკითხა ანი.  
— რას გულისხმობ? — ვერ მიუხვდა ელისო.  
— რა ვიცი, სხვანაირია, უფრო დახვეწილი, ერთი ზედმეტი სიტყვა არ უთქვამს ჯერ...  
— ჩვენს ხელში ეგეც შეიცვლება... — ჩაილაპარაკა ელისომ.  
— არა მგონია... პირიქით, ჩვენ შევიცვლებით მაგის ხელში. თუმცა, ვინ იცის, დარჩება თუ უკან აპირებს წასვლას.  
— ცოდოა ჩვენთან, — თქვა ელისომ.  
— ცოდო? შენ რა პესიმისტურ განწყობილებაზე ხარ! სანამ ჩამოვიდოდა, ამ ოჯახში სულ ყველას, ნიკა ევერა პირზე; კაცი ჩამოვიდა და სიხარულის მაგივრად, ტირი?! მაგარი კაბა შეგიჩრჩიე?  
— რა ვიცი. ჩემი ხნის რომ მოიყრები, ჩაცმას დიდ მნიშვნელობას აღარ მინიჭებ... ნიკა ადგა? — იკითხა ელისომ.  
— კი, პირს იპარსავს.  
— თაზო?  
— სუფრასთან არის გამოქიმილი, ბიჭი... მაგის ამბავი რომ ვიცი, დილიდან უნდა გადააბას. ნუ გეშინია, ჭიქის ანეკს ვერავინ დაასწრებს.  
— ნეტავ, როგორ შეეგუება ნიკა აქაურ ახირებებს?... ეგ ალბათ, გადაჩვეულია ამ ყველაფერს.  
— რას გულისხმობ? — ვერ მიუხვდა ბებოს ანი.  
— რასა და თქვენს თავქარიანობას, ახალგაზრდებისას...  
— ელისო, რატომ იცი ხოლმე ჩვენი თაობის ასე უდიერად მოხსენიება? — ირონიულად იკითხა ანიმ. — ჩვენ თუ რამე კარგი გვაქვს, ყველაფერი თქვენგან გადმოგვეცა და რაც კი ცუდი, ჩვენი მოგონილია, არა?... თუმცა, არ ვიცი, რატომ არის ცუდი, გოგოებმა, თუნდაც, ჭიბი რომ გამოვიჩინეთ?! შენ იცი,

რას ნერდა ჯერ კიდევ ოთხასი წლის წინ, ვოლტერი?... ყველაზე მეტი აღვირახსნილობა მაშინ იყო, როცა ქალებს შლეიფიანი კაბები ეცვათ და სახეზე ჩადრი ჰქონდათ ჩამოფარებულიო. პო, პო...  
ნიკა შემოვიდა და უხმოდ ჩამოჯდა სკამზე. სახეზე აშკარად ეტყობოდა ბოლო დღეების დაღლილობა.  
— რაზე კამათობთ? — მშვიდად იკითხა მან.  
— ეს ქალბატონი მიმტკიცებს, დღევანდელი თაობა ბევრად უფრო პატიოსანიაო. დაუფერო? — იკითხა ელისომ.  
— მე მასე არ მითქვამს, ელისო, რატომ იტყუები? — არ მოეწონა ანის ბებოს ნათქვამი.  
— რა ვიცი, ვოლტერი არ მომიყვანე მაგალითად? — გაიცინა ელისომ.  
— კაი მადა გქონია. მეც არ ვიფიქრე, რამ გაასუქა-მეთქი?... — გაეცინა ნიკას, როცა დაინახა, რამხელაზე ჩავბიჩა ნამცხვარი ანიმ.  
— იცი, რას გეტყვი, გენაცვალე? ერთი ნაკლი ყველასა აქვს. ჩემი ნაკლი ნამცხვრების სიყვარულია, რა ვქნა, ამას ვერ ავიკრძალავ... — თქვა ანიმ და ლუკმა გადაყლაპა.  
— შენ, შენ არ დაგისხა, შვილო, ჩაი? — ჰკითხა ნიკას ელისომ.  
ანიმ ტუნები ხელსახოცით მოიწმინდა და წამოდგა.  
— მე გავვარდი, ელისო, დიდი მადლობა... ძალიან, ძალიან მენატრები, ნიკა, მაგრამ რა ვქნა — ზუსტად თხუთმეტ წუთში სამსახურში რომ არ ვიყო, გამომაგდებენ ალბათ... — ანიმ ჰაეროვანი კოცნა სტყორცნა ორივეს და გავიდა.  
ნიკამ სანთებელა და სიგარეტის კოლოფი დადო მაგიდაზე. ჩაფიქრებული ჩანდა.  
— დაგისხა? — ისევ შეეკითხა ელისო.  
— კი, დავლევ, — მიუგო ნიკამ.  
ელისომ ფინჯანი დაუდგა.  
— ეს ჭიქები ისევ ცოცხალია? — გაუკვირდა ნიკას.  
— კი, ოთხი ცალი გადარჩა თორმეტიდან. გახსოვს?... — გაუკვირდა ელისოს.  
— რა ჩაია? — დაყნოსა ჩაი ნიკამ.  
— აბა, რა ვიცი, შვილო. ადრე ერთი სახეობის ჩაი გვექონდა და ფერიც ჰქონდა და სურნელებაც, ახლა მილიონი სახეობისაა შემოზიდული — ჩინური, ცვილონური, ინგლისური და რა ვიცი, სადაური აღარ, — მაგრამ მე ამათ ველარც გემოს ვატან და ველარც სურნელებას ვუგებ! — ელისო ნიკას თვალს არ აცილებდა. — ვერ ვიჯერებ, რომ შენ გიყურებ, ასე მგონია, სიზმარში გამომეცხადე, გავიღვიძებ და გაქრები...  
— სულ არა ხარ შეცვლილი, გეფიცები, ისევ ისეთი ელისო ხარ, როგორიც იყავი...  
— გამიკეთე გული, გამიკეთე! ცოტა თვალს დამაკლდა, თორემ, გულს არ ვუჩივი...  
— „წნევები“? მახსოვს, წნევა განუხ-



ებდა ხოლმე, არა?

— ეჰ, ნიკა, შენ როგორ გგონია, ამდენი გიჟის ხელში, ოთხმოცდახუთი წლის ქალს, წნევა გამოივლიდა?! დღე ერთი და პრობლემა — ათასი. არ მინდა, გული გაგიფუჭო, მაგრამ ქვა უნდა იყო, ქვა, რომ ამ ყველაფერს გაუძლო. ეტყობა, ქვა ვყოფილვარ: გარშემო, ჩვენს უბანში, პანტაპუნტით წავიდა ხალხი... ექიმი მაინც არ ვიყო, ყველაფერი მე უნდა ვნახო, ყველაფერს მე უნდა შევესწრო...

— სამსახურში ისევ დადისარ?  
— რას ამბობ?! სამსახურიდან

კარგა ხანია წამოვედი, მაგრამ ჩემი პაციენტები ისევ მე მაპოხებენ. შენ გგონია დღევანდელმა ექიმებმა რამე იცინა? არც არაფერი.

— ძალიან კარგად გიცნობ, შენ ლომი იყავი ყოველთვის...

— რას ამბობ, შვილო, რაღა დროს ჩემი ლომობაა! თუმცა ზოგჯერ, მიყვარს ბრჭყალების გამოჩენა, თუ საჭიროა. დღეს სხვანაირად რომ მოიქცე, შესაძლოა, ხუხულასავით თავზე დაგემხოს ყველაფერი.

— ყველაზე მეტს შენზე ვფიქრობდი ყოველთვის და შენ მაგონდებოდი, გეფიცები! — თქვა ნიკამ გულწრფელად.

— შენ მეც ძალიან მიყვარხარ... მართალია, ყველას ერთნაირად მინდა გავუნანილო სიყვარული, მაგრამ არ ყოფილა ეს ასეთი ადვილი: შენ ერთს ფიქრობ, გული — სხვას... ძალიან, ძალიან ბევრ რამეზე დამწყდა გული. საზიზღარი წლები გადავავტოვე, მაგრამ აი, შენ ჩამოხვედი და თითქოს ყველაფერი ერთბაშად განათდა... ახლა, თუნდ მოკვდები, აღარაფრად ჩავაგდე.

— რა დროს შენი სიკვდილია?! ამერიკაში ასი წლის ბებიები, იცი, როგორ დააქროლებენ მანქანებს?!  
— მანქანის ტარებალა მაკლდა... ისე, ანი, შენი დაც წამოგდა „რულთან“, კაცებს ტოლს არ უდებს, სულ ცდილობს, გაეჯობროს... უნდა განახვავ, როგორ იგინება, როცა ვილაც გაასწრებს!..

— შენა გგავს ალბათ, შენი ჯიშის არ არის?!  
— ჰო, ჩემი ჯიშისაა, მართლაც... მაგრამ რა ვიცი, მგავს კი?.. თეონა როგორ მოგეწონა?  
— დიდი გოგოა, სურათებში სხვანაირი იყო... შენ შემოიჩვენე ალბათ, ამ ოჯახში... — ნიკა გაჩუმდა. — დედამისიც მოდიხ ხოლმე აქ?  
— ადრე, როცა ბავშვი მოჰყავდა, მოდიოდა. ახლა თეონა თავისით მოდის...

— გავალ, სოლომონს ვნახავ, — თქვა ნიკამ და წამოდგა.

— არაფერი გაიკვირე: სკლეროზი აქვს, — გააფრთხილა ელისომ.

— ნუხელ ვერაფერი შევატყვე...  
— შენ გგონია, გიცნო? ისეთი ამბები დაგვანია, მერე მოგიყვები... ინსულტი ჰქონდა, ძლივს გადავარჩინეთ. შედი, ნახე,



მაგრამ არა მგონია, გიცნოს.

ნიკა მამასთან შევიდა, რომელიც ჯერ ისევ სანოლში იწვა.

— მამა, გლვიძავს?

— მღვიძავს, აბა, მამ, რა დამაძინებს! ორმოცდახუთი გრადუსია, ესუმრები?! — უპასუხა სოლომონმა.

„ეჰეე!“ — გაიფიქრა ნიკამ.

— არ ღირს ჰავანაში წასვლა, საშიშია, — თქვა სოლომონმა.

— ჩვენც ნუ წავალთ, — უპასუხა ნიკამ.

— რას ამბობ, ჰო გადაგვასახლეს რუსებმა! — წამოიძახა სოლომონმა.

— რუსები ჩამოდიან? — ჰკითხა ნიკამ.

— არა, არა... უნდა წავიდეთ... გადაგვასახლებენ, რომ არ დავხვედეთ, — სოლომონი ცოცხლად წამოგდა და შარვლის ჩაცმა დაიწყო.

ნიკა გარეთ გამოვარდა.

— ელისო, დგება მამაჩემი, ჰავანაში უნდა წავიდეთ, რუსებს უნდა დავხვედეთ.

— ეგ ფიდეუ კასტროსაც ელაპარაკება ყოველ დღით... ადგეს, კარი ჩაკეტილია. გარეთ მაინც ვერ გავა. გასაღებით ვკეტავთ და ვუშალავთ... ორჯერ გაგვეპარა და ძლივს იპოვა პატრულმა.

სამზარეულოში თაზო შემოვიდა და ნიკას ხელკავი გაუყარა.

— წამოდი, რა, შენ, ჩემთან. მამაშენს ქალები მიხედავენ. წამო, წამო, ას-ასი ჩავარტყათ.

რატომაც, არ ესიაშოვნა ნიკას. ხელიც გააშვებინა.

— არა, არ ვემიძლია, ამ დილაუთენია, ნაღდად ვერ დავლევ.

— ვერ დალევ? რას ლაპარაკობ, ეგრევე გამოგიყვანს! კონიაკის მასალაა, ოთხმოცგრადუსიანი, აზრზე მოდი, ტო! — ოთხმოცგრადუსიანი? რა ამბავია, „რაპპა“ იტალიური?! — გაუკვირდა ნიკას.

— ჰო, ჰო, ცუმპა-რამპა. დედას გეფიცები! — მაგრად გაუსწორდა თაზოს „რაპპას“ გაგონება. — მაგარი რამეა. ნავედით, ნავედით! — და თაზომ ძალით წაათრია ნიკა სუფრისაკენ. ნაშუადღევ კიდევ: — ცუმპა-რამპა, ცუმპა-რამპა, რამპა-რარარარა... ცუმპა-რამპა, ცუმპა-რამპა, ცუმპა-რამპარა! — მიიყვანა და მაგიდასთან დასვა. ამ დროს ვერცოც შემოვიდა და სუფრასთან მიმს-

დარი თაზო და ნიკა დაინახა.

— ნიკა, დალევას აპირებ? — გაიკვირვა ვერიკომ.

— რა მოხდა, ერთი ჭიქა! — ნიკას მაგიერ უპასუხა თაზომ.

— იქნებ, არ უნდა? — შეეკითხა ვერიკომ.

— დედაჩემთან ლაპარაკი მომენატრა, ჩვენ სხვა დროს, რა, თაზო... — სთხოვა ნიკამ.

— ჰოდა, წამოდი! ადექი, ადექი! — სკამიდან წამოაგდო დედამ ნიკა. — ამათ რას უყურებ, ესენი ყურში ჩაისხამენ იმდენს, რამდენსაც შენ — მუცელში...

— ვინ ესენი? — მიიხედ-მოიხედა თაზომ. — აქ მგონი, მე ვარ, მარტო, ვერიკომ... ეჰჰ, სიდედრი! სად მიგყავს, სად?! ნიკა, ტყუილად გიმღერე, ბიჭო, ცუმპა-რამპა?! ეეჰ!

ვერიკომ ნიკა სამზარეულოში გაიყვანა. ელისო მაგიდასთან მარტო იჯდა და საუბრობდა.

— დაჯექი აქ, დამელაპარაკე — რას ფიქრობ, რას აპირებ. ისე მოულოდნელად გამოგვეცხადე, ჯერ კიდევ ვერ მოვსულვარ გონზე... — თქვა დინჯად ვერიკომ.

— რა ვიცი... ბოლო დროს, ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს, როგორ გითხრა... საქმეც ნორმალურად მიდიოდა, ყველაფერი ნესრიგში იყო, მაგრამ თითქოს მაინც, რაღაც მახრჩობდა...

— მაგას ნოსტალგია ჰქვია... — თქვა ელისომ. — თქვენ იცით, რომ ადრე, ორად ორი პროცენტი ქართველობა ცხოვრობდა თურმე საზღვარგარეთ?

— ჰო, ალბათ... — თქვა ნიკამ და დედასა და ბებიას დაბნეული მიაცქერა.

სამზარეულოში ფეხაკრეფით შემოიპარა თაზო.

— მათხოვეთ, რა, ეს კაცი ცოტა ხნით... — ყელი გამოუწვია ვერიკოს თაზომ.

— თაზო, აქედან დამეკარგე! — მკაცრად თქვა ვერიკომ.

— ხუთი წუთით მათხოვეთ, ადამიანები არ ხართ?! — ლამის აყვირდა თაზო.

— ვიცი, რასაც ნიშნავს შენი ხუთი წუთი. ნადი, რა, ბიჭო, და იმ შენს მენახებთან გამოდი „პახმელიაზე“... საუკუნეა, არ მინახავს შვილი. შეგიძლია ამის გაგება?..

— მაშინ, თვალები დახუჭეთ! — თაზო ნიკასკენ დაინახა: — საათ-ნახევარში, ორ საათში, აქა ვარ და მერე ჩვენია ეს ქალაქი... — ნიკა გაკვირებული მიაშტერდა. — აბა, ჰე, დროებით! — თქვა თაზომ და გავიდა.

— მკვდარივით მეძინა და ამათმა წიოკმა გამაღვიძა... — თქვა ნიკამ. — ეს და ანი დილაადრიან, ერთმანეთს დასდევდნენ.

— ჰო, უნდა დაკბინონ ერთმანეთი. ეგ არი მაგათი სიყვარული, — ჩაილაპარაკა ვერიკომ... — ორივე ერთი

ჭკუისაა.

— შვილს რატომ არ იყოლიებენ?

— რა ვიცი. უცხოელებს ჰბაძავენ, — ჩაერიო ელისო. — ჩემი ქმარი რომ არ გადაესახლებინათ, ერთ შვილზე როგორ გავეჩერდებოდი?! ღმერთო, რამდენი რამ გამოვიარე, გახსენებაც კი მზარავს.

— ბიჭო, იმ გოგოს რატომ დაანებე თავი, სურათი რომ გამოგვიგზავნე? კარგი გოგო ჩანდა ფოტოზე... — ჰკითხა ნიკას ვერიკომ.

— ვინ, მონიკა?.. ჩემს ნოსტალგიას ვერ გაუძლო... ან — ვერ გაუგო... თუმცა, რაში გაინტერესებს მონიკას ამბავი?.. — ხელი ჩაიქნია ნიკამ.

— არ უნდა მაინტერესებდეს?

— არა.

— კაი, ბატონო, თუ კი არ გინდა, მინც ვერ გათქმევენ... კიდევ ბევრი შეკითხვა მაქვს, მაგრამ შენი ხათრით, ცოტა ხნით გადავდებ!

— კარგი, ჩამოწერე და ბალიშქვეშ ამომიდე, რომ გავანალიზო, რაზე გიპასუხო და რაზე — არა, — კიდევ ერთი ღრმა ნაფაზი დაარტყა ნიკამ და ნამწვი საფერფლეში ჩასრისა.

— აკი, ამერიკაში არ ეწვევიანო?.. — იკითხა ელისომ.

— მე მგონი, საქართველოში ვარ, — თქვა ნიკამ და გაუღიანად გაიცინა.

კარზე ზარის ხმა გაისმა. ვერიკო კარის გასაღებად გავიდა. ზღურბლთან რეზი იდგა. რომელმაც გაღიმებულმა იკითხა:

— გაიღვიძა?


— ერთი წუთით, იქით გავიდეთ, — ვერიკომ ხელი მოჰკიდა და საძინებელში გაიყვანა რეზი.

— დედა, ოღონდ ის არ მითხრა, რისი ეჭვიც მაქვს... — ჩაილაპარაკა ნაწყენმა რეზიმ.

— ალბათ, მიმიხვედი... რეზი, ძალიან გთხოვ, გემუდარევი, შენი პრობლემებით ნუ დატვირთავ...

— რა მნიშვნელობა აქვს, პირველ დღეს გაიგებს თუ ერთი კვირის შემდეგ?! უბრალოდ, რაზე მწყდება გული, იცი?.. რატომღაც, საფრთხობელა გგონივართ ყველას... არადა, კაცი ვარ... თუ ზედმეტი ვარ, დღევანდელი მოვიკლავ თავს... რა იყო, ვერა?..

— არ მეგონა, თუ ასე გატკენდი გულს.



ნამოდი, გეშეება... — ელისომ რეზი მისალებში გაშლილ სუფრასთან გაიყვანა. რეზი ჩამოჯდა. ვერიკომ თავად შეუვსო ჭიქა. თავზე ხელიც გადაუსვა.

— ნუ მეფერები მინც, — თავი გაიქნია რეზიმ.

— ვეტყვი, რომ მოხვედი...

— ჰო, უთხარი, — რეზიმ პური გაგლიჯა. — ერთი, თქვენიც...

ვერიკო სამზარეულოში შევიდა.

ელისო და ნიკა მაგიდასთან ისხდნენ და ლაპარაკობდნენ.

— ვინ მოვიდა? — იკითხა ნიკამ.

— რეზი.

— ფიზილია? — იკითხა ელისომ.

— კი, — თქვა ვერიკომ და თვალეზი აუნწყლიანდა.

— რა ხდება, დედა? — იკითხა ნიკამ.

— ვერ ინახავს ოჯახს... ვალი ვალზე..

მარტო ერთი სიტყვა მესმის მაგისგან — „გადამაგდეს“. სახლი გაყიდა, ვალში მისცა. შვილიანი ქალი შეერთო. ვერ ჩავერეთ. რომ ჩავრეულიყავით, დაგვხოცავდა. ჩაესიდა. რა სჭირდა ჩემს შვილს სხვასთან ჩასასიძებელი, ამისხენი!..

— გავალ, ვნახავ... — ნიკა ნამოდგა და მისალებიდან წავიდა. ამ დროს კარზე ზარის ხმა გაისმა. ნიკა კართან მივიდა და დედის ხმაც შემოესმა.

— ნიკა, შენ ვერ გააღებ, გასაღებზეა დაკეტილი, გასწავლი, ახლა სად ვმაღავთ.

ვერიკომ ხელი ასწია და მრიცხველის ყუთში შეყო, მაგრამ გასაღები არ დახვდა.

— ელისო, შენა გაქვს გასაღები? აქ არ დევს, — გასძახა ვერიკომ დედას.

ნიკამ სახელური დასწია. კარი გაიღო და გარედან, კოსტიუმში გამოწყობილი სოლომონი შემოვიდა.

— როგორ გახვედი? კარი როგორ გააღე, გასაღები შენ აიღე? — მიაყარა ქმარს ვერიკომ.

— მე ჩემი გასაღები მაქვს... — სოლომონს ხელში ეჭირა გასაღები, რომელიც ვერიკომ იმწამსვე ნაპგლიჯა.

— დედა, რანაირად ჩაუვარდა ხელში ეს გასაღები? — აყვირდა ვერიკო. — მოდი, ან რამე დააღვეინე, ან ნემსი გაუკეთე, ან რამე მიშველე, შენი ჭირიმე! კიდევ კარგი, უკან ამოვიდა... არა, ეს

მინც დაგვეკარგება და დაგვეუბავს. აი, ნახავთ, თუ არა!

რეზიმ, რომელიც ხმაურზე ჰოლში გამოვიდა, ნიკას მოჰკიდა ხელი.

— ნამოდი ჩემთან, ორი სიტყვა მაქვს სათქმელი, — უთხრა და მისალებიკენ უბიძგა. ნიკა დამორჩილდა. რეზიმ მისალების კარი მიკეტა. — მოდი, რა, დავლიოთ...

ნიკა მაგიდასთან დაჯდა. ძმებმა ერთმანეთს შეხედეს.

— გითხრეს, არა, უკვე, ყველაფერი ჩემზე?.. — რეზიმ ნიკას არყის ჭიქა მიუჩოჩა. არაყმა ნიკას აეროპორტის ამბები გაახსენა. გაეცინა...

— რა გაცინებს? — გაუკვირდა რეზის.

— მოდი, რა, მოგიყვები, — და ნიკამ რეზის ყველაფერი მოუყვა.

— როგორც ჩანს, ფული გიშოვია, თუ ორი ათას დოლარზე ასე გეცინება...

— უთხრა რეზიმ ძმას, როცა მან თხრობა დაამთავრა.

— იმდენი კი მაქვს, რომ აქაურ ბიზნესს თავისუფლად გავწვდე, — თქვა ნიკამ.

რეზიმ ის იყო, თავისი გაჭირვების თქმა დააპირა, რომ მისალების კარი ხმაურით გაიღო და ოთახში, დიდი ქვაბით ხელში, თაზო შემოვიდა.

— აბა, ხაბარდა! გზა, გზა! მოვიდა ცხელ-ცხელი ხინკალი, მოვიდა! — გახარებული გაიძახოდა თაზო.

— აბა, ქაფქირი, დროზე, და აქეთ, აქეთ, ვის უნდა ცხელ-ცხელი ხინკალი, სუფრასთან ყველა, სუფრასთან! — მივიდა და ქვაბი პირდაპირ ნიკას წინ დადგა. თან, ეშხში შესული, ამღერდა: — პატარძლის მოხვეული, ქვაბით შემოტანილი, ხინკალი და ქვაბით, ქვაბით და ხინკალი... — სიმღერა მოამთავრა და სახე პირდაპირ სახესთან მიუტანა ნიკას. — ძმურად, რა, ალაღად მითხარი, რამდენი წელია, ხინკლის გემო კი არა... გემო — არა, ოსშივარი არ გიგრძნია, ჰა? ჰო იქნება, არა, ერთი თხუთმეტი წელი მინც?! ჰოდა, მოემზადე, რა, მაგრად მოემზადე!

იცი, როგორ? ასე დადექი! — ნიკა ფეხზე წამოაყენა. — ასე, ჰო, ქვაბის წინ!.. ახლა ამოისუნთქე, მაგრად, რა! იცი, როგორ? ისე უნდა ამოისუნთქო, თითქმის შიგნეულიც რომ ამოყვეს, რა! მოდით, მოდით, ყველანი! — სხვებსაც გასძახა თაზომ და ოთახში ვერიკო და ელისოც შემოვიდნენ. — ისტორიული მომენტი. აბა, მაგრად ამოისუნთქე და გააჩერე ცოტა ხანს, არ ჩაისუნთქო... — ისევ ნიკას მიუბრუნდა თაზო. — ერთი, სამი წამი კიდევ და თხუთმეტი წლის ოცნება აგისრულდება... ვხედი, არ ჩაისუნთქო! ერთი, ორი და-ა-ა — სამი! — თაზომ ქვაბს ხუფი ახადა და იქიდან მართლაც, ხინკლის ორთქლი და ოსშივარი ამოვარდა! ნიკამ დაუფიქრებლად შეისუნთქა ხინკლის ცხელი ოსშივარი და თვალები

ცრემლებით აევსო.

— როგორ ხარ, შვილო? წყალი, აი, წყალი დალიე... — მიაჩნა ვერიკომ ჭიქა.

ნიკამ წყალი დალია და სული ძლივს მოიბრუნა, ხელი ჩაიქინა და ოთახიდან გავიდა.

— რა ყველა სიგიჟე შენ უნდა მოიგონო, ბიჭო! ამდენი რამე მოვამზადებ, მჭამელი არავინ არის და რაღად გინდოდა ეს ხინკალი?! — გაუწყრა სიძეს სიდედრი და ნიკას გამოუდგა.

— რა ვიცი, პატივისცემა მიწოდდა... — თავი იმართლა თაზომ. — მე კვირაში ერთხელ მინც თუ არ გამოვძეხი ხინკლით, ის კვირა დაკარგული მგონია და ვიფიქრე, ერთადერთი, რისთვისაც ამერიკიდან აქ, ამ ჩვენს კამბოჯაში შეიძლება ჩამოვიდეს კაცი, ალბათ ხინკალი თუ მოენატრა-მეთქი... მაგ დალოცვილს, პირით კი არ უნდა ჩაესუნთქა, ცხვირით უნდა შეესუნთქა.

— ერთი, ეგ შენი ცხვირი მიმანაყვინა. გავალ, ქაფქირს მოვიტან, — თქვა ელისომ და ქაფქირის მოსატანად წავიდა.

— ჰო, ჰო, დროზე, სანამ ცხელია, — მიაძახა თაზომ.

რეზიმ დრო იხელთა და თაზოს ხელკავი გამოსდო.

— თაზო, სათხოვარი მაქვს შენთან...

— რა მოხდა? — ცოტა არ იყოს, შეცბა თაზო.

რეზიმ მიიხედ-მოიხედა. ოთახში არავინ იყო.

— ფული მჭირდება.

— ისევ? — არ ესამოვნა თაზოს. — რამდენი?

— ათი ათასი.

— დოლარი?! — გაუკვირდა თაზოს.

— ჰო, რა თქმა უნდა. თუნდაც, პროცენტებიანი.

— პროცენტებიანი — რა, მევახშე კი არა ვარ... — იწყინა თაზომ.

— უბრალოდ, ძალიან მჭირდება. სიტყვა მაქვს ნათქვამი, ქურდი ჩაერია...

— რა არის, იცი, რეზი... ჯიხურებიდან ფულს ვერ ამოვიღებ. ხომ ხვდები?..

— ვიცი... მაგრამ ძალიან მჭირდება.

— ორამდე შემიძლია, ისიც — არ ვიცი...

— ორს აზრი არა აქვს, ათი მჭირდება.

— რა ვქნა, რა მოგიხერხო, რო არ ვიცი...

— ამიტომაც გეუბნები — იქნებ, პროცენტებიანი მინც შეიძლოს. მაგ ხალხში ტრიალებ... — მერე, როგორ აპირებ პროცენტის დაფარვას? ბანკს ხომ ვერ გაძარცვავ, არა?

— შენ მე ბავშვი ხომ არ გგონივარ? — აღელდა რეზი.

— რატომ ბრაზობ, არ მესმის...

— არ იქცევი სწორად, — მიანვა სიძეს რეზი.

— შენ სწორად იქცევი, რო?! — არ დაუთმო თაზომ.

— მაცალე ერთ წამს, მომისმინე! ბიჭო, მე შენგან ჭკუის სწავლება კი არა, ფული მჭირდება, ფული!.. რომელსაც თავისი პროცენტით დავაბრუნებ... შენ ხომ კარგად იცი, რომ მე გადამგდები არა ვარ.

კარი გაიღო და ნიკა გამოჩნდა, რომელმაც რეზის ბოლო სიტყვები გაიგონა.

— რეზი, მე ვერ მითხარი შენი სათქმელი ჯერ?! მე ძმა ვარ და ეგ — სიძე...

რეზი მიხვდა, რომ ძმა ხელს უწვდოდა და მაშინვე გულზე მოეშვა.

— უნდა გითხრა თუ უნდა გთხოვო? — გაელიმა და თავი მოიფხანა რეზიმ.

— ძმები, მე მგონი, უბრალოდ, ეუბნებიან ერთმანეთს სათქმელს... — ნიკამ არყის ჭიქას წამოაწყო ხელი.

— ეგ ამერიკაში ისწავლე? — ცხვირი მოიქაჯა რეზიმ.

— არა, საქართველოში... — თქვა ნიკამ და არყის ჭიქა მაგიდაზე დადგმულ ბოთლს მიუჭახუნა.

— დიდი პრობლემა მომისხენი, ძმაო... — თვალზე აუწყლიანდა რეზის. — მოდი, გაკოცო.

ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ოთახში, ქაფქირით ხელში, ელისო გამოჩნდა, რომელსაც უკან ვერიკო და სოლომონი მოსდევდნენ.

— სწორედ დროზე მოიტანე, ელისო, ქაფქირი... ჩემი ძმა დაბრუნდა! ჩემს ძმასთან ერთად, ხინკალი უნდა ვჭამო... — გაუხარდა რეზის, ელისოს გამოჩენა.

— არ მომეტანა და ვნახავდი, რა ხინკალს მიირთმევდით... — დაიტრახა თაზომ.

— ...მაგრამ ფული ჩემს ანგარიშზე სამ დღეზე ადრე არ დაჯდება, დაშვდება ამით რამე? — ჰკითხა ნიკამ რეზის, როცა ხინკალი გათავდა.

ამის თქმა იყო და რეზის ჯერ პირში ენა ჩაუვარდა, მერე კი, სულ რაღაც წამებში, იმდენმა ფერმა გადაჰკრა, რომ — ეს რა ვუთხარი ასეთი, მოკვალი კაციო, — ინანა ნიკამ...



„თუ შნო არა გაქვს, რაღას ჰპირდები ამ ხალხს?!“ — დილიდან, ცოლის ეს საყვედური ვერაფრით ამოიგლო თავიდან რეზიმ. მთელი ღამე, კუბო და ზედ დახატული შავი ჯვარი ესიზმრებოდა. თან, ეს კუბო დაფრინავდა. მოფრინდებოდა — გაფრინდებოდა, მოფრინდებოდა — გაფრინდებოდა... პირველად ფული რომ არ მიეტანა, რა ამბავი დატრიალდებოდა მის თავს, — ამის გაფიქრებაც კი ზარავდა. არადა, ჰორიზონტზე სასიკეთო არაფერი ჩანდა. ერთადერთი, ჭოკას იმედადლა იყო. იქნებ, გამომყვეს და როგორმე, ორი დღე გადავადებინოო...

ბარაკებით დასახლებული უბნები, ეს თავისებური თბილისური გეტოები, თავისი, ფლოსტებში მოფრატუნე ლამაზმანებითა და მობირუჯე ბიჭებით და ბიჭბუჭებით, მოშავო სამყაროს, უამრავი მძიმე თავგადასავლის დაბადების ადგილია. სწორედ ამ უბანში შეპიჯა, თავისი უტყინობის გამო, გულდამძიმებული რეზი. ჭოკას ბარაკის გვერდით, სახლი დამწვარიყო და ისეთი ხრჩოლის სუნი ეცა, — ეს ამ ღამეს თუ გადაბუგესო, — გაიფიქრა.

— შენც მონახე, რა, სალაპარაკო დრო!.. ხო ხვადე, რა ქნა ამ ჩემისამ! სახანძროს რომ არ მოესწრო, ყველანი ერთად მოვიხრავებოდი, მთელი უბანი... — ბრაზობდა ჭოკა... — წამო, მანქანაში ჩავსხდეთ და იქ ვილაპარაკოთ, — უთხრა მან რეზის და „ბეემევეს“ კარი გამოუღო. როგორც წესი, ასეთ მანქანებს ნომრები მავთულით აქვთ მიბმული კაპოტზე, რადგან „შჩიტოკი“ თუ ბამპერი საერთოდ, მოსხნილი აქვთ ხოლმე. ფარებიც, უმეტესად, ჩალენილი და გვერდებიც მიჭყლეტილ-მოჭყლეტილი აქვს. თუმცა, სალონში ხშირად, სხვა მანქანიდან ამოცლილი, ძვირად ღირებული მაგნიტოფონის ხმა ისმის. აი, ასეთ „ბეემევეში“ ჩაუჯდა რეზი ჭოკას და — რატომ დაინვა ეს ბინა, მანდ გრეკა არ ცხოვრობსო? — ჰკითხა.

— ჰო, რა ვიცი, ლობიო არ მოსწონებია თურმე, ამ ჩემალალას, გრეკას... ხო იცი, რა გარეკილია!.. მწარე რატოაო?! — და მოუსროლია ეს ჯამი, ბებიამისს კიდევ, ეს ქვაბი... აუ, რა ჟინიანია ეს ბებიამისიც, ლუიზა, არაფერს არ უთმობს, ტო!.. აუღია და ეს ლობიოს ქვაბი მაგიდაზე გადმოუპირქვაგებია... ამანაც, მისახა სახლს ბენზინი და — „დავაი!“ — მგონი, მეშვიდედ სახლი დაწვა უკვე... რა ვიცი, გადარჩენილი ვარ, ტო, რა მაგრად...

მერე საქმის გარჩევანზე გადავიდნენ.

— ეგრე არ გამოვა, რა, რეზი... კაცს რომ სიტყვას ეტყვი... ის სხვას ეტყვის, მერე ის კიდევ — სხვას და შენ ეს ჯაჭვი გინდა გამანყვეტინო?! ეგ მაგარი კოზირი გიჭირავს ხელში, შენი ძმა რომ ჩამოსულა... ეგ თუ გაჭრის, რა! მივიდეთ, რავი, დავებებართო...



— რასა მთხოვთ, ტო, თქვენ გესმით, სიმონ?! ერთხელ ხო უკვე გადაგივადე, ძმაო! სამი დღე არ მოგეცე?... ჩემი ფული მივიტანო, ტო?! — თავისი ორსართულიანი სახლის სამზარეულოში იჯდა და ჩაის სვამდა გუბე.

— მე რატომ არ მითხარი, ტო, თუ ერთხელ გადაგივადე უკვე?! ეს რა პონტია, ტო! — არათითსა და შუათითს ატრიალებდა ჭოკა. — ბოზიშვილი ვიყო, არ ვიცოდი, გუბე! პირველად გავიგე. ეგ რომ მცოდნოდა, შენთან მოვიდოდი?! კაი ბიჭობა გინდა და ბოზი გამომიყვანე, სიმონ?! — ისევ რეზის მიუბრუნდა ჭოკა.

— ორი დღე მინდა... არ არსებობს... მეც ხომ დავინვი, არა?! — თავს აცოდებდა რეზი...

— მერამდენედ იწვები, სიმონ?! კაი, რა, სულ შენს გამოძრომაში როგორ უნდა ვიყო!.. რამდენი ვინმე ელოდება, იცი, მაგ ფარას?! — ქალაღდის ხელსახოცით ტუჩები მოიწმინდა გუბემ.

— ვიცი, აბა, რატომ მოვედი?! გამქცევი კი არა ვარ... ორი დღე მინდა, — ოდნავ გაბედულდება მიეცა რეზის.

— ერთი! და მორჩეს ეს დამბლური რიჟა ბაზარი!.. — თავი წინ წანია გუბემ, ქვემოდან შეხედა ბიჭებს და კითხვა მიაცოლა: — მოსულა?... ოღონდ, მე შენთან მოვრჩი, ძმაო! — უთხრა მან რეზის და ისევ ჭოკას შეხედა.

— ხო გაიგე?! — მიუბრუნდა ჭოკა რეზის. — ხვალ პირველამდე, ფული უნდა ჩავიბაროთ. — ხო, „იასნია“, ძმაო? უკეთესი სიტყვა გინდა?! რამხელა დათმობაზე მიდის კაცი!.. სხვა რომ არ გაპატივბდა, ესეც ჰო იცი?

რეზიმ თავში რაღაც „გადაალაგ-გადმოალაგა“...

— მოვიტან! — ისე თქვა, თითქოს ფული უკვე ჯიბეში ედო.

— მოიტან, რას ჰქვია, სიმონ?! არ მოიტან და „ტრუპი“ ხარ! გუბესთან „სხადნიაკზე“ მოგყავარ და არ მეუბნები, რომ ერთხელ უკვე გადაგივადე „სროკი“?! შენ მე „მაღალეტკა კაზიოლი“ ხომ არ გგონივარ, ბიჭო?! — თითებს თვალებთან უტრიალებდა ჭოკა რეზის.

მთლად „გაფუჭებული“ რეზი ქურ-

დებს დაემშვიდობა თუ არა, თავის ოჯახში, ბერიძებთან გავარდა.

— ნიკა, უნდა გადამარჩინო! ასიანი დამბრიდავენ, გეფიცები!.. — იხვეწებოდა ნახევარ კაცად ქცეული რეზი. — აქვს მაგ ჩათლახს, თაზოს... ფულის მეტი რა აქვს, ტო! ცხრა სალაროში ცხრა მაგდენიც აგროვდება, მაგრამ ტრაკია!.. დამწვარი ვარ, ტო!..

— მოიცა, რა, წესიერად ილაპარაკე! — უთხრა ნიკამ. — იმ კაცს ჰყერიდან ხომ არ მოსდის ის ფული! არა აქვს შენი იმედი და ვერ გაძლევს...

— შენ მოგცემს, ტო! შენ ვერ დაგიჭერს!.. — შფოთავდა რეზი...

— რა გამოდის — ცხრავე სალარო უნდა დაეკვეტო?! — შეეკითხა ცოლისძმებს თაზო. — ჰო, გავკოტრდი!..

— ერთი საათით, ტო! ერთმა საათმა რა უნდა გიყოს?! — „ახტა“ იმწამსვე რეზი.

— ნიკა, შენ ხომ ხვდები, არა?! ჩვენთან ერთი წუთი სჭირდება ოპერაციას, არა?... აქ ერთ წუთში, შეიძლება, იმხელა მაცუთი შემოვიდეს, სამი და ოთხი თვე, ერთად რომ არ შემოდის. „მილიონ-ტრისტა“ სალაროა, განა რას ვაგებინებ ამ ფულს, ხომ გესმის?! ერთი საათი! რომ არ დაჯდეს ის ფული, მერე?... — ცხარობდა თაზოც.

— ცოტას დაკარგავ, რა! ყელს მჭერი! დამკლავენ, ტო, დამბრიდავენ! — მკვდრის ფერი ედო რეზის.

— გამოორიცხულია! დაჯდება... — თქვა ნიკამ.

თაზო, ბოლოს და ბოლოს, დაითანხმეს. მანაც, მეორე დღეს, პირველის ნახევარზე დაკეცა სალაროები და რეზიმ პირველზე ჭოკასა და გუბეს „ქეში“ „კაცურად“ ჩაუთვალა...

ნიკას ანგარიშზე სამ საათამდე, ფული არა და არ დაჯდა. ბანკმა ეს ამბავი თანამშრომლის დაუდევრობას გადააბრალა. თაზო გიჟს ჰგავდა: ვკოტრდები, ჩემი დედა!.. ვიღუპებიო! — ლამის ტიროდა. ცოტა ეჭვი მანაც გაუჩნდა ნიკას, რამდენად სანდო იყო აქაური საბანკო სისტემა...

რეზის კი, ყველაფერი უკვე სულ ცალ ფეხზე ეკიდა. თავი ქუდში ჰქონდა ბიჭს: მილიონერი ძმა ჩამოუვიდა ამერიკიდანო, — გავარდა მის უბანში ხმა...

მეორე დღეს, ნიკამ — ქალაქში გავივლი ცოტასო, — გავიდა და აღარ შემოვიდა. ელისომ ნერვიულობაც კი დაინყო: სად დაიკარგა ეს ბიჭიო? — ფიქრობდა.

შინ მობრუნებული ნიკა სადარბაზოსთან თანაკლასელებს გადააწყდა. რომლებსაც მისი ჩამოსვლის ამბავი გაეგოთ და მოაკითხეს.

— ამას უყურე!.. — მხარი მიარტყა ნიკას კახამ.

— ეს უსინდისო, ეს ნამუსგარეცხილი!.. — გაიღიმა ბესომ.

— ბესო! კახა! — გაუხარდა ნიკას და

მეგობრებს გადაეხვია.

— ბიჭო, ასე უნდა?! მოკითხვა არ იცი... ეს გული რამ გაგიცივა?! — ეხუმრა ბესო.

— ნახე, ტო, სუფთა ჰოლივუდის მასტი არ არის?! — მიხრა-მოხრაით გამოაჯავრა კახამ.

— წამო, ჩემთან ავიდეთ, — შესთავაზა ნიკამ.

— რატომ შენთან? პირდაპირ რესტორანში!.. ნიანასთან! — თქვა კახამ.

— აი, აქა მაქვს, აი!.. — ყელთან მიიტანა თითი ნიკამ. — თან, ჩემი გოგო მელოდება...

— ისიც წავეყვანოთ, კაცო... — თქვა ბესომ.

— არა, რა, ბიჭებო, ბავშვს დავენახვო წესიერად... ჩემთან ავიდეთ, მერე ვნახოთ... — ხელი გადახვია მეგობრებს ნიკამ და თავისთან შეუძღვა...

— ამით სად გადააწყდით?! — გაელიმა ელისოს მათ დანახვაზე...

ერთი კი უთხრა ელისო ბიჭებს — არ დააღვივროთ, ეგ გადააწვეულიაო, — მაგრამ მიხვდა, ვერაფერს გააწყობდა და თავი დაანება.

— თეონა შინაა? — მოიკითხა შესვლისთანავე ნიკამ შვილი.

— კი, სტუმართანაა, — უპასუხა ელისომ.

— ვინ სტუმართან? — დაინტერესდა ნიკა.

— ლადო გვესტუმრა, შენი ბიძაშვილი. რაღაც საქმეზე ჩამოსულა. ხომ იცი, რუსეთშია ნასული...

ნიკამ ხელი დაუტყაპუნა მხრებზე მეგობრებს და მისაღებში შეუძღვა, სადაც ლადო და თეონა ისხდნენ. თეონა ფეხზე წამოდგა. ნიკამ შვილს აკოცა და სამზარეულოში, ელისოსთან გაუშვა — ბებოს მიეხმარეო. ლადო კი მოიკითხა და ბიჭები გააცნო.

ძვირად ღირებულ კოსტიუმში გამოწყობილი, ბლანჟეიანი ლადო, თითზე „პერსტენით“ და ხელში სიგარით, რუს სოვდაგარს დამსგავსებოდა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



# შესაძლებელია თუ არა ჰერპესისგან თავის დაღწევა?

**რუბრიკას უძღვება ექიმი  
თამარ მამაცაშვილი**

ჰერპესი ერთი ჯგუფის ვირუსებით გამოწვეული დაავადებების საერთო სახელწოდებაა. სამწუხაროდ, თუ ეს ვირუსი უკვე დასახლდა თქვენს ორგანიზმში, მისგან თავის დაღწევა ძნელია. მაგრამ შესაძლებელია მისი მართვა. საქმე ისაა, რომ სხვა ვირუსების მსგავსად, ისიც ჩვეულებრივ მთვლემარე მდგომარეობაშია და მისი გამოღვიძება მხოლოდ გარკვეულ პირობებში — ორგანიზმის ძლიერი გაცივების ან პირიქით, მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებისას, სტრესებისა და დეპრესიების დროს ხდება. ამიტომ თქვენი ამოცანაა, მოერიდოთ მსგავს მდგომარეობას: ცივ ამინდში თბილად ჩაიცვათ, ზაფხულში დიდხანს ნუ იბანავებთ და ნურც მზეზე გაჩერდებით ხანგრძლივად, შეძლებისდაგვარად, თავი მოარიდეთ კონფლიქტებს და შეიკავეთ ემოციები.

ე.წ. მარტივი ჰერპესი ხასიათდება გამჭვირვალე სითხით სავსე წვრილი ბუშტუკოვანი გამონაყარის მოშლონელი გაჩენით, ვარდისფერი ლაქის ფონზე. ბუშტუკები ხდება (თუ არ შევსებთ) 3-4 დღეში და წარმოიქმნება ყვითელი ქერქი ან ბუშტუკის გახეთქვისას ჩნდება მცირე ზომის წყლულები.

ჰერპესის გამონაყარი ხასიათდება ქავილითა და წვით. მარტივი ჰერპესის გამონაყარი ყველაზე ხშირად ჩნდება სახეზე, სასქესო ორგანოებზე, სადაც არცთუ ისე იშვიათად აღინიშნება მეორეული ინფექციით გამოწვეული გართულებები, დიდდება და მტკივნეული ხდება ლიმფური კვანძები.



ზოგჯერ ავადმყოფს აღენიშნება ე.წ. ჰერპესული ცხელება. იგი მოულოდნელად იწყება და თან ახლავს შემცივნება, ტემპერატურის მატება 39-40 გრადუსამდე, ძლიერი თავის ტკივილი, გულისრევა, პირღებინება, ზოგჯერ გონების დაბინდვაც კი. მე-2-3 დღეს ტემპერატურა ეცემა და ჩნდება ჰერპესული გამონაყარი ერთ ან რამდენიმე ადგილას.

მკურნალობის მიზნით, დაზიანებულ ადგილზე ისვამენ თუთიის საცხს. კარგ ეფექტს იძლევა დაზიანების უბნების დამუშავება ბრილიანტის მწვანეთი (ე.წ. „ზელიონკით“), იოდითა და სუფთა სპირტით. ხალხური მედიცინა კი ჰერპესის სამკურნალოდ ასეთ რეცეპტებს გვთავაზობს:

წასვით დაზიანებულ ადგილებზე დღეში 2-ჯერ ქრისტესისხლას ახალ-

გამონურული წვენი. წასმა ორჯერადად უნდა მოხდეს. პირველი წასმის შემდეგ, დაიცავით წვენის შემრობამდე (1-2 წუთი). შემდეგ იმავე ადგილას შეიზილეთ წვენი ხელმეორედ. ქრისტესისხლას პირველი ულუფა კანის ზედაპირულ ფენებზე მოქმედებს, მეორე კი უფრო ღრმა შრეებამდე აღწევს.

კომპრესებისათვის და შესაზვლად გამოიყენება ძიძოს ბლახი და მისი წვენი. ასევე ადგილობრივი მკურნალობისათვის გამოიყენება ჰერპესის დროს ლელვის, სამფერა იისა და ხახვის წვენი. ნებისმიერი სახის ჰერპესის სამკურნალოდ ეფექტურია მაყვლის მიღება, აგრეთვე, მისი ფოთლების ნაყენის გამოყენება.

## მშობლებო, ფრთხილად — ჰეპატიტია!

ჰეპატიტები დღეისათვის ყველაზე გავრცელებულ სნეულებათა რიცხვში შედის. ისინი რამდენიმე სახისაა. A ჰეპატიტი იგივე ბოტკინის დაავადება, მათ შორის ყველაზე ხშირად გვხვდება.

A ჰეპატიტი ვირუსული წარმოშობისაა. მისი გამომწვევი გარემო ფაქტორების მიმართ ძალზე გამძლეა. დუღილისას, მაგალითად, მხოლოდ 5 წუთის შემდეგ იშლება.



ინფექციის წყაროა ავადმყოფი, რომელსაც ვირუსი აქვს სისხლში, შარდში, განავალში, ნალვლის წვენში. დაავადება გადამდებია საინკუბაციო პერიოდის (იწყება ვირუსთან კონტაქტის წუთიდან და გრძელდება 14-28 დღე) ბოლო კვირას და სიმპტომების გამოვლენის პირველ კვირას.

A ჰეპატიტის ვირუსი ფეკალურ-ორალური გზით გადაეცემა: ავადმყოფი მას გარემოში განავალთან ერთად გამოყოფს, ხოლო ბუზებს ის ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვთ. საკმარისია, ბავშვმა მათ მიერ დაბინძურებული საკვები შეჭამოს, რომ გამოიწვევი მის ორგანიზმში მოხვდება და აღარც ავადმყოფობა დააყოვნებს.

ინფექცია საკვებისა და წყლის მეშვეობითაც გადადის. ხშირად პატარის ავადმყოფობა მშობლების დაუდევრობის ბრალია: ბავშვმა ტუალეტის შემდეგ ხელები არ დაიბანა ან გაურეცხავი ხილი შეჭამა, მათ კი, ეს ვერ შეამჩნიეს

ანდა კარგად არ მოხარშეს ხორცი და ა.შ.

A ჰეპატიტს სეზონურობა ახასიათებს. ის განსაკუთრებით ხშირია შემოდგომაზე, თუმცა დაინფიცირების რისკი ზაფხულის ბოლოსათვის მატულობს. ამიტომ ურიგო არ იქნება, დროულად მივიღოთ ინფორმაცია ამ პათოლოგიის შესახებ და თადარიგი დავიჭიროთ მის თავიდან ასაცილებლად.


უმთავრესად ავადდებიან სკოლის ასაკის ბავშვები, თუმცა არც სკოლამდელების დასწავლავება იშვიათი. ახალშობილს კი დედის ორგანიზმიდან A ჰეპატიტისგან დამცავი მზა ანტისხეულები დაჰყვება, ამიტომ წლამდე ასაკის ბავშვებს ეს ავადმყოფობა, პრაქტიკულად, არ ემუქრებათ.

## დაავადების ნიშნები

„ჰეპატიტი“ ღვიძლის ანთებას ნიშნავს. სწორედ ანთება, გადიდება და მტკივნეულობა ამ დაავადების სიმპტომები, თუმცა ისინი ყველა პატარას როდი გამოაჩნდება:

სშირად ავადმყოფობა გაცივების მსგავსი სიმპტომებით იწყება. მანამდე კი, ვირუსმა საინკუბაციო პერიოდი უნდა გაიაროს, რომელიც 15-30 დღე, ზოგჯერ კი 6 კვირაც გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში დაავადება უჩინარია, უსიმპტომო და ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა, ფაქტობრივად, უცვლელია, თუმცა ის უკვე ვირუსის აქტიური გამავრცელებელი გახლავთ.

მომდევნო, **სიცივლისწინა პერიოდი** 3-დან 10 დღემდე გრძელდება. ამ დროს დაავადება მწვავედ ვითარდება: თავს იჩენს გულსრევა, ღებინება, მუცლის ტკივილი, დიარეა, ზოგჯერ — გრიპისმაგვარი სინდრომი ცხვირ-სახის კატარული მოვლენებით, სხეულის ტემპერატურის მომატებით (სიცხე 2-3 დღის განმავლობაში 38-39 გრადუსამდე ადის, შემდეგ კი შედარ-



ებით იკლებს). ზოგადი ინტოქსიკაციის სიმპტომები (თავის ტკივილი, სისუსტე, მოღუწება, ცუდი ძილი, გაღიზიანებადობა, უმადობა) თანდათან ძლიერდება. ჩნდება ტკივილები მარჯვენა ფერდქვეშა არეში, შარდი მუქდება, ლუდისფერი და ქაფიანი ხდება, განავალი კი უფერულდება, თიხისფერს იღებს.

**სიცივლის პერიოდი** საშუალოდ, 3-4 კვირა გრძელდება. ამ დროს კანი და ლორწოვანი ყვითლად იფერება. სიყვითლის ინტენსივობა თანდათან იმატებს, თუ ამას ლეიქში ნალვლის შეგუბებაც დაერთო, ვითარდება საკმაოდ ძლიერი კანის ქავილი. სიყვითლის ინტენსივობა და ლეიქლის გადიდების ხარისხი პათოლოგიური პროცესის სიმძიმის პირდაპირპროპორციულია. დაავადების მსუბუქი ფორმისას და მეტწილად საშუალო სიმძიმის ფორმათა შემთხვევაშიც, სიყვითლე ჩვეულებრივ, 1-2 დღეში ვითარდება. ჯერ ლორწოვანი გარსები, შემდეგ კანი თანდათან იფერება, წინა პერიოდის ბევრი სიმპტომი ქრება და ბავშვის თვითშეგრძნება შედარებით უმჯობესდება. თუმცა არის შემთხვევები, განსაკუთრებით — მძიმე ფორმის დროს, როცა სიყვითლე მყარადაა შენარჩუნებული და ინტოქსიკაციის სიმპტომები ძლიერდება.

დაავადების მსუბუქი ფორმის დროს, სიყვითლის ინტენსივობა მეშვიდე-მეთექვსმეტის მცირდება, მძიმე ფორმების დროს კი — გამოვლენიდან მხოლოდ

რამდენიმე კვირის შემდეგ.

უნდა ითქვას, რომ მცირე ასაკის ბავშვებში სიყვითლე ზოგჯერ საერთოდ არ ვლინდება. ასეთ დროს, ინფექციის ერთადერთ სიმპტომად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დისფუნქცია და მუცლის ტკივილი რჩება.

რეკონვალესცენციის ანუ **გამოჯანმრთელების პერიოდი** საკმაოდ ხანგრძლივია, ზოგჯერ 3-4 თვეც კი გასტანს. ამ დაავადებას ყველა კლინიკური და ლაბორატორიული გამოვლენების თანდათანობითი გაქრობა ახასიათებს. ქრება სიყვითლე, აღდგება ლეიქლის ფუნქციები, მცირდება მისი ზომა, ქრება მტკიცეულობა გასინჯვისას. ამ პერიოდის ხანგრძლივობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის — ბავშვის ასაკზე, ავადმყოფობის სიმძიმეზე, თანმხლებ დაავადებებზე, რეჟიმისა და დიეტის დაცვის სისუსტეზე. A ჰეპატიტი არ გადადის ქრონიკულ ფორმაში. მისი გადატანის შემდეგ, ორგანიზმი A ვირუსის წინააღმდეგ მუდმივ იმუნიტეტს გამოიმუშავებს.

### როგორ ვუმჯობესდებით?

A ჰეპატიტის დროს აუცილებელია წლითი რეჟიმი. მკურნალობის უმთავრესი გზა დიეტის მკაცრი დაცვაა. მწვავე პერიოდში რაციონი სრულფასოვანი, ადვილად ასათვისებელი უნდა იყოს და საკმარისი რაოდენობით შეიცავდეს ნახშირწყლებსა და ცილას. არ შეიძლება შემწვარი, ცხიმოვანი და ცხარე საკვები. რეკომენდებულია მოხარშული ხორცი, თევზი, ბოსტნეულის წვნიანი, ხაჭო, შვრიის, წინობურას ფაფები. კარგი ეფექტი აქვს ტუტე მინერალურ წყლებს, ნალვლმდენი ბლახების ნაყენებს, ნაჩვენებია B გუფისა და C ვიტამინები.

სამკურნალო პრეპარატების დანიშნავს უმეტესად საჭიროდ არ მიიჩნევენ, ზოგჯერ კი, აუცილებელია დეზინტოქსიკაციური თერაპია რინგერის, ჰემოდეზის, რეოპოლიგლუკინის გადასხმით.

### როგორ ავიცილოთ თავიდან

- ეცადეთ, პატარას ჩვევად უქციოთ ჰიგიენის ელემენტარული წესების დაცვა.
- ასწავლეთ, ყოველი ჭამის წინ და ტუალეტის შემდეგ, ხელები გულდასმით დაიბანოს საპნით.
- საგულდაგულოდ გარეცხეთ ხილი და ბოსტნეული, თუნდაც კანის გაცლას აპირებდეთ (მანდარინი, ბანანი).
- ხორცისა და თევზის კერძების მომზადებისას ყურადღება მიაქციეთ, რომ პროდუქტი ბოლომდე მოიხარშოს ან შეინჯას.
- ნუ დააღვინებთ ბავშვს წყალს ქუჩაში, შადრევნიდან ან სოკოდან.

ყველა ქალის სურვილია, ლამაზად და მოზიზველად გამოიყურებოდეს, მაგრამ ერთფეროვნება, ყველა ქალისთვის მოსაბეზრებელია და ამიტომ, ისინი სშირად ცდილობენ იმიჯის შეცვლას. როგორ იქმნის განსაკუთრებულ იმიჯს მომღერალი თიკა ფაცაცია, როგორ იწყება მისთვის დილა, როდის მიმართავს სოლარიუმსა და სპორტულ დარბაზებს, რატომ არ დადის სშირად სილაპაპის სალონში? — ამ და სხვა კითხვებზე, თავად თიკა გვიპასუხებს.

## თიკა ფაცაცია ტუჩების გაფიფინებაზე და ცხვირის ფორმის შეცვლაზე ოცნებობს

### სოფო ჭონიშვილი

— თიკა, როგორ იწყება შენთვის დილა?

— სშირ შემთხვევაში, დილით ადრე ვდგები, რადგან ეს, ჯანმრთელობისთვის ძალიან კარგია; თან, ვფიქრობ, რომ ძილში დიდი დროის დაკარგვა არ ღირს. მეჩვენს, ჩემს შვილს ვაღვიძებ და სკოლაში წასვლელად ვამზადებ... მეჩვენს კი, ვიღებ შხაპს; შემდეგ, იმის მიხედვით ვმოქმედებ, თუ სად მივდივარ იმ დღეს. მაკიაჟს სშირად არ ვიკეთებ, მით უმეტეს ზაფხულში, როცა კანი ისედაც ძლიერ სუნთქავს. თუ გადაღებები მაქვს, მაშინ ვცდილობ, მსუბუქი მაკიაჟი გავიკეთო.

— რომელი ფორმის კოსმეტიკას ანიჭებ უპირატესობას?

— ყველაზე სშირად „შანელის“ ფორმის კოსმეტიკას ვმარბობ.

— ტანის ლიპონებს თუ იყენებ?

— ტანზე, სეზონის მიხედვით, სხვადასხვანაირი შემადგენლობის ლოსიონს ვისვამ. ძირითადად, ცხიმოვანი და დამატინიანებული სურნელოვანი კრემები მაქვს, რომელსაც კანის გამოშრობის შემთხვევაში ვიყენებ.

— კოსმეტოლოგთან სშირად დადიხარ?

— სიმართლე გითხრა, სახლში დამზადებული რაღაცების სახეზე ნათხუზნა და მეჩვენს მისი ჩამოხანა ძალიან მეზარება, ამიტომ კოსმეტოლოგთან სიარული მიწევს ხოლმე, რომელიც სშირად, საფუფერის ნიღაბს მიკეთებს. ასევე, სახის კანისთვის ძალიან კარგია ყინულის ნატეხი, ხილის ფაფა, ზეითუნის ზეთი. თუმცა, ზოგიერთი, უპირატესობას არაუწინის ნიღაბს ანიჭებს.

— თმის მოვლის რაიმე განსაკუთრებული მეთოდი თუ გაქვს?

— იყო პერიოდი, როცა ჩემს თმაზე ვზრუნავდი — ზეითუნის ზეთში, სპეციალურ ვიტამინებს ვასხამდი და ამ ნაზავს, თმაში ვიზღვდი და ა.შ. განსაკუთრებულად მოვლა, ძირითადად, შეღებულ თმას სჭირდება. ამჟამად, თმას აღარ ვიღებავ და ამიტომ, ნიღბებსაც იშვიათად ვიკეთებ. მხოლოდ, კვირაში ერთხელ, თავის დაბანამდე 1-2 საათით ადრე, შემთხარ ზეითუნის ზეთს ვიზღვ ხოლმე, რომელიც

ჩემთან, სახლში მოდის ხოლმე ქალი, რომელიც მანიკურს და პედიკურს მიკეთებს



თმის ცვენასაც აჩერებს და ბზინვარებასაც მატებს მას. ამ მიზნით, ასევე, ძალიან სასარგებლოა, ხახვის წვენი.

როგორ ფიქრობ, ყოველდღე სილამაზის სალონში სიარული აუცილებელია?

ჩემთან, სახლში მოდის ხოლმე ქალი, რომელიც მანიკურს და პედიკურს მიკეთებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ძალიან მეჩქარება, მასთან თვითონ მივდივარ. რაც შეეხება თმის მოწესრიგებას, ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც თავს სახლში არც კი იბანენ — ამისთვის სალონში მიდიან, რათა იქ ვარცხნილობაც გიკეთონ. მე ასე არ ვიქცევი. მაქსიმალურად ვცდილობ, გავუფრთხილდე საკუთარ თმას და კანს, რომელსაც ფენი საშინლად აზიანებს. მესმის, რომ დავარცხნილი თმა განსაკუთრებულად ლამაზია, მაგრამ თუ საჭიროება არ მოითხოვს, ვცდილობ, ბუნებრიობა შევიინარჩუნო.

სპორტულ დარბაზებს ხშირად სტუმრობ?

არის პერიოდები, როცა სპორტულ დარბაზში დავდივარ და ვვარჯიშობ, მაგრამ არის მომენტები, როცა ეს ძალიან მეზარება. ამ შემთხვევაში, აუზზე ვიწყებ ხოლმე სიარულს.

სოლარიუმში ირუფები ხოლმე?

ამბობენ — სოლარიუმში მავნებელიაო, ამიტომ თუ საჭიროება არ მოითხოვს, გარუჯვისგანაც თავს ვიკავებ. ბოლოს, სოლარიუმში „იუმორინაზე“ რომ გამოვდიოდი, მაშინ გავირუფე... ისე, ეს ძალიან აზარტულია — ნამზეური როგორც კი გადადის, მაშინვე გიჩნდება სოლარიუმში წასვლის სურვილი.

სამკაულები თუ გიყვარს?

მიყვარს, მაგრამ ამ ბოლო დროს, სამკაულს იშვიათად ვატარებ — ვერც საყურეს და ვერც ბუჭქელს ვეღარ ვიკეთებ, მაგრამ რატომ — ნამდვილად არ ვიცი, თითქოს, რაღაც მანუხებს.

აქსესუარებს ხშირად ყიდულობ ხოლმე?

თუ ისეთ რამეს წავანყდი, რომელიც ძალიან მომეწონება — კი; მაგრამ ეს, ჩემი ჰობი ნამდვილად არ არის: მაღაზიებში, სპეციალურად სამკაულების შესაძენად, არასდროს წავსულვარ.

ისე, „შოპინგებზე“ სიარული გიყვარს?

— როცა საზღვარგარეთ ვარ, თითქმის ყველა მაღაზიაში შევდივარ ხოლმე. თითქოს, ამის გარეშე ჩემს „პაუზდკას“ აზრი არა აქვს. საზღვარგარეთი ჩემთვის მაღაზიებთან ასოცირდება. შემძლია მთელი დღე შეუსვენებელი ვიარო და ამ დროს, აღარაფერი მაინტერესებს, არც მუხუშები და არც ღირსშესანიშნაობები. იქ არავინ მცნობს, ჩემთვის თავისუფლად „დავბორიალებ“. აქ კი...

ფულს დაუნანებლად რაში ხარჯავ?

— სიმართლე გითხრა, ფულის გადახდა ყველაფერში მინანება — ანუ ძალიან ანგარიშიანი ვარ. გიჟურ თანხას ვერაფერში გადავიხდი. გასაგებია, რომ ყველაფერი კარგი, ძვირი ღირს, მაგრამ ფულის ფასიც ვიცი.

ჩაქმის როგორ სტილს ანიჭებ უპრატესობას?

— ყველანაირი სტილი მომწონს — პანკურიდან დაწყებული, კლასიკურით დამთავრებული. განწყობილებას გააჩნია, ისე კი, ყველა სტილში ვხედავ რაღაც საინტერესოს.

რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის ჩანთა და ფეხსაცმელი?

— ამბობენ, ქალს თუ კარგი ჩანთა აქვს და კარგი ფეხსაცმელი აცვია, უკვე „ჩაზმანულიაო“. ამ აზრს მეც ვეთანხმები, მაგრამ როცა ტანზეც კარგი სამოსი გაცვია, ეს უკვე საუკეთესო ვარიანტია.

როგორი სუნამოები მოგწონს?

— სუნამო გრილი და თამბაქონარევი სურნელის მიყვარს; ვერ ვიტან ტუბილ არომატს — მანუხებს და ცუდად მხდის. მიყვარს ახალ-ახალი სუნამოების მოსინჯვა. სიახლეებიდან ჩემთვის სასურველ სურნელს ვარჩევ და ის, შეიძლება მამაკაცურიც იყოს.

მეუღლე სუნამოებს გიძღვნის ხოლმე?

— იყო პერიოდი, როცა ხშირად მიძღვნიდა, მაგრამ დღეს, რაღაც... აღარ მიძღვნის — უფრო ხშირად, თვითონ ვყიდულობ.

შენს გარდერობში, რა ფერის ტანსაცმელი ქარბობს?

— გააჩნია სეზონს, ზაფხულში, ხელოვნურ, კაშკაშა ფერებს ვანიჭებ უპრატესობას; მაგალითად, მწვანეს, ჟოლოსფერს, რადგან ეს ფერები გარუჯულ კანს ძალიან უხდება. საერთოდ, ერთი და იმავე ფერის სამოსს არასდროს ვატარებ, რადგან მრავალფეროვნება მიყვარს.

წლის რომელი დრო უფრო გიყვარს?

— ყველაზე მეტად, ზაფხული მიყვარს. თუმცა, ამ ბოლო დროს, მას შემდეგ, რაც თხილამურებზე დგომა ვისწავლე, ზამთარიც შემეყვარა.

თხილამურებზე კარგად დგახარ?

— აბა, რა გითხრა?.. ვისაც არ მოეწონება, შეუძლია გვერდზე გაიხედოს. რაც მთავარია, ეს მე მსიამოვნებს.

ამ ზაფხულის გატარებას სად აპირებ?

— ადრე, საკუთარ სიამოვნებაზე

უფრო მეტად ვზრუნავდი, დიდხანს ვბჭობდი — სად უკეთესია რომ დავისვენო-მეთქი? მაგრამ ახლა, ბავშვის ჯანმრთელობაზე ვზრუნავ და ამის გამო, ჯერჯერობით, მთისკენ გვაქვს გეზი ალებული. ალბათ, მერე ზღვაზეც წავალთ, მაგრამ სად — ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

ნამზეური თბილისში, აუზზე მიიღე?

— არა, ეს სოლარიუმის ნამზეურის ნარჩენებია. ამბობენ — მაისის მზეზე გარუჯვარ არ ვარგაო და მეც, ცოტა ხნით კანი მოვასვენე, მაგრამ ახლა, საცურაო აუზზეც დავიწყებ სიარულს.

თიკა, რა აზრის ხარ პლასტიკურ ოპერაციებზე და შენს გარეგნობაში რაიმის შეცვლაზე თუ გიფიქრია?

— საერთოდ, ოპერაციების ძალიან მეშინია. ერთხელ, გადაცემას ვუყურე — პირდაპირ ეთერში, ოპერაციის მსვლელობის მთელ პროცესს უჩვენებდნენ. რაც იქ ვნახე, საშინელება იყო. ვისაც შიში არა აქვს და რაღაცის შეცვლა სჭირდება, რა თქმა უნდა, მან პლასტიკური ოპერაცია უნდა გაიკეთოს. და მე, ამ ყველაფერს მივესალმები, რადგან როცა ქალი საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილოა, მას რაღაც კომპლექსები უჩნდება... პირადად მე, ტუჩების გადიდებაზე და ცხვირის ფორმის შეცვლაზე მიფიქრია, მაგრამ ვერ ვრისკავ.

ოდესმე, თვალის ლინზები თუ გამოგიყენებია?

— კი, ბავშვობაში, მწვანე ლინზები მქონდა, რომელსაც ოთხთვიანი ვადა ჰქონდა — მე კი, ერთი წელი მეკეთა. სანამ თვალები არ ჩამისისხლიანდებოდა, არ ვიხსნიდი.

თიკა, იმიჯს ხშირად იცვლი?

— ერთფეროვნება მბეზრდება. ხშირად მიჩნდება სურვილი — რაღაც შევიცვალო. ვცდილობ, არ მქონდეს ერთი და იგივე ვარცხნილობა, თმის ფერი, მაკიაჟი; წარბების ფორმასაც ვიცვლი ხოლმე.

ერთფეროვნება მბეზრდება



# უკიდურესი შედეგისკენ მივყავართ თვითკაცდურიკმივე ფაქტდმ ქსცაქსუ თხუგდური ვე ქსტფთეუკშბ თვეფს ღკმთეიმეტქსკატეტეტ აჟქქქმქდტქქვექსტეტქქ

ქვათახევის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი კასპის რაიონში, მდინარე კავთურის ხეობაში მდებარეობს. მონასტრის დაარსების შესახებ, საკმაოდ მწირო ინფორმაციაა შემონახული: ცნობილია, რომ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე დაარსებული და საკმაოდ ძლიერ და მდიდარ მონასტრად მიიჩნეოდა...

თავდაპირველად, ქვათახევი დედათა მონასტერი ყოფილა. XIV საუკუნის დასაწყისში, საქართველოზე მეექვსედ გამოლაშქრების დროს, ის თემურლენგმა დაარბია. მემატიანის ცნობით, მტრის ურიცხვმა ლაშქარმა თითქმის მთელი საქართველო მოაოხრა და გადაწვა. ისინი მდინარე კავთურის სათავესთან მდებარე ქვათახევის მონასტრისაკენ მიადგნენ, სადაც მონასტერში მოღვაწე მონაზვნებთან ერთად, მტრის შიშით, მახლობელი ეკლესია-მონასტრებიდან გამოქცეული ბერმონაზვნები, სასულიერო პირები და ახლომდებარე სოფლების მკვიდრნი აფარებდნენ თავს.



XV საუკუნეში, ლეკთა ხშირი თავდასხმის გამო, ქვათახევის მონასტერი კვლავ დასუსტდა: ლეკიანობას თითქმის განადგურების პირას მიუყვანია იგი. სავანე-მონასტერში გაჩერება საშიში გახდა, რის გამოც, ქვათახევის მონასტრის წინამძღვრის რეზიდენცია დროებით, კავთისხევში გადაიტანა.

შემდგომში, ქვათახევის მონასტერში კვლავ დამკვიდრდნენ ბერები და სავანე, მეფთა და დიდებულთა შემწეობით, ისევ აღორძინდა. 1854 წელს, იოანე თარხან-მოურავმა ქვათახევის მონასტრის მთავარი ეკლესია კაპიტალურად შეაკეთებინა, ოდნავ მოგვიანებით — 1856-74 წლებში, მონასტრის ტერიტორიაზე ააგეს სატრაპეზო, სამრევლო და ბერთა საცხოვრებელი სენაკები.

პლატონ იოსელიანის ცნობით, ქვათახევის მონასტერში მრავალი საეკლესიო სინამდვილე ყოფილა დავანებული. მონასტრის უმთავრესი სინამდვილე ის პინაკი ანუ ლანგარი იყო, რომელზეც უფალმა საიდუმლო სერობა აღასრულა. საეკლესიო გადმოცემის თანახმად, იგი ბიზანტიიდან ჩამოუტანია ბაგრატ კურაპალატის მეუღლეს, ბიზანტიის მეფის ასულს — ელენეს, იქვე ინახებოდა მისი მწიგნობარი ქრისტიანული სინამდვილე: თომა მოციქულის თავის ქალა (ამჟამად სიონის ტაძარშია დაბრძანებული), დიდმოწამე დიმიტრის წმინდა ნაწილი, წმინდა გიორგის წვივის ძვლის ნაწილი, წმინდა თეოდორე სტრატელატის თითის ნაწილი და ქამარი, წმინდა მოწამე ეგენიას თავის ქალა. წმინდანთა ნაწილები ვერცხლის პატარა კიდობანში ყოფილა ჩაბრძანებული. იმავე პლატონ იოსელიანის ცნობით, მონასტრის მთავარი ტაძრის საძირკველში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვერთხის ნაწილი ყოფილა ჩატანებული... ლეკთა შემოსევისას — კერძოდ, 1735 წელს, ქვათახევის მონასტრის სინამდვილე მონასტერში მოღვაწე ბერებს მთებში გადაუშალავთ, რათა უსჯულოთა ხელში არ ჩავარდნილიყო. მათ აღვილსამყოფელს მოგვიანებით — 1809 წელს მიაკვლია მამა დოსითეოს ფიცხელაურმა, რომელიც იმ პერიოდში, ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი იყო. სწორედ მამა დოსითეოსის წინამძღვრობის პერიოდში განახლდა და აღორძინდა ლეკთაგან დარბეული და დასუსტებული სავანე.

### მორენა მერკვილაკა

მტრმა მონასტრის კარი შეამტვრია და მის დარბევასა და ძარცვას მიჰყო ხელი: დაიტაცეს საეკლესიო სინამდვილეები, გაჩეხეს ხეხილი და დაატყვევეს მონასტერში თავშესაფრებული ადამიანები; მოხუცებული და უძლური მახვილით ჩეხეს და საჯიჯგნად ნადირს მიუყარეს, ახალგაზრდები კი გაათოკეს და ტყვედ წასაყვანად გაამზადეს. როდესაც ნაძარცვის შეკვრასა და ტყვეთა გათოკვას მორჩნენ, ქვათახევის მონასტერში თავშესაფრებულ ბერმონაზონთა გამასხარავება მოინდინეს — ტაძრიდან გამოიყვანეს, ტანთ „სამქანგო შესასხმელნი“ აასხეს, ყელთ ეუვნები დაჰკიდეს და მახვილის ცემით, მონასტრის ეზოში დაარბენინებდნენ... მერე, ქართველებს სჯულის გამოცვლა მოსთხოვეს: „ან უარყავით ქრისტე, ან ყველას ტაძარში გამოგვკვავთ და ცოცხლად დაგვწავთ“, — უთხრეს მათ. ქართველები მომხდურთა მუქარას არ შეუშინდნენ — რაკი თქვენს ხელში ჩავცივდით, ჩანს, ჩვენი ცოდვებით განვარისხეთ უფალი ჩვენი; თქვენივე ხელით უნდა განვიწმინდეთ, განვეშორეთ წუთიერსა სოფელსა ამას და საუკუნის სასუფეველში დავემკვიდროთ; ვერაფერი ამოგვაგდებინებს გულიდან ქრისტეს სიყვარულს; აღანთენით ხორცნი, ბოროტის მსახურნი, რათა ცეცხლითა საღმრთოთათია მთენარენი სული უბრწყინვალეს მზისა განბრწყინდნენ სასუფეველსა შინა ზეციურისა მამისასაო, — უთხრეს მტრებს. ბერმონაზონთა

სიტყვებით განრისხებულმა მომხდურებმა ხელფეხშეკრული ტყვეები ტაძარში შეყარეს, ირგვლივ შემა შემოუწყვეს და ცეცხლი გააჩაღეს. ალი ეკლესიის გუმბათამდე აღწევდა და როგორც ანტონ კათოლიკოსი ბრძანებს: „იყო ხმაი მათი ვაებისა და ოხრებისა, ვითარცა ქუხილი ცისა...“ მტრის წასვლის შემდეგ, ქართველთა ნაწილი, რომელსაც თავდასხმისას მიმალვა მოეხსრო, შიშითა და კრძალვით მიუახლოვდა დარბეულ მონასტერს, რათა ნაცრისაგან გაეწმინდა. როდესაც ნაცრიდან მოწამეთა ძვლები ამოკრიბეს და ტაძარი განწმინდეს, მათ თვალნი საოცარი სახილველი გადაიშალა: იატაკზე ცოცხლად დამწვარ მონაშეთა სხეულები აღბეჭდილიყო. მათი კვალი ქვათახევის მონასტრის მთავარ — ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის იატაკს დღემდე ეტყობა... ამ ამბის შემდგომ, მეფე-დიდებულთა შემონიურების წყალობით, ქვათახევის მონასტერი აღადგინეს და ის, კვლავ ძლიერ სამონასტრო ცენტრად იქცა. თემურლენგის დარბევის შემდეგ, ქვათახევი მამათა მონასტრად გადაკეთდა. პლატონ იოსელიანის ცნობით, მომხდურთაგან ქართველ ბერმონაზონთა ნამების შემდეგ, ქალებს ქვათახევის მონასტრის ტერიტორიაზე ფეხის დადგმაც კი ეკრძალებოდა. ამ წესს 1796 წლამდე იცავდნენ... გარდა ამისა, დარბევის შემდეგ, მონასტრის მთავარ ეკლესიაში ფეხშიშველნი ან საგანგებოდ შეკერილი ფაჩუჩებით შედიოდნენ.

საბჭოთა პერიოდში, როგორც თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი, ქვათახევის მონასტერიც დაიხურა და ეკლესიაში მუზეუმი გახსნეს. 1989 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ქვათახევის მონასტერში კვლავ დამკვიდრდნენ ბერები და სამონასტრო ცხოვრება განახლდა.





ჩვეულებრივ მოკვდავთაგან ღირსეულნი იმითაც განირჩევიან, რომ მათ ცხოვრებას დაუსრულებლად ითვლის კაცობრიობა. ვაჟა-ფშაველამ 54 წლისამ გადაინაცვლა მარადისობაში. მაშინ მკათათვის ბული ასდიოდა თბილისს. ფშავის დაბურულ მთებს მონატრებულ მგოსანს თვალეში ფანჯრადან მოყურადე მთაწმინდის მინის ნაგლეჯი ჩარჩა.

მერე მთაწმინდამ მოიღელა მკერდი, გულში ჩაიკრა, რომ პოეტს სიმალიდან მწვერვალებისაკენ ცქერა გაადვილებოდა. ალბათ ეს ერთადერთი ოცნება იყო, რომელიც აუხდა ვაჟას. მისი ფესვები მთაშია, სიცოცხლეში სულ არნივების საბრძანებლიდან დაპყრებდა ქვეყანას. აკი ამბობს კადეც:

*მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ,  
თვალწინ მეფინა ქვეყანა,  
გულზე მესვენა მზე, მთვარე,  
ვლამპარაკობდი ღმერთთან.*

ღმერთთან მოლაპარაკე პოეტმა ისე გაუსწრო სინამდვილეს, იმგვარი ზნეობრივი ძვრა მოახდინა, რომ ჩვენ, უსუსურნი ჯერ ვერ ვაცნობიერებთ მისი გმირების ფანტასტიკურ რეალობას; და თუ აღვიქვამთ, ცხოვრების წესად მაინც ვერ ვაქცევთ, რადგან არც ღმერთთან ლაპარაკის უფლება მოგვიპოვებია და არც ვაჟასეულ თავისთავადობამდე მიგვინვდება ხელი.

ვინც თავისი მინის სურნელით ერთხელ მაინც დამთვრალა, თავისი ქვეყნის ცას ასე მიახლოებია, მხოლოდ ის გაუგებს ვაჟას, რომელიც დღემდე რჩება შეუცნობელი სამყაროს მარადიულ მესაიდუმლედ.

# წიგნის სიყვარული

## წიგნის სიყვარული 145 წლისთვის

### ეთერ თარიბანი

დაიბადა ფშავის ერთ მიყრუებულ სოფელში. მკათათვის მცხუნვარე მზის სითბო გამოჰყვა რაზიკანთ კაიყმას. სოფელსაც გაუთქვა სახელი და თავის მოდგმასაც, რამეთუ მამა-პაპის ზნე იმ-თავითვე იდო მის გენეტიკურ კოდში. ფშავის შეუვალობას დარაჯად ედგა ვაჟას დიდი პაპა — იმედა რაზიკაშვილი. სწორედ მას უთქვამს ერეკლესათვის: — დიდო მეფეო, ორი შენ მიბრძანე, მაგრამ ერთი ჩემიც გაიგონეო... კარგ ყმბად მიიჩნეოდნენ ვაჟას სხვა წინაპრებიც: „ვინა თქო ჩარგლულთადაო, ჩარგალში ცუდნი ყმანია, აფხუშოთ ჭიჭახევაძე, სამოც ლეკს მოსჭრეს თავია“, — მღეროდა მათზე ხალხი. დედა კარგი მოლექსე ჰყავდა, დედის ბიძა — პარასკევა მთელ ფშავში განთქმული მოლექსე იყო. მამა, პავლე მღვდელი თავის მოგონებებში წერს: „ცხვარში ყოფნისას ახუნის მთის წვერზე მიყვარდა ასვლა. ეს მთა იქ ყველაზე მაღალია. თითქოს ეკლესიის გუმბათიაო, ისეა მოყვანილი. იქიდან მთელი საქართველო ჩანდა: ქართლი, კახეთი, სამხრეთის მთა-გორები, ლეკის და თუშეთის მთებით, ყაზბეგი და გერგეტი, ხევსურეთის და ქისტეთის მთები, მართლაც გასაოცარი სურათია. ზოგი ცისაკენ აღმართულა, იტყვის კაცი, ცას ხელს ავანჯდენო. დაპყრებ ქართლ-კახეთის მინდვრებსა, თითქოს ერთმანეთს სილამაზეში ეჯობებებიანო“. აქ იწყება ვაჟას ბიოგრაფია:

*ადგილო კურუმ-კურუმო,  
ველიან ჭალიანო,  
სამოთხესავით ლამაზო,  
მიყვარხარ ძალიანო.*

აქედან აინყვიტა არტახები; ბარად ჩამოსული „ნაიალალარი ხარი“ ხან თელავის სასულიერო სასწავლებლის ბუხრიდან ზომავდა სამყაროს, ხან გორის საოსტატო სემინარიის კედლებიდან, ხან ტოლანთსოფლის გულმიუსვლელი დაწყებითი სკოლის შენობიდან და ხანაც, პეტერბურგის უნივერსიტეტიდან. იყო ყველგან თავისუფალი, ამაყი, დაუმორჩილებელი. ქართლში, ამილახვრიანთ კერაზე მასწავლებლობისას, სილა გაანწა თავის ურჩ მონაფეს, ამისთვის გამოაძევეს. ისიც ადგა და მანგლისისკენ აიღო გეზი. თუმცა დიდთონეთშიც ვერ ასცდა უსიამოვნებას: იქაური მამასახლისის შვილს ჩხუბი მოუვიდა თანატოლთან და იქით გაიტყიპა. მამასახლისმა თავად მოინდომა სამაგიერო გადაეხადა იმ ბავშვისათვის. გაკადნიერდა, სკოლის აივანზე აიჭრა და შვილის გამლახავს ცემა დაუნყო. გამოვარდა ვაჟა, ეცა მამასახლისს, მაგრად უთავაზა, დასტაცა ხელი და აივანიდან გადააგდო. მეორე დღეს მამასახლისმა სკოლასთან გაიარა და აღმაცერად შეხედა ვაჟს. ვაჟამ დაადევნა:

*რას მიმზერ მამასახლისო,  
გული რად გიძგერს დიდიო.  
მიტომ თუ მედიდგულეობი,  
ყელზე რო ჯაჭვი გკიდიო.  
სახლი რკინითა სავსე მექ,  
ძალელებიც ჯაჭვით მიბნია,  
ერთს კიდევ გამოგიგზავნი,  
რომელიც უფრო დიდიო  
შენ რომ მე კაცად არ მხედავ  
მეც ხათრი ფეხზე მკიდიო.*

უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრება ბუნებაში დაანათლა ვაჟას. თუკი ვინმეს გათავხედებულს გადაეყრებოდა, მაშინვე ჩააქმენდინებდა ხმას. სადაც სიტყვა არ

ჭრიდა, იქ მკლავს გაშლიდა. მისი მარჯვენა კი, ხმაზე უფრო აფრთხოდა მონინალმდეგეს. დადიოდა გახუნებული ჩოხით, თვალწამოხეული, ხელებდა-კოჟრილი, წვერგაუპარსავი... გარეგანი თვალსაჩუქარობა ცალ ფულადაც არ უღირდა. სანაცვლოდ მის არსებაში იმგვარი ღირსება და ზნეობა დულდა, რომლის ანალოგს ვერც ერთ ცივილიზებულ კულტურაში ვერ მოიძიებ.

XX საუკუნის 90-იან წლებში, თბილისში, ერთი ტრაპაზა და თავზე ხელაღებული კაცი გამოჩენილა, გვარად აშინოვი. თავი თურმე ფაშასავით მოჰქონდა და გაიძახოდა: თეირანს ჩემი ხანჯლის წვერზე წამოცმულს მივართმევ რუსეთსაო. ამ მოხეტიალე „რანდისთვის“ გაზეთ „დროებას“ კარგა ლაზათიანი ფელეტონი მიუძღვნია. ერთ მშვენიერ დილას, „დროების“ რედაქტორს სერგეი მესხს კაბინეტში მიეჭრა აშინოვი და ხანჯალზე გაიკრა ხელი, — ახლავე თქვენი დაბეჭდილის უარყოფა დაწერეთო. ამ ინციდენტის დროს, რედაქტორთან სტუმრად იყვნენ აკაკი წერეთელი და ახალგაზრდა ვაჟა. რედაქტორი, აშინოვის თავხედობაზე გაფრთხიდა. წამოხეტიალე მამის ვაჟა, სტაცა აშინოვს კისერში ხელი, მაღლა აიტაცა და დაუყვირა: ვის აშინებ, შენ მაგ ხანჯლითა, ჰა? იცოდე, შე უბადრუკო, ვიდრე ხანჯალს ამოიღებდე, თავს ათჯერ ნაცვლილი! ჰკრა პანღური და კიბეზე დააგარა.

...ვაჟა ხშირად სტუმრობდა თიანეთს. იქაურები დღესაც იხსენებენ მის კაბინეტობას. ერთხელ, სასამართლოში სხვებთან ერთად პავლე მღვდელი მოწმედ ყოფილა დაბარებული. ვაჟა თან ახლდა მას. ხალხი გარეთ ყაყანებდა. მოსამართლე აივანზე გადმომდგარა და ხეპრედ გამოუცხადებია: ვი-

დაცები მოთრეულხარტ, რა გაღრიალებთ, სმა გაიკმინდეთო! შეუვარდა ვაჟა კაბინეტში და მაგარი სილა სტიკცა თავხედობისათვის. მოსამართლეს სახელის გატეხა ეწოთირა და ეს ამბავი არ გაახმაურა...

დროთა დაუსრულებელ ბრუნვაში თანამედროვეთათვის ხშირად ბევრი რამ ბურუსით იმოსება. ისტორია კი, კრიალოსანივით მარცვლავს გარდასულ დღეებს და თავის ფურცლებზე სანუკვარ ადგილს მიუჩენს ხოლმე... ვაჟამ კარგად უწყოდა, რომ მთის მოსახლეობას — მითულებსა და ფშავ-ხევსურებს პირუტყვი გამოსაზამთრებლად შირაქის ველზე დაუდიოდა. მეფის მთავრობამ კი, 1889 წლიდან იმ ადგილებში რუსების კომპაქტურად ჩასახლების განკარგულება გასცა. ავის მომასწავებლად ენიშნა ეს ამბავი ვაჟას. სანდო მთიელები დაარწმუნა, რომ ხელისუფლების ეს ნაბიჯი მათ შირაქიდან გუდა-ნაზადს ააკვრევენდა. შეაკაზმინა ცხენი დავით ურჯუკაშვილს და ქედში ჩაიყვანა. მისი სახლის საძირკველსაც პირველად ვაჟამ დაჰკრა ბარი. ურჯუკაშვილის კერაზე მალე ცეცხლი გაჩაღდა, მამალმა იყივლა, ძაღლებმა იქაურობა ყეფით გააყრუეს და ქვეყანას ამცნეს იქ ქართველი კაცის დაფუძნება. ვაჟა მთაში გაბრუნდა და ვინც შირაქში პირუტყვს აზამთრებდა, მათი ოჯახები კარდაკარ ჩამოიარა. ყველას სათითაოდ უხსნიდა, რომ შირაქში მათი დაფუძნებით ამ მხარეში პატარა საქართველო უნდა შექმნილიყო. ასეც მოხდა: ერთ წელიწადში 700-800 კომლი ჩამოსახლდა ქედსა და არხილოსკალოში. თავიდან ეს თუშებსაც ახარებდა. მერე და მერე კი, თანამოქმედებს საძოვარზე დაუწყეს დავა. თუშების რწმუნებულმა ცისკარაშვილმა, რომელიც პეტერბურგში ყოფნისას, დიდი ამბით ემეგობრებოდა ვაჟას, თუშები შეაგულიანა და ქედელ ფშავლებს თიბვა აუკრძალეს. არხილოსკალოს მოსახლეობას კი აყრა დაუპირებია. საქმე სასამართლომდე მივიდა.

ვაჟა, ფშავლების რწმუნებულის სტატუსით ესწრებოდა სასამართლოს და ჩუმად იჯდა. მომრიგებელმა მოსამართლემ ფშავლებს განუცხადა: სომ ხედავთ, ეს კაცი ხმას არ იღებს, სხვა რწმუნებული აირჩიეთო. ვაჟამ აიკეცა ჩოხის კალთები, ავიდა ტრიბუნაზე და მოსამართლეს მიმართა: — მე რომ სკამზე ვმჯდარე, შენ ის თვალითაც არ გინახავს. ამ ხალხს რომ აღვლევებ, განა მეც მომატყუილებ, ჩოხაზე კი ნუ მიყურებ, შუბლში შემხედეთო. მერე მიუბრუნდა ცისკარაშვილს: — შენ რა ქართველი ხარ, თუშებს და ფშავლებს ერთმანეთზე აქეზებ. შეიძლება შირაქი ორივეს ხელიდან წაუვიდეს და სხვა დაეპატრონოს; მომრიგებელ მოსამართლეს რა ყურს უგდებ, ეგ პატრონების მოსამართლეა და არა ხალხის. ცხვარი ხალხს ეკუთვნის და არა ცხვარს ხალხი... მტკიცე აღმოჩნდა ვაჟას მიერ ჩაყრილი ბალავარი. იმრავლეს ჩვენებურებმა ზემო და ქვემო ქედსა და არხილოსკალოში.

1882 წელს ვაჟა თიანეთის მაზრის ტოლანტოფელში მასწავლებლად დანიშნეს. მაშინ ამ სოფელს ამტნისხევი ერქვა. სკოლის ერთ ოთახში ცხოვრობდა ვაჟა.

თავისუფალ დროს ხალხში ატარებდა, სანადიროდ დადიოდა ერნოს ტყეებში, მდინარე აქემზე. გლეხები ხშირად ეკითხებოდნენ რჩევა-დარიგებას. იმუამად ერნოს სოფლებზე ბატონობა დაიწყო ვინმე ბობოლა ხიმშიაშვილმა. ხალხს გამოუცხადა, ჩემი ყმები ხართო. საქონელს ართმევდა ლალაში, მოსავლის დიდ ნაწილსაც თხოულობდა. ვაჟას ჩაგონებით გლეხები წინააღმდეგობას უწევდნენ „ყელჭრელ“ ხიმშიაშვილს და ლალას არ უხდიდნენ. ვაჟა მათ „კათაქმევის“ ფსევდონიმით



1882 წელს რამდენჯერმე გამოესარჩლა გაზეთ „დროებაში“.

XX საუკუნის ბოლოს, ერწოელები ლუღელებში სკოლის გახსნას ითხოვდნენ. იქაურმა ქისტაურებმა (ჭრელაანთ) სკოლის ასაშენებლად თავიანთი მამული გამოყვეს. მაგრამ ტოლანტოფელეებმა აჯობეს. იქ მცხოვრებთ: მამასახლის ქირაულს, მღვდელ თურქაძეს და ბერაანთ გავლენიან საგვარეულოს, მთავრობამ ანგარიში გაუწია. ვაჟა ტოლანტოფელში სკოლის გახსნის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ ლუღელებსაც თანაუგრძნობდა. მოგვიანებით, იქაც აშენდა სკოლა. მისი დაარსებიდან 100 წლისთავზე, იქაურმა პედაგოგმა, პავლე არაბულმა ძველი აშენებული გაიხსენა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. გაჭიანურებული დავის დროს, ვაჟასათვის ლუღელულ უშიშას ლექსი გაუგზავნია:

გვიმველე, ვაჟა-ფშაველა,  
სკოლა გავგეტაცეს ბერათა,  
სკოლა იქ უნდა აშენდეს,  
სადაც დანესდა ძველად.

ხელმწიფის მოხელეები,  
ველარ მოვიგდეთ ხელადა,  
თუ არა, დედას ვუტირებთ,  
სულ ვაქცვეთ ნაცარ-მტვრადა.  
ვაჟა მართლაც, ჩაერია იმ საქმეში და უშიშასაც უპასუხა:

ხელმწიფის მოხელეებსა  
მარტო რას უზამთ ბევრათა,  
გუბერანტოროთან უჩივლეთ  
არზას მე დაგინერავთა,  
სკოლა იქ უნდა აშენდეს,  
პანტა რო უდგათ ჭრელათა.

ხუცეს გუშინაც გავგყიპე,  
ჰკითხეთ, თუ არა გჯერავთა.  
ნინია რაზიკაშვილს (ვაჟას ბიძას) ხუთი ქალი ჰყავდა, ერთმანეთზე ლამაზები. უფროსი ქალთათავი და ვაჟა თანატოლები იყვნენ. ხშირად ხნავდნენ და თესავდნენ ერთად. ქალთათავი მებრე იყო, ვაჟა — გუთნისდგა. გააჩერებდა თურმე გუთანს ვაჟა და დაიწყებდა წერას. ქალთათავი სულ ეჩხუბებოდა — ხარებს რად მაჩერებინებ, რასა სწერ, რასა ჯღაბნიო? — ეგ მე თავად ვიცი, რასაც ვწერო, — მიუგებდა ვაჟა და თავისას არ იშლიდა.

ეს ქალთათავი ერთ ქიზიყელზე გაუთხოვებიათ. არა ჰყვარებია და ვერც შეჰგუებია მის ცოლობას. ტოლ-სწორები რომ შეიყვაროდნენ, გულამოსკვნილი, გარმონზე მღეროდა თურმე:

ა, იმ მთათა, თოვლიანთა  
ზედა მენამც გადაჰკიდა,  
ზედა მთოვდა, ზედა მწვიმდა,  
ზედაც ნაქარს მომავრიდა.  
ხელში მომცა ჭრელი გველი,  
შავი ყელთამც ჩამომკიდა,  
გავუძღებდი ყველაფერსა,  
უნდაურსაც არ ამკიდა.

იმ „უნდაურ“ ქმარს მაინც გაჰყვა ქიზიყში, მაგრამ დაიტანჯა თურმე და შემოუთვალა თავისიანებს — როგორც სიკვდილი არ უნდა კაცსა, ისე ეს ქმარი არ მინდა, შინ წამიყვანეთო. წასულა ბაჩანა. დაუჭერიათ იქაურ დიდკაცებს — შენ რა უფლება გაქვს, ცოლი ნაჰგვარი ჩვენს ძმასაო?! მოსვლიათ ჩხუბი, დაუჭერიათ კიდევ ბაჩანა. გაჯავრებულა ვაჟა. წასულა. იმისთვის ველარ გაუბედიათ წინააღმდეგობა. წამოუყვანია ქალთათავი, თავის დასთან — კუჭქვამი დაუტოვებია, სადაც სხვაზე გათხოვილა.

ვაჟასთვის ერთხელ მალაროსკარში დავით ჯანაშვილს ხანჯალი მოუხვედებია. მოსწონებია მისი ნახელავი. წაუყვანია ეს ჯველი ჩარგალში — ოქროს ხელი გქონია, ბიძაშვილი უნდა მოგათხოვო... გადაიარია თურმე ქალის დედა — ქალს მაგას როგორ გავატან, გუთნის დაჭერა არა სცოდნია და თიბვა-ხვეტა; ოქრომჭედლობა რა ეშმაკად უნდა, მაგით პური როგორ უნდა ჭამოსო?! ვაჟას უთქვამს — ძალო, ეს ქალი რაზიკაანთია და ჩვენ ჭკვაზე კიდევ გავათხოვებთო (ქალს მამა აღარ ჰყოლია) და დიდი ქორწილიც გადაუხდია ქალ-ვაჟისათვის. მზითვის წასაღებად რომ მოსულან, მაყრებიდან ერთ ახალგაზრდა ფშაველს კიდევ, სხვა ბიძაშვილი მოსწონებია, ამ ქალის მამაც უარზე მდგარა. იმათ ამბავშიც ჩარეულა ვაჟა და ის ქალშავაც გაუთხოვებია. კაფიაც „ნაუშ-



იზონაში მცხოვრები აბაჩების ტომის ყოველი წევრი, შემოსავლის განაწილების შედეგად, ყოველთვიურად, დაახლოებით 3.000 დოლარს იღებს... თუმცა, აზარტული თამაშების ბიზნესი ყველა ინდიელს როდი იზიდავს. სწრაფი გამდიდრება მხოლოდ მცირერიცხოვან ტომებს ელის, რომლებიც დიდი ქალაქების სიახლოვეს ცხოვრობენ. მაგალითად, ნავახოს ტომი ცუდ ადგილას სახლობს და ამიტომ, მას წარმატების ნაკლები შანსი აქვს.

თუმცა, ნავახოები აზარტული თამაშების ბიზნესში ჩაბმას არც აპირებენ. აშშ-ში, უდიდესი რეზერვაციის ტერიტორიაზე, ინდიელთა ტომის ბელადებმა უკვე ორჯერ ჩაატარეს რეფერენდუმი, სადაც ნავახოებმა მათ ტერიტორიაზე კაზინოს გახსნის საკითხი ორჯერ უარყვეს. ზოგიერთი ინდიელის აზრით, სათამაშო ბიზნესი, ბელადებს შორის საშინელ კორუფციას ბადებს. ინდიელები, რომლებიც სათამაშო ბიზნესში არიან ჩაბმულნი, ქრთამის აღების ბრალდებით ციხეში არაერთხელ მოხვედრილან. გარდა ამისა, რამდენადაც პრაქტიკულად არ არსებობს კონტროლი ინდიელთა არც ერთ, მათ შორის, ფინანსურ საქმიანობაზე, კაზინოები რეზერვაციების ტერიტორიებზე ფულის გათეთრების შესანიშნავ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

კორუფცია მხოლოდ ინდიელ ბელადებს როდი ეშუქრებათ. რამდენიმე ხნის წინ, აშშ-ის ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს — ბრიუს ბებოტს ბრალი დასდეს იმაში, რომ მან ერთ-ერთი ტომისგან 300 ათასი დოლარი აიღო იმ პირობით, რომ მეზობელ ტომს კაზინოს გახსნას აუქრძალავდა...

### აბორიგენტთა სოლიდარობა

ცოტა ხნის წინ, პეკოტის და მოჰიკანის ორმა უმდიდრესმა ტომმა, კეთილშობილება გამოიჩინა, როცა გამოაცხადა, რომ სურთ, სიმდიდრე სხვა ტომებსაც გაუზიარონ. ოღონდ, არა მათი კაზინოების შემოსავლებიდან, არამედ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის გამოყოფილი სახელმწიფო სუფსიდიებიდან. მოჰიკანებმა თავიანთი ნებით თქვეს უარი 22 მილიონ დოლარზე, ხოლო პეკოტებმა — 578 ათას დოლარზე.

როგორც ხედავთ, პეკოტები და მოჰიკანები უკვე კარგა ხანია, ღარიბებდა აღარ მიიჩნევიან, მაგრამ სახელმწიფო მატერიალურად მათ მაინც ეხმარება. უფრო მეტიც, როცა 1994 წელს, პეკოტებმა სცადეს, უარი ეთქვათ 1,5 მილიონ დოლარ სუფსიდიანზე, საცხოვრებელი პრობლემების დეპარტამენტმა, ისინი მაინც დაიყოლია იმაზე, რომ დახმარება მი-

ელოთ. ამის შედეგად, 1,5 მილიონი დოლარი იმ სახლების მშენებლობაზე დაიხარჯა, რომელთაგან თითოეული, თითქმის 400.000 დოლარი დაჯდა და ეს იმ ოჯახებისთვის, რომელთა შემოსავალი დაახლოებით, 200 ათას დოლარს აღწევდა. როგორც ჩანს, რეზერვაციაში უფრო ღარიბი ადამიანები ვერ მოიძებნა...

მაგრამ მოჰიკანებისა და პეკოტების მიერ გამოჩენილი შეგნება ყველა ინდიელს როდი ახასიათებს. მინესოტაში, ჩიპევის ტომმა მხა



მისცა იმას, რომ 9 მილიონი დოლარი ახალი სკოლის მშენებლობაზე დაეხარჯათ, მაშინ, როცა კაზინო ტომს 30 მილიონ დოლარს აძლევს. ტომის ბელადმა განაცხადა: „შერთებულ შტატებს, ინდიელი ხალხის წინაშე ვალდებულება აქვს და ჩვენ მათ ამ ვალდებულების შესრულებას ვაიძულებთ“.

### მახე თეთრკანიანთათვის

საერთოდ, დამპყრობელთა „საზეიმო ვალდებულებანი“ მკვიდრი მოსახლეობის წინაშე, სულ უფრო ხშირად იქცევა პრობლემად. იმ შტატების გუბერნატორები, სადაც კაზინოები მოქმედებს, წარუმატებლად ცდილობენ, აზარტული თამაშების ბიზნესზე კონტროლი დაანუსონ. ინდიელები უცვლელად იმორწმუნე თავიანთ სუვერენიტეტს და ხშირად, შტატის კანონმდებლობას იგნორირებას უკეთებენ. ტომების ბელადები არ ეჭვობენ, რომ თეთრკანიანთა წინააღმდეგ ნებისმიერი სასამართლო პროცესის მოგება შეუძლებელია. თეთრკანიან კანონმდებლებს, თავის მხრივ მიაჩნიათ, რომ ინდიელთა ყველა გადასახადისგან გათავისუფლება, აღმამფოთებელი უსამართლობაა. რა თქმა უნდა, „თეთრი“ ბიზნესი, ინდიელთა ბიზნესს კონკურენციას ვერ გაუწევს. წვრილი მენარმენი — მაგალითად, ავტოგასამართი სადგურების მფლობელები, რომლებიც ცდილობენ, რეზერვაციების გვერდით იარსებონ, ჩვეულებრივ, კოტრდებიან. ერთ-ერთი მათგანი, ვინც ინდიელთა ხელშეუხებლობას თავს ესხმის, რესპუბლიკელი სენატორი სლეიდ გორდონია. მაგალითად, გორდონს არ მოსწონს, რომ

ინდიელმა პოლიციელმა, რომელსაც მოზარდის სიკვდილი ედებოდა ბრალი, შეძლო გაჰქცეოდა სამართლებრივ დევნას: კანონის თანახმად, ინდიელის პასუხისგებაში მიცემა მხოლოდ ინდიელს შეუძლია. გორდონმა კიდევ ერთი გაბედული აზრი გამოთქვა: „ინდიელთა ტომებს სურთ, თვითგამორკვევის უფლება ჰქონდეთ და მე არაფერი მაქვს ამის საწინააღმდეგო, მაგრამ მიმაჩნია, რომ თვითგამორკვევას რაღაც მოვალეობებიც მოჰყვება და უპირველეს ყოვლისა, ის, რომ თვითონ უზრუნველყონ საკუთარი ცხოვრება“.

ინდიელთა განსაკუთრებული სტატუსის წინააღმდეგ, არა მხოლოდ კონგრესმენები, არამედ ზოგიერთი ინდიელიც გამოდის. ინდიელთა პრივილეგიების წინააღმდეგ მთავარი მეზობელია ჩიპევის ტომის წარმომადგენელი — ბილ ლორენსი. ის ირწმუნება, რომ საწარმე რეზერვაცია არსებობს, ინდიელები, ყველაზე მეტ შეზღუდვასა და პრივილეგიის ბოროტად გამოყენების ფაქტებს სხვა ინდიელებისგან იგემებენ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ინდიელებს მოეხ-

სნათ მათი განსაკუთრებული სტატუსი, რათა რეზერვაციებში ამერიკის კანონები მოქმედებდეს და არა ტომის ბელადთა აბსოლუტური ხელისუფლება. ლორენსმა წინადადება შეიტანა, გადაისინჯოს ტომის ინდიელთა სამოქალაქო უფლებების შესახებ, 1968 წელს მიღებული კანონი — რათა არა მარტო ინდიელებს, არამედ არაინდიელებსაც ჰქონდეთ შესაძლებლობა, სასამართლოს გადასცენ ტომების ის წარმომადგენლები და კომპანიები, რომელიც მათ ეკუთვნით (რაც ახლა შეუძლებელია). ინდიელთა კაზინო კი, როგორც სხვა ყველაფერი, ვალდებული უნდა იყოს, ანგარიში ჩააბაროს თავის შემოსავლების შესახებ, მაგრამ ლორენსს ნაკლებად აქვს იმის იმედი, რომ კანონში ასეთ შესწორებებს შეიტანენ.

საქმე მხოლოდ ის როდია, რომ ინდიელთა ძლიერმა ტომებმა, უკვე სრულად აითვისეს მათთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღების ლობირების ხელოვნება. უფრო სერიოზული დაბრკოლებაა, ბევრი სენატორის „კეთილშობილურ-ველური“ მენტალიტეტი, რომლებსაც ეჩვენებათ, რომ ინდიელები, ცუდს ვერაფერს გააკეთებენ. ხელისუფლებას ეშინია, უღალატოს იმ „საზეიმო ვალდებულებებს“, რომელიც ინდიელების წინაშე იტვირთა. ინდიელთა ხელშეუხებლობის მომხრეთა განწყობილება, სენატორმა ჯონ მაკქერინმა გამოატყა: „ჩვენ მათ თითქმის მთელი მინა წავართვით და სანაცვლოდ, რაღაც რაღაცებს დავპირდით. ზოგჯერ, ამ შეთანხმების შედეგები არცთუ ისე სასიამოვნოა, როგორც ჩვენ გვინდა, რომ იყოს და გადასახადებისგან გათავისუფლებაც მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი ასეთი შედეგია“. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „საზეიმო ვალდებულებები“ შეიძლება დაირღვეს, რადგან ის, სწორედ ვალდებულებებია და არა უბრალო დაპირება...



# „ბონდიანის“ ახალ სურათში სექსს ვერ იხილავთ!


როდესაც ორი წლის წინ პირს ბროსნანმა სტუდიასთან დადებული კონტრაქტის თანახმად, ჯეიმს ბონდის როლი უკანასკნელად ითამაშა, პროდიუსერებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ: ვინ შეცვლის მას? ახალი ბონდის კანდიდატურას, სტუდია ტრადიციულად ბრიტანელ მსახიობთა შორის ეძებდა, რადგან ლეგენდარულმა გმირმა, ბოლო 20 ფილმში ასახული ცხოვრება მისი უდიდებულესობის, დიდი ბრიტანეთის დედოფლის საიდუმლო სამსახურში გაატარა. შემცვლელის ძიების პროცესი უამრავი ჭორისა და მითქმა-მოთქმის თანხლებით მიმდინარეობდა: საკულტო როლზე პრეტენზიას აცხადებდნენ კოლინ ფერტი, კლაივ ოუენი და თავად ჰიუ გრანტი. „ბონდიანის“ თავყვანისმცემლები სტუდიის გადაწყვეტილებას სუნთქვაშეერყული ელოდნენ... 38 წლის ინგლისელი დენიელ კრეიგისთვის ბონდის როლის მიწოდებამ ფანების აღშფოთება გამოიწვია. მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ მსახიობს ევრანზე 40-ზე მეტი როლი აქვს ნათამაშები, მათ შორის თავგადასავალთა მაძიებელ ბოუეიკში „ლარა კროფტი: აკლდამათა მძარცველი“ და სპეციაგენტი მოსადა, რომელმაც სტივენ სპილბერგის დრამაში — „მიუნხენი“ საკუთარი სიცოცხლე ტერორიზმთან ბრძოლის სამსხვერპლოზე მიიტანა. თავყვანისმცემელთა აზრით, კრეიგი ჯეიმს ბონდი ვერ გახდებოდა. ამ გმირს არ შეიძლება, უბრალოდ, ადამიანის გარეგნობა ჰქონდეს. საშინელებაა, როდესაც ბონდს პაჭუა ცხვირი და თეთრი ნაწნაშები აქვს — ფიქრობდნენ 007-ის ფანატები, რომლებმაც მსახიობისათვის შეურაცხყოფელი დასახელებით, craignotbond.com ვებ-საიტი გახსნეს, სადაც კრეიგს უკანასკნელი სიტყვებით მოიხსენიებდნენ. როდე-

საც პრესაში გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ვასკადიორის გაუფრთხილებლობის შედეგად დენიელმა ორი წინა კბილი დაკარგა, ფანატთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

იმ დღეს, როდესაც კორესპონდენტმა პრალაში „ბონდიანის“ ახალი ფილმის — „კაზინო როიალი“ გადასაღები მოედანი მოინახულა, იმ ეპიზოდს იღებდნენ, როდესაც ტერორისტი კარლოსი თვითმფრინავის აფეთქებას ცდილობს. ამ ეპიზოდისათვის „მოდრანის“ სტუდიაში აეროპორტის დერეფნების ორსართულიანი დეკორაცია აშენდა. ფილმის მთავარი მხატვრის, პიტერ ლამონტისთვის „კაზინო როიალი“ „ბონდიანის“ ციკლის მე-18 ფილმი. მხატვარი ფილმის გადასაღებ მოედანზე პირველად 40 წლის წინ აღმოჩნდა და ამ ხნის მანძილზე, ლეგენდარული პიროვნების სახელი მოიხვეჭა. მისთვის შეუძლებელი არაფერია. საკმარისია გავისხენოთ, მისი წყალობით რაოდენ დამაჯერებლად და შთამბეჭდავად ჩაიძირა სახელგანთქმული „ტიტანიკი“.

„კაზინო როიალის“ გადაღებებისთვის ლამონტმა ლონდონის სტუდია „პინგუდში“ მცირე დროში ვენეციის ცნობილი გრანდ არხი ააშენა და მასში პონტონებზე შემდგარი მდიდრული პალაცო ჩაუშვა, რომელიც წყალში იმდენჯერ ჩაიძირა, რამდენი დუბლის გადაღებაც რეჟისორმა მოისურვა. ამ კადრების გადაღება რეალურ ვენეციაშიც შეიძლებოდა, მაგრამ: „მათი გრანდ არხი ძალზე პატარაა, ისევე როგორც „ბონდიანის“ წინა ფილმებში ისლანდიის ყინულოვანი ველები, რომელზეც მთავარი გმირის თვითმფრინავი ეშვება. ისლანდიაში გადაღებები შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ყინული ასეთ დატვირთვას ვერ გაუძლებდა. ამიტომ პავილიონში ყინული განსაკუთრებული, მინის მსგავსი მასალისგან ააშენეს და იმგვარად შელებეს, რომ „ყინული“ შიგნიდან ანათებდა“. ამერიკული სპეცსამსახურებისთვის ნმიდათანშიდა ფორტი ნოქსი (ფილმი „გოლდფინგერი“), სადაც პრეზიდენტსაც კი ძნელად თუ უშვებენ, მე შევქმენი, — ამბობს მხატვარი.

გადაღებები ყოველდღიურად რვის ნახევრიდან ექვსის



ნახევრამდე გრძელდება, მაგრამ პიტერ ლამონტი და რეჟისორი მარტინ კემპბელი მოედანზე 11 საათამდე რჩებიან და მომდევნო დღის გადაღებებისათვის სამზადისს აკონტროლებენ. ბლოკბასტერების გადაღებების დროს, მუდამ მოქმედებს ერთი აუცილებელი წესი: 340-კაციანი გადაღლები ჯგუფი დასვენების დღეების გარეშე მუშაობს. ჯგუფის წევრები მცოცავი გრაფიკით ისვენებენ. პროდიუსერებს შეცდომის დაშვების უფლება არ აქვთ, რადგან პროექტში მეტისმეტად დიდი ფულია დაბანდებული. „ბონდიანის“ წინა სურათის — „მოკვიდი, მაგრამ არა ახლა“ ბიუჯეტმა სერიალის ისტორიაში რეკორდული თანხა, 142 მლნ დოლარი შეადგინა. სამაგიეროდ, შემოსავალიც რეკორდული აღმოჩნდა. მსოფლიო გაყიდვების თანხამ, 432 მლნ დოლარს გადააჭარბა. „ბონდიანის“ ყველა ფილმის შემოსავალმა სტუდიას საერთო ჯამში 4 მილიარდი დოლარი შემატა.

პროექტის ავტორმა, ლეგენდარულმა პოლიუფდელო პროდიუსერმა ალბერტ ბროკოლიმ სერიალის ბრწყინვალე პერსპექტივა ვერ კიდევ სურათის — „დოქტორი ნო“ დროიდან ირწმუნა. ამიტომ ბუნებრივია, რომ პროდიუსერმა მისი ცხოვრების უმთავრესი საქმის საიმედო ხელში მოხვედრაზე იზრუნა. იტალიელ ემიგრანტთა შთამომავალმა (ის სერიოზულად ირწმუნებოდა, რომ შტატებში კომპოსტო ბროკოლის ჩითილები სწორედ მისმა წინაპრებმა შეიტანეს) კარიერა აფთიაქარის თანამშენებლობით დაიწყო, შემდეგ მესაფლავედ მუშაობდა, მესაფლავეობის შემდგომ, რეჟისორის ასისტენტობა სცადა, მსახიობთა აგენტიც იყო, ბოლოს, პროდიუსერობამდე ამაღლდა. ალბერტმა საკუთარი ბიზნესი მესამე ცოლთან შექმნილ ქალიშვილს — ბარბარა ბროკოლის და ამავე ცოლის ვაჟიშვილს, მაიკლ უილსონს გადაულოცა. მოკრძალებული ბარბარა მისი ფოტოსურათის გადაღების უფლებას ჯგუფის ფოტოგრაფსაც კი არ აძლევს. მაიკლი კი



ჯეი გრინი, დენიელ კრეიგი და კატერინა მურილი — „კაზინო როიალის“ სასიყვარულო სამკუთხედი

პირიქით, „ბონდიანის“ ყველა სერიისი პატარა ეპიზოდურ როლს თამაშობს და ამ გზით ფირზე საკუთარ „ავტოგრაფსაც“ ტოვებს.

„ბონდიანა“ მხოლოდ ჩემი ოჯახური ბიზნესი როდია, — ამბობს მაიკლ უილსონი — გადაღები ჯგუფის მრავალი წევრი ჩვენთან წლების მანძილზე მუშაობს. თითქმის დავენათესავდით კიდეც. მათ გარეშე გადაღებათა უკიდურესად გეოგრაფიული ტრადიციების



შენარჩუნება, ძალზე გაგვიჭირდებოდა. სურათის გადაღება პრალის გარდა ლონდონში, კარლოვი ვარში, ბაჰამის კუნძულებზე, მონტე-კარლოსა და კომოს ტბაზეც მიმდინარეობს“. უილსონის სიტყვები ერთიანი ოჯახის შესახებ, გადაჭრებულ სულაც არ არის. სტენფორდის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, 63 წლის მილიონერი მუშაობაგადაფარებულ, ხის მაგიდასთან უბრალო ტექნიკოსებთან ერთად სადილობს. გადაღები ჯგუფისთვის გაშლილი „შეფუთილი მაგიდა“ ათეულობით სალათის, 5 თავი ცხელი კერძის, 6 სახეობის გარნირის, ათეულობით სახეობის დესერტისა და ყველანაირი სასმელისგან (ალკოჰოლის გარდა) შედგება. სადილი, ისევე როგორც სხვა სამუშაო, მცოცავი გრაფიკით მიმდინარეობს. ოპერატორის ასისტენტები გადასაღებ მოედანს საერთოდ არ ტოვებენ. მათთვის სადილი სამუშაო ადგილზე მიაქვთ.

კინოკამერასთან მომუშავე მთავარი ოპერატორი კინემატოგრაფის განვლილი ეტაპია. სანამ ტექნიკოსები დეკორაციების გადაადგილებით არიან დაკავებულნი, მონიტორთან მდგარი ფილ მეჰიუ თანაშემწეებს მხოლოდ მითითებებს აძლევს. ტექნიკოსი კი გადაღებულ პლანს სასწრაფოდ ამონტაჟებს. მთავარი ოპერატორი ფილ მეჰიუ მისი პროფესიის დასახელებას ბოლომდე ამართლებს: Director of photography — ხომ გამოსახულების რეჟისორს ნიშნავს.

რეჟისორი მარტინ კემპბელი სრული-

ად განსხვავებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. მაიკლ უილსონმა ამ ადამიანს „ენერჯის შადრევანი“ ტყუილად არ უწოდა. ამ სიტყვებს შეიძლება ეპითეტი „უმრეტეც“ დაემატოს. ფილმების — „ზოროს ნილაბი“, „ლეგენდა ზოროს შესახებ“, „ვერტიკალური ზღვარი“ შემქმნელმა მარტინ კემპბელმა ამ პროექტისათვის ბრძოლაში ამერიკული კინემატოგრაფის ორი უდიდესი რეჟისორი — კვენტინ ტარანტინო და დევიდ ფინჩერი დაამარცხა.

„კაზინო როიალი“ „ბონდიანის“ წინა ფილმებისგან სრულიად განსხვავებული იქნება. ჩვენ მაქსიმალურად რეალისტურ ფილმს ვივლით, სადაც შესაძლებელია, კომპიუტერულ სპეცეფექტებზე უარს ვამბობთ. თავად ბონდიც, მისი წინამორბედებისაგან სრულიად განსხვავებული იქნება. „კაზინო როიალი“ იენ ფლემინგის ერთ-ერთი პირველი რომანია, ამიტომ მთავარი გმირი ქალთა გულთამყრობელი ჯამუსში ჯერ კიდევ არ არის. ის უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში გაზრდილი ობოლია, რომელმაც სავალდებულო სამხედრო სამსახური საზღვაო ფეხოსნების ჯარში გაიარა, შემდგომ კი, აზარტულმა თამაშებმა გაიტაცა. ბონდის ბანქოთი გატაცებას სპეცსამსახურები ტერორისტთა ბანკირის გამოსამჟღავნებლად იყენებენ“, — ამბობს რეჟისორი.

ბონდის გოგონას როლზე პრეტენზიას უამრავი მსახიობი აცხადებდა. „ოსკაროსან“ შარლიზ ტერონიდან დაწყებული, „კინგ-კონგის“ ვარსკვლავით, ნაომი უოტსით დამთავრებული. საბოლოოდ, ამ შეჯიბრებაში ფრანგმა

მსახიობმა ევა გრინმა გაიმარჯვა. როდესაც კემპბელმა მსახიობი ბერნარდო ბერტოლუჩის დრამაში „მეოცნებენი“ იხილა, მთავარი გმირის საყვარელი გოგონას როლის შემსრულებლის საკითხი მის სასარგებლოდ გადაწყდა. „მე გრძელფეხება, სილიკონისმკერდიანი სექსობობა არ მჭირდება. მე მსახიობი მესაჭიროება, ამიტომ როლზე ევა დავამტკიცე“, — ასეთია რეჟისორის საბოლოო ვერდიქტი.

სიტყვა „სექსის“ გაგონებაზე საუბარში მაიკლ უილსონი ერთვება: „რა სექსი? ჩვენი ფილმი ოჯახური ჩვენებისთვისაა განკუთვნილი. ჩვენი აუდიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს 12-13 წლის მოზარდები შეადგენენ, ამიტომ თავს უფლებას ვერ მივცემთ, ფილმში შიშველი სხეულები და სექსუალური სცენები ვაჩვენოთ“.

დენიელ კრეიგი — გადაღები ჯგუფის ერთადერთი წევრია, რომელიც საკუთარი,



დენიელ კრეიგი ამწეს ღერძზე კასკადორის დაუხმარებლად მიცოცავს

უცხო თვალისათვის დაფარული ცხოვრებით ცხოვრობს. მსახიობი დროს უმეტეს ნაწილს მის პერსონალურ ტრიალერში ატარებს. იმ სცენების გადაღების პროცესი, რომელშიც კრეიგი არ მონაწილეობს, ხშირად ჭიანჭურდება. მაგრამ მსახიობს გადასაღები მოედნის დატოვების უფლება არა აქვს. „ჩვენ დენიელის მუშაობით ძალზე კმაყოფილი ვართ. იგი როლს სერიოზულად მიუდგა. კუნთებიც დაიყენა და ტრიუკების დამოუკიდებლად შესრულებასაც ცდილობს. ბაჰამის კუნძულებზე იმ სცენას ვივლიდით, სადაც მთავარი გმირი მდევარს გაურბის და ამისათვის ამწეს ღერძზე სირბილი უწევს. კრეიგმა დასახულ ამოცანას თავი შესანიშნავად გაართვა. გეგონებოდათ მანამდე ცირკში აკრობატად მუშაობდაო. მოძრავ ავტომობილებზე ხტომაც არაჩვეულებრივად ისწავლა“, — ამბობს აღფრთოვანებული მაიკლ უილსონი. „ჩამტკრეული კბილების ამბავი როგორ იყო?“ „ეს სიცრუეა, დენიელს ჩხუბის სცენის გადაღების დროს, კბილის გვირგვინი ჩამოსძვრა. ეს იყო და ეს“.

შექსპირის სამეფო დასის მსახიობი ცხოვრებაში უკეთ გამოიყურება, ვიდრე

ევა გრინი და დენიელ კრეიგი გადაღებების დროს (ბაჰამის კუნძულები)



ეკრანზე, მისგან ქალთა გულების დამატყვევებელი მამაკაცური ქარიზმა უხვად მოედინება. „როდესაც ჯეიმს ბონდის როლზე მიმინვიეს, თავდაპირველად, ვერ დავიჯერე, მეგონა, მეგობრებმა გამამასხარავეს. ამ გმირის შესახებ, ჩემი, როგორც მაცურებლის შეხედულება მქონდა. ვფიქრობდი, რომ მასთან საერთო არაფერი მქონდა, მაგრამ ამ როლზე მე დამამტკიცეს და ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, რომ ასეთ შეთავაზებაზე უარს არავინ ამბობს“.

— „ბონდის“ გადაღებები სტივენ სპილბერგთან მუშაობისგან რით განსხვავდება?

— უნდა ითქვას, რომ სპილბერგის გარდა, კიდევ ბევრ რეჟისორთან მიმუშავია. ყველა მათგანი მუშაობისას თავისებურია.

— თქვენი საყვარელი ჯეიმს ბონდი რომელია?

— მე როჯერ მური მომწონს. „ბონდინის“ პირველი ფილმი, რომელიც მე ვნახე — „ჯამუში, რომელსაც ვუყვარდი“ იყო. მურის ირონიით, იუმორის გრძობით აღფრთოვანებული ვიყავი. შემდეგ შონ კონერისა და პირს ბროსნანის ფილმებიც ვნახე — ეს როლი მათაც შესანიშნავად ითამაშეს.

— რას ფიქრობთ იმის შესახებ, რომ ფილმის ეკრანებზე გამოსვლამდე პრესაში აუგად მოგიხსენიებენ?

— ვცდილობ, ჩემ შესახებ ცუდი არაფერი წავიკითხო. ამისათვის არც მცალია. დილიდან საღამომდე გადასაღებ მოედანზე ვარ. ჩემი ამოცანაა, ეს როლი ჩემი შესაძლებლობების ზღვარზე ვითამაშო, ისე, რომ შემდგომ საკუთარი თავის არ შემრცხვებს.

— აცნობიერებთ, რომ პრემიერის შემდგომ, ვარსკვლავად გადაიქცევით?

— მთავარია, ვარგ მსახიობად დავრჩე. ვარსკვლავური სტატუსი ნაკლებად მაღელვებს. ძალიანაც რომ მინდოდეს, ერთ კოსტიუმზე მეტს ვერ ჩავიცვამ და ორ მანქანაში ერთდროულად ვერაფრით ჩავჯდები.

— პრემიერაზე ვის დაპატიჟებას აპირებთ?

— ნოემბრამდე კიდევ ბევრი დროა დარჩენილი. ალბათ, ახლობლებს დავპატიჟებ.

— აგენტ 007-თან განშორებას არ აპირებთ?

— კონტრაქტი მხოლოდ ერთ ფილმზე მაქვს დადებული. დანარჩენს სტუდია გადაწყვეტს.

ჯეიმს ბონდი კადრში ბრუნდება, სადაც მის თავზე წინასწარ მომზადებული ტონობით წყლის ნაკადი ეშვება. საინტერესოა, რომ მსახიობები და სტატისტიები გადასაღებ მოედანს თავიდან ფეხებამდე გალუმპულნი ტოვებენ, პავილიონი კი, სრულიად მშრალია. წყალი პიტერ ლამონტის მიერ წინასწარ მომზადებულ სადინარში ჩაედინება...



ჯენიფერ ლოპესთან სუბტიმა აბ ღიბს!

ჯენიფერ ლოპესთან საქმის დაჭერა სახუმარო ამბავი რომ არ არის, ორმა არამზადამ საკუთარ ტყავზე გამოსცადა. მათ ჯენიფერის მეუღლის მანქანიდან ლოპესის ქორწილისჩანაწერიანი ნოუტბუკი მოიპარეს და გამოსასყიდის სახით, 1 მლნ დოლარი მოითხოვეს. 6 თვის წინ, მომღერალმა, სპეცსამსახურების დახმარებით, არამზადები ციხეში გაისტუმრა. ამ დღეებში, ერთმა მათგანმა დანაშაული აღიარა. მანჰეტენის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლემ განაცხადა, რომ იოლი შემოსავლის 31 წლის მოყვარულ ტიტო მოზესს 3 წლით პატიმრობა ელოდება. მისი თანამზრახველი, 49 წლის სტივენ ვორტმანი კი, თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და წაყენებულ ბრალდებას უარყოფს.

ჯადჯ კლუნი მბრე პიფგი ნაწყნი ცდტილა



ჭორად ამბობენ, თითქოს ჯორჯ კლუნი მის უახლოეს მეგობარ ბრედ პიტზე განაწყენებული ყოფილა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ბრედი რამდენიმე თვით ნამიბიაში გაემგზავრა, სადაც ანჯელინა ჯოლისთან ერთად, ქალიშვილის — შილო ნუველის დაბადებისთვის ემზადებოდა. ამის გამო, ბრედ პიტი ამერიკაში საქმიან შეხვედრაზე არ გამოცხადდა. მეგობრები ლას-ვეგასში 4400-ადგილიანი სასტუმრო კომპლექსის, კაზინოსა და სპორტული მოედნის აშენებას აპირებდნენ, მაგრამ სანამ პიტი მამობისთვის ემზადებოდა, 10 ჰექტარი მიწა, რომელზეც მშენებლობა იგეგმებოდა, სხვებმა შეიძინეს.

იბტვიკული სიუბტიტიტი

საკუთარი სოულჰიტებით ცნობილი პოპმომღერალმა ტონი ბრექსტონმა ბერლინში ფესბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე დასასწრებად ჩასული ფანატები მხოლოდ სიმღერებით როდი გაანებივრა...



სცენაზე გამოსვლის დროს, ჰაერის ნაკადმა ვარსკვლავს ქვედაბოლო ისე აუფრიალა, რომ მაცურებელმა მისი მომხიბვლელი სხეულის ნაკვეთებით დატკბობა შეძლო. ტონი სრულიადაც არ შემცბარა, მან სიმღერა უფრო მეტი ენთუზიზმითაც კი გააგრძელა. შემდეგ ჯგუფის II DIVO-ს ერთ-ერთ წევრს მიუბრუნდა და სხეულით რამდენიმე მეტად სექსუალური მოძრაობა გააკეთა. ტონი ბრექსტონის ეროტიკული სიურპრიზები ამით არ დასრულებულა. რეპეტიციის დროს, მომღერალს კაბა მხარზე ჩამოუსრიალდა და მარცხენა ძუძუ გაუშვებდა. ამ დღეს, ტონიმ პოპსაოცრების ტიტული 100 პროცენტით გაამართლა.

### მბიფნი სპიძსი ნამიბიაში იბმთმიატმს

ცნობილმა ამერიკელმა პოპვარსკვლავმა ბრიტნი სპირსმა ტელეარხ NBC-ს განუცხდა, რომ ახლო მომავალში ნამიბიაში გაემგზავრება, სადაც მეორე ბავშვის გასაჩენისად მოემზადება. ბავშვი (გოგონა) სექტემბერში გაჩნდება.



ინტერვიუს დროს, ბრიტნიმ ტირილი დაიწყო და განაცხადა, რომ ამჟამად, ემოციურად საოცრად განადგურებულია — რაშიც პაპარაცები და ტაბლოიდები დაადანაშაულა. ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რატომ არჩია ბავშვის ნამიბიაში გაჩენა, მომღერალმა უპასუხა: „კევინს (კევინ ფედერლიანი — ბრიტნის მეუღლე) აფროამერიკული კულტურა მუდამ მოსწონდა. დარწმუნებული ვარ, იქ თავს შინაურულად იგრძნობს და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად რეჟს იმღერებს“; ამას გარდა, ნამიბიაში მრავალი წყნარი ადგილია, სადაც ის ვაჟიშვილთან — შონ პრესტონთან ერთად, მანქანით მშვიდად სეირნობას შეძლებს. ბრიტნის ნამიბია კალიფორნიას აგონებს, რადგან იქ „ოკეანე და ბევრი ქვიშაა“. დაბოლოს, უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ნამიბიაში, ცნობილ ადამიანებს ჟურნალისტებისგან კანონი იცავს, ეს კი ბრიტნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. იმაზე მნიშვნელოვანიც კი, ვიდრე ის, რომ ბრიტნი იმავე ვილაში იცხოვრებს, სადაც ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი ცხოვრობდნენ!

### ცხოვლთა დამცულნი მუიფნსსაც მიადგუნ

ბეიონს ნოულსს თაყვანისმცემლებთან დაახლოების მცდელობა ძვირად დაუჯდა. ცოტა ხნის წინ, ორ ფანთან შეხვედრის დროს, ბეიონსს რამდენიმე უსიამოვნო წუთის გადატანა მოუხდა. ფანები, რომლებმაც ბეიონსს ნოულსის პირადად გაცნობის პატივი ტელეარხ VHI-ს ერთ-ერთ კონკურსზე მოიგეს (შემთხვევით), PETA-ს (ადამიანები ცხოველებისადმი ჰუმანური მოპყრობისათვის) აქტივისტები აღმოჩნდნენ. მათ შანსი ბოლომდე გამოიყენეს და ძვირფასი ბენვეულის მოყვარული ბეიონსის ჭეშმარიტებისაკენ მოქცევა განიზრახეს. აქტივისტები შეხვედრაზე DVD-ითა და რამდენიმე ძალზე სპეციფიკური დისკით შეიარღვრულნი გამოცხადდნენ. ქათინაურების მოსმენის ნაცვლად, ბეიონსი იძულებული შეიქნა, ბენვეულის წარმოებისა და მისი მოპოვების სისხლიან დეტალებს გასცნობოდა. აქტივისტებმა დასახულ მიზანს მიაღწიეს, ბეიონსს გამოემშვიდობნენ და რიტმენტლუზის ვარსკვლავი გაოგნებული დატოვეს.



„ჩვენ ბეიონსს არაერთგზის მიემართეთ და ვთხოვეთ, რომ ნატურალური ბენვისაგან დამზადებული სამოსის ტარებაზე უარი ეთქვა. ის ახალგაზრდებს საშინელ მაგალითს აძლევს. ბენვეულის ტარებით და ტანსაცმლის კოლექციის მოდელეებში ბენვის გამოყენებით, ბეიონსი პლანეტის ყველაზე სასტიკ ინდუსტრიას უჭერს მხარს“, — განაცხადა PETA-ს პრესატაშემ მაიკლ მაკგროუმ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ PETA-ს აქტივისტთა შეტევის მსხვერპლი გახდა ჯენიფერ ლოპესიც, რომელიც ბენვეულის სამოსს აღმერთებს. როგორც ჩანს, ბეიონსი და ჯენიფერი უკანასკნელ ტენდენციებს ჩამორჩებიან: დღეს საცოდავი ცხოველებისადმი სიბრალულის გამოჩენა და ჰუმანურობაა მოდაში. PETA-მ უკვე მოახერხა მერაია ქერის, სოფი ელის-ბექსტორის, პინკის, პოლ მაკარტნის, კრის ჰაინდის (Pretenders), ალექს კაპრანოსის (Franz Ferdinand), პამელა ანდერსონის, ალექ ბოლდუინისა და შოუბიზნესის სხვა ვარსკვლავების გადაბირება.

### კაილი მინთაგი საუთაბ თაჯს „ტრქსად“ მიიჩნუეს



სააგენტო InterMedia-ს ცნობით, კაილი მინოუგმა აღნიშნა, რომ ოჯახის შექმნასა და შვილების გაჩენაზე ოცნებობს, მაგრამ საქმესაც არ ივინყებს და ახალი ალბომის გამოშვებასა და მომავალ კონცერტებზე, გამუდმებით ფიქრობს. 38 წლის ავსტრალიელი მომღერალი, რომელმაც 1 წლის წინ, მკერდის ონკოლოგიური დაავადების გამო, მძიმე ოპერაცია გადაიტანა, ამბობს, რომ თავს „კრუხად“ მიიჩნევს. უბრალოდ, მისი დრო ჯერ არ დამდგარა. ამჟამად, ახალ კომპაქტდისკზე მუშაობის, საგასტროლო ტურნესთვის მზადებისა და კაილისა და მისი ბოიფრენდის, ფრანგი მსახიობის ოლივიე მარტინესის ქორწილისათვის გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს.

„ოჯახი ჩემთვის ბევრს ნიშნავს, ასაკის მატებასთან ერთად კი, უფრო მეტი მჭირდება, ვიდრე ერთი, თუნდაც საყვარელი ადამიანია“. კაილი სცენის მიტოვებაზე სულ უფრო და უფრო სწირად ფიქრობს — „მაგრამ კარგად მესმის, რომ ახლა იმ საქმეს ვემსახურები, რომელიც ძალიან მიყვარს და უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს“, — ამბობს კაილი მინოუგი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს.



# იციინის ის, ჰინს ბოლოს იციინის

შეიძლება ითქვას, რომ რონალდინიოს „სავიზიტიო ბარათად“ არა მარტო მისი ფილიგრანული საფეხბურთო ტექნიკის ჩვენება, არამედ მისი წინ წამოწეული კბილებიც მიიჩნევა. სხვათა შორის, წლების წინ, ბრაზილიელ ვარსკვლავს თავისი გარეგნობა ფსიქოლოგიურად თრგუნავდა. „ბარსას“ ლიდერი იმასაც კი ამბობდა, რომ სამშობლოში ყოფნისას, კბილები გასასწორებლად, სპეციალური სტომატოლოგიური საშუალებით დადიოდა. „შეიძლება, რონალდინოს მოსწონს თავისი კბილები, მაგრამ მე ნამდვილად არ მსურს, რომ კიჭა ვიყო“, — თქვა ერთხელ კორესპონდენტთან საუბრისას, რონალდინიომ, მისი და რონალდინოს გარეგნულ მსგავსებაზე საუბრისას. მაგრამ გაცივდა დრო და ბრაზილიელმა სუპერვარსკვლავმა საკუთარ გარეგნობაზე შეხედულება შეიცვალა. ეს არც არის გასაკვირი: მსოფლიოს მილიონობით გოგონას ხომ სწორედ კბილების გამო მოსწონს რონალდინიო.

რონალდინიოს ლიმილი, რომლის დროსაც ის მოურიდებლად აჩენს კბილებს, მთელ მსოფლიოშია ცნობილი. თუ მის გარეგნობაზე ლაპარაკობენ, ფეხბურთელი სულაც არ

იჩენს ზედმეტ სიმორცხვეს. „დიდი და მაგარი კბილები მაქვს, — განაცხადა სამხრეთამერიკელმა დიდოსტატმა ჟურნალ RUND-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. — ასეთი ლამაზი კბილები არავის არა აქვს. რატომ უნდა დამცინონ ამის გამო?! პირიქით, არიან ადამიანები, რომლებსაც ეს მოსწონთ“.

რონალდინიოს კარიკატურის დახატვა დიდ სირთულეს ნამდვილად არ წარმოადგენს. ფეხბურთელისთვის ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ბევრი იციინის მის გარეგნობაზე, მაგრამ მას ეს სულაც არ ალღევს. ბრაზილიის ნაკრების ლიდერის თქმით, ხალხმა უნდა გაიგოს, რომ მისი მთავარი „ღირსება მხოლოდ დიდი და მაგარი კბილები არ არის“. მაგრამ შურიან და უტაქტო ადამიანებს რა გამოლევს?! რონალდინიოს თქმით, მონინალმდევე მოთამაშეები დაცინვით მისი წონასწორობიდან გამოყვანას მაჭრის მსველელობისას, მოედანზეც კი არ ერიდებიან, მაგრამ ის უკვე მიეჩვია ასეთ ვითარებაში ასპარეზობას და პროვოკაციებს ყოველთვის თავს არიდებს.

მთავარი, ფეხბურთის მალად დონეზე თამაშია. საკუთარი გარეგნობა რონალდინიოსათვის გაღიზიანების მიზეზი არასოდეს



ხდება. მისი თქმით, ფეხბურთელი, ფოტომოდელი არ არის და საკუთარ გარეგნობაზე დიდ ყურადღებას არც უნდა ამახვილებდეს. ვერ გეტყვით, ამ საკითხში მას სხვა ვარსკვლავები დაეთანხმებიან თუ არა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ თვალში საცემად დიდი კბილები, მოედანზე ყოფნისას, საფეხბურთო საოცრებების მოხდენაში რონალდინიოს ხელს არ უშლის.

## ფარდინანდის საცოლას ვიპტორია გამოასარჯლა



ვიქტორია ადამსი აქტიურად ქომაგობს ინგლისის ნაკრებსა და თავის მეუღლეს, დევიდ ბექჰემს. ალბიონელთა და ეკვადორელთა ორთაბრძოლას ის ტრიბუნებიდან ვაჟიშვილ რომეოსა და მეგობარ გოგონასთან ერთად ადევნებდა თვალს. „ექსპაის გელმა“ ძალიან გაიხარა, როდესაც მისმა მეუღლემ უნაკლოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და გამარჯვების მომტიანი გოლი გაიტანა. შვედებთან გამართული მატჩის შემდეგ კი, ვიქტორია ბექჰემი ინგლისის ნაკრების მოთამაშეთა ცოლების ლიდერის როლში აღმოჩნდა, რომლებიც მეტისმეტად გაღიზიანდნენ კიოლნის აეროპორტის — „კონრად ადენაუერის“ რეისის შეფერხების გამო. The Sun იუნწყება, რომ ინგლისისა და შვედეთის გუნდების მატჩის შემდეგ, კიოლნი-ბადენ-ბადენის რეისს ალბიონელი ქალები კურორტზე უნდა გადაეფრინა, სადაც ისინი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების დღიდან ცხოვრობენ. მაგრამ თვითმფრინავი, რომელშიც ფეხბურთელები ისდნენ, დანიშნულებისამებრ აფრინდა, ხოლო ის, რომლის ბორტზეც მათი ცოლები და მეგობარი გოგონები იმყოფებოდნენ, 2 საათით შეყოვნდა. ამის გამო აღშფოთებულმა ადამსმა კიოლნის აეროპორტის მომსახურე პერსონალის წარმომადგენლებს შეუტია, რომლებიც მის დამშვიდებას ამაოდ ცდილობდნენ. შემდეგ „ექსპაის გელმა“ ისიც განმარტა, რომ რიო ფრდინანდის ფეხმძიმე მეგობრის, რუბეკა ელისონის მდგომარეობით იყო შემფოთებული. მედიკოსთა პროგნოზის თანახმად, რუბეკას, მსოფლიო ჩემპიონატის მსველელობისას უნდა ეშვა, მიუხედავად ამისა, ინგლისის ნაკრების მცველის 25 წლის მეგობარი ინგლისში მინც არ დარჩა და გერმანიაში გაფრინდა, რათა ფრდინანდთან ახლოს ყოფილიყო. მოგესტყვებათ, აეროპორტში ლოდინი არავისთვისაა სასიამოვნო, მით უმეტეს — ფეხმძიმე ქალისთვის. სწორედ ამიტომ აიძალა ხმა ვიქტორიამაც.

## პანხალი ბაქსის მძლოლები – მთვრალი ქომაგების სამსახურში

შანხაის ბარებში დამთვრალ ფეხბურთის ქომაგებს, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს ადევნებენ თვალს, სახლამდე ტაქსით უფასო მომსახურებას სთავაზობენ. გამოცემა Shanghai Daily-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პროგრამა სახელწოდებით — „ნამიყვანე სახლში“ — ადგილობრივი საგზაო პოლიციისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი მსხვილი კომპანიის — Diageo-ს ინიციატივით ხორციელდება. პოლიცია აცხადებს, რომ ეს პროგრამა მძლოთა პასუხისმგებლობის ამაღლებასა და ავტომობილის წასვამ მდგომარეობაში მართვისას, საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნითაა შემუშავებული. ორგანიზატორები შანხაის ზოგიერთი ბარის მომსახურე ტაქსების ხარჯებს დაფარავენ, რომლებიც სახლამდე მიიყვანენ მთვრალ ქომაგებს. თავად მგზავრები კი ამისთვის არც ერთ ცენტს არ გადაიხდინან.

## სამუნდიალო აუქციონები

საქველმოქმედო ინტერნეტ-აუქციონზე გამოტანილი წიგნის ფასმა, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონატში მოასპარეზე ყველა — სულ 736 ფეხბურთელის ავტოგრაფია წარმოდგენილი, 3.000 ევროს მიაღწია. გავრცელებული ინფორმაციით, 32-გვერდიან წიგნზე ვაჭრობა 9 ივლისს, შუაგვიროპული დროით 23 საათსა და 59 წუთამდე გაგრძელდება. მისი გაყიდვით შემოსული თანხა, ბავშვთა ექვსი სოფლის მშენებლობის ფონდში გადაირიცხება. სავარაუდოდ, ამ სოფლებში 800-მდე უპატრონო ბავშვს დააბინავენ.

გარდა ამისა, მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე დიდი ბურთი — უზარმაზარი საფეხბურთო გლობუსიც აუქციონზე გაიყიდება. იგი მსოფლიო პირველობის კულტურული პროგრამის ჩარჩოში შეიქმნა და 3 წლის განმავლობაში, გერმანულ ქალაქებში „მოგზაურობდა“. 22-მეტრიანი კონსტრუქციის შიგნით, რომლის დასამზადებლადაც, 60 ტონა ფოლადი დაიხარჯა, უნიკალური სპორტული ექსპონატებია განთავსებული. დღეს იგი ბერლინში, ბრანდერბურგის კარიბჭის წინ დგას. Deutsche Welle იუნწყება, რომ მუნდიალის ყველაზე დიდი ზომის სუვენირის შექმნის მსურველებმა განაცხადები 28 ივნისამდე უნდა წარმოადგინონ. გასაყიდადა გამოტანილი გლობუსის მინივარიანტებიც, რომლებიც ევროპის ქვეყნებში „მოგზაურობდა“.

# მსოფლიო ჩემპიონები – ურუგვაიდან გერმანიამდე

## ტეტრაკამპიონები

1994 წელს, აშშ-მა პირველად უმასპინძლა მსოფლიო ჩემპიონატს. გასაკვირია, მაგრამ ქვეყანაში, სადაც ფეხბურთი სპორტის სახეობათა შორის, პოპულარობით მეორე ათეულში იყო, მატჩებს მუნდიალის ისტორიაში ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

როდესაც ცნობილი გახდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი აშშ-ში უნდა ჩატარებულიყო, მაროკოელთა იმედგაცრუებას საზღვარი არ ჰქონდა: ამ აფრიკულ ქვეყანას მუნდიალის მასპინძლობის დიდი სურვილი ჰქონდა. ამიტომ ბუნებრივია, ფიფას გადამწყვეტილება მაროკოელთათვის ეროვნულ ტრაგედიად იქცა. მსოფლიო საფეხბურთო ორგანიზაციის იმდროინდელ თავკაცს, ჟოაო აველანეს არჩევანი იმ ქვეყნებს შორის უნდა გაეკეთებინა, რომლებშიც მანამდე, მუნდიალი არ გამართულა. ბრაზილიელ ფუნქციონერსაც ბევრი აღარ უფიქრია და უპირატესობა აშშ-ს მიანიჭა. მსოფლიო ჩემპიონატის წინ გამართულ კონგრესზე, ფიფამ რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რასაც ფეხბურთის სანახაობრიობის გაზრდისათვის უნდა შეეწყო ხელი. ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, გუნდს გამარჯვებისთვის არა 2, არამედ 3 ქულა უნდა მიანიჭებოდა. გარდა ამისა, განსაკუთრებულად გამკაცრდა სადამსჯელო ზომები თამაშის წესების დარღვევისათვის. უპირველეს ყოვლისა, ეს, ბურთის ართმევის მიზნით, უკნიდან ფეხებში ჩავარდნას ეხებოდა.

ისევე, როგორც ყოველთვის, ტურნირი უსასურადად დაიწყეს იტალიელებმა, მაგრამ საკმარისი იყო, რიცხობრივ უმცირესობაში აღმოჩენილიყვნენ, რომ მამინვე წარმატებას აღწევდნენ. ნორვეგიელებთან მატჩში მათი მეკარე ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გააძევეს მოედნიდან, მაგრამ „სკუადრა აძურამ“ მანძი შეძლო გამარჯვება. ნიგერიის გუნდთან შეხვედრისას, 0:1-ს აგებდნენ, თანაც ამჯერად, უკვე ჯანფრანკო ძოლა გააძევეს, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ერთი ნუთით ადრე, რობერტო ბაჯომ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო



ბრაზილიის ნაკრები

დამატებით დროში — მეორე, გამარჯვების გოლიც გაიტანა. სრული შემადგენლობით იტალიის ნაკრებმა მეტოქეებთან ფრედ (5:5) ითამაშა, ხოლო უმცირესობაში — გაიმარჯვა (3:0). ასე მიაღწია არიგო საკის გუნდმა ფინალამდე...

„ორგვარი სახით“ წარდგა საფეხბურთო სამყაროს წინაშე არგენტინის ნაკრები: მარადონასთან ერთად და მის გარეშე. როდესაც მოედანზე დიეგო იყო, თეთრცისფერმა ისურვიანები კომბინაციური, მახვილგონივრული, ლამაზი თამაშით გამოირჩეოდნენ. მაგრამ სადაც მარადონა იმყოფებოდა, ის ტურნირი სკანდალის გარეშე ხომ არ ჩაივლიდა!.. მეორე მატჩის შემდეგ, დონ დიეგო დომინგის გამოყენებაში ამხილეს, რის გამოც, დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. მარადონას გარეშე კი, არგენტინის ნაკრები საშუალო დონის გუნდით თამაშობდა. ამაზე, ორგზის მსოფლიო ჩემპიონთა მიერ ნაჩვენები შედეგაც მეტყველებს: ლიდერთან ერთად, არგენტინის ნაკრებმა ორივე მატჩი საერთო ანგარიშით 6:1 მოიგო, მის გარეშე კი, ორჯერ იწინია მარცხი, 2 გოლი გაიტანა და 5 საკუთარ კარში მიიღო.

დამაჯერებლად თამაშობდნენ ბრაზილიელები. რა თქმა უნდა, ისეთ შთაბეჭედავ თამაშს ვერ აჩვენებდნენ, რომელიც ვიკტორ პელეს ან ზიკოს დროინდელი გუნდები, მაგრამ ნაკრების დიდი პოტენციალი ნამდვილად თვალში საცემი იყო. ისეთი

შთაბეჭდილებაც კი იქმნებოდა, თითქოს მათ აშშ-ის მოედნებზე საკუთარი პოტენციალი სრულად ვერ გამოავლინეს, რაც უპირველეს ყოვლისა, ნაკრების თავკაცის, პარეირას რაციონალური საფეხბურთო ხედვით იყო განპირობებული. სახელოვანი წინამორბედი გუნდებისაგან განსხვავებით, 1994 წლის ბრაზილიის ნაკრები დიდი სიფრთხილით გამოირჩეოდა და დაცვაზე გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდა. გარდა ამისა, გუნდს ჰყავდა ბრაზილიელთათვის უჩვეულოდ კარგი მეკარე — ტაფრელი, რომელმაც ყვითელმა ისურვიანთა წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა.

ასე იყო თუ ისე, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიის ნაკრების გამარჯვება სრულიად კანონზომიერი გახლდათ. ფინალი არცთუ ისე შთაბეჭედავი აღმოჩნდა. საფეხბურთო სამყარომ პირველად იხილა დასკვნითი მატჩი გოლების გარეშე. პირველად, მსოფლიო ჩემპიონი თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერიით გამოვლინდა.

უკვე მეოთხედ, მთელი ბრაზილია „სამბას“ რიტმებში მოიცვა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ყვითელმა ისურვიანთა ქომაგები ამას მთელი 24 წლის განმავლობაში ელოდნენ...

ფინალური ტურნირი 17 ივნისიდან 17 ივლისამდე მიმდინარეობდა.

გუნდები 6 ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილნი, მატჩები წრიული სისტემით მიმდინარეობდა. 16 საუკეთესო, მეოთხედი ფინალიდან ოლიმპიური სისტემით აგრძელებდა ასპარეზობას.

გაიმართა 52 მატჩი. სულ დაესწრო 3587538 მაყურებელი (საშუალოდ, 68991 კაცი თითო შეხვედრას).

გავიდა 141 გოლი (საშუალოდ, 2,71 თითო შეხვედრაში).

საუკეთესო ბომბარდირები გახდნენ: ოლეგ სალენკო (რუსეთი) და ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი), რომლებმაც 6-6 გოლი გაიტანეს.



იტალიის ნაკრები, 1994



„სტერეოს“ ნამყვან თბამ ცაპინინინიძას, რომელსაც ახლობლები ლივ ტაილერს ამსგავსებენ, მშობლებმა მოსკოვში წასვლა აუკრძალეს, რადგან იქიდან, ჯერ ყურგახ-ფრეტილი, შემდეგ კი, ტატუთი წელდამშვენიებული დაბრუნდა. „თინეიჯერულ ასაკში, ჩვენ სხვა ღირებულებები გვქონდა. ახლანდელი თინეიჯერები უფრო სერიოზულები არიან, ბავშვური სიგიჟები არ ახასიათებთ. მართალია, თინეიჯერი აღარ ვარ, მაგრამ ახლაც მხედავენ კუს ტბაზე, სადაც...“ — მითხრა ჯამი როქეაის ფანმა, რომელიც ძალიან ნაწიბს იმას, რომ თბილისში ჩამოსულ თავის კერძს ვერ შეხვდა, რადგან ამ დროს, ექსკურსიაზე, კერძოდ კი, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში იმყოფებოდა.

# სვირინგით წ'ელოცაშმუზენიბულოი, „როლოიებზე“ ამხერცნიბულოი

რას „მოცაყებას“ ზაღაწიხნილი კართოვილი ლივ ცაილოვი

## ლივა ქაჩაია

— თინეიჯერობა ყველაზე კარგი ასაკია, რომლის დროსაც, ყოველი დღე ისე უნდა გაატარო, რომ ცხოვრების ბოლომდე დაგამახსოვრდეს. პირადად მე, ამ ასაკში, მაგარი დრო მაქვს გატარებულ.

— როცა თინეიჯერი იყავი, ამ ასაკის ფასი მაშინაც იცოდი?

— არა, ამას ახლა ვხვდები... მაგრამ მე გამომართლა იმ თვალსაზრისით, რომ ძალიან კარგი კლასელები მყავდა. ყველანი ერთ უბანში ვცხოვრობდით და ჩვენი ურთიერთობა, გაკვეთილების შემდეგაც გრძელდებოდა.

— შენ მითხარი — ძალიან მაგრად ვერთობოდითო. გართობაში რას გულისხმობ?

— ვაკეთებდით იმას, რაც ჩვენ გვინდოდა, არავინ გვზღუდავდა, ყველანი ერთი ჭკუის, ერთი წრის ხალხი ვიყავით და ყველანაირად ვერთობოდით, მაგრამ ამ გართობაში, დისკოთეკებსა და რაღაც კლუბებში სიარულს არ ვგულისხმობ.

— აბა, რას გულისხმობ?

— შეიძლება, რომელიმეს სახლში შევკრებილიყავით და იქ, ისეთ დროს გავატარებდით, რომ ბევრს შემუშრდებოდა. ჩვენ მიერ გამოგონილ ენაზე ვლაპარაკობდით, რომელსაც უცხო ადამიანი ვერ იგებდა და ა.შ.

— სკოლაში როგორ მოხსნავლედ მიგიჩნევდნენ?

— ფრიადოსანი, მაგრამ ბუნტისთავი ვიყავი. კლასში რაიმე თუ მოხდებოდა, დამნაშავე ყოველთვის ცეკვიტინიძე იყო. ყველა გაოცებული ამბობდა: როდის ასწრებს სწავლას, როცა სულ „შატალოზეაო“?

— სკოლიდან გაპარულები სად მიდიოდით ხოლმე?

— გააჩნია, როგორ ხასიათზე ვიყავით. საერთოდ, „შატალო“ ფულის აგროვებით იწყებოდა — ყველანი ჩანთებს გადმოვაყირავებდით და ვისაც რა მოეპოვებოდა, ერთ-ერთ მეგობარს ვაძლევდით. მერე, ხან ვაკის პარკში, ხან მუშთაიღში და ხანაც ზოოპარკში მივდიოდით, საქანელებზე ვქანაობდით და ა.შ. დღეს, თინეიჯერი ზოოპარკში არ წავა, მას ურჩევნია, დიდი ქალივით ბარში დაჯდეს და წვენი დალიოს... ჩვენს დროს, პლენანოვზე „ლალიძე“ იყო, რომელიც წივილი-კივილით, სიმღერებით და კისკისით აკლებული გვექონდა... ერთხელ, ზოოპარკში წავედით, ფული გვექონდა, მაგრამ შესვლა უფასოდ მოვინდომეთ. ზოოპარკის უკან, „შოიურის“ მხარეს, გადასავლელი მიწები იყო, რომელიც ძალიან მაღლაა და მის ქვეშ, მდინარე ვერე მიედინება. თუ ზოოპარკში უფასოდ შესვლა გინდა, ამ მიწებზე უნდა განვე და „ცირკაჩაი“ იქცე. მეგობრებმა ძლივს გადაამაბობლეს — წინიდან ერთს ვეჭირე, უკნიდან — მეორეს... ისეთი შიში ვჭამე, რომ ჩემს მტერსაც არ ვუსურვებდი. ჯიბეში ფული გაქვს, ადამიანურად

შედი რალა, მაგრამ ამას რალაც სხვა მულამი ჰქონდა... ოფლი ვღვარეთ, ძლივს გადავედით და იქიდან, ვილაცამ უკან გამოგვებრუნა — არ გრცხვენიათ, ახლავე უკან წადითო. ამდენი წვალეების შემდეგ, დაშოკირები უკან გადმოვბობდით და სულის მოთქმის შემდეგ, ზოოპარკში ცენტრალური შესასვლელიდან შევედით.

— მასწავლებლებს არ აბრაზებდი?

— როგორ არა?! ტექნიკურ საგნებში — ფიზიკა, ქიმია და ა.შ. სათანადოდ ვერ ვერკვეოდი, ამ საგნების მასწავლებლები (ბედი არ უნდა?) ჩემი მეზობლები იყვნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნიშანს მაინც არ მიწერდნენ.

— ე.ი. ჩანყობა არ „მოდიოდა“?

— ისეთი „ცუდი“ ხალხი შემხვდა, რომ ეს არ ხერხდებოდა (იცინის)... სამაგიეროდ, ინგლისური ვიცოდი ძალიან კარგად. მოგვსენებთ, სკოლებში უცხო ენის სწავლების როგორი დონეა — ელემენტარულს გასწავლიან და ისიც... ერთხელ, მასწავლებელი გაკვეთილს გვისწავდა, რალაც შეეშალა და შევუსწორე. ამის გამო, ისე გამწარდა, რომ მთელი 3 წელი სამებს მიწერდა. წლების მერე, ექსკურსიაზე ყოფნისას შევრიგდით.

— ექსკურსიას სშირად აწყობდით ხოლმე?

— ძალიან სშირად. სხვათა შორის, გუშინწინაც ვიყავი წასული. თეატრალური ინსტიტუტში ვსწავლობ (სამსახიობო ფაკულტეტი, კურსი, გოგი ქავთარაძის ჯგუფი) და წელს, ვაჟას „მოკვეთილი“ დავდგით. აქედან გამომდინარე, წამოვიდა იდეა, რომ ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში წავსულიყავით. ბიჭებს იტალიის ნაკრების მისურები ეცვათ, ჩვენ მოკლე შორტებით, სათვალეებით და ა.შ. ვიყავით „ჩაზმანულები“, მაგრამ სახლ-მუზეუმში მისულებმა მაინც ვერ მოვითმინეთ და სახლთან ახლოს მდებარე პატარა სცენაზე, „მოკვეთილი“ ვითამაშეთ... მერე, სუფრა გაიშალა. ცოტა ხანში კი, ნასვამმა მეგობრებმა, ჩაქმულ-დახურული, ცივ არაგვში მომისროლეს. ისეთი დინება იყო, რომ კინალამ „მომიტაცა“, მაგრამ მადლობა ღმერთს — გადავარჩი. სახლში განუწული დავბრუნდი. მანამდე, აღმაშენებელზე რომ მოვდიოდი, ხალხს გიჟი ვეგონე, გაკვირებული მომშტერებოდა.

— შენ არასდროს დამოტრალხარ?

— ყველაზე მაგარი სწორედ ისაა, რომ ალკოჰოლურ სასმელს საერთოდ ვერ ვსვამ. ყველა რომ გამოთვრება, მათი ყურებით ვეთობი და მეორე დღეს, ყველას თავის ნამოქმედარს ვუყვებო.

— მშობლები არაფერში გზღუდავდნენ?

— არსად წასვლის პრობლემა არ მქონია, რადგან მშობლები, ჩემს ყველა მე-



ასაკით უფროს ბიჭებშიც პოპულარული ვიყავი

გობარს იცნობენ. თან, ისეთ ადგილას სად უნდა მევლო, როცა საამისოდ დროც კი არ მქონდა — სკოლის შემდეგ, ჩოგბურთზე მივდიოდი, იქიდან ინგლისურის პედაგოგთან, მერე — ვიოლინოს დაკვრას მასწავლიდნენ, მერე, თეატრალურ სტუდიაში გავრბოდი და ა.შ. დასასვენებლად მშობლების გარეშე არსად წავსულვარ, ყოველთვის მათზე ვიყავი მიჯაჭვული. რალაც გაგებთ, ეს კარგიცაა, მაგრამ მედალს ხომ 2 მხარე აქვს და დღესაც, მარტო ვერსად მივდივარ, დამოუკიდებლობის გრძნობა არა მაქვს და იმიტომ. საერთოდ, ბავშვმა ყველანაირი სიტუაცია თვითონ უნდა აკონტროლოს, საქმე ისე არ უნდა გაიხადოს, რომ მშობლებმა ყოველ წამს კუდში სდიონ.

**— თინათინა უფროს ასაკში შეყვარებული გყავდა?**

— შეყვარებული არ ვყოფილვარ, მაგრამ ერთბაშად უამრავი ბიჭი მომწონდა. თავყანისმცემლებიც ბლომად მყავდა და ასაკით უფროს ბიჭებშიც პოპულარული ვიყავი.

**— შეყვარებული რომ არ გყავდა, ეს განუხებდა?**

— არანაირად არ მანუხებდა. ეს ისეთი ასაკია, როცა გრძნობ, რომ ყველაფერი წინ გაქვს. არ არსებობს გოგო, რომელიც ვილაცას არ მოსწონს ან პირიქით, თვითონ არ არის გატაცებული ვინმეთი. ამ დროს კი, დიდი სიყვარული საჭირო სულაც არ არის, რადგან ის, შეიძლება უფრო სერიოზიულ გრძნობაში, ურთიერთობაში გადაიზარდოს, რაც საბოლოოდ, დაოჯახებით მთავრდება და ამის გაკეთება კი, ადრეულ ასაკში, სისულელეა. როცა 2 ადამიანს შორის „ლაითი“ ურთიერთობაა, ეს კარგია, რადგან, ისიც ერთობა და შენც.

**— ამ ასაკში დაოჯახება სისულელე რატომ?**

— იმიტომ, რომ ამ დროს, მხოლოდ

ემოციებს ჰყვები, არ ფიქრობ იმაზე — ეს მართლაც ის ადამიანია თუ არა, ვისთან ერთადც დარჩენილი ცხოვრების გატარება გინდა. შენ გგონია, რომ გიყვარს და ისიც გალმერთებს, მაგრამ დრო რომ გადის, ხვდები, რომ ეს, ბავშვური შეცდომა იყო.

**— თავო შენ მითხარი — ბევრი თავყანისმცემელი მყავდაო. ამის გამო, გოგოებს შენი არ შურდათ?**

— სხვათა შორის, ე.წ. დაქალების მხრიდან, შურის მომენტი ყოველთვის იყო. ისინი ცდილობდნენ, ისეთი რალაც გაეკეთებინათ, რითიც ჩემს დაჩრდილვას შეძლებდნენ...

**— შენზე ჭიკაბჭიანად ხოლმე?**

— აბა, რა?.. და ეს ძალიან მანუხებდა, მთრგუნავდა, ვიძებოდი. როცა ვინმე ბიჭი რალაცას მჩუქებდა, გიჟდებოდნენ, მერე კი, იმ ბიჭს ისეთ რამეებს ეუბნებოდნენ, რომ ჩემკენ გამოხედვის სურვილს აკარგვინებდნენ.

**— როგორ ფიქრობ, ასე რატომ იქცეოდნენ?**

— ეგონათ, რომ მათზე უკეთესი ვიყავი, მაგრამ მე ასე არასდროს მიფიქრია, რადგან ყველა ადამიანს აქვს რალაც პლუსი და მინუსი. შეიძლება, მეც იმდენი უარყოფითი თვისება მქონდეს, რომ ახლოს გაცნობის შემდეგ, ადამიანს არც მოეწონოს. თავს მაგარ გოგოდ არასდროს მივიჩნევდი... ახლაც დაძაბული ვარ, მგონია, რომ ვილაც იტყვის: თავოს თავში რალაცები აუფარდაო. ამიტომ, მეგობრებს ხშირად ვეკითხები: რამე ხომ არ შემეშალა, ხომ არ შევიცვალე-მეთქი? რა ვიცი, სიმართლეა თუ არა, მაგრამ მეუბნებიან: ისევ ისეთი ხარ, როგორც წლების წინ იყავი.

**— თინათინა თავო ვისი ფანი იყო?**

— ღრმა ბავშვობიდან დღემდე, ბარი უაიტის ფანი ვარ (სხვათა შორის, ის მამაჩემსაც ძალიან უყვარდა). მისი ყველა სიმღერა ზეპირად ვიცი. როცა გარდაიცვალა, შოკში ჩავვარდი, გეგონებოდა — ახლო ნათესავი გარდაეცვალაო... ასევე, ჯამი როქვის ფანი ვარ, მაგრამ სამწუხაროდ, წელს მის კონცერტზე წასვლა ვერ მოვახერხე, იმიტომ, რომ ექსკურსიაზე აუცილებლად უნდა წავსულიყავი...

**— შენი ფანობა რაში გამოიხატებოდა?**

— ყველგან პლაკატებს ვაკრავდი, დიდიდან-სალამომდე შემქმნლო მათი მუსიკა მომესმინა, არ მბეზრდებოდა...

**— ჯამი როქვი ახლოს რომ გენახა, რას ჰკითხავდი?**

— ალბათ, იმდენად დავიბნეოდი, რომ ვერაფერსაც ვერ ვკითხავდი (იცინის); მხოლოდ ჩემს სიმბათიას გამოვხატავდი. ვეტყვოდი,

რომ მართლაც გემოვნებიანი ადამიანია...

**— ბავშვობაში ვინმეს თუ ჰბაძავდი?**

— ერთხელ, როცა აერო სმიტის კლიბი აჩვენეს, სადაც მისი ქალიშვილი ლივ ტაილერი იყო გადაღებული — მოკლე „შოტლანკით“ და მაღალყელიანი გეტრებით, რატომღაც ყველამ მას მიმამსგავსა და მეც, მეორე დღეს, შევეცადე მისთვის მიმეზაძა და სკოლაში თითქმის ისეთივე „ზმანი“ წავედი, როგორც იმ კლიპში, ლივ ტაილერი იყო.

**— გაპრანჭვა რა ასაკში დაინწყე?**

— სულ სპორტულ სტილში დავდიოდი, ბავშვური ვიყავი. მაკიაჟი პირველად 5 წლის წინ გავიკეთე, სამკაულით კი, ცოტა უფრო ადრე დავინტერესდი. ჩემი თინეიჯერობის დროს, მოდაში ბენდენა იყო და მეც, ფერად-ფერად ბენდენას, ხან თავზე ვიკრავდი, ხან — ფეხზე, ყველა ჯინსის შარვალი შორტად გადავჭერი და დაეჭინე, ფორები გავუკეთე და ქალაქში ასე დავდიოდი.

**— ცდილობდი თუ არა, რომ სხვებისგან რალაცით განსხვავებული ყოფილიყავი?**

— ამის მცდელობა ყოველთვის მქონდა, რადგან ერთფეროვნებას ვერ ვიტან.

**— თავის გადაპარსვაზე არასდროს გიფიქრია?**

— არა, მაგრამ 15 წლის ვიყავი, როცა წელზე ტატუ გავიკეთე. მაშინ ეს არც ერთ ბავშვს არ ჰქონდა და ყველა „დაიშოკა“.



15 წლის ვიყავი, როცა წელზე ტატუ გავიკეთე

# გადასახურობა

— მშობლებმა იცოდნენ სვირინგს რომ იკეთებდი?

— არა, მოსკოვში გავიკეთე. იქ მითხრეს, რომ ეს დროებითია და მალე გადაგივაო, მაგრამ დღესაც მაქვს, მხოლოდ ფერი შეიცვალა ოდნავ... მოსკოვში, ბიძაჩემთან პირველად რომ წავედი, ყური გავისვრიტე, მეორედ, ტატუ გავიკეთე და ამის შემდეგ, მშობლებმა იქ აღარ გამიშვეს.

— რით განსხვავდებიან დღევანდელი თინეიჯერები შენი თაობის მოზარდებისგან?

— კიდევ ვიმეორებ, ჩვენ უფრო ბავშვურები ვიყავით, ესენი კი, ნაადრევად ჩამოყალიბებულ ადამიანებს ჰგვანან. მაგალითად, როცა ქუჩაში გოგო მიდის და გგონია, რომ ის 21 წლის იქნება, აღმოჩნდება, რომ 15-ისაა — მას აქვს ქალური ჩაცმულობა, მაკიაჟი, აცვია მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და ა.შ. მათ ბავშვური სიგიჟეები არ ახასიათებთ, სერიოზულები და ამბიციურები არიან. მე ახლაც სიამოვნებით ვთამაშობ ხოლმე რაღაცეებს, არაფერს ვთაკილობ — ყოველ საღამოს, შვილთან ერთად, კუს ტბაზე „როლიკებზე“ ამხედრებულს მხედავენ. ესენი ამას არ გააკეთებენ...

— როგორ ფიქრობ, რით განსხვავდებიან ქართველი და უცხოელი თინეიჯერები?

— ჩვენთან მენტალური პრობლემა არსებობს. აქედან გამომდინარე, შებოჭილები, კომპლექსიანები ვართ და ეს ყოველთვის ასე იქნება...

— მაგრამ დღევანდელი თინეიჯერების უმეტესობა, თავს უკომპლექსო ადამიანად მიიჩნევს...

— უნდა, რომ ასე იყოს, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, იბოჭება. ამ ბოლო დროს, ქუჩაში გასვლა არ მივინდა, „ვიშოკები“ — რუსთაველზე რომ გავდივარ, სანამ თეატრალურ ინსტიტუტამდე მივალ, იმდენი გოგო მხვდება, რომელიც 20 თეთრს მთხოვს, რომ ვგაიჟდები. შეხედავ და ფანტასტიკურად აცვიათ, ეტყობათ, რომ კარგი ოჯახის შვილები არიან, მაგრამ რად გინდა, მათხოვრობის არ რცხვენიათ, პირიქით, ამით ამაყობენ კიდევც... ეს საშინელება და მაიმუნობაა. რამდენიმე წლის შემდეგ, ამას ინანებენ, იტყვიან — რა სულელები ვიყავითო.

— დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— არ იმათხოვრონ. კომპლექსები მოიხსნან, მაგრამ შეეცადონ, უკომპლექსობა თავხედობაში არ გადაეზარდოს, ნუ იქნებიან ბანალურები და შაბლონურები, იყვნენ თავისებურები, ორიგინალურები და ისწავლონ ყველაფერი, რისი სწავლაც ახლა შეუძლიათ.



**ლაშა (ლოსკანა), 16 წლის:**

„ტანჯული ცხოვრება მაქვს — ყველაფრით და ყველანაირად ვკაიფობ. დიდი ხანია, რაც ამისგან თავის დაღწევა მინდა, ცხოვრებით დავიღალე. რა გავაკეთო?“

**კვალი:**

— ჯერ 16 წლის ხარ და ნამალს რომ იკეთებ, რამ გავაგიჟა? სასწრაფოდ საავადმყოფოში წადი და იმკურნალე, ეს სამარცხვინო არ არის ან მონასტერში წადი, თორემ, ჩემი რჩევა ვერაფერს გიშველის და სიცოცხლეს საბოლოოდ გაიმწარებ.

**ნინო, 16 წლის:**

„გამარჯობათ. ვარ შავგვრემანი გოგო, გრძელი, შავი, ხუჭუჭა თმით, მაღალი (175 სანტიმეტრი), სწორი ცხვირით, მსხვილი ტუჩებით და მუქი თაფლისფერი თვალებით. კაცმა რომ თქვას, მახინჯი არა ვარ, მაგრამ ჩემთვის ბიჭს არასდროს უკოცნია. შეყვარებულიც მყავდა, მაგრამ რად გინდა?.. ნუთუ, ჩემშია პრობლემა? — ვერ ვხვდები. ბიჭებო, გამოიხეხაურეთ და იქნებ, ამისხნათ — ასე რატომ ხდება? თქვენ შეყვარებულებს არ კოცნით? გოგოების აზრით მინტერესებს.“

**კვალი:**

— ჩემო კარგო ეს შენი ბრალი სულაც არაა, ეტყობა, პრობლემა შენს შეყვარებულს ჰქონდა — ბევრი ბიჭი იმდენად პატიოსანია, რომ გოგოს კოცნა ერიდება. არ ინერვიულო, დაელოდე და ვილაც აუცილებლად გაკოცვებს.

**შორენა, 15 წლის:**

„ძვალო, რომ გაიძახი — ქუჩის ბიჭი ვარო, — არ გრცხვენია? ერთი გათამამებული დედიკოს ბიჭი ხარ. შენ თინეიჯერებს რა უნდა ურჩიო, როცა თვითონ გასაზრდელი ხარ? ძვალო, აზრზე ჩვენ კი არა, შენ მოდი, თორემ, შენი ერუდიციის წყალობით, შორს ვერ წახვალ.“

**კვალი:**

— დავიგინე... მოდი და გაჩვენებ ვინც ვარ...

**პაპი, 16 წლის:**

„ვეგრძნობ, რომ ერთ ბიჭს მოვწონვარ, სულ მე მიყურებს, მაკვირდება. მეც მომწონს, თუმცა... ინიციატივას არ იჩენს, ყველა გოგოსთან კარგი ურთიერთობა აქვს, მაგრამ ჩემთან, რაღაც დისტანცია უჭირავს, არც კი მელაპარაკება. მეც არაფერს ვაგრძნობინებ. ვერ ვხვდები — ასე რატომ იქცევა? იქნებ, მირჩიოთ — როგორ მოვიქცე? როდემდე ველოდო?“

**კვალი:**

— ვა, რა სხვანაირი „ბაზარია?“ არავითარ შემთხვევაში არ შეახტე და სიყვარული არ აუხსნა. შორიდან იაქტიურე, ხო აზრზე ხარ, როგორც — ისე რომ ვერაფერს მიხვდეს. დაელოდე და თუ მართლა მოსწონხარ, აუცილებლად დაგიახლოვდება.

**მარი (ნორი), 16 წლის:**

„ეი, ბიჭო, ლექს-სენზე ზედმეტი არ ილაპარაკო. ის მართლა დიდი კაცი და მაგარი რეპერია. გაიგე? მგონი, შენ მისი გშურს, რადგან ბევრად გჯობია.“

**კვალი:**

— აუ, რა მაგრად მშურს?.. მგონი, რეპში საერთოდ ვერ ერკვევი და რაღაცებს ბოდავ.

**პაპი, 17 წლის:**

„ძვალო, ძალიან მაგარი ხარ, ლექს-სენს ვერც მე ვიციან... შავი რეპერებიდან რომელი მოგწონს?“

**კვალი:**

— მადლობა დაფასებისთვის. რაც შეეხება შავკანიან რეპერებს, თითქმის ყველა მათგანი მომწონს.

**ნინო, 18 წლის:**

„აჩი, კარგი ტიპი ხარ, მაგრამ თავის ქება არ გიხდება.“

**კვალი:**

— გამაღობ. ვეცდები, თავი აღარ შევიქო.

**ნინო, 18 წლის:**

„ვაიბე, ვეცემი რაა?.. ძვალს ვინც მოუსმენს, მაგას გემოვნება მართლა არა აქვს. თავი 2PAC-ი ჰგონია? ვაი, საქართველოც, საით მიექანები?“

**ქათი, 14 წლის:**

„2 თვის წინ, ერთი ბიჭი გავიცანი — ჩემი მამიდაშვილის უბნელია. ვერ ვიტყვი, რომ შემიყვარდა, მაგრამ ძალიან მომეწონა. მხოლოდ ერთხელ ვნახე, მაგრამ სულ მასზე ვფიქრობ. რამე მირჩიეთ, რა?“

**კვალი:**

— რა უნდა გირჩიო, როცა შენ თვითონაც არ იცი, რა გინდა? ხშირად იარე მამიდაშვილთან და იქნებ, რაიმეს გამოგკრა ხელი.

**ანაპი, 14 წლის:**

„ერთი დაქალი მყავს, ცუდი სახელი აქვს, მაგამ მანინე ძალიან მიყვარს, რადგან ნამდვილი მეგობარია, ყოველთვის ჩემ გვერდითაა. უბანში კი, ყველა მეუბნება, რომ მასთან არ ვიმეგობრო. 9 წელია“

ვიცნობ და ვილატის ეჭვების გამო, ხელი უნდა ვკრა? იქნებ, რაიმე მირჩიოთ, მართლა ძალიან დამესმარებთ“.

**ჰალი:**

— შე კაი ადამიანო, თუ ამდენი ხანია იცნობ და შენთვის არაფერი დაუშავებია, ხელი რად უნდა ჰკრა? რას ერჩი? სხვებს ყურადღებას ნუ მიაქცევ, ყველა დაიკიდე. **სოფია, 17 წლის:**

„აჩო, შენი ინტერვიუ რომ ნავიკითხე, ძალიან გამიხარდა, მაგრამ მიყვარხარ და დიდ პატივს გცემ. გეთანხმები, გაივსო თბილისი „ბომჟი“ რეპერებით. 4 წელია ქართულ რეპს ვუსმენ, მაგრამ შენ გარდა ვერავინ ვნახე ისეთი, რომლის „ნაბაზრიც“ გულს მოხვდებოდა. რაც შეეხება სალჯის, მისი არც ერთი სიმღერა არ მომისმენია და მიმაჩნია, რომ უარყოფით პიარს უკეთებებს თავს. მიყვარხარ და გოცნი ფუნთუშა ლოყაზე“.

**ჰალი:**

— იცი, ახლა დიეტაზე ვარ, ფუნთუშა ლოყები „ჩამივარდა“ და ლამის გულიც წამივიდეს.

**მამარი ტიპი, 16 წლის:**

„ეეეე, როგორ გავიხარეეთ! ძვალი ხარ თუ ხრტილი, თავი მაგარი ბიჭი რატომ გგონია. შა?... და კიდევ, ვისაც თინეიჯერებთან რაიმე პრეტენზია აქვს, დამირეკოს და ცივ წყალს დავაღვინებ“.

**თაბო, 15 წლის:**

„ვენებში მორჩი ტრიალსა, ფილტვები პლანით ივსება, რა არის შენი ცხოვრება? კაიფში გაგიფრინდება“. ძვლო, მაგარი ხარ და შენი თვალები ძალიან მიყვარს“.

**ფოთი, 19 წლის:**

„ეგ ვილატ ძვალი რომ ამბობს — საქართველოს მსმენელი მაგრად მკიდი-აო, იმას რატომ არ აღიარებს, რომ შეიძლება ბევრი თვითონ ეს ჩონჩხი ეკიდოს?“

**უცხოზი, 15 წლის:**

„იცი, როგორ მრცხვენია, როცა „სვეტს-კი“ თინეიჯერებს ან 13-14 წლის ბავშვებს ვუყურებ, რომლებიც სიგარეტს ეწვეიან? ვაი, სირცხვილო და თავის მოჭრავე“.

**ლიპა, 18 წლის:**

„გაზაფხულია და გულში თბილა, დღეს სიყვარულით ვინ არა ხარობს, ვისაც შეხვდები, დადიან წყვილად, მხოლოდ მე ერთი დავდივარ მარტო...“ ვინც კარგი ტიპები ხართ, გამოემხმარეთ“.

**მარი, 16 წლის:**

„მე ლექს-სენის ფანი ვარ და მისი გაცნობა ძალიან მინდა. თუ შეიძლება, მას დამაკავშირეთ...“

**უცხოზი, 17 წლის:**

„ვეხმაურები ნატას. მეც ძირითადად, ბიჭებთან ვმეგობრობ და გოგოებსაც ისეთი რეაქცია აქვთ, როგორიც შენს შემთხვევაში — უბრალოდ შურთ, რომ მათ არ შეუძლიათ ასეთი ურთიერთობა ჰქონდეთ ბიჭებთან. ყურადღება არ მიაქციო, მე ჩემს მეგობრებს ვენდობი, გოგოების სულელურ საქციელზე მაგრად ვკაიფობთ. სტილი და მეგობრები კი არა, ამ საკითხისადმი მიდგომა შეიცვალე“.

# უკვლავის ელექსიკი, ჰომელის მსენაჰმს კლავს, ალაპინს კი, აჯანმკომლავს



თბილისის მახლობლად, გარდაბნის გზატკეცილზე, ნოდარ მელიქაძის სახლის ეზოში, ყოველთვის ხალხმრავლობაა. „უკვდავების წყლის“ წასაღებად, რომელიც წყაროს სახით მელიქაძეების ეზოში მოედინება, ადამიანები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიან. ზამთარსა თუ ზაფხულში, წყაროსთან, წყლის ჭურჭლით აღჭურვილი ადამიანების რიგი დგას, სადაც ყველა ამ წყაროს უნიკალურ თვისებებზე ლაპარაკობს. „თითქმის წელიწადია, რაც ამ წყაროს წყალს ვსვამ და შაქრიანი დიაბეტისგან განვიკურნე. არადა, იმდენად მძიმე მდგომარეობა მქონდა, რომ ინსულინის გარეშე ერთ დღესაც ვერ ვძლებდი. ჩემს მეუღლეს კი სახსრები აწუსებდა, წყაროს წყლის აბაზანების წყალობით, ტკივილები მოეხსნა. მადლობა ღმერთს, ჯანმრთელი შეიღები მყავს. მაგრამ პროფილაქტიკის მიზნით, ამ მინერალურ წყალს მათაც ვასმევ...“ — მიაბზო კახეთიდან ჩამოსულმა მარიამ გიუნაშვილმა და იქვე, ხის ჩარჩოში მოთავსებული საინფორმაციო ბუკლეტის გაცნობა მირჩია. მაგრამ ამ უნიკალური წყაროს შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება, პირველწყაროდან ვარჩიე და ნოდარ მელიქაძის სახლს მივაშურე. ოჯახის უფროსი შინ არ დაგვხვდა. ამიტომ ჩვენს კითხვებზე პასუხის გაცემა მის ვაჟს მოუხდა.

## იმა ტუხიაშვილი

### ანდრო ვილიძაძე:

— თვითმხილველები ამბობენ, რომ წყარო ამ ადგილას უკვე 50 წელია მოედინება, მაგრამ მისი სამკურნალო თვისებების შესახებ, არავინ არაფერი იცოდა. როდესაც მამამ ამ ადგილას აგარაკი შეიძინა, პირველად, იმ გარემოებამ დააფიქრა, რომ წყაროს ირგვლივ მცენარე ვერ ხარობდა, ხოლო მოზრდილი ხე, რომელსაც

ამ წყაროს წყლით რწყავდა, 2 წელიწადში ხმებოდა. შემდეგ, მამამ სრულიად შემთხვევით, ამ წყაროს წყლით, კოლოს ნაკბენისგან გაღიზიანებული კანი მოიბანა და აღმოაჩინა, რომ რამდენიმე წუთში, არა მხოლოდ ამ ნაკბენისგან გამოწვეული შემანუხებელი ქავილის შეგრძნება, არამედ თვით ნაკბენის კვალიც კი გაქრა. ამის შემდეგ გადაწყდა, რომ წყაროს წყალი შესაბამის ლაბორატორიაში გამოეკვლიათ და სენსაციურმა პასუხმაც არ დააყოვნა.



თვითმხილველები ამბობენ, რომ წყარო ამ ადგილას უკვე 50 წელია მოედინება

აღმოჩნდა, რომ წყალი, რომელიც ჩვენი სახლის ეზოში, მინის სილრმიდან, ყოველგვარი ნაბურღის გარეშე მოედინება, სულფატონატრიუმთან, მაგნიუმკალციუმთან მინერალური წყლები სჯგუფს მიეკუთვნება.

კიდევ ერთი სასამართლო აღმოჩენა ჩვენთვის ისიც იყო, რომ ლაბორატორიული კვლევის შედეგებმა აჩვენა, თურმე ასეთი მინერალური წყლის ანალოგი, ყოფილ პოსტ-საბჭოთა სივრცეში, მხოლოდ მოსკოვიდან 200 კილომეტრის მოშორებით, კურორტ კაშინში მოედინება. კაშინში უკვე მრავალი წელია, მოქმედებს სამკურნალო კომპლექსი და სანატორიუმი, რომელიც ძირითადად საზოგადოების მაღალი ფენის მომსახურებაზეა გათვლილი და მხოლოდ 400-მდე დამსვენებლის მიღება შეუძლია. აქვეა მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა და წყალი, რომლითაც ძირითადად, კრემლი მარაგდება, „ანა კაშინსკაია“ სახელწოდებითაა ცნობილი. ეს ქალბატონი კაშინის თავადის ქალი ყოფილა, ის წმინდანად შერაცხეს და მინერალურ წყალსაც სწორედ მისი სახელი უწოდეს. ჩვენი წყაროს წყლისგან განსხვავებით, მინერალური წყალი — „ანა კაშინსკაია“, 2002 წელს უკვე წარდგა საერთაშორისო ჟიურის სამსჯავროზე, სადაც უნიკალური სამკურნალო თვისებების გამო, მას ოქროს მედალი მიეკუთვნეს. მაგრამ მცირედი განსხვავება ჩვენს წყაროს წყალსა და მინერალურ წყალს — „ანა კაშინსკაიას“ შორის, მაინც არის. ეს გახლავთ ბიოლოგიურად აქტიური ელემენტი სოლიციუმის მჟავა, რომელიც „ველისწყაროს“ სამკურნალო თვისებებს კიდევ უფრო აძლიერებს.

**— ხალხი კი ამ წყაროს „უკვდავების წყალს“ უწოდებს...**

— მამამ ამ წყაროს „ველისწყარო“ უწოდა, მაგრამ მისი სამკურნალო თვისების გამო, ხალხმა „უკვდავების წყალი“ შეარქვა. ყოველდღე ამ წყლის წასაღებად უამრავი ადამიანი მოდის. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდანაც ჩამოდიან და წყალი დიდი ჭურჭლებით მიაქვთ. ხშირად გვყავს სტუმრები აჭარიდან, სამეგრელოდან და, თქვენ წარმოიდგინეთ, აფხაზეთიდანაც კი. მთელი დღის განმავლობაში, ჩვენი სახლის ჭიშკარი ყველასთვის ღიაა, მაგრამ ხდება ისეც, რომ ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ, ადამიანები წყარომდე მხოლოდ ღამით აღწევენ და იძულებული ხარ, ჭიშკარი გაუდო და წყლის ავსების საშუალება მისცე. უამრავი მაღლიერი ადამიანი გვაკითხავს, გვიყვებიან თუ როგორ განკურნა ამ წყაროს წყალმა უმძიმესი დაავადებებისგან, ზოგს მაღალი არტერიული წნევა დაურეგულირა და ა.შ. მამაჩემიც, ამ წყლის წყალობით, შაქრიანი დიაბეტისგან განიკურნა და მთელი ოჯახი სასმელად მხოლოდ ამ წყალს მოვიხმართ.

**— მამაზე ამ წყლის სამკურნალო თვისებების შესახებ...**

— როგორც უკვე გითხარით, ამ მინერალური წყლის სამკურნალო თვისებები, მრავალგზის ჩატარებულმა სამეცნიერო კვლევებმა დაადასტურა, მაგრამ ამ მინერალური წყლის მკურნალობისას, აუცილებელია დადგენილი სამკურნალო წესების დაცვა, რომელთა გაცნობა და ჩანიშვნა ნებისმიერ მსურველს აქვე შეუძლია. „ველისწყაროს“ ნატურალური მინერალური წყალი გამოიყენება ქრონიკული გასტრიტის, ღვიძლისა და სანაღვლე გზების ქრონიკული დაავადებების დროს. მაგალითად, ჰეპატიტის, ქოლეცისტიტის, ანგიოკოლიტის და სხვა დაავადებების მკურნალობისას. აბაზანების სახით, მინერალური წყლის გამოყენება უებარი საშუალებაა საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ქრონიკული დაავადების, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური და კანის სხვა დაავადებების სამკურნალოდ. „ველისწყაროს“



მამაჩემიც, ამ წყლის წყალობით, შაქრიანი დიაბეტისგან განიკურნა

წყაროს“ მინერალური წყალი ეფექტური საშუალებაა პირის ღრუსა და ყელის სამკურნალოდ. ასევე დადასტურებულია, რომ ეს წყალი ხელს უწყობს ზედმეტი წონის კლებას და ხელს უშლის სიმსუქნის წარმოქმნას, მინერალური წყალი, განსაკუთრებით სასარგებლოა, ჯანმრთელი ადამიანების პროფილაქტიკისთვის. როგორც დაბალი მინერალიზაციის მინერალური წყალი, შესაძლებელია გამოვიყენოთ, როგორც სუფრის სასმელი წყალი, რადგან აქვს შესანიშნავი გემო და მრავალი უპირატესობა უბრალო ონკანის წყალთან შედარებით. მაგალითად, წლის ცხელ პერიოდში, როდესაც ადამიანი ოფლიანობისას უხვად კარგავს მარილებს, მისი დანაკარგის აღდგენა მარტივად შეასრულებელი „ველისწყაროს“ წყლის მიღებით.

**— საინტერესოა, უკუჩვენება თუ გააჩნია ამ მინერალურ წყალს და ვისთვის არ არის რეკომენდებული ისი მიღება?**

— შესაბამისი სამედიცინო დასკვნის

მიხედვით, ამ წყლის მიღება არ არის სასურველი გართულებული დაავადებების დროს, მაშინ, როდესაც გარდაუვალია ქირურგიული ჩარევა. ასევე არ არის სასურველი „ველისწყაროს“ წყლის სამკურნალო დანიშნულებით მიღება, თუ კუჭ-ნაწლავში დარღვეულია საკვები მასის გატარების პროცესი და აღინიშნება სისხლდენები. მინერალური წყალი არც იმათ უნდა მიიღონ, ვისაც გულის იშემიური დაავადება აწუხებს.

**— ამ წყლის წასაღებად ადამიანები საკმაოდ შორი მანძილიდან ჩამოდიან, საინტერესოა, როგორ უნდა იყოს დაცული წყლის შენახვის პირობები?**

— მთავარია, რომ წყალი არ აადუღონ და არ გაყინონ. სხვა შემთხვევაში, თუ მას სუფთა ჭურჭელში მოათავსებთ და გრილ ადგილას შეინახავთ, წელიწადზე მეტხანს გაძლებს და არ გაგიფუჭდებათ.

**— თუ დაინტერესდით, რამდენად დიდია მიწის ქვეშ ამ მინერალური წყლის მარაგი?**

— რა თქმა უნდა, ამითაც დაინტერესდით, მოვიწვიეთ გეოლოგები, რომელთა აზრითაც, „ველისწყაროს“ მინერალური წყლის მარაგი, მიწის ქვეშ სამჯერ უფრო მეტია, ვიდრე თვით „ბორჯომის“ მინერალური წყლისა. სხვათა შორის, წყალი ლაბორატორიულ კვლევას, წელიწადში 2-3-ჯერ მაინც საჭიროებს. პირველი ბიოლოგიური და ქიმიური ანალიზი „ველისწყაროს“ წყალს 2001 წელს ჩაუტარდა, ბოლო ანალიზი კი, დაახლოებით ერთი თვის წინ.

ლაბორატორიული კვლევის პასუხებმა უჩვენა, რომ ამ ხნის განმავლობაში, მინერალური წყლის ფორმულა და მისი შემადგენლობა აბსოლუტურად არ შეცვლილა.

**— წყლის ავსება თქვენს ეზოში უსასყიდლოდ შეიძლება. საინტერესოა, რატომ არ იყენებთ მას კომერციული მიზნით?**

— ასეთია მამის გადაწყვეტილება. მას მიაჩნია, რომ მინერალური წყალი ბუნების საჩუქარია და ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მაგრამ გვაქვს უფრო შორსმომავალი გეგმები. უკვე მოვიპოვეთ ლიცენზია ამ წყლის ჩამოსასხმელად და თუ იქნება შესაბამისი დაინტერესება, მინერალური წყლის ჩამოსასხმელ ქარხანასთან ერთად, შესაძლებელია, ამ ტერიტორიაზე სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ცენტრიც აშენდეს. თუმცა, რაც არ უნდა მოხდეს, ერთი წყარო, სადაც ნებისმიერი მსურველი თავისუფლად შეძლებს მისვლას, მაინც იქნება.

# მონანიება

## შირ ბენტაკი

მიმედ დაჭრილი, ნაოპერაციები საშუა ჩერქეზი გამომძიებელ ლევან მინდელს თავისი ცხოვრების ამბავს უყვება. 1937 წლის 10 იანვარს, მის დაბადების დღეს მშობლების დაპატიმრების შემდეგ, თამაზი (ასე ჰქვია ჩერქეზს სინამდვილეში), უმცროს დასთან ერთად, დეიდასთან გადაბარდა.

ის თანდათან ეგუება მძიმე მდგომარეობას. მაგრამ მოულოდნელად, ახალი განსაცდელი დაატყდება თავს: მის დას, ეკას

**(დახანყისი იხ. „გზა“ №8-25)**

ფილტვების ანთება შეეყრება. ბავშვის ხსნა პენიცილინზეა დამოკიდებული, რომელიც არც იშოვება და ძვირიც ღირს. თამაზი მეზობელთან, არტაშასთან მიდის: ის ქალაქში ბევრ „ბარიგას“ იცნობს.



არტაშამ ნაშალი მიშოვა, ორი კოლოფი სტრეპტოციდი. გამოვცოცხლდი. სიხარულით გაჟუნოდე ფული.  
 „ამოდენა ფული სად გიშოვია?“ — გაუკვირდა არტაშას.  
 „ვისესხე, არტაშა!“  
 „ისესხე? არა, ძმომ, ნასესხებ ფულს მე შენ არ გამოგართმევ. გაუშვი, ჩემი ვალი გქონდეს. ძმაკაცურად გავესწორდებით. ეს კი, ვისაც გამოართვი, იმასვე მიუტანე“.  
 უარზე დავდექი, მაგრამ რაც მეტს ვეხვეწებოდი, ის უფრო ვიუტობდა. ბოლოს, 200 მანეთი დავუტოვე, გულწრფელად გადავუხადე მადლობა და წასვლა დავაპირე.  
 „თამაზჯან, ერთი ძმაკაცური სათხოვარი მაქვს“, — შემაჩერა არტაშამ.  
 „თქვი, არტაშა!“  
 „ახლა, შენ სხვანაირად კი არ გამიგო, ბიჭებს ცოტა ოინბაზობა გვიწავს... შენ მაინც რამდენიმე დღე დეიდამენტან უნდა დარჩე და თუ არ გენყინება, შენი ოთახის გასაღები დამიტოვე“.  
 მიეხვდი: არტაშა სამაგიერო სამსახურს მთხოვდა, ამიტომაც არ აიღო 200 მანეთზე მეტი... ბრაზი მომერია. მინდოდა, სახეში მიმეყარა მოცემული ნაშალი, მაგრამ თავი შევიკავე. ჯიბიდან გასაღები ამოვიღე, უსიტყვოდ გაჟუნოდე და სირბილ-სირბილით გავეცალე იქაურობას.  
 „არხეინად იყავი, თამაზ, ოთახში ყველაფერი რიგზე დაგხვდება, არ გეგონოს, რაიმე აფუროით“, — მომასხა, მერე კიდევ რაღაცა დაუმბატა არტაშამ, მაგრამ მე აღარ გამიგონია.  
 დრო შევამოწმე — ერთი საათი გასულიყო. რამდენიმე წუთში, სახლში ვიყავი. სწრაფად ავირბინე კიბე და ოთახის კარი შევალე. ყველანი მოლოდინით საცხე თვალებით

შემომცქეროდნენ.  
 „ვიშოვე!“ — ფუპასუხე მათ უხმო კითხვას და ჯიბიდან ნაშალი ამოვიღე.  
 დეიდა სიხარულით გადამეხვია.  
 „ყოჩაღ, ვაჟკაცი!“ — გაიღმა ექიმმაც და მაგრად ჩამომართვა ხელი.  
 ეკას ძალისხაღად ჩავეყლაპეთ აბი.  
 ყველანი თითქოს დავემვიდდით, იმედი მოგვეცა. ექიმმა დაარიგა დეიდა, როგორი წესით მიეცა ნაშალი ბავშვისთვის და წასასვლელად მოემზადა.  
 „პატივცემულო ექიმო, — გადავულობე გზა. — თქვენ ისეთი მადლი ქენით, მისი გადახდა ჩვენს ძალ-ლონეს აღემატება. კადნიერებად ნუ ჩამომართმევთ, მიწა ვიცოდე თქვენი სახელი“.  
 „გიორგი ესტატეს ძე! — გაიღმა ექიმმა და შემდეგ, ქორორი ამიჩქა: — აი, როგორი ვაჟკაცი ყოფილხარ!...“  
 „ბატონო გიორგი, თქვენი დიდი მადლიერი ვარ, მაგრამ დამატება აღარ დამჭირდა, ჩემიც მეყო. ძალიან გთხოვთ, აილეთ“, — ვთხოვე და ფული გაუწოდე.  
 „თამაზ, ეს ფული თქვენთან დარჩეს, იქნებ, კიდევ დაგჭირდეთ“, — მიპასუხა მან.  
 „არა, არა. არ არის საჭირო. ჩვენ გვაქვს ფული“.  
 „დამიჯერე, თამაზ, ეს ფული საჩუქრად არ მომიცია. ჩათვალე, რომ გასესხეთ და სხვა დროს დამიბრუნებთ“.  
 „კი, მაგრამ...“  
 „არავითარი „მაგრამი!“ სიამაყე გვერდზე გადადე, თორემ, ნამდვილად გამაჯავრებს. სანამ შენ სპეკულანტებთან დარბობდი, მე და დეიდა თამარმა ვისაუბრეთ, ბევრი საერთო მეგობარი აღმოგვაჩნდა. ასე რომ, იქნებ, მე და შენ მეგობრებიც გახვდეთ, თუ, რა თქმა უნდა, შენც გეყნება ამის სურვილი“.

„რას ბრძანებთ, ექიმო!...“  
 „ჰოდა, ვიყოთ მეგობრები!“ — კვლავ გაიღმა ექიმმა და ოთახიდან გავიდა. დეიდამ გააცილა.  
 „დეიდა, ვინ არის ეს კაცი, ასე რომ ზრუნავს ჩვენზე?“ — შევეკითხე, როცა ის ოთახში შემობრუნდა.  
 „ექიმია, შვილო. ვიდრე შენ ნამალზე იყავი ნასული, ცოტა ვისაუბრეთ. მამაშენს კარგად იცნობს, თურმე. ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო, რომ შენ და ეკა მისი შვილები ხართ“.  
 „მართლა?! ფულიც იმიტომ მოგვცა?“ — წარმოვთქვი მხარე ღიმილით.  
 დეიდა მიხვდა, ეწყინა.  
 „რას ამბობ, თამაზ?! ფული რომ მოგვცა, არც კი იცოდა, ვინ იყავი. ეგ რა უმადურობაა!“ — მიპასუხა გალიზიანებულმა.  
 „ბოდიშს ვიხდი, დეიდა, მე არავის შეურაცხყოფა არ მინდოდა, მით უმეტეს — ექიმის...“  
 ღამის პირველ საათზე, ჩემს ავადმყოფ დაიკოს ტემპერატურამ ოდნავ დაუკლო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დეიდა ძალისხაღად ჩავანვინე ლოგინში, მე კი ეკას სანოლთან მოვკალათედი და მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.  
 მეორე დღეს ტემპერატურა უკვე 38 გრადუსამდე დაეცა. ექიმი ყმანვილივით გამხიარულდა, მოგვილოცა და დიდხანს ეთამაშა ეკას.

...სახლიდან არ გავდიოდი. ეკა გახდა, გაიცრიცა და თეთრ ბალიშზე მისვენებულ, ცისფერთვალეა ანგელოზს დაემსგავსა.  
 ორი დღის შემდეგ, მათემატკაში მქონდა გამოცდა. ეკას ვთხოვე, გავეშვი.  
 „წადი, თამაზ, მაგრამ მალე დაბრუნდი, მინდა, ჩემთან იყო“, — მითხრა და სანოლთან დახრილს, ხელეხი მოხვია. რამდენჯერმე მაკოცა.  
 ორი დღე-ღამის უძილობამ და ნერვიულობამ სასტიკად მომქანცა, მაგრამ მაინც შეეძელი გამოცდის ჩაბარება. სახლში გახარებული დავბრუნდი. ეკას ნითელი ვარდები მივუტანე. გაიხარა, მადლობა ათასი კოცნით გადამიხადა.  
 გავიდა კიდევ სამი დღე. ეკას ტემპერატურა ხან ოდნავ აუწევდა, ხან ისევ დაუკლებდა. ექიმს, რომელიც მის სანახავად დღეში ორჯერ მაინც შემოვივლიდა, ვატყობდი, აშფოთებდა ეს გარემოება, მაგრამ ჩვენ არაფერს გვეუბნებოდა.  
 დეიდამ შევბუღება აიღო. მორიგეობით ვუთევადი ღამეს ავადმყოფს. ნესტების კეთება ექთანს მივანდეთ. მე ეს მასზე ნაკლებად როდი შემიძლო, მაგრამ ერთხელაც არ მიცდილა, ეკასთვის მეჩხვილიტა...  
 დადგა 26 მაისი. დილით ადრე ავდექი. მესამე საგანში უნდა ჩამებარებინა გამოცდა. ეკას სანოლს ფრთხილად მივუახლოვდი. ავადმყოფს ეძინა. ფერმკრთალი ლოყები შესწითლებოდა, ნესტოები უთროვდა, ძილში ბორგავდა.  
 შევკრთი. ფრთხილად დავადე შუბლზე ხელი. ბავშვი ცხელი მომიჩვენა. სასწრაფოდ გავაღვიძე დეიდა თამარი.  
 „რა მოხდა?“ — შემეკითხა შემოვთე-



ბულმა და ეკას სანოლს შიშით გადახედდა. „ეკას ტემპერატურამ აუნიან!“ „ღმერთო ჩემო!“ — ამოიგმინა თამარმა და ლოგინიდან წამოსტა.  
 6 საათი იყო. ამომავალი მზის სხივები ოქროსფრად ეფრქვეოდა ფანჯარას და მისგან არეკლილი, ეკას სანოლს დასთამაშებდა. ავადმყოფს ტემპერატურა გაეზუსტინჯეთ. თერმომეტრმა 40 გრადუსი უჩვენა.  
 თავზარი დაგვეცა... „გაიქეცი ექიმთან!“ — მითხრა დეიდამ. უხმოდ გავვარდი ოთახიდან. ექიმი ეძინა. გააღვიძე. დამინახა თუ არა, ყველაფერს მიხვდა, სწრაფად წამოდგა. ვიდრე პირს დაიბანდა, ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ ვუამბე. ხმა არ ამოუღია, ერთი კითხვაც კი არ დაუსვა. მისი მკაცრი სახე და მოლუშული წარბები მამინებდა, ხოლო დუმილი ავის მომასწავებლად მომიქვენა...


ათიოდე წუთის შემდეგ, სახლში ვიყავით. ეკას ისევ ეძინა. ძილში ხანდახან კენესა აღმოსდებოდა. დეიდა სანოლთან იჯდა. სანთელივით გაფითრებული, დამუნჯებული, უაზროდ შემოგვხედა ოთახში შემოსულებს. ექიმი სანოლთან დაიხარა, ავადმყოფს მჯავა გაუსინჯა. შემდეგ, ფონენდოსკოპი მოიმარჯვა. დიდხანს, ყურადღებით სინჯავდა, გულსა და ფილტვებს უსმენდა. ოთახში სამარისებური სიჩუმე იდგა.  
 ექიმი ავადმყოფის გასინჯვას მორჩა. მძიმედ წამოდგა. „სწორედ ამის მეშინოდან!“ — გამოცრა კბილებში. „რა გჭირს, ექიმო?“ — თითქმის იკვილა დეიდამ.  
 „ანთება მერე ფილტვშიც განვითარდა, მდგომარეობა გართულდა“, — უპასუხა ექიმმა ისე, რომ მისკენ არც მიუხედავს. „ვაი, შვილო!“ — მწარედ ამოიგმინა დეიდა და ნიაღვრებით წასკდა ცრემლები.  
 მე გავშრი, ხმის ამოღების უნარი დავკარგე, გახევებული მივამტერდი ეკას და მომჩვენა, რომ სანოლზე დაფრქვეული მზის სხივები

სისხლისფრად იღებებოდა...  
 ექიმი ჩვენთან დარჩა. ერთი წუთითაც არ მოშორებია ავადმყოფს. გულის საშუალებებს უკეთებდა, ხშირად უსინჯავდა მჯავას და უფრო და უფრო იღუშებოდა.  
 დღის ორ საათზე, ბავშვის მდგომარეობა გაუარესდა. აღრიღებული დეიდა თამარი ოთახიდან გაიყვანეს. ეკას უნებადის ბალიშით ასუნთქებდნენ... რაღაც უცნაური აბათია დამეფლა. ექიმს მექანიკურად ვხმარებოდი, ავტომატურად ვმოდარობდი და ისეთი გრძობა მქონდა, თითქოს ის, რაც ოთახში ხდებოდა, ეკას კი არ ეხებოდა, არამედ კომპარული სიზმარი იყო.  
 ოთახი ხალხით გაივსო. ყველანი იცრემლებოდნენ. მეზობლის ბინიდან დეიდაჩემის ტირილი ისმოდა.  
 „რა ატირებს? — ვკითხვობდი ჩემს თავს. — სისულელე! ეკას არაფერიც არ სჭირს! აი, ნახავთ, თუ რაიმე მოუვიდეს!“ — ვარნმუნებდი საკუთარ თავს თუ ვილაცხა.  
 ეკას ბალიში გამოეცვალა. ვილაცამ რაღაც მითხრა, ვილაცამ ხელი მომიკიდა... ვერაფერს ვგრძნობდი, ეკას მიგჩერებოდი და ერთი და იგივე კითხვა მექანიკურად მიტრიალებდა თავში:  
 „რა უნდა აქ ამდენ ხალხს?“  
 „თამაზ, გადი ოთახიდან!“ — მომესმა უეცრად.  
 გამოვერკვიე. ექიმს ჩემთვის მკლაფში წველი ხელი და კარისკენ მექაჩებოდა.  
 „პა... რაო?“ — შევეკითხე ექიმს ანგარიშ-მიუცემლად.  
 პასუხად ექიმმა მერე ხელიც მომიკიდა და კარისაკენ მიმიძგა. უეცრად ყველაფერს მივხვდი, ექიმი ხელი გავმეზვიინე, ეკას სანოლთან დავიჩოქე და ორივე ხელში ჩავეჭიდე.  
 „ეკა, ეკა!“ — ჩავძახე ჩემს ცისფერთვალეზე დაიკოს. გულში დაგროვილი ბოლმა ყელში მომანვა და ცრემლებად გადმოიღვარა ლოყებზე. ბავშვი ოდნავ სუნთქავდა.  
 „ეკა, შემომხედე, მითხარი რაქ!“ — ჩავხახოდი ბავშვს.  
 უეცრად, ეკა შეტკოდა, ერთი წამით თვალე

ბი გაახილა, გაფიცებული ტუჩებით სივრცეს გაუღიმა. „დედა... დედიკო, ახლა მე ორი თოჯინა მყავს, მამამ მომიტანა, რა დიდხანს გელოდით...“ — ჩურჩულებდა ის და სახეზე ნეტარების ღიმილი დასთამაშებდა.  
 „ეკა, მხედავ, ეკა?“ — ისევ ჩავძახე ბავშვს, მაგრამ ეკას უკვე არაფერი ესმოდა. თუმცა მისი ტუჩები ისევ მოძრაობდა, სიტყვები ვერ გავარჩიე. ალბათ, რაღაც სასიამოვნო ზმანებას ხედავდა, რადგან ღიმილი ეფინა მარმარილოსავით გათეთრებულ სახეზე.  
 ეკას სანოლზე დამსობილი, ხმადასუსტებული ავტორი. ვილაცამ ხელი წამომაგლო, სანოლს მომგლიჯა.  
 „თამაზ, ვაჟკაცი ხარ, გამაგრდი!“ — მომესმა ექიმის ხმა. უაზროდ შევხედე ძია გიორგის, თვალები ცრემლით ავეებოდა.  
 „ტირით, ექიმო? თქვეფც ტირით?! ვერ მოვუარე ჩემს დაიკოს, ვერ დავიცავი, ხედავთ?! მე, მე მოვკალი ის, მე მოვკალი!“  
 ექიმმა ხელი მომხვია.  
 „დამშვიდდი, თამაზ, დამშვიდდი, უბედურო ბავშვო!“ — ჩამჩურჩულა და გულში ჩამიკრა.  
 ყველაფერი დამთავრდა. ეკას სიცოცხლე სანთელივით ჩაქრა. მსოლოდ ღიმილს ვერ მოურია სიკვდილი. ქათქათა ბალიშზე დაფენილი ნაბლისფერი კულულებით ეკა დიდი ხელოვნის ხელით დახატულ მძინარე ანგლოსს ჰგავდა...  
 უკანასკნელი სიტყვები დაჭრილმა ჩურჩულით წარმოთქვა, მძიმედ ამოიოხრა და მიყუჩდა.  
 მინდელი მონუსხულივით შესცქეროდა ჩარგივს, რომელსაც ჩაკვირული თვალებიდან ღვარად სდიოდა მსხვილი ცრემლიანი. პალატაში ბარათელი შემოვიდა, ფესკერვით მიუახლოვდა სანოლს.  
 — ჩაქინა? — შევეკითხა გამომძიებულს და დაჭრილს მჯავა გაუსინჯა.  
 ჩარგიევმა თვალი გაახილა, თბილად შეხედა ექიმს.  
 „გმადლობ, ექიმო. მე არ მძინავს, არც ცუდად ვარ... ვიდრე სათქმელი ბოლომდე არ მიტქვამს, არ მოვკვდები, მიქელ-გაბრიელთან ხელშეკრულება მაქვს დადებული, — შეეცადა გახუმრებას.  
 — თქვენ ახლა უნდა დაიძინოთ, მათე, ამბის თხრობა კი სვალ გააგრძელეთ, — თქვა ცილამ მტკიცე ხმით.  
 — სწორია, დაისვენეთ, მე სხვა დროს მოვალ, — მხარი დაუჭირა გამომძიებულმა.  
 — არა, ექიმო, ძალიან გთხოვთ, საშუალება მომცეთ, ბარემ ბოლომდე ვთქვა, ხელს ნუ შემისლით. თქვენც, ბატონო ლევან, ნუ ნახვალთ. მომისმინეთ, გთხოვთ, ნუ ნახვალთ! — ალელდა ჩარგიევი და მუდარით შექედა ექიმს.  
 ბარათელმა თავი გააქნია.  
 — ძალიან გთხოვთ, ექიმო. სულ ცოტალა დამრჩა, მსოლოდ ნახევარი საათი. გთხოვთ, მარტო დავგტოვოთ. მე არა მიშავს რა, მაგრამ თუ დამჭირდით, ბატონი ლევანი დაგიძახებთ, ძალიან გთხოვთ.  
 ჩარგიევის ხმაში იშლება მუდარა და ამავე დროს, სითბო იგრძნობოდა, რომ ბარათელმა უარი ვერ უთხრა, ალერსიანი შეხებით მოსწ-







მიბრძობოდა, მგონი, თავისი მეგობრების გაცნობას, მაგრამ ვეღარ გავიგე, სასმელმა თავისი ქნა.

წამომავლო.

მაგიდასთან მივედი. არტაშამ კონიაკის ბოთლი ჩაის ჭიქაშიც გადმოაპირქვა და შედეგად, მეორე ჭიქაშიც ჩამოასხა.

„გაგვიმარჯოს!“ — დაილოცა მოკლედ და გადაკრა.

უხმოდ გადავკარი. ჩემს ცხოვრებაში პირველად დავლიე ამდენი კონიაკი. სასმლისგან ცეცხლი მომიკვდა, თვალებიდან სიმწრის ცრემლები წამოივიდა, ძლივს მოვიტოვე სული. არტაშამ ძეხვის ნაჭერი მომანოდა.

„მიირთვი, თამაზჯან. დღეს მასპინძელი მე ვარ.“

კიდევ შეესვი. კონიაკმა მადამ გამიხსნა, საჭმელს მივეძალე.

...ორი ბოთლი კონიაკი გამოვცალეთ. ოთახი დატრიალდა, სკამზე ჩამოვჯდარი, ორივე ხელით მაგიდას მოვეჭიდე, თავს საშინელი გულგუნი გაჰქონდა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ რეალობის აღქმის უნარი ჯერ კიდევ არ დამეკარგა.

„მამ, ეს არის სიმთვრალე?..“ — ვეკითხებოდი ჩემს თავს.

არტაშამ მესამე ბოთლი გახსნა, დაასხა.

„რათა სვამ, თამაზ, არა გრცხვენია?“ — ჩამძახოდა ვილა.

„დალიე, შენთვის ყველაფერი დამთავრებულია. ცხოვრებამ სიტკბო წაგართვა, შენც მწარე შესვი“, — მექომაგებოდა სხვა, მეორე. ჭიქას ნავეპოტინე. ხელი მომეცარა: სასმისი წაიქცა, დაღვრილი სითხე მთელ მაგიდაზე გაიშალა.

„მიცვალე ულთა შესანდობარი იყოს, თამაზჯან!“ — მანუგეშა არტაშამ, შემდეგ, ბარბაქოსი წამოდგა, ხელი მომხვივა.

„თამაზჯან, ამქვეყნად სხვა არაფერი შეგვრჩება: ღვინო — ეს, იცი, რა არის?! სიცოცხლე, ჯიგარია, დარდს მოგიკლავს, მტერთან შეგარიგებს, ძმებიც შეგაყვარებს! — არტაშამ გრძნობით გადამოკუნა. — შენ ჩემი ძმაყავი ხარ... თამაზჯან! სიყრმე მომიკვდეს, თუ ვინმეს დავანაგვრინო შენი თავი! მე... შენ... ისა... ჩემი სიყრმე მომიკვდეს, თუ ალალე ძმასავით არ გავიცნაო!“

დიდხანს მეფიცებოდა ძმობას, რაღაცას

დლით გვიან გამომეღვიძა. თავი მისკდებოდა. პირში საშინელი, მწარე გემო მქონდა. წყურვილისგან ყელგამშრალი, ჩემს საწოლზე გაუხდელად ვინევი, ვერაფრით გავისხენე, ვინ მიმიყვანა საწოლთან, ვინ ან როდის დამანვინა... გაჭირვებით წამოვვლე, ოთახი მოვავალიერე. მაგიდაზე საწოლგანის ნაბეჭდო და ცარიელი ბოთლები ეყარა. იატაკი თევზისა და ჭიქის ნამსხვერვებით იყო მოფენილი.

არტაშამ ნასულიყო. ავდექი, წყლიანი ვედრო მოვანახე, ხარბად დავწმავე, შემდეგ, თავზე დავისხი. მრცხვენოდა. თავს ძალა დავაძინე, პირი დავიბანე. სარკესთან მისულმა, ეკას სურათს შევხედე: ფოფინა თვალები საყვედური მიტყურდნენ... ჩემი თავი შემეზიზნებოდა. სურათის მშვერა ავარიდე, ქურდით გავიპარე ოთახიდან. ქუჩაში, გასულმა ჯიბეები მოვიჩხრიკე, რამდენიმე მანეთი აღმომჩინა. ყვავილები ვიყიდე და სასაფლაოზე წავედი.

კაუშანი მახრობდა. ორიოდე ცრემლი ალბათ, შევბას მომგვრიდა, მაგრამ — არა: ტირილს ვერ ვახერხებდი...

ეკას საფლავის მახლობლად ვილა მოხუცი ქალი მთელი ძალით მოსჭიდებოდა აბორცვილ მინას, გრძნობით იკრავდა გულში...

„ვილო-ო... შეილო-ო... ჩემო გაუხარებლო ბიჭო...“ — მოთქვამდა საზარლად.

მორიდებით აუზარე გვერდი შავოსანს, ეკას საფლავთან მივედი. ფრთხილად დავანყვე ყვავილები მინაზე და უხმოდ ჩამოვვლე იქვე.

„ხმა გამე შეილო-ო. დამელაბარავე, ჩემო ვაყვაცო...“ — მოთქვამდა მოხუცი და ნაზად უსვამდა ხელს საფლავს...

სალამომდე ფეხი არ მომიცვლია სასაფლაოდან. ტირილით დაოსებული ქალი რა ხანია ნასულიყო, მე კი ვივლევი და მდუმარედ დავცქეროდი მინას, რომელიც რამდენიმე დღის წინ, ეკას გულზე დაყარეს.

საფლავის ნახვამ დარდი უფრო გამიმძაფრა. მრცხვენოდა ეკას.

„რად დათვერი, თამაზ? არა გრცხვენია?!“ — თითქოს ამომძახოდა საფლავიდან.

„მაპატიე, ეკა, მაპატიე, ჩემო პატარავ! ეს პირველი და უკანასკნელი იქნება, მეტს აღარ დავლევი, არასოდეს, არასოდეს არ დავლევი“;

— ვბუტბუტებდი მე.

...სასაფლაოდან გვიან ღამით დავბრუნდი. მალულად შევედი ოთახში: არ მინდოდა, არტაშას გადავცეროდი. შუქიც კი არ ამინთია. კარი ჩავკეტე და დავწვი.

დიდხანს არ მომიხუჭავს თვალი. „რაღაც უნდა მოვიფიქრო“, — ვუბნებდი ჩემს თავს. ლუკმაურის შოვნა ხომ საჭირო იყო. დიდხანს დაბრუნებაზე ფიქრიც არ მინდოდა, სხვა კი მე არავინ მყავდა, მარტო ვიყავი ამ ქვეყანაზე... დიდი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტე, მუშაობა დამენყო. „უკვე მეთვრამეტე წელში ვარ, თითქმის საშუალო განათლება მაქვს, რაიმე საშუალო ვიშოვი, თავს გავიტან, შემდეგ იქნებ, ჩემი ცხოვრებაც აენყოს“, — გადაწყვიტე და ოდნავ დავმწვიდდი. ცილად გამახსენდა. „როგორ შეხვედბა ამ ამბავს?.. მას ხომ იმედი აქვს, ატესტატს ავიღებ, იქნებ, აღარც კი მოინდომოს ჩემთან შეხვედრა“, — გამიელვა გულში. გუშინდელი სიმთვრალე გამახსენდა, თავი შემეზიზნა:

„ლანარო, უსინდისო, ლოთო! ღვინოში ექებ თავდადინყებას?!“ — დატყუქე ჩემი თავი.

„ისწავლე, თამაზ, და... მელიდე!“ — მკაფიოდ ჩამესმა ცილას სიტყვები. გული დამწყდა. „რა ცუდად მოენყო ჩემი ცხოვრება! ყველაფერი შეიცვალა, ყველაფერი დავკარგე: მშობლები, პატარა დაიკოც, ცილა ც და მერე — რატომ?.. განა მე მსურდა, განა მე ვარ დამნაშავე?!“ — ვფიქრობდი და ბოლმამორეულს, ძილი არ მეკარებოდა.

გამთენისას, ჩავთვლიემ...

კაკუნმა გამომავლია. ყური მივუგდე — კაკუნი გამეორდა.

„თამაზ!“ — მომესმა არტაშას ხმა.

არ მინდოდა მისი ნახვა, ამიტომ, თავი მოვიძინე. მან ერთი-ორჯერ კიდევ დააკაკუნა და კარს მოშორდა. ალბათ გადაწყვიტა, რომ სახლში არ ვიყავი.

მოგვიანებით, წამოვდექი, მაგიდაზე დარჩენილი პური და ყველის პატარა ნაჭერი უგემურად გავლექე და ოთახიდან მტკიცე გადაწყვეტილებით გავვედი: სამუშაო უნდა მემოვებ, დამოუკიდებელი ცხოვრება დამეწყოს... როგორ ვცდებოდი თურმე მთელი სამი კვირა ვიხეტიალე, არაფერი გამომივიდა. სამაგიეროდ, ჩემი ღარიბული ნივთები და მამის წაქუჩარი საათი გაიყვია.

დიდა რამდენჯერმე მოვიდა, ტირილით მთხოვდა, მასთან დავბრუნებულიყავი, ეკას სახელიც დამავიცა, მაგრამ ცივი უარი ვუთხარი, არ ნაყვევი. იმ საღამოს, მეორედ დავლიე. უგონოდ დავთვერი, არტაშასთან ერთად. საშინლად შემეძულა ადამიანები. მშურდა სხვისი მხიარულება, სიცილი, ბედნიერება, რადგან მასში წილი აღარ მქონდა.

ბოლოს, ცილას ცივი წერილი მივწერე. სულ რამდენიმე სტრიქონით ვაცნობე: სამუშაოდ რუსეთში მივდივარ და წერილებს ნუ გამოიგზავნი-მოქუცი. წერილი მისი წაქუჩარი იების ფურცლები ჩავდე, უკვე გამხმარი.

ყველაფრიდან გავთავისუფლდი, ყველას ჩამოვმორდი, სამაგიეროდ, არტაშას დავუმეგობრდი და თითქმის ყოველ საღამოს ესვამდი.

ეკას სურათი ჩამოვხსენი: აღარ შემეძლო მისი თვალების დანახვა, მრცხვენოდა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# მალხაზ ქვრივიშვილი ზიჯის მამა გახდა

მსახიობი მალხაზ ქვრივიშვილი მეორე შვილის დაბადებამ უზომოდ გაახარა, თუმცა ტელესერიალ „ასას“ (არაჩვეულებრივი სიყვარულის ამბავი) გადაიკვიდა, მთელ დღეებს გადასაღებ მოედანზე ატარებს და პატარასთან ყოფნას ხშირად ვერ ასერხებს.

— მალხაზ, გილოცავ ვაჟის შექმნას.

— გმადლობ.

— როდის დაიბადა პატარა?

— 20 მაისს. როგორც იტყვიან ხოლმე — უკვე ერთი წლის არის. აი, ასე — დაიბადა ლუკა ქვრივიშვილი, 2 კილოგრამსა და 900 გრამს იწონიდა. მე 2 და 800 დავბადებულვარ... სიგრძით 51 სანტიმეტრი გაჩნდა, მე-50 ვყოფილვარ. ჩემზე ერთით მეტია, რა (იციინს)..

— გარეგნულად თუ გგავს?



— მამსგავსებენ. მე კი, დედამისს ვამსგავსებ — ქერაა და თეთრი. მე შავი, მურთხი ვყოფილვარ. ლუკა ჩემი გაუმჯობესებული ვარიანტია. თან, სულ იციინს.

— ისე, უხასიათობით არც შენ გამოირჩევი, როგორც იტყვიან — კვიცი გვარზე ხტისო.

— ჯერ ვერ გეტყვი, არ ვიცი...

— მეუღლის მშობიარობის პროცესს დაქნარ?

— არა, ეს არასასიამოვნო განცდებს იწვევს.

— უკვე ორი შვილის მამა ხარ,

ეს რა განცდას იწვევს შენში?

— უფროსი, გოგონა უკვე 14 წლის არის. ასლა ესპანეთშია, 53-ე სკოლიდან გაგზავნეს... განცდას იწვევს და უდიდესი პასუხისმგებლობა!

— ყური ალბათ დაგანინკნეს, ბიჭის მამა რომ გახდი, არა?

— ისე, რა. ყველასთვის არ მიმიცია ამის უფლება... რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, ბიჭი რომ დაიბადა, მაგრამ ჩემთვის, გოგოც რომ ყოფილიყო, ტრაგედია ნამდვილად არ იქნებოდა. ბავშვი, ბავშვი!

— ასლა პატარას გავრდაში როგორ მონანილებ?

— ბევრს ვვრავრს ვაკეთებ, ძირითადად, გადაღებებზე ვარ. ბიჭი ხომ უფრო დედის არის, გოგო კი — მამის! (იღიშება)..

— გინდა, რომ შენი შვილი შენსავით მსახიობი გამოვიდეს?

— ჯერ არ ვიცი. ერთს კი ვიტყვი — როგორც შევატყვე, ჭკვიანი ბავშვია.

## სერიალ „ასას“ ქართველი ჩე გევარა იღებს

რეჟისორი ლაშა ცერიაშვილი, ჯერ იყო და, ტელესერიალმა — „ძილის წინ“ გადაიყოლა, მერე — რამდენიმე ქართულმა კლიპმა, მათ შორის: აჩიკო მეფარძის „მშვიდობით“ და ნინო ბადურაშვილის „ჩუმად ნათქვამი“. ასლა ის ტელესერიალმა „ასამ“ „შეიტყუა“: ისეთი ინტენსივობით მუშაობს, რომ სერიიდან სერიამდე, ფაქტობრივად, საკუთარი თავისთვის ვერც კი იცლის და დარჩა ასე თან-წვერშეუჭრელ-გაუპარსავი, უკვე რამდენი წელია!.. საკუთარ გარეგნობას თავადაც შეეგუა და გარშემო მყოფებიც შეაჩვია. ამიტომაც, მეგობრებმა სამუშაო ოთახში ჩე გევარას პლაკატი გაუკრეს და ზედ მისი სურათიც მოათავსეს. ქართველ ჩე გევარას ეძახიან.

ლაშა ცერიაშვილი:

— ჩემ ირგვლივ ადამიანები ორ ნაწილად დავყავი. ნაწილი, რომლებსაც არ მოეწონებოდა და ნაწილი, რომლებსაც მოეწონებოდა. ვისაც მოეწონებოდა, ჩე გევარას მამსგავსებენ, ვისაც არა — ფიდელ კასტროს. არიან კიდევ ისეთები, ვინც ჩემს საველე მეთაურებს მამსგავსებენ. წესიერი და პატიოსანი ადამიანების ასოციაციას არავისში ვინც...

— მიზეზი?

— არ ვიცი, მგონი, ცუდ საქმეებს არ ვაკეთებ. ჩე გევარასთან საერთო არაფერი მაქვს. ბუნებით ტრადიციონალისტი ვარ. თავისუფლება ჩემთვის მნიშვნელოვანი რამ არის. ამ ყველაფერს

როგორც ქრისტიანი, ისე ვუდგები: აუცილებელი არ არის ხალხის დახვეწა იმისთვის, რომ თავისუფლებას მიიღწიონ...

— ოთახში ჩე გევარას პორტრეტს როგორ ეგუები?

— ალბათ იმიტომ ვეგუები, რომ ეს პლაკატი მასხენებს, თუ როგორი არ უნდა ვიყო, აგრესია გვერდით უნდა გადავდო, სიმშვიდე შევინარჩუნო.

აი, ასეთ იდილიურ პირობებში იქმნება ტელესერიალი

„ასა“, მშვიდ გარემოში და აგრესიის გარეშე.



## კუხიანიძეებმა კლიპი „ოჯახურად“ გადაიღეს

მომღერალმა ნინო ძონენიძემ ჟურნალისტები საკუთარი კლიპის პრემიერაზე მიიწვია. ჯერ მხოლოდ ჟურნალისტებს „დააჭაშნიკებინა“ ნამუშევარი, რომელიც გიგი კუხიანიძის სტუდიაში შეიქმნა — მეუღლემ, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ გამომწვევი კლიპი გადაუღო ცოლს სიმღერაზე, რომელიც ნინომ 15 წუთში ექსპრომტად დაწერა. ტექსტიც მისია. თუმცა ტექსტი რა?! რა ბგერებიც გულიდან ამოჰყვა, ტექსტიც ის არისო — თქვა ნინომ. გადაღებები კუს ტბაზე მე-

გობრებთან ერთად მიმდინარეობდა — კოცონი, მეგობრები, ზაფხული, ცეკვა და გართობა — ეს არის კლიპის დედაზრი. ცოლ-ქმარი, გიგაც და ნინოც კლიპით კმაყოფილია, ნამუშევარი მათ ჟურნალისტებმაც მოუწონეს.



## Honda Civic სწრაფე მხედება...

დღეს არსებულ სედანსა და ხუთკარიან ჰეჩბეკს მალე, სამკარიანიც შეემატება, რომელსაც სპეციალისტები კიდევ უფრო ეფექტურად მიიჩნევენ. ამ მანქანას საზოგადოების სამსჯავროზე უკვე ივლისში, ბრიტანეთში დაგეგმილ ავტოსალონზე გამოიტანენ. სულ მალე კი, მას დილერებსაც მიანვდიან.

კომპანიის მესვეურები იმასაც აცხადებენ, რომ ტრადიციის საწინააღმდეგოდ, სამკარიანი სედანი ხუთკარიანზე ნაკლები ელირება. გარდა ამისა, „სივიკების“ ოჯახს, ცოტა ხანში, შეემატება მოდიფიკაცია Type R, რომელიც ამჟამად, მხოლოდ კონცეპტის სახით არსებობს.

როგორც საავტომობილო სამყაროში მიიჩნევენ, იაპონელებს ახალი მანქანის პრემიერის ადგილად, ბრიტანეთი



შემთხვევით როდი შეურჩევიათ (სამივე მოდელი „დაბადებით“ ბრიტანელია),

ევროპულ Civic-ს უილტშირის საგრაფოს ქალაქ სუინდონში ანყოზენ.

## Citroen Xsara Picasso VTX

სხვადასხვა ქვეყნის საავტომობილო გამოცემებში, ამ მოდელის ახალი თაობის ფოტოებმა „გაჟონა“. ამგვარად, „სიტროენის“ ამჟამინდელი კომპაქტური ვენი კონ-

ვეიერზე დიდხანს აღარ დარჩება. ფრანგებმა გადანაცვლეს, ახალი, უფრო კარგად დაკომპლექტებული და რაც მთავარია, გაცვლილებით იაფი მოდელი გამოუშვეს.

მანქანა სამნაირი (1,6, 2,0 ლ მოცულობის ბენზინის და 1,6 ლ მოცულობის დიზელის) ძრავათი იქნება აღჭურვილი. გამოირჩევა სრული ელექტროპაკეტით, ჩამოსხმული საბორბლე დისკებით, კრუიზ-კონტროლით, სალონის განსაკუთრებულად მოხდენილი და კომფორტული ინტერიერით.

საბაზო კომპლექტაციაში (1,6 ლ-იანი ძრავათი და მექანიკურ გადაცემათა კოლოფით) Citroen Picasso VTX 11,3 ათასი გირვანქა სტერლინგი ელირება, 2,0 ლ მოცულობის აგრეგატი — 13,2 ათასი. აქვე უნდა ითქვას, რომ Xsara Picasso თავის სეგმენტში ლიდერი განსაკუთრებით: მოსახერხებელი და ამტანი „სიტროენები“, არა მარტო კერძო მფლობელებს აქვთ, არამედ ისინი აქტიურად „შრომობენ“ პოლიციელების, „სასწრაფო დახმარების“ ექიმების, მშველების გვერდით.



## Acura MDX-ს ტესტებს უტახებენ

იაპონური Honda-ს ენ. სალუსე ქვედანაყოფის — კომპანია Acura-ს ინჟინრებმა მუშაობა დაასრულეს ყველგანმავლების — MDX ახალ თაობაზე, რომელსაც ამჟამად, სერიულ წარმოებაში ჩაშვებამდე, უკანასკნელ ტესტებს უტარებენ.

კონცეპტუალური მოდელი წლევანდელ გაზაფხულზე, ნიუ-იორკის ავტოსალონზე იყო წარმოდგენილი. როგორც ვარაუდობენ, სერიული მოდელი ბევრად არ განსხვავდება კონცეპტისაგან. მის სალონში, მომხმარებელი სამ რიგად განთავსებულ სავარძლებს იხილავს. მანქანა სრულამძრავიანია. მისი ძრავების პალიტრაში, სადღეისოდ, უმძლავრესი 3,5 ლ მოცულობის ნ-ცილინდრიანი აგრეგატი. მის გარდა, ახალი Acura MDX-ისთვის იქმნება სრულიად ახალი მ-ცილინდრიანი ძრავაც. ექსპერტ-



თა ვარაუდით, აშშ-სა და კანადაში, ამ მანქანის რეალიზაცია უკვე მომავალი წლის დასაწყისში დაიწყება. რაც შეეხება სხვა

კონტინენტებზე მის გაყიდვას — ამის შესახებ, კომპანიის მესვეურები ჯერჯერობით, არაფერს აცხადებენ.

# განაჩენის მიხედვით, ოჯახურ კონფლიქტს ორი დანაშაული მოჰყვება

## 27 წლის მსჯავრდებული დასაჯდა, უღებდა ან ციხეში აღმოჩნდა...

დასაწყისი იხ. გვ. 15

იმავეს იმეორებს მათიამვილის მეუღლეს. მათ გამოძიებას მიმართეს თხოვნით, მხედველობაში მიიღოთ მათი ჩვენებები. მათივე თქმით, აღნიშნულ პერიოდში, ფოთში მორის კურტანიძის ყოფნის ფაქტის დადასტურება მათ მეზობლებსაც შეუძლიათ.

მსჯავრდებული პრეტენზიებს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ არც წინასწარმა გამოძიებამ, არც სასამართლომ მხედველობაში არ მიიღეს ზემოთ ხსენებული მოწმეების ჩვენებები და იმ ალიბით, რომელიც რეალურად არსებობს, საერთოდ არ დაინტერესდნენ.

### მორის კურტანიძე:

„განაჩენი დაუსაბუთებელი და ყალბია, რადგან საქმის მასალებში არ არის ის უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაამტკიცებდა ჩემს ბრალულობას. საქმეში დაზარალებულად ცნობილი ბოკლეაძის ჩვენება იმის შესახებ, თითქოს მე ოფისში ბენზინით სავსე ბოთლით მივედი და ცეცხლი წავუკიდე იქაურობას, მტკნარი სიცრუეა. იმ დღეს, მე და ალიბეშვილი ქესქინი ერთმანეთს თვალის კლინიკაში შევხვდით. იქ ჩვენ შორის შელაპარაკება მართლაც მოხდა. ამ ფაქტს შეესწრო „უნივერსალის“ მძღოლიც, რომელიც სასამართლომ რატომღაც, ბოლომდე არ დაპოკითხა, მის მიერ დაწერილი ახსნა-განმარტება კი, საქმეს არ დაურთო. თუ მართლაც მივედი იმ ოფისში, რატომ ვიკითხავდი ჩემი სიძის მამას, რომელიც სულ ცოტა ხნით ადრე დავტოვე კლინიკაში? ან რატომ ვკითხავდი ბოკლეაძეს — მიცნა თუ არა? ამ შეკითხვას რა აზრი ჰქონდა? აღსანიშნავია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიც, სადაც დეტალურადაა აღწერილი, ხანძრის შედეგად დაზიანებული საგნები, დაზარალებულად ცნობილის მიერ ჩამოთვლილი ნივთები კი — ჩექმები, ქურთუკი, ოქროს სამკაულები, — რომლებიც, როგორც თავად ამბობს, განადგურდა, ოქმში ნახსენებებიც არ არის. დაფიქსირებულია მებანძრეების გამოცხადების დროც. ცეცხლის გაჩენიდან, ადგილზე მათ მისვლამდე, მცირე დროა გასული და იმ დროში დამწვარი ნივთები ისე არ დაინგებოდა, რომ უკვალოდ გამქრალიყო. საქმეში დევს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის წერილიც, სადაც აღნიშნულია, რომ დაინვალები, სხვა დამწვარი საგნების შესახებ იქ არაფერია ნათქვამი.

არსად არ არის ნახსენები არც ელექტროქურა, რომლიდანაც თითქოს, ბენ-

ზინით გაუღნითელ ქსოვილს ცეცხლი წავუკიდე. ელექტროქურა ხომ ისე უკვალოდ არ დაინგებოდა, რომ შემთხვევის ადგილზე მისულ მებანძრეებს ვერ შეეჩინათ?! დაზარალებულმა და მოწმეებმა გამოძიება სხვა მხრივაც შეიყვანეს შეცდომაში. კერძოდ, დაუმალეს, რომ მე ფირმის თანამშრომელი ვიყავი. არსად დაფიქსირეს ის, რომ ფირმის სათავე ოფისი რუსთაველის გამზირზე მდებარეობდა, მოსკოვის გამზირზე კი, სადაც ხანძარი გაჩნდა, მხოლოდ სათავე ოთახი იყო. ვფიქრობ, ეს მიზანმიმართულადაა ყურადღების მიღმა დატოვებული და ჩვენებებიც ჩემს საწინააღმდეგოდ განგებაა დაწერილი. ჩემი სიძის მიერ საქართველოში განხორციელებული ბიზნესის შესახებ, ასევე, ფირმა „უნივერსალის“ საქმიანობის შესახებ თავიდანვე ბევრი რამ ვიცოდი და დეტალურ ინფორმაციას ვწლობდი. ოჯახური კონფლიქტის გამწვავების გამო, ჩემსა და სიძის მამას შორის მომხდარი ინციდენტის შემდეგ, როგორც ჩანს, შიში გაუჩნდათ იმისა, რომ მე ამ ინფორმაციას გავამჟღავნებდი და მათ შესაბამის საამართალდამცავ ორგანოებში დავასმენდი. ამიტომაც გადაწყვიტეს ჩემი ჩამოშორება და ხანძრის ფაქტის, ისევე, როგორც ყაჩაღობის, ინცენერება მოახდინეს, შემდეგ, ორივეს ჩადენა მე დამბრალეს... ეს რომ ასეა, ამაზე თავად საქმის მასალები მეტყველებს. მაგალითად, მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა ფიქსირდება ყაჩაღობის ეპიზოდთან დაკავშირებით. წინასწარი გამოძიებისას მიცემულ ჩვენებაში დაზარალებული ამბობს, რომ მას შეკრული ხელები მოწმე ჟრულაშვილმა გაუხსნა, სასამართლოზე კი თქვა, რომ ხელები თავად შეიხსნა და რომ იმ დროს, ოთახში მართო იმყოფებოდა. მისივე თქმით, გვერდით ოთახში იყვნენ დაცვის თანამშრომლები, რომელთაც ყაჩაღობის ფაქტი არ გაუგიათ. პროცესზე, აშკარა ზენოლა ხორციელდებოდა მოწმეებზე, ასევე, დაზარალებულზეც. ყაჩაღობის ეპიზოდთან დაკავშირებით, დაზარალებულმა ისიც კი თქვა, რომ მე სხვა პიროვნებაში შევეშალე, მაგრამ მოსამართლემ და პროკურორმა ფაქტობრივად აიძულეს, ეთქვა ის, რაც სინამდვილეში არ ყოფილა; აუხსნეს, რომ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენების გათვალისწინებით, ცრუჩვენებისთვის, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა და ამით დააშინეს. შემინებულმა დაზარალებულმა თქვა — თუკი ჩემი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება, მაშინ და-

ეთანხმები წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებასო, — და ისევე მე დამადო ხელი“.

მსჯავრდებულის სიტყვებს ეწინააღმდეგება მეორე მხარე და ასევე — განაჩენი, სადაც აღნიშნულია, რომ: განსასჯელი კურტანიძე სასამართლო პროცესზე აგრესიულად იქცეოდა, მას რამდენჯერმე შესთავაზეს, მიეცა განმარტება წარდგენილი ბრალდების ირგვლივ, მაგრამ უარს აცხადებდა, ამასთან, არც კანონით მინიჭებულ დუმილის უფლებას იყენებდა და სასამართლოს ზურგს აქცევდა. უპატივცემულობის გამო, სასამართლომ ის დარბაზიდან გააძევა... განაჩენის მიხედვით, კურტანიძე, რომელზეც ძებნა იყო გამოცხადებული, სამართალდამცველებმა დააკავეს, თუმცა, მსჯავრდებულის თქმით, ეს ასე არ იყო. როგორც კურტანიძე ამბობს, ის პოლიციაში თავად გამოცხადდა. „გამოცხადდი ნებაყოფლობით, იმი-სთვის, რათა ჩემი უდანაშაულობა დამემტკიცებინა. ეს არც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული და არც განაჩენში“, — აღნიშნავს მსჯავრდებული. განაჩენი, რომელითაც მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს (მკაცრი რეჟიმის სასჯელ-აღსრულების დაწესებულებაში მოხდით) და რომელსაც მსჯავრდებული უკანონოს უწოდებს, მან სააპელაციო წესით უკვე გაასაჩივრა. კურტანიძე წარდგენილი ბრალდებების მოხსნას და თავის გამართლებას მოითხოვს. ოფიციალური ცნობით, ეს მისთვის პირველი ნასამართლეობა არ გახლავთ. როგორც ირკვევა, ის წარსულში სამჯერ წარმდგარა სასამართლოს წინაშე, ხულიგნობისა და ქურდობისთვის. პირველად, 1995 წელს, კურტანიძე თბილისის იხნის რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა და სასჯელის ზომად 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. მეორედ, ის ციხეში 1998 წელს მოხვდა. თბილისის გლდანის-ნაძალადევის რაიონის სასამართლომ მას 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მესამედ, კურტანიძე 2001 წელს გაასამართლეს: ამჯერად მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს, რაც პირობითი სასჯელით შეიცვალა. ბოლო განაჩენში აღნიშნულია, რომ მიუხედავად ამისა, კურტანიძე არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ზედიზედ ორი დანაშაული. თავად მსჯავრდებული აცხადებს, რომ მოსამართლეს განაჩენის გამოტანისას, საქმეში არსებული მტკიცებულებებითა და გარემოებებით უნდა ეხელმძღვანელა და არა მისი წარსულით.

			<b>1</b> კატმო- თულე			<b>2</b> ქალაქი საქართვე- ლოში	<b>3</b> პურის საცხობი		<b>4</b> მთავარი მსაჯი	<b>5</b> ვუკვა ცხენი	<b>6</b> დოსტო- ვესკის რომანი
			<b>7</b> ქაბა სოკო			<b>8</b> მეა- ლობელი ფრინ- ველი					
					<b>9</b> ფაბრ- ლო- ბალონის დედაქალაქი		<b>10</b> სამკა- ციანი ანსაბლი			<b>11</b> ამერიკე- ლი მწერალი	
<b>12</b> პირობითი ნიშნების სისტემა		<b>13</b> სას- ელმწიფო სამხრეთ ამერიკაში		<b>14</b> მუსლიმან- თა ლოცვა	<b>15</b> ღმერთებ- ის მია						
			<b>16</b> დიდი და სქელი შალი	<b>17</b> სივარდის ღმრთი მღ. მთ.	<b>18</b> მეწისქვი- ლის წილი	<b>19</b> მუსიკალური ბგერა	<b>20</b> წისკვი- ლის ქვა	<b>21</b> სახელმ- წიფო აფრიკაში			<b>22</b> რუ- მინეთის ფულის ერთეული
				<b>23</b> დედამამ- ვილი						<b>24</b> სწორი, დაბურუ- ლი ტყე	
	<b>25</b> გოგულის მოთხრო- ბა	<b>26</b> ფრანგი იმპრე- სიონისტი			<b>27</b> ქალაქი ბერლინი- ში	<b>28</b> ფიურერი					
				<b>29</b> თმის საშრობი ხელსაწყო							
	<b>30</b> ზღვრული ხორმა	<b>31</b> სტუ- დენტის ჩათვლის წიგნაკი									<b>32</b> ჭადრაკის ფიგურა
	<b>33</b> ორდ- ვილ- იანი ველოსი- პედი						<b>34</b> სუსტი ქარი				
<b>35</b> რეზინის ფეხსაცმე- ლი				<b>36</b> ათ- ცენტიანი ბილეთი აშშ-ში			<b>37</b> მხია- რულ ბა, დროს ტარება				<b>38</b> წვრილი ჩხირი
					<b>39</b> წყალსა- ცავი რაჭაში		<b>40</b> თვალის გუზა				
<b>41</b> უმაღლესი ხარისხის ბროლი		<b>42</b> შაქრის ლოცვის ცხრა		<b>43</b> მი- წის ქალღმერ- თი ბერძნ. მით.							
<b>44</b> ესპანური ღვინო		<b>45</b> მტაცებე- ლი ფრინველი									
<b>46</b> თაქთაქიშ- კილის ოპერა						<b>47</b> ბელი, იღბალი					

**წინა ნომრის სკანოკრილის პასუხები**

1. რამაზანი; 2. მექსიკა; 3. ვარია; 4. აკვალანგი; 5. სიმდი; 6. დასი; 7. ზაქი; 8. მეკარე; 9. ნინიძე; 10. ალადინი; 11. ალლუმი; 12. ლასო; 13. სვე; 14. იდიოტია; 15. კაიპანი; 16. ეზოპე; 17. კოპერნიკი; 18. სამიტი; 19. ტენი; 20. სამოა; 21. ნეგლიფე; 22. რუმია; 23. სასა; 24. ნანა; 25. კოკი; 26. ასკერი; 27. მამარაბი; 28. სინჯარა; 29. სამაია; 30. ჭოტი; 31. არიზონა; 32. რეპი; 33. ნანდუ; 34. მადა; 35. და; 36. ტაო; 37. ბანკირი; 38. რაკეტა; 39. ნუკრი; 40. იანკი; 41. როკოკო; 42. ანათემა; 43. ევა; 44. კომა; 45. სპა; 46. ბუკი.

სურათებზე: რიზ უიზერსპუნი; მაიკლ მედსენი.

# kviris astrologiuri prognozi

(29 ivnisi – 5 ivlisi)

## პერიოდი 2103-2004

კვირის დასაწყისში, სამსახურებრივ პრობლემებს მოაგვარებთ. თქვენმა კეთილშობილებამ და სულგრძელობამ, შეიძლება ზიანი მოგაყენოთ. ნუ მოდუნდებით. შემდეგი კვირიდან, პირად ცხოვრებაში, სასიამოვნო სიახლე გელით, ბევრ ისეთ სახალ ნაცნობს შეიძენთ, რომლებიც საქმეების მოგვარებაში დაგეხმარებიან.

## კურო 2104-2005

თავი შეიკავეთ სერიოზული, საქმიანი მოლაპარაკებისაგან, უმჯობესია, ეს შემდეგი კვირისთვის გადადოთ. გამოიჩინეთ მოთმინება — ამით მხოლოდ მოიგებთ. კვირის მეორე ნახევარს, საინტერესო ადამიანთა გარემოცვაში გაატარებთ. შეეცადეთ, შაბათ-კვირა, თქვენთვის სასიამოვნოდ გაატაროთ.

## ტყუნი 2105-2106

კვირის დასაწყისში, ცხოვრება დაძაბულ გარემოში მოგიწევთ. სამაგიეროდ, ხალისიანი და სიახლეებით აღსავსე იქნება კვირის მეორე ნახევარი. უქმე დღეები, მეგობრებთან ან საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარებთ.

## კიპო 2206-2207

ამ კვირაში, თქვენთვის, წინა პლანზე, ოჯახური პრობლემები დადგება, ამიტომ ნაკლებად მოიცლით სამსახურისთვის, ამათ კი, შესაძლოა, თქვენს კარიერაზე უარყოფითად იმოქმედოს. შეეცადეთ, დროის კონტროლი ისწავლოთ და ყურადღება არ მოადუნოთ.

## ლონი 2307-2308

ამ კვირას, შესაძლოა, გაგიჩნდეთ სურვილი, შეხვდეთ და ესაუბროთ ადამიანებს, რომელთა მოსაზრებები ადრე არ გაინტერესებდათ — იმოქმედეთ კომპლექსების გარეშე, დაიკმაყოფილეთ ცნობისმოყვარეობა და ეს, განწყობილებას გაგიუმჯობესებთ. შაბათს ან კვირას წვეულებაზე მიგიწვევენ, სადაც დროს სასიამოვნოდ გაატარებთ.

## ძალწული 2408-2309

კარგი იქნება, თუ თქვენთვის მნიშვნელოვან საქმეს, კვირის მეორე ნახევრისთვის დაგეგმავთ. შესაძლოა, ამ დღეებში, მატერიალურმა პრობლემებმა იჩინოს თავი, მაგრამ მეგობრების დახმარებით, ამ პრობლემას მალევე მოაგვარებთ. მთავარია, მათი გული ცრუდაპირებებით მოიგოთ, თორემ,

ცოტა ხანში, ისინი ვალის ბოლომდე დაბრუნებას მოგთხოვენ...

## სასწორი 2409-2310

შესაძლოა, ახალი სამსახური შემოგთავაზონ. შეეცადეთ, ინიციატივის გამოჩენაში სხვებს არ შეეჯიბროთ, თორემ, შეიძლება, ისეთი სისულელე წამოროშოთ ან ჩაიდინოთ, რომლის გამოსწორება შეუძლებელი იქნება. უქმე დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად, მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

## მოჩილი 2410-2211

მომგებიან საქმიან წინადადებას მიიღებთ, რაც აუცილებლად დაგარწმუნებთ იმაში, რომ ადამიანებზე არა მხოლოდ ზეგავლენის მოხდენა, არამედ მათი მართვაც შეგიძლიათ. კვირის ბოლოს, თავყვანისმცემლები ს გარემოცვაში აღმოჩნდებით.

## გვზილწუსანი 2311-2112

გამორიცხული არ არის, რომ ამ კვირას, გემის შეცვლა მოგიხდეთ, მაგრამ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ, შეეცადეთ, ყველაფერი აწონ-დაწონოთ და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედეთ. კარგი იქნება, თუ მეგობრებსაც ესტუმრებით.

## თხის რაბ 2212-2001

დროა, შეანელოთ ტემპი და შეამციროთ საქმიანი შეხვედრების რაოდენობა. ნუ დაკარგავთ დროს ურთიერთობების გარკვევაზე. ეცადეთ, იყოს დამთმობი — სიჯიუტემ შეიძლება, საყვარელი ადამიანი დაგაკარგვინოთ. მეტი დრო დაუთმეთ მეგობრებს და იოცნებეთ ბედნიერ მომავალზე.

## ბირწყული 2101-1902

შეეცადეთ, ადრე დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ. კვირის პირველ ნახევარს თუ ოჯახური პრობლემების მოგვარებას დაუთმობთ, მეორე ნახევარში, საზოგადოებრივ საქმიანობაზე გადაერთეთ. თქვენ, მოულოდნელად დამატებითი შემოსავლის მიღების შანსი გაგიჩნდებათ.

## თიჯიბი 2002-2003

კვირის დასაწყისში დაწყებული საქმიანი მოლაპარაკება წარმატებული იქნება. გამოიჩინეთ გაბედულება, განახორციელოთ წლების წინ დაგეგმილი შემოქმედებითი პროექტები. კვირის ბოლოს, მოგეცემთ შანსი, გამოავლინოთ თქვენი დიპლომატიური შესაძლებლობები. უქმე დღეები ენერჯის აღდგენას დაუთმეთ.

# რაგონად

## სიპართლისმოყვარე

### აღაპიანი სართ?

1. როგორ მოიქცევით, თუკი თქვენი ერთ-ერთი მეგობარი შეჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება?

ა) თავს აარიდებთ მასთან შეხვედრას და ეცდებით, არ ჩაერიოთ მის ცხოვრებაში — 0;

ბ) უმალ მის დასახმარებლად გაეშურებით — 2;

გ) გაჭირვებაში ჩავარდნილი მეგობრის დასახმარებლად, სხვა ნაცნობ-მეგობრების შეწუხებასაც არ მოერიდებით — 1.

2. ვთქვით, რაღაც ხელშეკრულება გაქვთ გასაფორმებელი, როგორ მოიქცევით?

ა) პარტნიორს სიტყვაზეც ენდობით — 1;

ბ) უფრო მეტი საიმედოობისათვის ხელშეკრულებას წერილობით გააფორმებთ — 2;

გ) მხოლოდ ისეთ ვალდებულებას იკისრებთ, რომელზე უარის თქმაც, საჭიროების შემთხვევაში, არ გაგიჭირდებათ — 0.

3. როგორ იქცევით, როცა სირთულეების წინაშე აღმოჩნდებით ხოლმე?

ა) თავდაჯერებულობას კარგავთ და განზრახულის განხორციელებაზე ხელს იღებთ — 0;

ბ) მოთმინებით ელით, რომ გარკვეული ხნის შემდეგ, ყველაფერი თავისთავად მოწესრიგდება — 1;

გ) ყოველთვის გინდებთ წინააღმდეგობის დაძლევის სურვილი — 2.

4. რა რეაქცია გაქვთ, როცა მოულოდნელად უსიამოვნო შეკითხვას გისვამენ?

ა) იშველიებთ პირველსავე არგუმენტს, რომელიც იმწამს აზრად მოგივით — 2;

ბ) ყოველივეს კარგად გააანალიზებთ და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხებთ მოწინააღმდეგეს — 1;

გ) მომენტალურად გასცემთ პასუხს და როგორც წესი, თქვენი უეცარი პასუხი მართებული აღმოჩნდება ხოლმე — 2.

5. ვთქვით, აუდიტორიის წინაშე უნდა გამოხვიდეთ, როგორ მოიქცევით?

ა) თავს უხერხულად იგრძნობთ და დაიბნევით — 0;





ბ) სულაც არ იგრძნობთ თავს შებოჩილად — 1;

გ) ეს გარკვეულწილად სიამოვნებასაც კი მოგანიჭებთ — 2.

**6. როგორ მოიქცევით, თუკი კამათის დროს მოულოდნელად მიხვდით, რომ ცდებით?**

ა) მაშინვე გამოასწორებთ შეცდომას — 2;

ბ) მიუხედავად ამისა, იმავე პოზიციაზე დარჩებით და კამათს განაგრძობთ — 0;

გ) შეწყვეტთ კამათს — 1.

**7. თქვენი აზრით, სა-მართლიანობის აღდგენა...**

ა) ...საკმაოდ რთულია, და ამას უამრავი ჩვენგან დამოუკიდებელი ფაქტორი განსაზღვრავს — 0;

ბ) ...ადამიანს ალაფრთოვანებს და ამან შესაძლოა, მას დიდება და პატივიც მოუტანოს — 1;

გ) ...ფრიად მნიშვნელოვანი და

ამასთანავე, აუცილებელი რამ არის — 2.

**8. რა ხდება, როცა თქვენგან განსხვავებულ პოზიციაზე მყოფ მეგობარს ეკამათებით?**

ა) თქვენ გაქვთ იმის უნარი, რომ ხშირ შემთხვევაში, მისი გადარწმუნება შეძლოთ — 2;

ბ) ყოველთვის საკუთარ აზრზე რჩებით — 1;

გ) მეგობარი საკუთარი პოზიციის მართებულობაში გარწმუნებთ; ყოველ შემთხვევაში, თქვენ ნაწილობრივ მაინც იცვლით აზრს — 0.

**9. როგორი რეაქცია გაქვთ, როცა დავის დროს ვნებები განსაკუთრებულად მძაფრდება?**

ა) თქვენ ბრაზობთ — 0;

ბ) სიმშვიდეს ინარჩუნებთ — 2;

გ) საკუთარი სიმართლის დამტკიცებას საკმაოდ ხმაამალაღი ტონით ცდილობთ — 1.

**10. რამდენად კარგად იმას-ოვრებთ იმ ტელეფონის ნომრებსა თუ მისამართებს, რომლებიც საკმაოდ ხშირად გჭირდებათ?**

ა) მათი ჩანიშვნის აუცილებლობა არ არსებობს, ვინაიდან როცა რომელიმე მათგანი გჭირდებათ, ინფორმაციის მოძიება არ გიჭირთ — 1;

ბ) ტელეფონის ნომრებსაც და მისამართებსაც ბლოკნოტში ინერთ — 2;

გ) საკმაოდ კარგად იმას-ოვრებთ ტელეფონის ნომრებსაც და მისამართებსაც — 0.

**11. ვთქვათ, სადღაც ყოფნისას**

ვინმე გაიცანით და გარკვეული ხნის შემდეგ, მას კვლავ შეხვდით, როგორი რეაქცია გექნებათ?

ა) მაშინვე იცნობთ მას — 2;

ბ) ვერ გაიხსენებთ მის სახელს — 1;

გ) ისეთი გრძნობა დაგეუფლებათ, რომ ამ ადამიანს სადღაც შეხვედრის-ართ, მაგრამ კონკრეტულად სად და როდის, ვერ გაიხსენებთ — 0.

**12. გაცხოველებული დისკუსიის დამთავრების შემდეგ, შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ ოპონენტის არგუმენტები?**

ა) ყველაფერს მშვენივრად გაიხსენებთ — 2;

ბ) კმაყოფილიც კი ხართ იმით, რომ ეს არგუმენტები დეტალურად არ გახსოვთ — 0;

გ) უმთავრეს არგუმენტებსაც კი ვერ გაიხსენებთ — 1.

**13. რა მიზანი გამოძრავებთ, როცა დავაში ერთვებით?**

ა) რაღაცას გამოვლით მისგან, ვისაც დაიცავთ — 0;

ბ) საკუთარი უპირატესობის დამტკიცება და ირგვლივ მყოფებზე შთაბეჭდილების მოხდენა გასურთ — 1;

გ) თქვენი მიზანია დაიცვათ ის, ვინც კონკრეტულ სიტუაციაში მართლაც საჭიროებს დაცვას — 2.

**14. როგორ იქცევით, როცა კამათისას ხვდებით, რომ თქვენი ერთ-ერთი მეგობარი აშკარად ცდება?**

ა) თქვენ მის წინააღმდეგ ილაშქრებთ — 2;

ბ) მიუხედავად იმისა, კარგად იცით, რომ ის ცდება, მხარს მაინც მას დაუჭერთ — 0;

გ) თავს შეიკავებთ და ამ თემაზე საკუთარ აზრს საერთოდ არ გამოთქვამთ — 1.

**ტესტის შედეგები**

**27-28 ძუღბ:** თამამად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ სიმართლისმოყვარე და სამართლიანობისთვის მებრძოლი ადამიანი ბრძანდებით. გარდა ამისა, არაერთი კარგი თვისებითაც გამოირჩევით და ფრიად საქმიანი ადამიანიც ხართ. თქვენ არ სჯერდებით აბსტრაქტულ მსჯელობებს სამართლიანობისა და მისი პრინციპების დაცვის აუცილებლობის თაობაზე, პირდაპირ საქმეზე გადადისართ და სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას ცდილობთ ცხოვრებაში.

**11-26 ძუღბ:** თქვენ ყოველთვის მზად ხართ დაიცვათ ის ადამიანი, ვისაც უსამართლოდ სწამებენ ცილს. თუმცა, აქვე

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თქვენს ძალისხმევას ყოველთვის არ მოაქვს ნაყოფი. სამართლიანობის პრინციპებისათვის ბრძოლისას, თქვენ მზად ხართ, დახმარება სთხოვოთ ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ამ საქმეში თქვენთვის დახმარების გაწევა შეუძლია.

**11-0 ძუღბ:** შეიძლება ითქვას, რომ დიდად არც სამართლიანობის პრინციპები გალელვებთ და არც უსამართლოდ დაჩაგრულთა სვედრი, ამიტომ, საკამათო სიტუაციებს (არა აქვს მნიშვნელობა რა თემაზეა კამათი) ყოველთვის თავს არიდებთ და მხოლოდ საკუთარ სიმშვიდესა და კეთილდღეობაზე ფიქრობთ.

# მსოფლიო ჩემპიონატი – ურუგვაიდან გერმანიამდე

დასაწყისი იხ. გვ. 56

პირველად მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული პენალტების სერიამ გამოავლინა.

ასევე პირველად მუნდიალის ისტორიაში, ფეხბურთელმა ერთ მატჩში 5 გოლის გატანა მოახერხა. ეს გახლდათ რუსი ოლეგ სალენკო, რომელმაც ხუთჯერ დაამწუსრა კამერუნელები.

პირველად ფეხბურთის ისტორიაში მსოფლიო ჩემპიონატში ასპარეზობდნენ რუსები, რომლებიც დაშლილი საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეებად მიიჩნეოდნენ.

რუსეთის ნაკრებში ტურნირის წინ, დიდი სკანდალი აგორდა, რის მიზეზადაც, ფეხბურთელთა პროტესტი იქცა. მათ აშშ-ში, ან გარდაცვლილი პაველ სადირინის ხელმძღვანელობით ასპარეზობა არ სურდათ და სპეციალური განცხადებაც კი გააკეთეს, რომელსაც ხელმოწერებიც თან ერთვოდა. მოგვიანებით, ზოგიერთმა მათგანმა გადაწ-

ყვეტილება შეცვალა. თუმცა იგორ კოლივანოვი, იგორ შალიმოვი, იგორ დობროვოლსკი და კიდევ რამდენიმე მოთამაშე ამერიკაში მაინც არ წასულან. ფაქტობრივად, რუსეთის ნაკრები მოსკოვის „სპარტაკის“ ძირითად შემადგენლობას წარმოადგენდა, რომელიც რამდენიმე ლეგიონერთა და ცეცხლ-კას მოთამაშით გაემდიერებინათ.

კამერუნელებთან გამართულ მატჩში რუსეთის ნაკრების მეკარემ, სტანისლავ ჩერჩესოვმა, როჟე მილას მიერ დარტყმული ბურთი ვერ მოიგერიოა. ამგვარად, ვეტერანი კამერუნელი დღემდე, ყველაზე ასაკოვანი მოთამაშეა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატში გოლი გაიტანა: იმ მომენტში, მილა 42 წლისა და 39 დღის გახლდათ.

კლაუდიო კანიჯას მიერ ნიგერიის კარში გატანილი გოლი 1500-ე აღმოჩნდა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში.

პირველად მუნდიალის ისტორიაში

მოედნიდან მეკარე გააძევეს. ეს იყო იტალიის ნაკრების გოლკიპერი, ჯანლუკა პალიუკა, რომელმაც ნორვეგიის გუნდთან შეხვედრისას მიიღო ნიუთელი ბარათი.

1994 წელს, მხოლოდ რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, პაველ სადირინმა გამოიყენა გუნდის შემადგენლობაში მყოფი 22-ვე მოთამაშე.

პირველად მსოფლიო ჩემპიონატში (შესარჩევ და ფინალურ ტურნირებში) 133 გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ: ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის გუნდებიც.

ბულგარეთის ნაკრებმა 1962 წლის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონატში პირველად მოიგო შესვენება. აღმოსავლეთევროპელებმა ბერძნები დაამარცხეს. ზედიზედ 17 მატჩი მოგების გარეშე — ეს რეკორდული მაჩვენებელია მუნდიალის ისტორიაში.

## რუბრიკა მოაგზავს ალექსი რეხვიანშილმა

**იაპონური სენსაცია**

# სუდოკუ

**წინა ნომრის სუდოკუს პასუხები**

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამოვრდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!


\* მარტივი

7			8	1			3	
9			3				5	2
4		5	9				6	
	9	1		3	8	2		
		3	6		1	8		
		6	5	7		9	1	
	8				4	6		7
1	5				9			4
	2			8	3			1

\*\* საშუალო

7				8			3	5	9
4				5	6		1		
8				9	1		2		
	5			6	3			7	
	8	6					9	4	
	2			8	1			3	
		3		5	2				8
		9		4	8				5
5	1	8			6				3

# ფოტოკუჩიოზები





# Premier by Dead Sea Premier

ნიღბი ღამის ფეხი

618/26

საინფორმაციო



დაჯილდოვებული  
ხომის სანელებელი  
პრემიუმი

ტელ: (+995 32) 38 44 54

ფაქს: (+995 99) 54 66 66

შ.პ.ს. ი.ი. პრემიერი  
[www.il-premier.ge](http://www.il-premier.ge)